ხორბალს დავკმაზავთ-ყე, დახატულად დავქაჲვთ, მოატანთ გავ-
 კრით ემ ქვილსა. და თაღარს დავდეფთ და მარილს ჩავყრით და მოვ-
 ზელავთ. გრშეფთ, გაფუვედების. თორნეს ავანთეფთ და დავაკრავთ და
 ავაწყოფთ ემ პურს, — ბალიშს ცალკე, პურს ცალკე. შავაწყოფთ და
 ხუთი, ოთხი დღეს, ხუთი დღეს შავინახავთ. ბად კიღემ ელეგრე
 მოვზელავთ ნამაჲ მაგარსა, და გავკრით არიშტასა. და ოსპს გავრე-
 ცხავთ, ჩავყრით ქოფჩიგა და ხალსა და პურს გამოვლესავთ და დავას-
 ხამთ. და ბად რო ადუღდების, ამალზე მუა, არიშტას ჩავყრით; გად-
 ზოდეფთ და ბადიეფჩი დავასხამთ და მივცემთ-ყე.

4. პალეოსაცია. ერბოს ჩავადღეთ ერთ ყაბლაში. ნამა დავ-
დაღეთ და ქვილს ჩავყრით და ნამა ეს რო გაწითლებს, გადმოი-
ღებო
ლებო, ერთ მაქს ვიქო და შირას დავასხამთ და დავადღეთ ლაშხაზე-
წერილნი
ზე. და მოტანო-ყე და კაცები შაპკამენ. ბინჯი

5. კერცხსაცია. ერბოს ჩავადღეთ ყაბლაში, და ლაშხა-
ზე
ზეგა, კერცხს ჩავახლით და გავთქეფავთ ნამა და მარილს მუყარით
და ჩავასხამთ ემ ერბოჩიგა. და ერთ ჯარა გაწითლებს, გაღმუაბრუ-
ნეთ. ეხლა ამ ჯარა, და დავდეთ ლაშხაზე, ესეც კერცხის.

6. ბრინჯი. ბრინჯს მოატანთ და დავალბოფთ წყალში, ორდან
მარილს ჩწყრით და ბად წყალს დავადგამთ, ნამა მახარშების, გავ-
წურავთ და დამზე დავდგამთ. და ერბოს დავდაღავთ ხაბითა და და-
ვასხამთ და ლაშხაზეზე დავაყრით და მოტანო-ყე.

კიდემ რა ვიცი, რალა გითხრა.

7. ხორცეტი. ნუხუდოს დავღერღავთ ნამა და სიბეზემინს
დაეჭრით, და ტყემალსა, და ჩავყრით. ეს მახარშების და ჩართს ცალ-
კე დავდაღავთ და ჯორცსა. და დავრევათ ერთმანერჩიგა და ეს ნამა
ადუღების და გაღმოღეთ. კიდემ დაღს დავასხამთ და ქასეფჩი და-
ვასხამთ და მოატანთ მაჯლეში. (კითხვა: ტყემალს აკეთებთ ზამთრი-
სათვის?) ზამთრის? კოპობაჩი. ჯმელია და ჩავყრით კოპობაჩიგა და...

8. ის, რო ამათ არა ა-ყე. ზეს მოვწელავთ, ავადუღეთ
ნამა და თორნეზე ქოფს დავადგამთ და ამზიდავთ პევაზე ნამა და გრ-
შეთ, რო აქაფდეს ეს ზეჰ. გრშეთ ემ ცეცხზე. იქნებოთ თა ერთი
„სე საათა“, სამი საათი. გაღმოღეთ და ადღეთ. ფარჩიღზე, ერთ
ნამაა ნაღესა. გრშეთ ერ დღეს. გაქმების და დავეცავთ და მისაც
უნდა, თა არუქი მივეცეთ, გოგზავნით.

9. ზესაცია... რო მოვწელავთ, გავათბოფთ. და ეს ნამა რო აქაფ-
დების, ჩავასხამთ ქოთანჩიგა და მაძასა ვკრავთ და ერთ-ორ დღეს უკა-
ნა ჩავასხამთ ნეპრაჩი, შავდლებავთ და კარაქს ამოღეთ ცალკე და
ემ დოსაც გრშეთ და... თა ავადუღოთ, ნამა ავადუღეთ და გავწუ-
რავთ კისაჩიგა და ყურუთს დავაგეთ და გაქმების და ავკრეფავთ.

10. კალო. შამაქხაზვენ მიწას. ემასა წყალს მრგდებენ და ნამა
დალბების. ჯარებ შამქენ და მაქხაპვენ. მაქხაპვენ და გაქმების. მავორ-
ებენ და მაატანენ ყანასა. დაწყობენ ნამა და ეს ყანა გაქმების. რშ-
ლით, კარებს შავაბამთ და ჩუმფარასა, და გავლეწავთ. რგდეთ, გა-
მუანიავეთ და გავაცხავეთ. ხორბალს დავკმაზავთ. და ბზესაც კა-
ცები ჩამატანენ და ხორბალსაც აკრეფენ და დავარდების ერ ზარა
ჩენკი. ემასაც კევრს შავაბამთ და გავლეწავთ, ოთხ დღეს, ხუთ დღეს...
ჩამოატანთ იმასაც.

არი, ქილა არი, ჩათა არი, ცხრილი არი, ცხავი არი, საცერია, ხედილი
არი, კევრია, უღვლია, თავთხერი. საგორველა. ცხრილსა... ხორბალსა
ვატხავედთ, საცერჩი—ქვილსა. ცხრილი ხორბალსათი, ცხრილი
რო უნდა გავაცხოთ კალოზე, იმისთინა, რო ხორბალი ცაღვი
ჯენკი — ცალკე. ეს საპტკაპავიცა, თახტახონია, ხონი... ეგეთი ნაჯარე-
ბი გაკეთებენ, იმითა დავტკაპავთ-ყე.

[15. ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი]. ლაბასი. ნიფხავი არი, პერანგია, ჩიქი-
ლური, ლაჩაქია, ჯირიყარი, ჯაქათია, ქოთია, ჩადრია, ყადიქა არი, წი-
ნდარი, ფეკსამოსია, ესებიც არი. მასია, ქალაშარი, საყურერი, ყოლ-
ბაყებია, ყელია, ბეჭედია. (კითხვა: ხალხალი?) ამაგ არ არი, ამაგას ვერ
ვიტყე.

კაცს საათი აქ, ქოთი აქ, გერევათი აქ, პერანგი აქ, ზირფირჰანი
აქ, წინდა აქ, ფეკსამოსი აქ. ქუდი? რო არა გა-ყე, ტყუალი ვთქო? ის
რო მარსუმი და აქსარიათობა ემ ჯარასა ყანუნი არი. ქულაჯა არი,
კაბა არი... არ არი კაბა! ყმაწილეფსა? სინაბანდი არი, ფიშ-
ბანდი არი, ბეჩაგანა არი, ბაძტა ფეკსამოსია, ქუდია, ქოთი აქ, ჯირიყა
აქ.

[16. ხ ი ლ ი]. კაკალი არი, ყურზენი არი, ჭერემი არი, აღიბუხარა
არი, ტყემალი არი, ნუხუდო არი, ჭანდოხი არი, ხურმა არი, გოლაბი
არი, (შენ ნუ მასწავლი! ის რო, ექ არ მინდა ვიბნა, ნუ დამაწლევი-
ნებ-ყე შენა!). ყურზენი არი, შირას მოდუღება არი. ქარხანაჩი წაა-
ღებენ, დაპყლეტენ, ადუღებენ, თეთრი მიწას მიპყემენ, დასაქდების,
ბაღ კიდემ ადუღებენ, შაქნების შირა. გამაძტანენ და გოშებენ ნამა,
მიწას წააღეკავს. და იმ შირას ჩაპყურვენ და ჩსხმენ ერთ ქოთანჩი.
„დო სალაც“, „ორ წელსაც, რო გინდოდეს-ყე. შაძანხოთ, არი. ვიცი,
ვიცი. რაღა... რაღა უამბო-ყე-ღა.

VI. პირველადა ქენა შიდობას გებნები-ყე, გამარჯობას³ გებნე-
ბი-ყე. მე მქიან რე პიმა ონიკაძე, რო შაქნება ონიკაშვი-
ლი. ამაშინ, რო ანსეფს სამართლის³... რას იძახიან? სეჯელით რო გა-
მუართი, თქეს: „ონიკაშვილი არ დააწერების“, ვთქი: „ონიკაძე დააწე-
რეთ-მეთქი!“ ჩონ, მე და ჩემ მამა და ჩემ მამას მამა და წაადღეს ზეა-
თამდე, ვიცი, რაგდენი მამას მამა და აადღეს ონიკაშვილთან, რო პირ-
ველად გამოსულან ქართველები ექა.

[1. ს ა ხ ნ ა ვ - ს ა თ ე ს ი. ს ა ს ო ფ ლ ო - ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ უ ლ -
ტ უ რ ე ბ ი]. ახლა ჩონა ჩემ მამა რო რაათობა ჰქონია, საჯნავ-სათესი
ჰქონია, ჩონი მაზრა არი ელ ემ ჩონ პირდაპირ ამ ყუზაძი... იცით
ხო, ყუზაძ რა არი?

ყუზაძი ანქა საჯნავ-სათესი გოქ და ბაღები. ვენახის³ ბალი გოქ და
კაკალი დგა შიგა, და ჭერემიცა დგა შიგა, და ვაშლიცა დგა შიგა, და

არი, ქილა არი, ჩათა არი, ცხრილი არი, ცხავი არი, საცერია, ხედილი
არი, კევრია, უღვლია, თავთხერი. საგორველა. ცხრილსა... ხორბალსა
ვატხავედთ, საცერჩი—ქვილსა. ცხრილი ხორბალსათი, ცხრილი
რო უნდა გავაცხოთ კალოზე, იმისთინა, რო ხორბალი ცალკე
ჯენკი — ცალკე. ეს საპტკაპავიცა, თახტახონია, ხონი... ეგეთი ნაჯარე-
ბი გაკეთებენ, იმითა დავტკაპავთ-ყე.

[15. ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი]. ლაბასი. ნიფხავი არი, პერანგია, ჩიქი-
ლური, ლაჩაქია, ჯირიყარი, ჯაქათია, ქოთია, ჩადრია, ყადიქა არი, წი-
ნდარი, ფეკსამოსია, ესებიც არი. მასია, ქალაშარი, საყურერი, ყოლ-
ბაყებია, ყელია, ბეჭედია. (კითხვა: ხალხალი?) ამაგ არ არი, ამაგას ვერ
ვიტყე.

კაცს საათი აქ, ქოთი აქ, გერევათი აქ, პერანგი აქ, ზირფირჰანი
აქ, წინდა აქ, ფეკსამოსი აქ. ქუდი? რო არა გა-ყე, ტყუალი ვთქო? ის
რო მარსუმი და აქსარიათობა ემ ჯარასა ყანუნი არი. ქულაჯა არი,
კაბა არი... არ არი კაბა! ყმაწილეფსა? სინაბანდი არი, ფიშ-
ბანდი არი, ბეჩაგანა არი, ბაძტა ფეკსამოსია, ქუდია, ქოთი აქ, ჯირიყა
აქ.

[16. ხ ი ლ ი]. კაკალი არი, ყურზენი არი, ჭერემი არი, აღიბუხარა
არი, ტყემალი არი, ნუხუდო არი, ჭანდოხი არი, ხურმა არი, გოლაბი
არი, (შენ ნუ მასწავლი! ის რო, ექ არ მინდა ვიბნა, ნუ დამაწლევინ-
ებ-ყე შენა!). ყურზენი არი, შირას მოდუღება არი. ქარხანაჩი წაა-
ღებენ, დაპყლეტენ, ადუღებენ, თეთრი მიწას მიპყემენ, დასაქდების,
ბაღ კიდემ ადუღებენ, შაქნების შირა. გამაძტანენ და გოშებენ ნამა,
მიწას წააღეკავს. და იმ შირას ჩაპყურვენ და ჩსხმენ ერთ ქოთანჩი.
„დო სალაც“, „ორ წელსაც, რო გინდოდეს-ყე. შაძანხოთ, არი. ვიცი,
ვიცი. რაღა... რაღა უამბო-ყე-ღა.

VI. პირველადა ქენა შიდობას გებნები-ყე, გამარჯობას³ გებნე-
ბი-ყე. მე მქიან რე პიმა ონიკაძე, რო შაქნება ონიკაშვი-
ლი. ამაშინ, რო ანსეფს სამართლის³... რას იძახიან? სეჯელით რო გა-
მუართი, თქეს: „ონიკაშვილი არ დააწერების“, ვთქი: „ონიკაძე დააწე-
რეთ-მეთქი!“ ჩონ, მე და ჩემ მამა და ჩემ მამას მამა და წაადღეს ზეა-
თამდე, ვიცი, რაგდენი მამას მამა და აადღეს ონიკაშვილთან, რო პირ-
ველად გამოსულან ქართველები ექა.

[1. ს ა ხ ნ ა ვ - ს ა თ ე ს ი. ს ა ს ო ფ ლ ო - ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ უ ლ -
ტ უ რ ე ბ ი]. ახლა ჩონა ჩემ მამა რო რაათობა ჰქონია, საჯნავ-სათესი
ჰქონია, ჩონი მაზრა არი ელ ემ ჩონ პირდაპირ ამ ყუზაძი... იცით
ხო, ყუზაძ რა არი?

ყუზაძი ანქა საჯნავ-სათესი გოქ და ბაღები. ვენახის³ ბალი გოქ და
კაკალი დგა შიგა, და ჭერემიცა დგა შიგა, და ვაშლიცა დგა შიგა, და



ქნავთ ჩონა ყანასა, ხორბალი იყოს, ყანა რო ხორბალი დავეთსავეთ, ყარაქულასაცა ვეთსავეთ. ყარაქულა ერთი იცით, ყარაქულა რა არი? არ იცით. ცარც¹ ესე დაძახიან და ემეფსა. ჩონა გაუდანასაცა ვეთსავეთ. გაუდანას, არ ვიცით, რო რა არი. ბაზრაქსა ვეთსავეთ. მეშაქ... მეთქი, რომ პირველადა, რო გვარები² არიან და მოსულან ექა, სამას ოთხმოცი წელია, რო ახლა დობლოების ერთი წელი მეტია, მა ორი წელი მეტია, ესენი რო მოსულან ექა, ცხრაშეტი³ ყოფილან. ჩონი მამული რო გაყოფილა, ცხრაშეტი⁴ გაყოფილა. ცხრაშეტი⁵ იცით რაგდენია?—ათი და ცხრა. გაყოფილა, ეხლა ამ მამულზეგა გაყოფილა, ცხრაშეტი⁶ ადგილია სოფელჩიგა, ცხრაშეტი⁷—მაზრა. მაზრა იცით რა არი? მაზრაცა... ეგ როს რო თითოს თავისი გოლი აქ და გოლბანდს გომრშეფთ-ყე და სარწყავზე წაველთ-ყე, ამას გოლგეს შაკრავთ-ყე. ეს სოფელია თავის მამულით. ეს სოფელია თავის მამულით. ცხრაშეტი⁸ მაზრა ჰქონია, რო ჰარ თითო მაზრასა, ერთსა ჰქიან ყალასალბალია, ერთსა ჰქიან გოსთუგანი, ერთსა ჰქიან მაზრა-ყაზი, ერთსა ჰქიან სილინა, ერთსა ჰქიან დემანა. ერთსა ჰქიან ლაჩინას მაზრა, ერთსა ჰქიან გუგუნანთ დიზები, ანქა თერთმეტი დიზიცი ანქ არი. ესეები რო ჩამოვთოლით-ყე, შაქნებიან-ყე იმაშინა ცხრაშეტი⁹.

[2. სოფლები]. ყიშლალები რო ამ პირველად რო წასულან, ონიკას ყიშლალი გოქ, სულიანთ ყიშლალი გოქ, ეს ჩულიას მაზრა გოქ, ესეები არიან ეგეთები, რო ესეები გოქ. თებჩიგაც რო წასულან, ჰარ კაცს რო თავისთი საჯილომი ჰქონია, ანქაცა ერთსა თანდილას დაძახიან, ერთსა დიწერს დაძახიან, ერთსა სატრედოს დაძახიან, ერთსა გასაბიჯეფს დაძახიან, ერთსა ციხეს დაძახიან. ბევრი სოფლების ეს ადგილებიც ანქა გოქ, რო სანადიროდ¹⁰, ნადირსათი¹¹ რო წასულან. ბოტი და თხა, შიქალს ვიძახით ჩონა, ნადირები¹².

[3. ძველად და ახლა]. ანქა ჰართითოს თავისთინ ანქა ადგილები აქ, რო დაჯილომილან და იმაშინაც რო თოფები¹³ ყოფილა. ბევრი თოფი¹⁴. ეხლა კარგია, ეხლა რო არ გოჭირების თოფი. მართლა. მართლა ჩონი დიდი ყეანი რო მოადა, თავისი მამა რო მოადა და თითონა, ესეები შაქნეს ჩონთი კარგნი. თა ესენი არ მოსულყნეს, გაცორცუა იყო. იცით ხო გაცორცუა? მოკობრები, მოკობრები. მოკობრებმა, მინაც საათ გაჩუჩუნდის-ყე, დაპკირიან, გაცორციან და თუ ვუბინატორი¹⁵ მოადღეს-ყე ექა... იცით ხო, ვუბინატორი რომელია? პოქუშათი რო მოადღეს-ყე ანქა, ესენიცა გოწუხებდიან-ყე, მეტიცა. ემის ექა თა რო რეზა-შა მოადა, ცხონდეს¹⁶, კარგი ყეანი იყო. თავის ბიკი იმინ-ყე კარგი, ეხლა რო ყოფ. რამე რო არა ქნდა წერა-კითხვასა, თუ გამოვივა, წერა-კითხვას მოგოშეღეთ, რო გამაატანონ

ექა შკოლაჲ. და ჩონაც გოგოკითხონ, რო ერთ ხელოსანიჲ დადსწე-
ლოთ. ელმავალიჲ არა არი რა ჩონ წინა. გუთან-საჯნავით ვერ მოა-
წევთ პურსა. ჩონ შივრები დავცივდებით. დღევანდელ დღე რეკონსული
წინა, განათლებისჲ დღე მოდის ნათელად და მეტდების. ახლა ხელოსან
ვიხუროთ, ჳელი ჳელზე დაადვათ და ველოდოთ, რო ესები რას აკეთე-
ბენ და რა ვაკეთდების?

ესეც ჩონ არ ვიცით, რომელ გზასაყენა. ჳენ თუ იცით, რომელ
გზასაყენაც, რო იცით, დოგოშელენით. რო ჩონ მეფესთანჲ, დმერ-
თმა შადნახოს, ნამაჲ მეფეჲ ყოფ, ნამაჲ მეფე.

შე ჩემთინა სამოზდარჳა წელი მაჳ, ჩემთინ. იმაშინ რო წადლიან
ისტანსა, უკაცრავადჲ, ვირებით წადლიან-ყე. ვირებით რო წადლიან-
ყე, იმაშინ რო უნდოდეს მოადეს, უნდოდეს-ყე თოფებით გვეშელ-
ნეთ-ყე. თუ არ გვეშელნეთ-ყე, მოადიან გაცორციან, ჳურთმა გაცორ-
ცის, ადლის-ყე რადლარო წელს მოგოტანის-ყე, ადლიან, წადლიან. ახლა
არ გუჳირავს თოფი. ჩონ ახლა რო გოჳირების, ყალამი გოჳირების და
კითხვა და ხელოსანის დასწავლეა. ჩონ ამას გარდა არც რა გოჳირების.
ახლა მინაც რა გამაჳკითხოს და რაცა თჳოს, ამისთი რო სამოც წელს
წინ უნახავ, სიცოცხლე რა ყოფილა, ის ვაავეფს, რო ახლა რა ჳურა-
და კარგადჲ არი. ემებმა ხო არ იციან. ახლა რო, ამაშინ რა იოფილა.

უმ ჩონ გორეფს გაჳხედეთ. აჲ, ეჳ თათაშულის გორას დავძახით,
ამას აჳყანის გორას დავძახით, ჳართითოზე ათი ბურჯი ვაკეთებულა.
რო მოდიოდეს ჳურთი და მოდიოდეს ლური, რო ესები დუგუთანა-
ლონ. და... დუგუთანალონ იცით ხო, რა არი? ჩონ საქონელი არ ყოფ.
რო წაადგეთ. ჩონცა მოადით, შემევეყარით და თოფი ჳარზე ვადვიგ-
დით-ყე და დამითა და დღესითა სანგარეფჩი და საქნავ-სათესავჩი,
სიცოცხლე ხო არ გოჳონდა. ახლა ორმოცი წელია, ოზღახუთმეტი
წელია, რო ჩონ შუგუაენია. ეჳა ბევრი მადლობელნიჲ ვართ. იმას რო
წინანდელი უნახავ, ახლა იცის, რო რა არი. ეხლა ბევრი მადლობელ-
ნიჲ ვართ და ჳენყენაც რო ძრიალ გუნდა, ას არი, რო: გოსინჯეთ,
რომელი გზასაყენაც რო შაუძლიანჲ, ჩონ მოგოშელიავეთ. წერა-კი-
თხვა, შკოლაჲ, თუ რამე დადსწავლეთ, რამენი ვართ, დათუ არა და
ელმავალიჲ რაჩი გამოდგების და დატაკები ვიჳნებით. დატაკი რაას
შაჳენების? ჳელცარიალი, არა? უბედურები ვართ, სხილები კი ვართ,
ვალი ობოლები ვართ. რაჩი გამოდგების? ას არი ჩონ სიცოცხლე და
არც შიდობისაყენა რო მინემ დოგოლონოს, არ არი, ის არ არი.

თუ ჩონ ჩონთინა დავალონეთ, ისიც არ იცოდეს და დლონეს,
ის არ ცოდნაით ალონებენ ერთმანერთს, ის აღარ არი, რომ ემასა უნ-
დოდეს კაცი მოკლას და რა როგო ქნას და რა გაცორცოსა, არ ცოდნა-
ითაჲ. ჩონ ცოდნაჲ გუნდა, ცოდნა იცით, რო რა არი? ჩონ ცოდ-

ნას ვეძებთ. ჩონ იმას ვეძებთ, რო სუ ყველა კარგად ვატარო და ჩონაც კარგად გავატაროთ. ას არი ჩონ საუბარი და ის, რომელიც ჩონ ჰქუადათა, იმას ვიტყუთ.

სამოცი წელიწადის, რო ძლივ მაგონდებინს, სამოსდათი წელი, სამოცი წელი, ჩემი მამა-ბიძებმა, რო ჩონ გვარსა-ყე იყენს ორნი: ყო-ლამ-ოსენა ერქო-ყე და მადოსენა. ერთიცა ხუციანთა-ყე წაყყენეს¹², ერთიც ხუციანთა-ყე. სამნი იყენს, გამოდღეს საქართველოში¹³, გამო-დღეს საქართველოში, ორი წელი გააზიდნა, რო დაბრუნდეს. ემათ ბევრი წიგნი მამტანეს. წიგნი მამტანეს, რო აქა შკოლა¹⁴ გასხნან, ემ საწყალთა. საწყალთ რო მამტანეს ესე ემე... აქა იმებმა რო არ ესმო-და-ყე, თქეს, რო: ეს მინაცა მითასაც რო შადღეს, ეს წიგნები... (არ დაუშთაგრებია მოყოლა).

4. კალო. კევრი. ერთნაირია ამ კევრს რო... კევრის გარდასა, ერთნაირია. ჩუმფარას ვიძახით, ჩუმფარასა. სამი¹⁵ მილზრი, რო ექსი და ექსი თორმეტი, და ხუთი¹⁶, თორმეტი და ხუთი¹⁷ ჩიდმეტი შადქნე-ბის, ჩიდმეტი ფარა აქ, კინას ფარები. და ეს სამი¹⁸ მილა, ეს ხუთი¹⁹ ემე ფარა იმ შუაჩივ არი ანსჯარა-ესჯარა, ექსი ფარებია. ესე მიგო-რავს და ზედაც დასხდებიან ქალი²⁰, ბავში²¹. და შრწყრებთან ვა-რეფსა, გავრანს ვიძახით, სამჭრესა, სამჭრეს იძახით ქენ, არა? უჩხლე-ტენ და წავა. სამჭრეთი შრწყრებთან და ესე ლეწავს. და იმაშინ, რო სუ გააღეწოს, იმაში რო ნამა გააღეწა და კარგად²² გააღეწა. იმა-შინ ესლა კი ჩამოვლენ, გომრშებენ და შაქუჩებენ ემეს. გამწნიავებენ. იტყიან: გამუანიავოთო დღესა, დღეს ჩონ კალო უნდა გამუანიავოთო.

მუგუწნავ ყანა და ხორბალი და ქერი... რო მოტანთ კალოზეგა ხარაქ შავკრავთ-ყე... გავშლით და დავაწყოფთ, ავკიდავთ ვირსა და მო-ყყენთ კალოზე და კალოზე მოვჭდით. ესები დაქუჩიდების, რო და-ქუჩიდების. იმაშინა კალოზეგა, კევრსა და ჩუმფარას ვიძახით, შავა-ბამთ ამაჩი, და რო გააღეწების, იმაშინა მოვლენ და დედაკაცი და კაცი შომრღებთან. გამწნიავებენ, გამწნიავებენ. იციოთ, გამწნიავე-ბენ რაა? გამწნიავებენ... ქარი პირდაპირ რო მოდის, რომელ ვარსა-ყენაცა, იმაშინა ბზე ერთ ვარსა-ყე გავა და ხორბალიც ერთ ვარსა-ყე და ქერიც ერთ ვარსა-ყე გავა.

კალო ხო დიდ ეაკერი, ემ კალოს მოვხაპავთ-ყე, მოვრწყავთ-ყე და რო გუნდა ემე ექნათ, გავაკეთოთ კალო, მოვრწყავთ, რო დაბლა, ემასა ვარსა და ფარცხს ვიძახით, შავაბამთ ფარცხზე, ჩავჯი-დებით და ვატარეფთ. და ეს რო ვატალახდა და მოსეს, იმაშინ ახლა კი ბზეს მუაყრით და საგორველას მუაგორვეფთ. ბზე. ყანასა რო გა-აღეწენ-ყე, ანს თავის ემეს, მაგეფს,—ბზეს არ იძახით? ის ბზერი. სა-გორველაცა ქუა არი, რო შავაბამთ-ყე და გავაგორვეფთ-ყე, რო გა-



მაგრდეს ეს მიწა, რო ვარეფს რო შავაბამთ, მაგარი იყოს მიწა და გაიღეწოს, რო მიწა არ ურისოს. მაგარი მიწა იყოს, რო არ ურისოს ანქა შემეწხოვიან ბოეში, დიდი, ქუალი, ცუალი, ესეები შემეწხოვიან და გაიღეწენ ემეფსა, თავის დროზეგა რომ მაქსა, პასილს ვიძახით ემეფსა: ყანასა, ოსპსა, მეშაქსა, ამსხო გაუღანასა, ამსხო დიქასა, თეთრ ხორბალსა, ამსხოეფსა.

მოატანთ. ესეები რო დაქუჩდების, ვარეფს შავაბამთ, ემეფთ გავლეწავთ და გამუანიავებთ და თავის დანსა და მარცვალს აიღეფთ სხოგანა და ბზესა და ამეფსაც აიღეფთ სხოგანა.

კვერი არი დიდი... წნური რკით, რა არი? წნური ჯოხი გოქ, კაკლის ჯოხი გოქ. წნური ჯოხსა დიდი, ტყელს გამოვთლით. იმას ამაჰქრიან, ქუეფს ჩონაყვენ... წინ იყვის-ყე, ახლა ცოტა-ლა არი, თითო-თითო-ლა არი ახლა. ჩონაყვენ და იმას შაბიან-ყე ვარეფსა და კალო რო გაიღეწის-ყე, იმაზე შოდიან-ყე. ყორმა, ცუალმა, ბიქმა. და გაღეწიან-ყე. ესე კალუები. ემას კვერს დავძახით. შობმენ-ყე ქარსა და ვარიც მიათრევა და ლეწავს.

5. წისქილი. დიად, ჩემო ბატონო. ერთი დიდ ხე გამოთხრილია. დიდ ხე, მაღალი ხე, რო შიდი, რუა მეთრი სიმაღლე აქ, ეს გამოთხრილია და ზედა თახტა დაფარებულია. წყალი მუა, ემაზე დათავტევედების. ემას ნაწეს ვიძახით. ეს ნაეი რო ჩაადა, შიგა, ამ... იქ რო ქუეები ტრიალოფს, ორ ქუა რო ერთმანერზეგ არი. იმის ძირზეგა ქუმილას დავძახით და ამუა, ორი ქუა ერთმანერზედ არი და ეს ტრიალოფს. და ზედაცა, სახორბლეს ვიძახით, რო ხორბალს ჩაჰყრიან ანქა. და ანქა ჩახჩახოფს. ერთი ბაატა ჯოხი გაჰკიდავ. ერთ თაფთხენ ოდენი ჯოხი გაჰკიდავ, ისიც ჩუჩუნოფს და ცოტა-ცოტა, ნელა-ნელა და ხორბალი ჩამოდის და ანჭით ფქუის. ემასაცა ჰყავ მეწისქილე.

მეწისქილე რო დაფქუავს, ათი ერთს აიღეფს. თავის მუზდს ვიძახით. რას ვიძახით? ათს ერთი აიღეფს. ემისი რო დაფქო, ერთსხო მაატანს თავის საპალნეს. ზოგჯერა იხუფდებენ-ყე, რო: „ჩემ ფასტა არიო“, ანს იძახის: „ჩემ ფასტა არიო“... რო დაიღალებიან, იტყვიან: „ხო, შენ დეყარეო“. ექაცა მეწისქილეცა ყოფ, მეწისქილეც.

ახლა კი რო წისქილები გამოსულა, ახლა უწყალო წისქილებია. იმ წინა სასეალო იყვის-ყე, კარგი სეალო ჰქონდის-ყე. იმაშინ ფათირი დეყარიან-ყე, მოზილიან-ყე, სქელ ფათირი დეყარიან-ყე. მინაძღა რო იქა ხორბალი დაფქუის-ყე და ოცი გირი, ათი გირი, ორმოცი გირი აიღიან და მაატანიან-ყე. ეგეთი წისქილები გოქონდა. შიდი, რუა ათი წისქილი გოქონდა ექა. ბალი. ახლა გამოსულა. ოთხი, ხუთი წისქილი გოქ, რო ესენი ბარყითა,—ბარყს ეძახიან,—ბარყის წისქილია. ახლა ამითა ფქავთ და იმით სიცოცხლე გოქ.

[6. ადგილმდებარეობა]. ჩონ ანქა გოქ ამოღობა, რაქთენ წელია-ლა, არ არი. წინა დაქუჩდიან-ყე ბევრი ქალი, ბავშვი, მოხუცებული, დანკრიან-ყე ნახუქი. დაძახობდიან-ყე, დაძახობდიან-ყე, დაქუჩდიან-ყე, წადდიან-ყე, არი ერთი დედაქუჩდიან-ყე სივაკეზე გაპიდაეს და ემ გერდზევა ქალების გორას დაძახიან. და თავის თავზევაცა ქალების ქობია, რო თუ ახლა ემ გორაზე ვიყნეთ, დაგანახეთ-ყე, რო ანქ დიდ ქობია. შავა ხუთასი ცხორი, მეტი, ათასი ცხორი შავა, ერთი ივეთი ქობია თანი. იცით, რა არი თანივა ქობი? ემის ძირზევა ექა წელიჩი ერჯერ, ორჯერა დაქუჩდიან-ყე და წადდიან-ყე ანქა. კარგად გნტარონ ანქა, ტაშა უკრევედიან-ყე. ტაშის დარვა. ათი ყორი ემ კარასაყე დადის, ათი ყორი ამ კარასაყენა და ემ შუაჩივა ტაშითა გაძრბინიან და განაძრბინიან-ყე. და თამაშობდიან-ყე და კარგად ატარებდიან-ყე.

გომრდის-ყე წინათა ძრიალ კარგადა ნავრუხს ვიძახით, ნავრუხზევაც რო შაქნების-ყე წინა. ახლა ბრინჯი ბევრი მოდის. იმ წინა ბრინჯი ერთ ღამეს შაქნიან-ყე. ისიც ნავრუხის ღამესა. ყაფს დაძახობდიან-ყე, რო წრღონ თავით ქალეფსა, თავით დეფსა, თავით აშადეფსა წრღონ, წომრღონ. და ემ ნავრუხზევაცა დილობა რო შაქნის-ყე, დაქუჩდიან-ყე და სადაცა-რო ბებერი, მოხუცებული კაცი იყვის-ყე და უფროსი კაცი თავჯდომარე კაცი, პირველად იქ წადდიან-ყე.

ანქ წადდიან-ყე და ჭელი ჭელს მიჰციან-ყე და ერთმანერთს დაძკონიან-ყე და ეხლა ანქით გამოადიან-ყე, ამსხოგან წადდიან-ყე. ანქით გამოადიან, ამსხოგან წადდიან. ეს ოცი, ორმოცი სახლი, ორი, ხუთი დღეზე წამაძარნიან-ყე და იმ დროს, ეხლა მოადიან, აწივიან-ყე. დღეჩივა ერდგან ესეები აწივიან-ყე და იქ წადყვანიან-ყე და ხოშობდიან-ყე. რაც რო ახლაცა არი, ცოტად-ლა არი, ის წინანდელი უფროსთან წასლა და მოსლა და ისეგი-ლა, ისეგი ცოტად-ლა არი.

მე რო ქენ გითხრა-ყე და გიამბო-ყე ჩენი ბატონეფსა, რა ვიბნა, რო ბაატა შორსა ვართ ქენთანა, შორსა ვართ, გასლა-გამოსლა არა გოქ, ამა ემერი რო, ინშალა, ჰამ გამოადეთ და გამოხიდეთ ექა... კარგი, კარგი დოელათი ყოჸ ჩონა, კარგი ემე ყოჸ, ჰამ ჩონ გუგუშეფს და ჰამ ქენაც. ხო ეხლა ხო გამოსულხართ-ლა. ჭელი ჭელს მუგუცი. და ბევრი კარგად მოდის, ბევრი.

უმეს, მე რო გიამბე-ყე ქენა, რო წადდიან-ყე ამოღლობაჩივა და ამოღლობაჩივა და ანქა კარგად ატარებდიან-ყე, ანქა კარგად ატარებდიან-ყე, ანქ მოადეს. ეხლა ცამეტი დღე რო წადდეს ნავრუხსაყენა, იძახიან სინზდას. ემ ცამეტი დღეს ემასა დაძახიან. რამე რო არი, იმასინა გამოვლენ ქალები, სუ ჩადემენ, ახალი ტანისამოსსა. და ახანდლები და ყორები და დედაკაცეფს ვიძახით, და ჭეალები და ბაატები. და

დიდი და ბაბტა სუ გამოვლენ-ყე. წყალიცა დგომილა იმაშინ ბევრი
ემ ჩონ თაგზე, დაეძახით სარავსა. ემ ქოვით-ყე თა ზეათადმი, ემ წა-
ლის ამ პირზე და ემ პირზევა დასხდებიან, გაკეთებენ, ჩასვს და
ბენ და კარგი სეაღს იქმენ ერთმანერთისა, ბევრი ხალხი დაქუღ-
ბის-ყე ანქა. ესეც ჩონ სინზღარი.

ამ შორსაცა გოქ ერთი, ფირალიას იძახიან ანგრე, რო, მე მიკითხავ
ქეთაზიგა, რო წმინდა დავითი თბილისის თავზევა თაჩიგარი, თავზევა.
სურათიც მაქ შინა. მაქ, რო აღიან და ჩამოდიან იქა, რაგდენ დღეს იქ
დადგებიან და კარგად ატარებენ. ჩონაცა წავალთ-ყე ორი, სამი დღე-
სა ანქა ხოშოფთ და ანქა ყურბანეფს წაყვანენ-ყე და დაკლვენ-ყე.
და იქაც რაგდენ დღესაც, იქაც, ხოშობენ, იქა ჰამ სალოცავს დაძახი-
ან და ჰამ ხოშობასა. დიახჷ. მადლობელი ვარჷ.

ამ წინა რო ბევრი ქართველები, რო ქართულადაჷ წინა, რო
ბევრი ქართულადაჷ იმღერიან-ყე, თქიან-ყე, რო: „გადიოდეს, გამო-
დიოდეს ყორნებით, მე შენ შეგეყორნებით“. „გადიოდეს, გამოდიო-
დეს კაკებბრო, მე შენ შეგეკობებით“. კარგადაჷ ყორი და კაცი და
ბიჭი ერთმანერთანა თამაშობდიან-ყე და კითხობდიან-ყე ქართულა-
დაჷ. ის ქართულიჷ ბევრს ხანია, აღარ არი იგეთ კითხვა. კარგადა
იყნის-ყე იმაშინა, ტაში იყნის-ყე და თამაშობდიან-ყე და გოგოლობ-
დიან-ყე და კარგადა თამაშობდიან-ყე.

11. ქორწილი. ქართველები რო ქორწილს მააწყობენ სხო
სოფელსა-ყენა როგორც სიბაქი გოქ ექ ახლო, ჩუღრუთი გოქ ექ ახლო,
ქალჯაყი გოქ ექ ახლო. ანქა ნათხონს ითხოვენ. ანქა ნათხონს რო ითხო-
ვენ და იმაშინა რო წადიან-ყე, ქორწილი ქნან, წამაწევენ ორმოზდა
ათი, მალა დაბლა ზოგჯერ ასი ახალგაზდაჷ ბიჭეფსა, ემეფს დაძა-
ხიან მაყრის კაცები. მაყარიც არი: შაქნების ერთ დედაკაცი, რო წა-
დღეს ანქა ახანძალთანა და ანქ ახანძალს მაჰყვეს. ემას დაძახიან მა-
ყარსა. ეს მაყარი ერთი ჩიქილაზევა კოკოშას გააკეთეფს და ეს დე-
ტყობის, რო ესე მაყარია. ანს ორმოცი, ორმოზდა ათი მალა, დაბლა
რო არიან, ემეფს დაძახიან მაყრის კაცსა. ახლა ხო აღარ არი თოფი,
წინა იყვის-ყე. ორმოცი, ოთხმოცი. მეთოფე წადიან-ყე ანქა. აღბათ
თოფიგა ტყივა ჩადვიან-ყე. რო შადიან-ყე ემ სოფელჩიგა და და-
კვილიან-ყე: „შაბო-შაბო“ და აბაბახი დაძახიან და თოფეფს დაყა-
რიან.

ანქაცა რამე დრეკერია-ყე თადარუქი და დრეკავ-ყე ყოჩი და
ცხორი და ესები, გოკეთებია-ყე თავისთინაც: ფლავი, ბრინჯისა, ან-
ქაც კარგად უყურებენ ამალამა და დილობას. ანქა ახანძალს შაკმაზ-
ვენ, ახანძალს რო შაკმაზვენ, ეს თა... რო წადიან-ყე, მოყვანონ ემ
ნეფესა, ამას კაკალას ვადნფარებენ. კაკალა იციო, რა არი? ერთსხო

თხელ ჩიქილას გადაფარებენ იგრე, რო არ ჩნდეს თავის თოლ-სახე.
ჩნდეს ხალღი. ჯელზე მაჰკიდებენ ანჭით-ეჭითა, ჯმალს კარზე გადადებენ და წავლენ.

შაბოსა ჰკივიან თა თავის სოფელს გამაჰცილდიან, თოფსაც დაჰყარიან და ცხენებიცა იყვის-ყე და გარბოდიან და გამორბოდიან და თამაშობდიან. სოფელს რო გამაჰცილდიან, წამოადიან. წამოადიან, დახლოვდიან ექაუტრ სოფელთან და ახლა ექა თოფის ჯმასყენიან-ყე და აბაბახს იძახიან და...

დაწყოფს ერთი, მაჰმას ვიძახით, მაჰმაზე დაწყოფს სარკეს, წყალს; დაადღეს ქერს, ხორბალს დაყრის-ყე, ფულსაც დაადღებენ, ხილსაც დაადღებენ, მუხუდოს და ჩამეჩითსა და ემეფსა დაადღებენ, გამუა იმაშინა დედამთილი, ექ რო მოვლენ, ამ შორსა, შადნახვენ. რო დედამთილი გუნდაო! ექ რო შადნახვენ, დედამთილი გამუა ემ მაჰმამათა და წავა ემის წინ ჩირალიც ანთებული. და მივლენ. და პირველადა წყალს ადღეს და მიაწყაჰწყაჰეფს პირზეგა ახანძალსა, მევორედა ემ ქერსა გადაყარის თავზე, მესამედა ხორბალს გადაყარის თავზე, მეოთხედ ხილს გადაყარის თავზე, მეხუთედა ფულს გადაყარის. და ყმაწვილებიცა შემეშოვიან და დარბიან თავის ქენარ-ქენარზეგა და არჩევენ ემეფსა.

ამაშინ რო ეს ადგა და მობრუნდა, ახლა მათხოვენ ნეფსა. ნეფე დამალულია, წავლენ, ივლიან, ნეფეს მაჰკიდებენ და გამაყვანენ, ძალით მაყვანენ გადამაზედვენ: აა, ესეც ნეფეო! ნეფე რო მიაბრუნეს, მამამთილს მათხოვენ. მამამთილი იცით, რა არი? მამამთილიცა ამ ბიჭისა, ნეფესი მამა შადქნების. ახლა ამას მაყვანენ, ანსენიცა გამაყვანენ, თუ ცხენი ხალღია, ცხენს გამაყვანენ, რო, მანი, „ესე ახანძალისა არიო“, ახანძალს ვიძახით, ქენაც ახლა რასა იძახით, არ ვიცი. ემას გამაყვანენ და მიბრუნდებიან და ახლა შავლენ და იმაშინდა დალაგდებიან, დალაგდებიან და კარგად ემეფსა უყურებენ და ეს ქორწილიცაჰდა. მევორე დღესა დაშეტებენ ხილსა და სხო ხილსა და ემეფსა და მატანენ. ჩოყრიან ესები თითო თავისთინა, მისაც მეტი ცოტა ორმოცი ათი, მეტი, ხუთი თუმანს ამაღლებენ და მიჰყემენ. ესეც ჩონ ქორწილის ლაპარაკია.

[12. მარცვლეული]. ორი ხორბალი გოქ ჩონა. ერთსა დიკას დაეძახით, ერთსა ყანას დაეძახით. აქა სხო ჯურას, სხონაირი³ ხორბალი გოქ, ჯენკი აქ იმას მაგარი, დავთესავთ-ყე და ქერიცა, ორი ნაირი³ გოქ, რო ერთი ზაფხულის ემერი, თესლია. და ერთნაირი³ ქერი გოქ, შემოდგომას³ თესლია. შემოდგომას თესლეფსა შემოდგომანე³ დავთესავთ და გაზაფხულის თესლსა, ზაფხულის თესლსა, ზაფხულის დავთესავთ. ზაფხულის თესლს დაეძახით დიკასა, დიკას დაეძახით.

და გაუდანას დავძახით და ბაზრაქს დავძახით ბაზრაქი იცით, რა არი? ზეთი აქ. ცერა? რას დაძახით? წმინდა არი, წმინდა, წმინდარი და ემასა ერბოს დოქორენ-ყე, ანთებენ-ყე. წინა ჩირალები გოქონდა. სანთელის თესლს რას იძახით?

(კითხვა: რისგან აკეთებთ სანთელს?) წმინდა, ხურდა არი, თესავთ-ყე და გამწონდების-ყე, ბაზრაქს ვიძახით ჩონა. ქენ არ ვიცი, რას იძახით. წინა, წინა, ჩირახჩი რო ვანთებდით-ყე ნავთის მაგე-რა, ის დავასხით-ყე და ჩირალები-ყე წომოკიდით-ყე.

ახლა რო გოქ მამულეები, ერთ მინდორს დავძახით ნასერალსა. ნასერალჩივაც ეს ცერას დათესვა ყოფილა, რო ამ როდანის ემე ყო-ფილა თესლი.

ნუხულოც გოქ, ოსპიც გოქ. ოსპიც ორ-სამ ნაირია: თეთრი ოს-პია და წყალის ოსპია და დემი ოსპია, უწყალო. რო მოვწნავთ-ყე და ისიც სადემოჩივა, ისიც სადემოჩივა ემე ქნდების-ყე, გამწონდე-ბის-ყე ეს ოსპი. ერთი წყლიანია, რო ოთხჯერ, ხუთჯერ მოვრწყავთ-ყე. ერთია, რო მორწყვა არ უნდა, — წიმა გამწონდეს-ყე ემასა და იმაშინა მოვგლიჯავთ-ყე და კალოზე მოატანთ-ყე და კალოზე ემეს ვიქთ-ყე, გავლენავთ-ყე. ეს ორი, სამი⁶ გამოდგების, რო ჩონა რო გოქ. პერეში გოქ, ტყეშალი გოქ, ყურზენი გოქ, რო ვენახებია³, რო ჰარსე-ლი იძახის მოშსა და ქართველი იძახის, რო: ვენახი.

13. [ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა]. მინახავ, ამ ემესი წიგნი⁸ ვიკითხე, რო ქეთო, ქეთო ამ ემეს ყორი, რო ლექსებმა⁹ წაიყვანეს კახეთსაყენა და შაყვანეს ემეჩივა... ისინი ვიკითხე. და ერთ დღეს სავალზე რო გავა, მიადგების ამ დიდ თასა, რო, ამ დიდ თას რო გადაპხედავ, შენ თოლ-წინ რო გადააშლება ერთი დიდი ველი, ემე, ვენახი. ერთი ზღვა ვენახია და შუაჩი ალაზნის დინარე მიდის. გაღმას დაძახიან და გა-მოღმას დაძახიან და ერთი დღე შავარდების ღრმად³, ემ საწნავსა თესავს, დაძახიან და ამ ჩირდლოს³... ესებიც მიკითხავ, ვიცი, რო რა რომელია. ექ ერთჩივაცა გოქ, ემ მარეფჩივა, ჰართითოვანა ერთი რამე მაძნის-ყე. ქუმბუზი გოქ, ზამთრეველი გოქ, კიტრი გოქ. მე რო შენ გითხარ, ემეფსა მოვწნავთ. გოვჯა გოქ. რას იძახით? (პამიდორი). კარტოფილი¹⁰ გოქ. კარტოფილი რომელია? ემასა სიბეზემინი დავ-ძახით ექა, მიწასვაშლი შაძქნების ქართულადა. ანსებიც გოქ. ესები კარგად³ ბევრი გოქ.

და აქაცა კარგად გავატარეფთ. ეს ორმოცი წელია, რო ფაჰლავის ჩონ ფაჰლავის, დიდ ყეფანი მანი, მოადეს. ექ ხალლი ცუდად აღარ არი. ახლა აღარცა გოშინიან მოკობრესა ყენა და სუ ოლტაშები და არი. ერთმანერთანა. და რამე რო არი კიდევაცა მოგავონო-ყე, რო ჩონ გუნდა შკოლა³ და წერა და კითხვა.



დაბრუნდებიან ელ ემ ავადალნულეფნი აკითხებენ-ყე, ასწავლებენ-ყეს ის საქმეები, რო უნდა ავადალნულმა წინ წაიდეს, ესეები იქმენ, ჩონ ბიჭები იქმენ-ყე. ეხლა ძრიალ ნამადა და ასლან იმ გოზაშტასთქუქუქუნულნი ქნდების, რო დავადართ, რო რა ჯურნია, ეხლა ძრიალ ჩონ ნამადასთქუქუქუნულნი ილვართ.

ემის-ყე წინ მამულეები სხოსი იყო და ერთ ედაჩიგ მამულეფსა ვწევდეს, იმეფს რაათი ერქო-ყე. მიწა რო უქნიან-ყე, ემ თავის პატრონს ერთ რამე მიპციან-ყე.

ყემათა თქო, რო მიწა იმისიაო, რო თითან ვნავსო. ბალი. ის იყო რო, მოადა, სასოფლო შაქნა. ის მიწები-ლა აღარ გრშო, პატრონი ჰყვანდეს. ღა თქო: „იმ თავის პატრონი ის არიო, რო თითანა ვნავსო“.

და თავინთ ყემათი გამართო-ყე, აღბათა ცოტა, და მიპცა-ყე თავის პატრონეფსა. ისეებიც რეზა შაქნა-ყე.

ერ დასტაც არი, რო სეფაჰებეჰლაშითი ჰქიან. ისეები მოვლენ-ყე დოქტორებია. თავინთ ხედმათესარვაზის მოვლენ ავადალნულეფნი, დასხდებიან-ყე, დაჯიდებიან-ყე, ემის-ყე წინ, მინაც რო ნახომ შაქნის-ყე. აჰვალი ურვიის-ყე, უნდოდეს ამასა მოკდეს, რო დასტრესობა რო არა ჰქონდის-ყე, ვერ გომოდის-ყე, რამე ქნას. ეს იყო რო, მოადა, იმებმა რო წაიდეს სეფაჰებეჰლაშითი შაქნეს, წამალი მიპცა-ყე, ვაზითი ჯური შოქნა-ყე და მაყვანა-ყე, გაგზავნა-ყე ავადალნულეფნი და ემ ავადალნულეფნი ისეები-ლა, რო მარბიზებ იყნეს, თავინთ ხეთმათი ეგრე თაინი შაქნა, რო ის გვითულოს-ყე, ესეები, ესეები სუ გამთელდეს. ერთ, ერთ დასტა სეფაჰეთარვიჯი ჰქიან-ყე, რო ესეები მოვლენ ასწავლიან-ყე, რო ეხლა რა ჯურად უნდა ეს მიწები მოკნან, რა უნდა მოკნან და დათესონ, რა ჯურად უნდა ეს მიწები მოკნან, რა უნდა მოკნან და დათესონ, რა ჯურად ადღონ, ის ჯარი და ესეები რა გარდადვან, მასლან, ელ ემ ჯადიღზე რო თარაქტორი და ესეები ჰქიან-ყე, იმეფსა ესთეჰადა ქნან. ესეებიც ერ დასტანია, რო მოდიან ემ ავადალნულეფნი, ხეთმათს იქმენ და თავინთ ხეთმათესარვაზობა ეგრე დმტყობის.

ერთ ბანგიც გოსხნიათ, რო „ბანგი ქეშავარზი“¹⁶ ჰქიან. „ბანგი ქეშავარზი“ მუა, იმეფს სათლელს მიპცემს-ყე, რაძლა რო უკლია-ყე, უნდოდეს ჯარი იყიდონ, დანი იყიდონ, თესლი იყიდონ, რაძლა რო ეპთიაჯია-ყე, ის ბანგი იმ სათლელს რო მიპცემს-ყე, იმ ფულით თავინთ ეპთიაჯობას გაყვანენ-ყე. ესეც ერთ ყესმათია. რალა ვთქო.

ჩონ დაბირსეტანჩიგა, რო ესქელი³ ჰქიან, ბევრ ყმაწილი აღან შიგარი. ესენი მოდიან, კითხობენ. თორმეტ წელსაც იკითხვენ ესენი. იმაშინ რო თორმეტი წელი ათავეს, აღგებიან, წავლენ, თავიანთ ხეთმათესარვაზობას იქმენ. იმაშინ რო დაბრუნდენ, ერთ ელა⁶ ქონქურჩი „შერქათ მიქონანდ“¹⁷, შერქათს რო იქმენ-ყე, ქონქურჩი თუ გაადეს,

4. მ. თოდუა.

გავლენ წინა, ავლენ ზევით. ეთ დასტას ვერ გომოუა, ღო დაკოდე-
ბის ემ ავადალუნღიგა, ესენი დაბრუნდებიან ელ ექა, ესო საქმენს მო-
ნახვენ, იმ საქმეფჩი შავლენ და ექით-ყე გომოუა-ყე, ჰამ თიფან, ჰამ
თავიანთ დედ-მამას, სხოეფსაც პური აჰამონ-ყე ემ გზსაქმენსულს
მე ჩემთი ზუთი⁸ წელს ექ ვიკითხე, თხუთმეტი წელსაქმენსულს
ემ საქმეჩიგა ვარ. ჩემ-ყე ემ თხუთმეტი წელს, ემის-ყე წინ, იმამინ,
რო მე ზუთი⁸ ქალას⁹ ექ ვიკითხე, ექ აღარ იყო, რო ვიკითხო, ავდექ,
ჩაველი მე იქ ქოვით სოფელჩი, რო ისპანი ჰქიან. იქ ვიკითხე. დიდ-
ლოში გამუართი. ამუელ ექა, ჩემთინაც შაქქენ მო'ალემი. აღან თხუთ-
მეტი წელიც არი, მო'ალემი ვარ და ჩემ შოღლიც აღან „რემსე დაბი-
რესტანია“¹⁸, აღ ამ მადრესაჩიგა. რო აღან თორმეტი დაბირი მყავ, რო
ანსენიც აკითხვენ-ყე, „თამამი ჰარზადი“¹⁹ დაბირესტანჩი გოქ. წელ-
საც ვასაელი მრტანეთ-ყე ყმაწილევს, აზმააშვას ვასილა, ესეები რო
ისე იმევს რო იკითხვენ, ამალიც ნახონ. ესეები აღან გოქ მადრესაჩი.

VIII. მე კოლია ბათუაშვილი ვარ. ჩემ მამა ჰასან არი,
ჩენ დედაც ზორშიდა არი, ორნივენი ქართველნია.

ჩემ მამა მიწას ჰნავს. მეც ორმოც წელს ემისყე წინ დაბადულ-
ვარ. ოცის წლისა ვიყავ, რო წაველ თეარანჩი. იქა შიდი⁸ წელს კბილის
კეთება ვისწავლე. იმის უკანაცა ექა კბილს ვაკეთებ ფერედღუნ შაჰ-
ჩი. ოთხი ძმა მყავ ჩემ გარდას. ისეებიცა ორი მიწას ჰნავს, ერთიც
ელა კბილს აკეთევს. ერთიცა დოქტორია დამფეზეშვი.

ორი შვილი⁸ მყავ — ბიჭი. დედაკაციცა მყავ. მეცა საწერი მომი-
ცია, რო გააღე იმეჩი—თიფლიჩი.

ჩემ მამა გოსტუგანსა მიწას ჰნავს—ზორბალსა და ქერსა. ორი
ბიჭიცა თავისი თანა ჰყავ. იმევსაცა ერთსა ჰაჯიმაჰმადა ჰქიან, ერთს—
მაჰმადა. მე ჩემთინაც ორი შვილი⁸ მყავ: ერთი რაჰმათოლა, ერთიც
აჰმადა.

ჩემ მამაცა სამოცის წლისა არი. ჰარით მაჰჰნავს-ყე და გუთანჩი
და უღელი... სარწყავიცა ელა, ბარია და იმის წინანდელ ემე სიცოცხ-
ლე, ძელ სიცოცხლე...

[1. სადაურობა]. ქართველი შაჰაბასს გომოყვანია აზორე
ოთხას წელი. ერთფასტა აფყანები მოსულან ემათან⁸. უშუღლია-ყე
და არ გამაჰსლია-ყე, რო ესენი გატეზონ-ყე. იმის უკან ქერიმზანი
მოსულა და ესენი ასულან სიხეჩი. ქერიმ-ზანს ესეები დროთოფავ და
ბევრი გოწყეტია. იმის უკან კიდემ ჩამოსულან ერთ ელა⁸ და შამაჰ-
ყრიან და ემ უქნია-ყე. და ჰამ-ჰამ დამეტებულან. და ერთ აღბათა იმ
აველთა ყე მადრესა არ ყოფილა. ეხლა მადრესა არი და ღარსულს
ხალღი კითხობს.

IX. მე, ჩემ სახელი ზეინალ აბედინა რაჰიმი, და-
უთაშვილი. ეხლა უმბობენ რაჰიმი. სამოზდა ორის წელი მაქ.

1. ქორწილი. ამაშინ რო გუნდა, ერთი ქორწილი ვქნათ, წავალთ, ყორი თორმეტის წლისა. მა თოთხმეტის წლისა. ამას ვით — ვითხოვთ, დაენიშნავთ. როგო დაენიშნავთ? ერთი ჩემი ბებქედი შაძტანავთ იმ სახჩი, იმის მამასა-ყე, ეჯახას ააღეფთ, რო: „შენ ყორი მინდა ვითხოვო ჩემ ბიქსათი, ჩემ ბიქი შენ ყოლამათ ყაბული ქენი, მა ნოქრად, მასალან!“ ანსიც იტყის, რო: „ჩონ თოლზე აქ ალაგი. ჩონ ყორიც ელა შენ ყორია, შენ ბიქიც ელა ჩონ ბიქია. შენ ეხლა ჩონ ეხთიარიც გაქ“. გააღის ერთი ათი^ნ, ოცი დღე, იმაშინ წავლენ, წავლენ და ემას აწევენ და მაყყვანენ ისტუმრად^ა და ეხლა ესენი წავლენ აქ, ისტუმრად^ა ანქა. ამააღებენ ჰარ ადამიანი, რაგდენი ალა რო წასულა, ხუთი^ნ, ათი^ნ, თითო ათი თუმანი, მა ოცი თუმანსა, ამ ყორსათი დაადებენ.

ბად წავლენ. ეხლაკი, იმაშინ მაქყყობენ ქორწილსა. ქორწილს მაქყყობენ, ალბათა სტირი და ნალარა, მოთრები მუა. იმამაც რო ქორწილს იქს, სამი^ნ დღე და დამეს ვახშამსა და სადილსა ხალლს შაქმევენ, ქორწილს იქმენ. ეხლაკი ამ ახირ დღესა რო სადილი მიქცეს, ანს ამხანაგები-ლა რო მოსულან, იმის ქორწილჩი ათი^ნ და ოცი თუმანი და ორმოცი თუმანს ემას მიქცემენ: „ეს შენ ნიქიო!“ მანი მესლე, მრშელა, რო ხარჯზე მუხმარების. ეს ჩონ ქორწილის ყაადნარი, რამექ-ლა გინდოდეს...

ახლაკი ამ ქორწილჩი დაქკლვენ ერთი კარსა, ხუთი^ნ, ათი^ნ ცხორსა, ალბათა ბრინჯსა, რო ეს გაკეთებენ, ახლაკი ანსები რო დაქუჩდებთან, მოვლენ შუშპრობაზე. ქალები^ა ალაქედად იშუშპრებენ, კაცები ალაქედად, ჯეალები ალაქედად. ემას რო შუშპრობენ, თუ სტირი და ნალარას უკრვენ, იმის მოლამზე შუშპრობენ, თუ არა და თითან: „შირინ ლაღლაა, ლაღლაა, ლაღლაა, შირინ ჰეა გოლა, ჰეა რეაქანა“. ეს თავის კითხვა ემერი, რო იკითხვენ და იშუშპრებენ: „ჰაა გართა, გართა, გართა, აზიზ ოლამ შეგზარდა“. ერთ რაყამიც ეს არი. იშუშპრებენ ემის მოლამზე, იმღერებენ^ა. ვიმღერო?^ა ანგეთი რო ანსენი იმღერებენ. არ მაგონდების. „ჰეა გოლარიზომ, მინ გოლა, რიზომ, ანბარი აზომ“. ამაშინ შამოვლენ შინა, დასხდებიან. ეხლა ჩაა. ალბათა ჩაა ა-ყე. დააღევენ, შარბათი დააღევენ. ახუნდი მუა, აღდს იკითხავს, ადგებიან, წავლენ. ახანძალს აყყვანენ და მოვლენ.

2. [თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი]. ა) ქუალების^ა თამაშობარი. ოცი ქალი^ა შაქენების, ათი^ნ ამჯარაზე. ათიც ემჯარაზე. ეს ათი^ნ, ხუთი^ნ — ხუთი^ნ შაქენის. ჰარ ორი, ერთიცა კელს მიქცემენ. ანს ოცნი ვაქცევიან. ეს ათნი გომრდგებიან. ირბენენ, თა დააქირონ. იმაშინ რო დააქირეს, ეხლა ამით ფასტარი, ეხლა ანსენი კელს ვაბმენ: ჯუჭტი აზმანდრობას დააძახიან ემასა.

ბ) ერთიცა, იმაშინ რო წიმა პეერი მოდის, ბავშვები შავმაშინთან/ თეთრი პირს გააკეთებენ კვილითა, შავლენ სახჩი. მესახლეს შოკივ/ ლებენ: „წიმა გინდა, თუ კმელიანობა?“ დააკილფეს: **ქაქიქიქიქიქიქი** და მზე, არ გუნდა მზე“. შავლენ ეხლაკი: **ბიბლიოთეკა**

„მიუღეკ-მოუღეკ თორესა,

კელი ჩავკარ ქილასა,

ერბო ვიკარ პირასა.

ღმერთო, მამე ჰასილი,

აღარ მინდა მოჰასილი!

საბერველი ბერვედა,

მართი გუდას კერვედა“.

ანს მესახლე ეხლაკი კაკილსა, და ფშატსა ჩოყრისემ ყმაწიფელს, ემ ბავშვებს. ბავშვები წავლენ ეხლაკი ამ სხო სახჩი. გერიმ ემემ რაყამ იკითხვენ და გამოვლენ, რო შადწმინდოს.

ერთი თამაშობარი ბავშვფჩი. ქალი. და ბავში დაჭიდების ერთი ქუნდათ კედლის ძირას კუთხეჩი. ანს სხოები მაჰკიდებენ კე- ლეფს ემის მუცლის ქეშა. ეხლა ამ სხოს ამ სხოს ვოქი. ეხლა ამ სხო ამ სხოს მაჰკიდეფს და ოცი, ორმოცი გაყაწრდებიან. იმაშინ ეხლა კი ემას დააძახიან: ჩობან გაწყეტინობა. იტყის, რო: „გამიკი, გოქი!“ ან- სენიღ გოჭირებენ. სადაძლა რო გაწყდა, მინაძლა რო გოშეფს სხო- საც რო გაწყდომილა. შადყვანენ ამელსა და ემეფსა, ახლა და ქალი იყოს. და ბიკი იყოს, ორი ანქითა, ორი ექითა ქელეებზე და ფეჭებზე მაჰკიდებენ ემას. ემას გააზიდვენ უკან და ერთმანერთს აკრევიანებენ. იმაშინ გოშებენ, აღგებინ. ეხლა გერიმ მაჰკიდებენ, აზნაჟ მაჰკიდებენ და გერიმ ჩობან გაწყეტინობა, გერიმ იტყიან: გოქი. ესეც ერთ რაყამ თამაშობა გოქ. ემასა ჰქიან: ჩობან გაწყეტინობა. ჩობანი გოწყეტია.

გ) ერთი თამაშობარი კაცეფჩი, ალბათა ბავშვფჩი, და კაცეფჩი. მოვლენ, სარტყელსა დააგრეხენ. ემას დარტყმენ: ჩალიჩი. დიდი ხაზი შამაჰხაზვენ, ათი შავა ემ შიგა, შარ ერთი ერთ ჩალიჩთან დადგების, ათიღ გარედ არი. ანსენი მოვლენ, რო ეს ჩალიჩი გამართონ, გაატანონ გარეთ. ესეები ექით არ გოშებენ. ერთი ჩალიჩილა რო გაატანეს, წავლენ ამ სხოს დაპტებენ; დარტყმენ, დარტყმენ თა ანს ჩალიჩი გამართონ და ჩიქარ გამაატანონ და მაპტაცონ და ამ სხოს დარტყმენ და ჩალიჩე- ბი ქელჩი გამუართონ. ემეფს შადრეკენ შიგა. ეხლაკია შიგ ხაზჩი და ანსენი რო გარედ არიან, ემეფს დარტყმენ. ესეები რო შარტყმენ, ანსიცა უნდა ფეჭით ეს დაკენწოს. ალბათა კელი დიდვას მიწაზე, ფეჭი აქნი- ოს, შისაც მხანინა, ანს გარეთი დოკენწია. ეხლა ანსენი შამოვლენ ხაზ- ჩი და ჩალიჩს დოღვიან. და ემას წავლენ თავით ჩალიჩი მაპტაცონ-ყე და დარტყან-ყე ამათა. ესეც ერთი რაყამია.



დ) კოკაობა. მოვლენ ბავშვები. კოკი რო ცხორის ფეხს-ზე გამაღებენ... იცი ხო, კოკი რომელია? ამ კოკეტსა ერთს ეწოდებოდა... ფალანგი, ერთსა შაღლებენ რანვით, ამას დარქიან: რანვი... ორს ანს მიპცემენ და ორსაც თავის-ყე. ეს აპყრის, იმაშინ ეზას ერთ-მანერთს ესრიან და წოგებენ. ანსიც წოგეტს ამის-ყე, სადაძლა რო მეტი წოგო, ამაშინ უნდა რო ქარზე შაძსოს, გააყვანოს ამ პირზე გომისა. გერიმ გამაყვანოს, ექ დასვას და თავის კოკები მიპცეს. გერიმ აზნოჟ იკოკაონ.

X. მე ვარ მელიქა, ქარსულად მალექ შაძმალა რაპიმი, ჩონებურად ონიკაშვილი.

1. პარანგ-პარანგობა. ერთ ჯურა თამაშობაა. ვიამბოფთ-ყე, რო ქართველები ითამაშიან-ყე. იმასა ჰქიან პარანგ-პარანგობა. შაქნებიან ათხუთმეტ ბავში მა ოცი, მა მეტი და ერთი შაქნების თავის დიდი, მეფე შაქნების, მართლა. მუა, მოვლენ და ერთს მათხოვს-ყე. ეს იტყის, რო ერთს... დიდი ამას გამაპკითხავს, რო: „პარანგ-პარანგ!“ ანს იტყის, რო: „ცხენი რა რანგი?“ ანი როგორი ცხენიო. ერთ ემეს დაანიშნიან, რო, მასალან, ემ მოზობლის ცხენები, ერთ-ერთ ცხენს დაანიშნვენ. და იმ ერთს რო ჰკითხავს, ის იტყის, მასალან: „ამ რუსთამას ცხენი“. თუ გამაძტანა, ემას ერთი შალალას მიპცემენ და იმ სხოფს გემუდევენების-ყე და ამას არბენავს-ყე. ეს უსტა რო ექ ზის, ემ კედლის ძირას, ეს ამას ეტყის-ყე, რო: „ქერი-ქერი-ქერი“. ქერი სახელი რო მოადეს, ერთ ყმაწილეთსა ჰცემს-ყე და არბენავს-ყე. და თუ თქო: „ხორბალი“, ე რო უნდა გამაძტეს, ემ ბუდეჩი რო ეს დიდი ზის, ყმაწილები გემუდევენბიან. თა ემამ თავის თავი მაწინოს, თუ არ დაჰკირეს, კიდემ გომრვა, რო მიბრუნდეს, აზნოჟ გაძტეს-ყე და თუ დაჰკირეს, მინაც რო ის დაჰკირა, მუა და ეხლა აზნოჟ ამას ეტყიან, რო... კიდემ ამას ეტყიან, რო: „პარანგ-პარანგ, ცხენი რა რანგი?“ ეხლა სხო ცხენს ამას დონიშნვენ. ესეც ერ ჯურა თამაშობარი.

XI. მე მუჰამადა მქიან. ოზდაორის წლისა ვარ.

1. კოკაობას მინდოდა ვიბნა. კოკაობას... იმაშინ, რო აპყრიან ორ-სამ ჯურ ემერი, მა იტყიან ცხენი მუა, ქარსულად იტყიან, ასპიუ; მა — ვირი, რო ცხენ გადმუაბრუნეტს, იმაშინ, მუა, ვირიო, მა კარი მოხლო, ქარსულად იტყიან. იმაშინ ერთჯელ მოჰედების, რო ეს კოკები სუ ერთჯურად დადვენ, მა ცხენი მოადეს, მა ვირი, მა გადმობრუნდეს ამ ვარაზე, იმას იტყიან: სადიუ. მა ერთი ეგრე პირალმა დადების, შაყურ, ომპაუ. ემას პარ თითოს თავისთის ერთი ალავი აქ ემ თამაშობაჩი.



სუ დაჰირეს და ხალღი დაჯოცეს და ციცა და ძალღი და რაძლა რი
 გომრდა-ყე, დაჯოცეს, დედაკაცეფსა ჰცეს-ყე და ყორეფსა ჰცეს-ყე და
 რაძლა რი გომრდა-ყე, ქნეს; რაძლა რი იცოდეს და გომრდა-ყე
 იმის უკანა მოადეს და წამოადეს ძერეადანის ჯარაზე. ძერეადანის
 ჯარაზე, რი სოფელი ემ ძერეადანისიგ არი, მოადეს და ჭომოთ ძერე-
 ადანი, რი პარსელები იყნეს, სუ დაჯოცეს და ბატ-პატამ გააქცა და
 ბატ-პატამ დაძმალა. და ის იყო, რი ამოადეს სოფელთან. რი მოახ-
 ლოედეს, ქართველებმა გააგეს, თქეს: „არა, ჩონ არ გომეფთ-ყე. ესე-
 ბი, პარსელები, ესეები მოსულან და შაჰ-სოლთან-ჰუსეანი მოკლავ-ყე
 და ისპნელები ბევრი დრჯოცავთ-ყე და ჩონ არ გომეფთ, რი ექ შა-
 მოადენ!“

ის იყო, რი მოადეს და სანგარები გვეეთეს. თეფჩი, გორებზე
 ქუეები შამაჰყარეს და დიდმა და ბაატამ, დედაკაცმა და ყმაწილმა და
 სუმა შაქუჩედეს და ქუეები შაქუჩეს და ბაატებმა, ხურდებმა, ქუეები
 ბაატანეს-ყე და სხილებმაც სანგარები გვეეთეს. ის იყო, რი იმაში-
 ლა თოფებინ ჰქონდა-ყე სუ ქართველეფსა. ჩასხდეს. (სანგარს როგორ
 აკეთებთ?) სანგარსა? ეგეთი სანგარი, ქუას შაქუჩებენ და ოთალსაათა,
 სახლსაათა ბატ-პატა სახლს გვეეთებენ... ჰა, ეგრე აშაღლებენ ერთ
 მეთრსა, აშაღლებენ და, ერთ მეთრს აშაღლებენ და, ჩაწეებიან ექა,
 რი არ ეტყობოდენ, ექ მინ არი. და თოფისინ ემესაცა, ლულასაცა, გ-
 ყოფინებენ ერთ კრელასა-ყე და ქუეების შუასა-ყე. და ეხლაკი დუშმა-
 ნი რი მუა, იმას ესრიან, მაქლვენ. იმას სანგარს დაძმახიან.

ახლა კი ექა სანგარები რი გვეეთეს და ჩაწეეს ემ სანგარეფჩი,
 აქყანმა ვერ შამოადეს, ვერ შამოადეს და ბევრი აქყანი დაჯოცეს
 ქართველებმა. აქყანი, თავით დიდი რი მაჰმუდი აქყანი ერქო („მაჰმუ-
 დე აქლან“), ეს მოკლეს ქართველებმა და ამრად აქყანი, რი თავის
 ბიძაშვილ იყო, ის ცოტა აქყანი რი დავარდნილიყო, აყყანა ესეები და
 გააქცეს. დაბრუნდეს, გააქცეს.

იმაში რი გააქცეს, ანქითაც ერთი ემე იყო, ნადირი, ნადირი რი
 ზორასანსა-ყე ადგა, ერთი ფუსთინდუზის ბიჭი იყო, შვილ იყო. ესეცა
 ძალიან კარგი კაცი იყო და ჯეალი და ყოჩალი. და იმამად რაქთენ
 ოლტაში ჰყვანდა, აყყანა ეს ოლტაშეები და წამოადდა. წამოადდა აქ-
 ყანების ჯარაზე, რი გეგო, აქყანები მოსულან და შაჰ-სოლთან-ჰუსე-
 ანი მოკლავ-ყე და ისპნელები დრჯოცავ-ყე და მოსულან. მოადეს
 ემით სორაზე, მოადეს ემით უკან, აქყანების ჯარაზე. ექ რი აქყა-
 ნები მოსულან ძერეადანის ჯარაზე, რი მოადეს ისპანსა, აქყანე-
 ბის უკანა, აქყანეფს რი მადგეს-ყე, ნახეს, აქყანები მორბიან-და.
 ემათაც ექა დაჰირეს-ყე და ესეები დაჯოცეს-ყე, ცოტა რი დავარდ-
 ნილ იყნეს. იმისუკანა ნადირმა გამაჰკითხა: „სად მინ იყო, რი ემ აქ-“

ყანებს არ გოშონ, შადღეს, იმ სოფელში მინმე იყო, იგეთ ხალხს იყენს, რო ესეები არ გოშონ-ყე და დლონონ-ყე?" თქვა:

„კი, ერთ რაქთენ ხალღ იყენს ერთ სოფელში, ემეფე ქართველები ყე: ქართველები. ემ ქართველებმა არ გოშეს-ყე, დაჯოცეს-ყე და ბევრი დაჯოცეს და მობრუნდეს“.

თქო:

„კი, კარგია, კარგი ხალღნია ეს ქართველები, ესეები საღ არიან?“

უთბრეს-ყე, რო: „ქერედღანა, ქერედღანს არიან“.

იმის უკან-ლა, რო ნადირი შადქნა ყეანი, მეფე შადქნა, იმაში ეს საწერი გამოგზავნა საქართველოში, ჩონ სოფელში, გამოგზავნა. რო იმაშინაცა, ხობ, სუნივენთ ვიცოდით, რო იმაში ემ ჩონ მამლექათსა ბევრი დარამადი არა ჰქონდა. ნაქ'ი არა ჰქონდა, მა'ღანი არა ჰქონდა იმაში სუ ხალღს ართემდეს ფულსა, რო ლაშქარსათი მიჰცეს, — შაჟამონ, დალიონ. ის იყო, რო იმაში თქო, რო: „ხობ, ემას, რო ქართველებს ართემდით-ყე ექამდი, ემ მალიათსა, ეხლა ნულარ გამართომთ-ყე. ესეები კარგი ხალღებია, კეიან ხალღებია, დელავარებია, ყოჩალ ხალღებია ესეები, არ გამართომთ-ყე, მინმემ არ დლონოს ეს ხალღი! მიყორს და ექ რაქთენიც ეს თავის ჯეღლები, მოადღენ, ჩემთან იყენ“.

ის იყო, რო რაქთენ ქართველიცა, ჯეღ ქართველი, მაყყანა თავისა-ყე. იმაში რო ჰენდუსტანსა ლაშქარი გააზიდა და მაჰმადი გურეჯანი დაჰქირა, — ჰენდუსტანის ყეანი იყო, მეფე იყო ჰენდუსტანი სა, — რო დაჰქირა, წინა-წინა ქართველები, ქართველი ჯეღლები რო მყყანა, იმებმა იყენს, რო გომრდა-ყე საქმე ქნან, იმ ქართველებმა ქნეს. ის იყო, რო იქაც ძალიან შოყორდა ქართველები და ბევრი ქართველი იმაში დასგაჩი იყენიან, დარბარჩი იყენიან-ყე.

ის იყო, რო იმის უკანა ჰაჟ იღუშმნეს პარსელებმა და თითო-ოროლა დაჯოცეს და მოკლეს და ანქით-ექითა... და ის იყო რო, იმის უკანა გათავდა დარბარჩიგა ქართველი, თა ნადირი რო მოკდა და ქარიმ-ხანი მოადღა.

ქარიმ-ხანი რო მოადღა, მეფე შადქნა, ემებმა ესეები, რო მალიათს ართემდეს, მოადღეს და ქარიმ-ხანს უთბრეს, რო (მალიათი ის არის, რო გამართმენ-ყე ფულს, ეგეთ რამეს რო გამართმენ-ყე)... ერთ რამე მე დამამიწყდა, რო ვთქო. იმაში, რო ემებმა მოადღეს, ამ აქყანებმა რო შამოდღეს სოფელში, ექ იყო, რო ქართველებმა, — რო ჩონ პაპებმა იბნეს, ჩემ პაპამ იბნა, იმაში, რო იმასაც გეგო, რო თავის პაპას ებნა, იმის პაპას რო ებნა — ამბობდა, რო ელ ეგრე რო ვშუღლობდითო, ერთჯელა ვნახეთ, ერთ დიდ ქუა არი სოფლის თავზე, ემას

დაძახიან: თამზიას ქუა. ემ ქუას დაძახიან—ამოღობა. ერთ დღე
ქუა არი, ემას დაძახით: ამოღობას ქუა. და იმაში, რო ქართველები
და აქყანები დაარევიან და ერთმანერთსა კლვენ, ამბობენ, ემეღობა
ცხენიანი, რო თეთრი ტანისამოსი ჰქვია და თავზენაც ემეღობა
გადაფარებული ჰქონია, ემ ქუასაც გამუა. იმაში რო გამუა, არ ნახვენ,
იმაში რო შუღლობენ, ნახვენ ერთ იგეთი ეშელების-ყე და აქყანებს
ლაპკოცავს, დაპყეტავს, ეშელების. და იმაში, რო აქყანებსა დაპყ-
ეტენ-ყე ბევრსა, მაჰმუდა აქყანს მაჰკლვენ და ის ცოტანი გამაჰკე-
ვიან, ათორიალებენ, ნახვენ. ეს ცხენიანი, რო თეთრი ტანისამოსი
აქია და თავზე ერთ თეთრი გადაფარებული აქ. გამუა, გამაჰკევის ემ
ცხენითა და მუა კიდემ, შავა ემ ქუაში. ამბობენ, რო ქართველები
იმაში მუსულმანები შაჰქნებიან და ეს, მუსულმანები შაჰქნებიან, და
ეს ქართველები რო მუსულმანი შაჰნილან, ეს ეს ყოფილა, რო არ ეტ-
ყობის, მინ ყოფილა. ჩონ დაძახით, ერთ ემაში ყოფილა, ყემაზან,
მანი მალვითა, ესე: ღემაზან.

ეს გამოსულა და ემათ მაჰშელებია-ყე და ემათაც იმანი მორტა-
ნია-ყე, უთქომთ-ყე, რო... ეს ერთ ემაში ყოფილა და იმისთი, რო
ქართველები ყორვებია და არ უნდა, რო დაწყედენ და ის ცოდნებია,
რო ესეები მუსულმანები შაჰქნებიან, ეს გამოსულა ყემაზან, ემათ მაჰ-
შელებია-ყე და აქყანები ღრჭოცავ-ყე და ესეცა იმ შუღლჩი ყოფილა.

ანქ ვიყავ, რო ვამბობდი, რო, იმაშიდა, რო ჰენდუსტანი გატეხეს
და დაიქირეს მაჰმადი, ემე, მაჰმადი გურეჰანი, და დაბრუნდეს-ლა და ნა-
დირ-შაჰი მოკდა და ქარიზ-ხანი შაჰქნა ყემაზნი, იმაშინ ანსები, რო მა-
ლიათს ართემდეს ხალღსა, წაძღეს და ქარიზ-ხანს უთხრეს, რო:

„ყემაზნი იყოს სალაშათადა! ეს ქართველები, რო ამ ალაგზე სხე-
დან და ცხორობენ, ზენდევის იქმენ, ესეები მაღიები შაჰნილან (მანი, ყე-
მანის გაფეფსა აღარ უყურებენ-და) და ამბობენ: „ჩონ ჩონთი ვართ“.

ის იყო, ქარიზ-ხანმა გამოჯავრდა, გამოჯავრდა და თქო:

„აბა, ეს მინ არიან ესეები. დაგვოცოთ-ყეო; არ უნდა, რო იგეთ
ხალღი ყუანდეს, მინ არიან ესეებიო?“.

ის იყო რო ლაშქარი გამაჰზიდა და მოადა სოფელჩი, მოადა და
ქართველებს გომრუდა-ყე იმაშინაც, ღრდვენ და ქარიზ-ხანი მოკლან
და თავის ლაშქარიც მოკლან. ღამით სხო რამე გაფიქრეს.

თქეს, რო: „არა, ეს ჩონი ყემაზია, ეს ირანის ყემაზია ემას ჩონ,
სუ ქართველი დაეწყდეთ, ემა ჩონ არ მოვკლავთ“.

ის იყო, რო ამამაც სხო არ ეკოდეს ეს გაღები. ერთ ეგეთ, გულჩი
ეგეთ რამები ა-ყე ქართველებსა. ის იყო, რო თქეს, რო ესეები მუსულ-
მანებიც არ არიან და სომხებია. ესეები, ნამადა, დაგვოცოთ-ყე.

ის იყო, რო მოადგეს და ქართველებმა გაიქცეს, სახლში დაი-
ლეს ქართველებმა და აადგეს, ერთ გორარს, იმ გორას ჩონ დაეძახით:
სიხე, სიხე, რო ჩონებურადა სიხური და პარსულად ზეგანია, ცალკე
ისი, რო ემას დაეძახით სიხე, ეს გორა ივეთია, ეს თა, რო ჩონებურა
ზე, ოთხი ჯარაზე, ეგეთი მალღებია და შუაზე ოზორი, ემ მუანე ამოვ-
ლენ და ემას ერთ გზა ჰქონია, ერთ წრილ გზა, ექა ორ-სამი ქართვე-
ლი დასხდებიან თოფებითა, რო ქარიმ-ხანი და თავის ლაშქარმა არ
გომოედეს-ყე, აადენ ექა, ის არი, რო ქარიმ-ხანი მუა და ემ ქომოთ
თას ფეკზე ჩადრეფს დაძვემს და თავის ლაშქარი და ესეები ექა დად-
გებიან, რაქთენ დღე და ღამეს ექ იქნებიან და არ გომრვა-ყე, რო
ამოადენ თანი.

ის არი, რო ერთჯელა ერთი ამ ქართველღესა-ყე იტყის, რო: „ბი-
ქებო, ეხლა ათორიალე, ანეთ ქარიმ-ხანი ამ ჩადრის ფეკზე დაჯიდო-
მილა და ყალიანს ეზიდების, ათორიალე, თითან კი ჭეაღია, ჰააძია,
თითან არ მოვკლავ და ამ ყალიანის თავს ეხლა ვერავ და აასრი ჰაეა-
ზე“.

გოსწორეფს თოფსა და ესრის და ყალიანის თავს მაქტაცავს, ქა-
რიმ-ხანი წამუარდების, და ეს თავის ვაზირები, და იტყიან-ყე: „ეს
რა იყო და მინ იყო და მინ გოსროლა?“ თქეს, რო: „ქართველებმა
უნდოდა, რო მე მამკლან და როგორაც არი, უნდა ესეები დაძქიროთ-
ყე, დავჯოცოთ-ყე, მოვკლათ-ყე!“

ეს არი, რო დასტურს მიძვემს და იტყის: „როგორაც არი, თუ ნა-
ხევეარიც დაჰწყდებით, უნდა ახიდეთ იმ გორაზე!“.

იმაწილა ჰამლას იქმენ და ძეშარს მაატანენ და აელენ, ქართვე-
ლების ამ ჯარასა-ყე, თას ამ ჯარასა-ყე, გზა არ ყოფილა, ეგეთი გზასა-
ვით ყოფილა, რო გონია, რო გზარი, ხოლასა, ბიჭი და ყორი და დედა-
კაცი, კაცი და ბერი და ჭეაღი, სუ, ჰაა მოვლენ და ემ თით ჩამოცივ-
დებიან, ერთ მაღალ თა ყოფილა და იქითა ამ ქომოთამდი ას მეთრი,
ეგრე ყოფილა, ექით ჩამოცივდებიან და ჰაა დაწყდებიან, ჰაა ჩამოვ-
ლენ და ერთმანერთზე დეცემიან და დაწყდებიან სუ, ემათა ეგონა-ყე,
რო, ეხლა გზარი, ექით მიდიან, ჰაა, რო ჩამოვარდებიან და, თონაგუ,
ესეები ჰაა, იქ ვარდებიან და ეგრე წყდებიან, ბევრი დაწყდების იმაწი.

ერთი მინმე ქართველღესა-ყე მიეა და იტყის, რო: „ყეანი იყოს
სალამათადა! აბა, შენ ჩონ რაწი ჯოცავ, რაწი კლავ ჩონა, ჩონ რა
გუქნია?“ იტყის, რო: „რაღა გინდა-ლა ჰქნათ! ქენ სომხები ხართ, ავე-
ლანთა-ყე, და მეგორედაც, რო ქენ მაღიები ხართ, ქენ გინდოდა-ყე,
დამიბრუნდეთ მე და მე ეგეთ ხალღი არ მინდა!“

იტყის, რო: „არა, ეგრე არ არი, — (რა უთხრა?) — „დამიბრუნ-
დეთ მე“. და უთქომ: — „არა, ეგრე არ ყოფილა, ჩონ ძრიალ შენ თავი

გუყორს, ჩონ ყეანის თავი. ქართველი იგეთია, რო მინაც რო ყეანი
პყვანდეს, თავის სისხლი იმ ყეანის არი. იგრე არ არი. თა ახერქიმ ქარ-
თველს სისხლი ბადანჩი აქ (გულმუტეღლი აქ), ემ ყეანისათი **ფეჩქუნეუღლი**
ბის. ეგრე არ არი, შენთი რო უტქომ-ყე“.

იტყის: „ე! შენ, ქენ მუსულმნები ხართ და ქართველები და ჰამაც
ისები ხართ, რო აქყანება დაგიტოცავ-ყე, დაგიკლავ-ყე, დაგიწყებთა,
გაგირეკია-ყე?“

იტყის: „ჩონ ელა ისები ყოფიღვართ“.

თქო: „ეა დნდე ბიდნდ!“ მე არ ვიცოდი, ემ მამაძალდ... „ეა
დნდ, უა ბიდნდ და მოთასეჩან“ (მანი, აა, მიწა კი დემეყარათავზეო!).
მე არ ვიცოდი, რო ქენ მუსულმნები ხართ და ჰამაც ეგეთ ხალღები
ხართ, ეგეთ ყოჩალ ხალღები, რო აქყანები დაგიწყებთა-ყე. ესები ემ
მამაძალღებმა (ემ ფედარსაგებმა) ტყუილად მოსულან და ჩემთი უთ-
ქომ-ყე. ქენი თავი სხო ჭურად მუარეჭი უქნია-ყე ჩემთინა (მანი ქენი
თავი ჩემთი ეგრე მო არეჭი უქნია-ყე“).

ის იყო, რო ფაშიმანი შაქნა-ლა. ფაშიმანი შაქნა და ისები, რო
დავარდნილ იყენს-ლა, მაყყანა-ლა და დაკოცნა-ყე და თქო: „მე ძა-
ლიან ქენი თავი მიყორს და ჩემ... ქენ კარგი ხალღები ხართ, ნამაა
ხალღები ხართ და მე ყრალ საქმე ვქენ, ფაშიმანი ვარ მე. და, ხობ,
„გოზაშთე ბუღ“²⁰.

ილ იმაზე ბევრ ქართველი დაწყდა და ეს მათლაბი მინდოდა ვი-
ცოდეთ, რო ქართველი ერთ იგეთია, რო ისლა, რო დიდად იყაბულა და
ყეანად იყაბულა, იმასა ძალიან ყორვოფს-ლა თა იქამდი-ლა, რო სის-
ხლი ბადანჩი აქ (გულმუტეღლი აქ), იმის თავი უყორს.

ეს იყო, მე დამიწერია და მიმიცია ექა, რო ეს დაქწერონ. ჩაფი
ქნან წიგნადა და ალბათა კარგადა იგეთი ბევრი დამიწერია, დახატუ-
ლად, რო, ეს რო წიგნად დაქწეროს, მოტანო მეფესთან²¹, ჩონ მეფეს-
თან ნოტანო. რო იცოდეს, რო ერთ იგეთ ქართველები პყავ, რო ყე-
ანი ეგრე უყორს-ყე და იმაში ისები ყორვებია-ყე, რო ეტყობის, რო
იმის შვილღესაც²² ემის თავი უყორს-ყე. ეხლაცა უყორს-ყე, ეს უნდა
შაპინშაჰმა იცოდეს, ერთ ეგეთ რამე დამიწერია. ჭერ კი ესე ჩაფი არ
შაქნილა. ეხლა-ლათა რო ეს ჩაფი შაქნების, რო ეს ნოტანო, ყეანს
მივცე, შაპინშას მივცე.

მე ვარ... მე სახელი მქიან რეზა, გვარი მაქ მიქალანი. ჩემ მამასა
ჰადარ-ყოლი ერქო. ემამა ჭეღლიც იყო და სარათანი დააქირა და
მოკდა. ბევრიცა თეარანს მოაყყანე და წააყყანე და არა ქნდა, ვერ
გავამთელე.

[2. ბ ა ე შ ე ო ბ ა. ს წ ა ე ლ ა].

მე ქართველი ვარ, მამა ქართველი, დედაც ქართველი, ორივე.
ჩონ ქართველები, დედ-მამა ძრიალ გუყორს და ბატობით, რო ჩონ

თავი გრზდია-ყე, ჩონ რო გავსქელდებით ვაფდიდდებითუყე, დედ-მამა-
სა კარგად³ შადნახათ-ყე, ნამა შადნახათ-ყე, არ გრშეფთ-ყე, რო დ-
ლონდნენ. მუშაოფთ, შამუალთ და ერდგანა ვჰამთ. ეშქი³ მინ³ შქი³
რო გავალთ, ვიმუშავეფთ-ყე დღესითა, ლამით რო შქი³ მინ³ შქი³
ხდებით ერდგანა: პაპა, მამა, დედა, დიდიდა, ბიჰი, ყორი, ნოქარი, სუ
ერდგან შომოსხდებით და დავსხდებით და პურს ვჰამთ (ნოქარი რა
არი?)—ნოქარი ეს არი, რო მუშელეზის იმ ემესა... და პურს ვჰამთ და
ეს ნოქარიცა, ხობ, ელა ჩონ ქართველესა-ყენ არიან და ჩონ ბიძაშვი-
ლებია, სხო მინმე არ არი, ისიც ელა ჩონია. შომოსხდებით ერთმა-
ნერთსა და ვიციინით და ვამბოფთ და მამა ერთ რამეს იტყის და დედა
ერთ რამეს იტყის და ბიჰი ერთ რამეს იტყის და, მე რა ვნახე და მე რა
ვქენ. და პაპა გაფს უამბოფს-ყე, რო ქართველებისა, რო ჩონ ქარ-
თველები ვიყნეფით და მინ ვიყნეფით და როგო შადქნა და ისლა, რო
იცის-ლა. უამბოფს იმ ხურდესა.

მე ექაი წლისა ვიყავ, მა შიდისა³, ნამა არ მაგონდების, ერთ მოს-
წავლებელი³ იყო, პარსელ იყო, ისპნელ იყო, ემამა ეუნდა ეთამაშნა
და ჯელი მაპტეხიყო. ჩემ პაპამა ჯელის ჩავდება იცოდა. ექიმი იყო.
ჯელს აყეთებდა. ჯელი ჩოგდის-ყე. ჯელი რო მაპტეხის-ყე. ჩოგდის-
ყე, დახატულადა ჩოგდის-ყე. ერთჯელ რო ჩოგდის-ყელა, მეგორე არ
იყო, გაყედის-ყე ჯელმა. ნამა მაგონდების, რო სხო კარი აღარ იყვის-
ყე, ჩონები რო შამოადიან და გოკეთის და რაცლა უნდოდეს-ყე შო-
ბით-ყე და ფული და არც რა იყო, რო გამართოს, პათა ერთი სადილი,
მა ვახშამი, რაც იყო შავქამით-ყე და ჩონი ბიძაშვილი... მინ იყნიან-
ყე, სხო მინ არ იყო! და ემ მოსწავლებელმა³. ჯელი რო მაპტეხა.
თქო, რო: „ვაა, რა ვქნა, ექიმი არ არის, სად წაადღე, სად წამოადღე!“
ნამთარი იყო, თოვლი იყო, თოვლი მოსულიყო, გზები შაკრულიყო.
იმაშინაც მაშინები არ მიდიოდეს-მოდოდეს, ცოტად იყო. სოფელი
ბაატა იყო ჯერა. იგრე არ გაყეთებულიყო, რო მაშინები წაადღეს. მო-
ადღეს (მაშინი, რო მანქანარი). უთხრეს, რო: „ერთი კარგი, ნამამ, ექი-
მი არი. ემას კი დარსი არ უკითხავ ექიმისა, ვალი, ძალიან კარგად
ემამ იცის ჯელი ჩავდება, ფეჰი ჩავდება. მომტრეჟულს გეკეთეფს. იმა-
სა ჰქიან ალი-მაჰმადა მიქელანი“. უთხრა, რო: „აბა, სახლი მაჰსწავ-
ლეთ. სახლი ასწავლეს და მოადდა. მეც ბატატა, ბაატა, ყმაწილი ვი-
ყავ, ვთამაშობდი ექა. მოადდა და ჯელი ჩოგდო. თქო, რო: „ხო, კარგად
ჩამიგდე, დახატულად ჩამიგდე. მა მე როგო თლაჰა გაატანო, მა მე
რა ვქნა, შენ რო იგეთ ნამამ საქმე ჰქენ ჩემთინ, მე მა რა ვქნა?“

თქო, რო: „არც რამე, შენ ექა ჩონ ყმაწილეფსა, ჩონ შეილედესა
აქაწავლი-ყე, ჩონ ძრიალ შენ თავი გუყორს, იმის-ყე დიდ საქმე-
საც ვიქთ შენთი“. თქო, რო: „აბა, შენთი რა ვქნა?“



— „არც რამე, მამნუნი ვარ შენ ყე, მე ძრიალ შენ თავი მყოს“. თქო, რო: „ეს მა მინ არი, ეს ყმაწილი ექა, მირბის — მოძბის?“. თქო, რო: „ჩემ ნავა არი. ჩემ ბიქის ბიქია, ნავა“. თქო, რო: „ქაქიქუნული მა რაქთენის წლისარი?“ თქო, რო: „უნდა ექსის წლისა იყოს წელიწადი?“. თქო, „მადყვა ესეცა, მადყვა მადრესანი, მე დარსი ვასწავლო“. იმ დღესა მე წამიყვანეს მადრესანი.

რო წამიყვანეს მადრესანი, არ დამამიწყებდა ის ესე, რო ერთ ღამით, რო დავწევ, ღამით სიზმარები ვნახე. ვნახე, რო გზაზე რო მიდიოდი მე მადრესანი, ვნახე, რო ემ გზაზე ფული ეყარა, ჰაა, ააღე და ჯიბჭეჩი ჩააყარე, აასე, ქიძიც აეავსე და ვთქი, რო: „მე რა ექნა, ალაგი აღარა მაქ, — მე ვთქი, — ეს ფულები რა ექნა!“ ის იყო, რო როგორც გამამივიდა, კალთანი და ჯიბეჩი და ქიძი და ქეთაფჩი ესები ჩაყარე, ეს ფულები შავაქუჩე, და წაველ მადრესანი.

შე ერთ წელსა ქარსული არ ვიცოდი და სუს ცარიალ ქართულს ვამბობდიყე. მე ქარსული არ ვიცოდი.

იმ სამ წელს რო მე ერთ ქელასჩი დავვარდი, ძალიან დახატულად დაასწავლე, დარსები ნამა ვიცოდი-ყე. მევორე წელს-და რო შაქნა, რო ჩონ ვიტყით-ყე „ქელასე დოვომიო“, იმაშინ-და იგრე იყო, რო მე მოსწავლებელის³ მაგერ ერთველა ყმაწილებს ვასწავლი-ყე დარსი.

ეხლა კი, ელ ეგრე ვკითხობდი და მივიდოდი თა ეგრე შაქნა, რო მე, ბაატა რო ვიყავ, იმაში ძრიალ ქუზული ვიყავ, ძრიალ გავრბოდი, გამოვრბოდი-ყე და ვალონებდი-ყე ყმაწილებსა. ერ დღესა, ელ ეგრე, ერთი მოალემი იყო, რო ისი ერთი ემ ქართველ ყორფესა ათორიალებდა და მე რო ბატატა ვიყავ, ბაატა ვიყავ, უკრეტდი ემა-სა, აბა, რაასთი ემ ყორფეს ათორიალებეს და ელ ეგრე, რო დამიცი-ხა, თქო: „გააქე იქითა, გააქე, დააქარგე!“

მე ავდექ და გააქე. ეგრე მივრბოდი. იქ ყინულები იყო, ყინულები იყო, ყინულებზე დევეცი და გაატეხე ეგრე შუბლი. აა, აღან ატყოფს აა ექა, რო შუბლი გამტეხია იმაში ყმაწილობითა. ბევრ სისხლი მედინა. ამიყვანეს და წამიყვანეს ექიმთან და დამიკერა ეს გატეხული, დაკერა და ერთ თე შინ ვიწევ. ის იყო, რო განიკეთდა და გამიშთელდა და მიველ კიდემ მადრესანი. მიველ მადრესანი და ექაცა ერთი ქარაში⁴ ყუანდა, ესეც ელა ქართველი იყო, ეს ქარაში — ბერკაცი იყო. მეც რო დალიავობდი-ყე და დავრბოდი-ყე, გემემედვენის-ყე და თქის-ყე, რო... გამაგინის-ყე: „აა, შე „ქელან, ქელან შოდა“⁵ რაასთი ეგრე დარბი და ქუზულობ! მოალემი რო მუაო, ვეტყი, რო შენა დალიავობი!“

ეხლა კი, გემემედვენის-ყე, ერთ ბაატა წკებლა ჯოხი ექირის-ყე — დამცხოს. მე ემ მისსა-ყე ამ მისზე ვადავბტი-ყე და ამ მის-

სა-ყე ემ მისზე გადავბტი-ყე. დამდევდის-ყე და ვერ დამოვირის-ყე. ის იყო, რო ემამ მოადღის-ყე და ჩემ მამასა და ჩემ პაპასა უთხროს-ყე, რო: „ეს შენ ნავა ძრიალ მე მალონფეს ანქა, დარბის ფეჩქე მუქე-ქი ლეფს ალონფეს და ჰცემს-ყე“. და ჩონაცა ჰარ წელზექი მუქე-ქი მუქე-ქი ხორბალი მივციტ-ყე ემასა, რო მუშელით-ყე, ჩემ მამამ მიპცის-ყე, ერთ საპანე ხორბალი, მუშელის-ყე, რო ემ ემემა, ძარაშმა, მე არ მალონოს, არ დამცხოს ერთველ ჯოხითა. (ძარაში ვინ არის?)—იმის მოსთახლემი, რო დაგვეის იმ მადრესას და ემეფსა.

ის იყო, რო გააარნა ეგრე და დოვომი ვიკითხე და მევორე და მესამე და მეოთხე და მეოთხეჩინაც რო ვიყავ, ქუნთორუშა დადპირე. ერთ თეს შინ ვიწვევ და იმ მო'ალემი... მოსწავლეებელს³ რო ძრიალ ჩემ თავი უყორღის-ყე, ერთი ის ბიჭები, დარსი მიპცის-ყე და თქის-ყე: „წოდე, ესე რეზამ დაწეროს და გააჯითხოს და მაპიტანე!“

მოადღიან-ყე იგრე, ძრიალ ჩემ თავი უყორღა. მე მოფსერი ვიყავ, სუსა-ყე დიდი ვიყავ, მოფსერი ქელასჩი, სუსა-ყე დიდი ვიყავ ყმაწილეფჩი. ის იყო, რო თა ექსი ქელასი რო ვიკითხე, უნდა ვიკითხო-ლა, ექსჩი, ბესთელა, სუსაყე ნამაა შაგირდი ვიყავ, ნამაა მოპასელი ვიყავ. და იმაშინაც-ლა ჩონ ქართველები თითოროლა, ერთი რო მელიქა არი, იმ მელიქამ პირველად ემე შაქნა, მოსწავლეებელი³ შაქნილიყო. იმამ მოადა და ხობ, იმასაცა ძალიან³ ეგრე ქართველები უყორღა და იმაში, ჰაა, ქართველების ლაპარაკი იყვის-ყე, რო ჩონ ქართველები ვართ და რა ვართ და მე იმაში-ლა ვიკითხე, მისაც რო მივადგი-ყე ბერკაცეფსა, ჩემ პაპასა, ჩემ მამასა. თა ერთ დღეს ჩემ მამა ამბობდა, რო: „შენ რას აქნევე, რო ემას იკითხავ, რო ქართველები და ქართველები,—იკითხევა, რო,—შენ რა საქმე გაქ, თა ემ ქართველის, და ქართველის იკითხავ!“ ვთქი, რო: „მამა, მე მიყორს, მე ქართველი მაგარ არ ვარ!“

თქო: „ჰა, ჩემ ბიჭო, შენა... ხო, მეც მიყორს შენ თავი!“

და გააციანა. ეგრე კი მეზნებოდა, რას აქნევე, იკითხა, ვალი, ვნახე იგეთი, იცინის გულითა და უხარია, მე რო ქართველის, სუ ქართველის ფიქრჩი ვარ და ვამბობ: „ქართველი და ქართველი“. მინა ვართ და როგო ყოფილვართ და ამ ბერ-კაცს ვეტყი და ემ ბერ-კაცს ვეტყი და ემასა ეგრე თავი ჩაეხარა და იცინის-ყე და უხაროდის-ყე, ვალი, ეგრე, არც რა მითხრის-ყე.

ის იყო, ექსი ქელასი რო ვიკითხე, იმაშინა შიდი⁶ ჯერ სოფელჩი არ მოსულიყო. შაქუჩდეს ქართველებმა, ემ სხილებმა და თქეს, რო თაყაზა ვქნათ, რო შიდი ქელასი მაატანონ ექა. ის იყო, რო შიდი ქელასი თაყაზა ქნეს და მაატანეს. თორმეტნი ვიყნევიტ. ის იყო, რო დოვლათმაცა იყაბულა და შიდი ქელასი მიპცა. იმაში მე ვიყავ, ერთ

იყო ქართველეთსა-ყუ, ერთი ჰოსენ-ალი რაპიმი, ერთი იყო მანუჩერა ხუციანი, ერთი იყო ჰუმანგი ხუციანი, რო უბნია, ლაპარაკი უქნია. და ბევრები ესებილა, რომ მაგონდების, და თითოროლაც, რო პარსელები, რო შომოგრევიყენს, ისებიცა იყენს. რაჰმათოლა ერთი თი, თავის დედა ქართველია, და ერთი რეზა ერქო, იმასაცა, ვის დედა ქართველია და ბევრები ვიყენვით. ის იყო, რო თა ცხრა ქელასიცა სოფელჩი ვიკითხე. შიდი და რუა და ცხრა. ექაცა.

ექაცა ემამას ვკითხობდი-ყუ, თა ერთ დღესა, იმაშინა ჯოხი... ზამთრის რო აცივდის-ყუ და თოვლი მოადის-ყუ, ჯოხი შავაქუჩით-ყუ ყმაწილებმა და ჩონ მამებმა, ჯოხი მაატანიან და ერდგან შაქუჩიან-ყუ და ზამთრისა ბოხარჩი დაეწით-ყუ ესები, რო ქელასი გავათბოთ. ერთ დღესა ერთ ნამაჰ რეასი ყუანდა, რეასი ყუანდა, დიდი. დიდი რეასი ყუანდა ექა, რო ეს პარსელ იყო და ჩონ რეასე დაბირესტანი, მადრესას რეასი—ქართველ იყო, მელიქა იყო. ემ მელიქამ თქო, რო: „რეზა, ადე, ორ-სამ ეს ჩონ ბიჭები აყუყანე და ადე ნაყრი ჯოხი ჩამაატათ, რო არ შაქცივდეს-ყუ, ავანთოთ!“

მე ავდექ და წაველ და ერთ ამბარი იყო, ჯოხები დამტრეველი იყო, უთხარ-ყუ, რო: „ბიჭებო, შადით, ეს ჯოხები ადღეთ და გამაატათ და ჩაატანოთ მადრესაჩი, ავანთოთ. მელიქამ თქო“.

გამაატანეთ ელა ეს ჯოხები და კარჩი რო გამუელით, ამ რეასმა გადმაახედა კარსა-ყუ: „ეჲ, მინა ხარ შენაო?“

მე ვთქი, რო: „მე მოპასელი ვარ. დარსა ვკითხოზ, რეზა მქიან“.

თქო: — „მინ გითხრა, რო ემაჰ ჯოხები წაალო?“

ვთქი, რო: „მელიქამ—თქო“. თქო, რო: „მელიქამ ყალათი ქნა, ამამ ბიხოდ გითხრა!“ ვთქი, რო: „შენა ჰქენ ყალათი, ამამ ყალათი არა ქნა!“

თქო: „აბა, აბა, ექ რას უმბობ!“

და მე გამოაქე, გამოაქე და ბიჭებიც შემედევნეს და ჩამუელით. ჩამუელ და მელიქას უთხარ, რო ეგრე—თქო.

თქო: „ხო, გრშით, ეხლა გავაკეთეთ“.

ის იყო, რო ამამ მოადა და თქო:

„აბა, ეს მინ იყო, მე თოჭპინი მიყო? იმამ რაასთი მე თოჭპინი მიყო, მე დიდი ვარ ექაურჩი!“ „აალო და თილიძუნი დაპცხო თავის-ყუ დიდთანა დარაჩი და ისპანსა. თილიძუნი დაპცხო, რო ერთი მოპასელმა მე თოჭპინი მიყო, პირი დამიბრუნა. და ეს გავდეთ მადრესასა-ყუ. (თოჭპინი რა არის? — თოჭპინი, ძანი, პირი დამიბრუნა, ძანი, ის, რო მე უთხარ, ემამაც მითხრა). ეს გავდეთ მადრესასა-ყუ. ექითა მოადადეს და თილიძუნით ანქით დაპცხეს, მელიქასთან, რომ შენ ექაურ რეასე დაბირესტანი ხარ, ემაჰ მოპასელი გავდე!“



ჩონ სოფელში რო შეველ, იმ დღეს, რო ყენი დაბადებულყო, ჩონ ყენი, ხობ, ჩონთი ხო ვიცით, თელ დუნიაში, თელ დედამიწაზე, დედამიწას ზურგზე, სუ ყენებში იციან, იმ ჯომბურებში, რო პეჩენი ყენი ძრიალ ნამაჲ ყენია. ძრიალ აბადი შოქნია ირანი და ძრიალ მიჰყავ. სუ რამეს აკეთფეს, მადრესას აკეთფეს, ბიმარესტანს აკეთფეს, ხიბანეფს აკეთფეს, სუ რამეს და სუ რამეს აკეთფეს.

ეხლა კი, იმაშინ მე, იმ დღეს, რო ყენი დაბადებულყო და ჯამნი დაჯირით-ყე, და ვიშუშპრით და უკრით და გუხაროდის-ყე, იმ დღესაც მე მოადი-ყე, ვილაპარაკი-ყე, რო ეს ჩონ ყენი, ემ დღეს დაბადებულა და ემ სხო ქართველეფსა, ემ ჩონ ბიჭეფსა, უამბი-ყე, ეგეთ კარგი ყენი ყოჲ და ნამაჲა და რა არის და რა უქნია და რა გრკეთებია და ჩონ უნდა გუყორდეს იმის თავი და ჩონ იმის-ყე წინა, არცრა არ ვიცოდით და არც მადრესა გოქონდა, არც მარიზხანა გოქონდა, არც გზა გოქონდა, არც რა არ გოქონდა, გოლონებდიან-ყე. ესლა, რო ყენი შაქნილა, უკრეტავთ-ლა ჩონ, სუ რამეს პატრონი შაქნილვართ. მადრესა გოქ და ვსწავლოფთ და მარიზხანა. ერთი მარიზის დაჯეკრს, მარიზი შაქნების, წავა, გამთელდების. და გზა ივეთ ნამაჲა გოქ, მაშინი რო ამუა, რაც ვინდა შუმუგუტანს. და დანეშგა და სუ რამე. ეხლა. ჩონ რამე აღარ გუკლია-ლა. თა ის იყო, რო მე რაქთენ წელს ანქ ვიყავ. ბევრი ემ ემებზე... ის იყო, რო, იმაში-ლა იყო, რო ყენმა შიშუმე ბაჰმანზე²² ის ნამა ემები-ლა, დასტურები უთხრა ხალსა. ის დღე იყო, ისები რო, ის ვაფები და ის საქმები „ბარაჲე ფიშრაქთი“, ფიშრაქთისათინ იყო (წინ წასლასათინ იყო), თავის ხალს უთხრა. ხალმაცა სუმა, ირანის ხალმა თქო, რო, ჩონ თოლზედ არი ეს შენი ვაფები და ჩონ გულითა ჰაზირი, რო მოადეთ და როგორაც გოტყი, იგრე ვქნათ, ძრიალ ნამარი.

ის იყო, რო სეფაჰედანეში, რო ყენარაზ მოსწავლებელი³, რო ქარპანგს დაჰძახიან, გამაგზავნიან. ექ რაქთენი „ბარაჲე ხეთმათე სარბაზი“²³ მოვლენ და სეფაჰედანეშები შაქნებიან და ის არი, რო წავლენ, „დარდურ ოქთადე“... მანი, ის სოფლები, რო ძრიალ შორს არიან და იქ-ლა გორას უკან არიან, თას უკან არიან, დელეჩიგ არიან. იქეფი სეფაჰე დანეშები წავლენ და... (დელე რა არის?)—დელე ერთ ჩუყურერი, რო ორ გორას შუაზე არი, ორ თას შუაზე. იქ წავლენ და ასწავლიან-ყე, ჰამ ასწავლიან-ყე, დარს ასწავლიან-ყე ემ თავის შვილეფსა, ჰამ გზას უკეთებენ-ყე, ჰამ ქეშავარზობას ასწავლიან-ყე, ჰამ ასწავლიან-ყე. ბეჰდაშთი როგო ჰქონდეს-ყე, როგო თავის თავი შამანხონ, პირი დაჰბანონ, დახატულად, ნამაჲ ტანისამოსიც ჩადკონ, ერთმანერთს მუშელონ, ერთმანერთს დოყურონ, დიდ—ბაჰტა ეტყობოდეს, ძალიან³ სუ რამე, რაჰდა რო იცის-ლა და მოფიქრებაჩი აქ, იმეფს ასწავლის-

ყე. ისებიც ბევრს წინ მიყავთ, ის სოფლის ხალხი, ის დიდი და მცირე
ორ წელი და ორ წელიც ექ დაეცლებიან და კიდემ ასაღო წავა, სო
წავა.

ერთი ესე, რო, ხობ, სუნივენთ (ყოლა ყოლამ) ვიქნენ მისი
ექა მამულები, ბევრ მამული ერთის კელჩიგ არი, პარ სოფელნი ერთის
არი, ეს ძრიალ ყრალ იყო. ყენმაცა ბევრ წელს იყო, რო ემას ფიქ-
რევედა, აბა, რა ქნას, რო ეს გარდანქოლოძტები, ეს მამულის პატრო-
ნები, რო ხალღს აღონებენ, ესები რა ჯურადა ქნას, რო ესები დწლო-
ნოს-ყე. ის იყო, რო მოადა და ესლაპათე არზი ემე ქნა, გწკეთა რო...
თქო, რო მამულები უნდა დააყოსო, სუ ხალღს უნდა ჰქონდესო. და
ესეც, ხობ, ვიციით, რო ძრიალ ნამა შაქენა. ეს მალეკები იგეთები იყნი-
ან-ყე, იგრე აღონებდიან-ყე ემ ხალღსა, რო უთხრიან-ყე ამასა:—„შენ
დედაკაცი უნდა მოქცე ჩონაო. შენ დედაკაცი, — ემეფსა, ზარეფსა, იმ
ბაბტა, ქომოთ ხალღეფსა, უთხრიან-ყე, რო.—შენ დედაკაცი უნდა
მოქცე ჩონაო. უნდაო შენაო დღესაო თავი დაადო მიწაზე, ფეკები
ააზიდო ჰავაზეო!“ ერთ ეგეთები იყნეს, დამლონებულეები იყნეს ესები.
ვერ მისაც ვერც რა ვერ ემ ექნა.

ის იყო, რო ყენმა... აბ ესები სუ ესმოდა ყენსა. ძალიან დიდ
კაცია. სუ რამ იცოდა, ელოდებოდა იმ ვახტსა, რო ერთ დღეს ესები
სუ დაკოცოს და დწლონოს-ყე და მამული გამწართოს-ყე. ის დღეც მოა-
და. მოადა და გწკეთა.

ბევრი არი. ერთიცა, რო ხანეაენსაძეს დავძახით, რო რაქთენი იმ
წერთეთრეფსა-ყე, იმ სხილ ხალღეფსა-ყე პარ სოფელჩი, ისები, რო
ქციანებია, ხუთი, ექსი ენთეხაბები შაქენებიან და იმამ უნდა, თუ ერთ,
ორი შუაზე გაფი ამოადა ეხთელაძი ამოადა, ჯავრი ამოადა, წა-
აკიდნეს, ემათ გწგეთონ-ყე, დწლაგონ საქმე. ბევრ რამერი, რო უქრე-
ტავთ-ლა ემ ჩონ მამლექათსა, არც რა არ უკლია-ლა, სუ რამე, სუ რამე
გწკეთებია. და წასლა-მოსლა, მაშინი, დანეშგა, მადრესა, ბიმარესტანი,
რა საძდა რო ადამიანი გავფიქრავს-ლა, გოქ-ლა ჩონ ექა. არც რა არ
გუკლია-ლა. ერთ იგეთ ყენი ჯერ არ მოსულა ირანჩი და არა მგონია,
მოადეს-ლა. ერთ იგეთ ქციანი და არ ვიცი ესე ღმერთმა ეს იგეთ კაცი
როგო გწჩინა და ეს ჩონთი გწჩინა. ჩონ თავი უყორდა ღმერთსა, რო
გწჩინა.

ესლა კი იმის უქანაცა რო მეღა ემე შაქენ, მოსწავლებელი,
მანი, მოწალეში, ცხრამეტის წლისა ვიყავ. მუეღ ემეჩი, ახირასა. ახი-
რასაცა აველანთა-ყე ემები ყოფილან, ქართველები ყოფილან და ენა
გომწკლია-ყე და ესლა ქარსულადა უმბობენ. ახირა ქომოთ სოფე-
ლია, ქარსულად—ახორე ფაინ. ესლა კი ერთ წელსაც მე იქ ვიყავ. იქ
რო ვიყავ, ძრიალ ველონებოდი. მადრესა არა ჰქონდის-ყე. ერთი წინან-



დელი, ყადიმანდელი, ემე იყო, ოთალ იყო, თავსახლ იყო, შაჰქერი
 ჰქონდის-ყე და, ეხლა კი, კედლებიცა დათხრული და მიწა, ემე
 დაც მიწა იყო, მიწა ეყარის-ყე და ძრიალ ყრალ იყო. თა ერთ
 იქ ვიყავ და მაგონდების, იმ წელს რო მინდოდა, რო ემე შაჰქნე, მოს-
 წავლუბელი შაჰქნე, ჩონ დიდმა თქო, რო: „უნდა წახიდე. ერთ სოფე-
 ლია, სარდოვი არი ექა, წახიდე იმ ქურთეფჩი, წახიდე სარდოვსო-
 ქურთებია ექა. და მე ვთქი: „არ წავალ ექა-თქო!“ თქო: „როგო არ
 წახვალ?“

ვთქი: „არ წავალ, ელეგრე, არ წავალ. მე ანქ არ მინდა წაადე. მე
 სოფლელი ვარ, ქართველი ვარ, მე უნდა მოადე, რო ემ ქართველებს
 ვასწავლო-ყე, რო ამათ ჩემ ენა ესმოდეს-ყე. იმას რო ქარსულად არ
 გააგებენ, მე ქართულად ვასწავლო-ყე, რო რა არი“.

ის იყო, რო იმამ თქო, რო: „არა, მე არ ემეს ვიქ, უნდა წახიდე
 ანქ“.

მე ვთქი, რო, იმაში:—„არა, მე არ მინდა ემ ძერეადანჩი დავდგე“.
 თქო, რო: „მა, რა გინდა ქნა?“ მე ვთქი: „მე მინდა წაადე ექითა,
 წავალ ისპანსა და წავალ ანქ, შენ დიდთანა, თელ ისპანის დიდთანა, და
 მე ვეტყვი, რო მე ქართველი ვარ და ეს არ მიშეფს, მე ემეჩი დავდგე,
 სოფელჩი“.

თქო, რო: „წა, რაც გინდა, ქე“.

გამუართი ჩემ ქალაზები, რო დწწერათ, რო ჩემთი მწეა-ყე,
 ჩემ დიდლოში, ისები გამუართი და აველ, ჩამუელ ისპანსა.

ჩამუელ ისპანსა და ხუთშაბათ დღე იყო, მაგონდების, წაველ
 იქავრ დიდიც, მასუმ-ხანი ერქო. (აბა, დამარცვლით თქვი!)—ჩა-მუ-ელ
 ის-პან-სა. და ეხლა კი, დილობა რო შაჰქნა, ავდექი და წაველ ემ მო-
 დირქოლთან. წაველ და ვთქი, რო: „ალაღე მოდირქოლ, მე ქართველი
 ვარ და მოსწავლებელი ვარ და ახლა მინდა მოსწავლებელი შაჰქნე.
 წასულვარ სოფელჩი, ემეჩი ძერეადანჩი, და ჩონ დიდი მეზნების,
 რო შენ უნდა წახიდე ქურთეფჩი. არა, უთხარი, მე ქართველი ვარ,
 მე რო წაადე ანქა, რა ვთქო“.

თქო რო: „არა, არა შენ ქართველი ხარ, ჩონაც ქართველეფჩი
 გოჭირვების ერთ ქართველი მოსწავლებელი, ქართული რო ესმის იმ
 ხურდა, ბაატა შვილეფსა, ბაატა ბიჭეფსა, ასწავლოს-ყე, იმას, რო
 ქარსულად არ გააგებენ. არა, შენ კარგია, წახიდე სოფელჩი. მე თი-
 ლიძუნის დაცხებ, რო, შენ გააგზავნოს სოფელჩი“.

და ილ იმაში თილიძუნე ადლო და დაპცხო, უთხრა, რო: „შე-
 ნაო, ემ კაცსაო. ემ მიქელანისა, რა გითქომო?“ თქო, რო: „ალაღემო-
 დირქოლ, მე მითქომო, რო წაადეს ამ ქურთეფჩი“ თქო. „არა, არა,
 ემამ უნდა მოადეს სოფელჩიო. სოფელჩი, შენ იცი, რო ქართველე-“

ზიარ და ქართულად ამბობენო, და იმ ბაბტა ყმაწილებმაც ქართული
არ იციანო. მაშ, შენ რათ ეს გინდა გააგზავნო ქურთუფნი? ეს ელა
გააგზავნე ანქა, ანქ ნამადაო, რო გაგებინოს-ყე ქარსულუნი ქუნულნი
თქო: „კარგიაო“.

დილობა რო... სადილობა რო გადაადალა და სალონისა სიხანისი
დაადლოდი, ჩარბალჩი, ისპანის ჩარბალჩი დაადლოდი, და ჩემ ოლტაშეფ-
თან ვიყავ და ერთველ' ვნახე, ერთმა უკნით-ყე ქარზე
პელი დამადლა და მითხრა, რო: „სალამ ალექუმ!“ რო მიბრუნდი
ვნახე, ჩონ რეასია, ძერეადანისა. თქო რო... ვთქი, რო: „სალამ აზ
ბანდას“²¹, სად ყოფილხარ, როს მოსულხარ?“ „მე კი, მე გააგე, ეს სა-
უბრებიო, რო მოდირქოლ მიბნაო, ჩონთან... (რა გაიგე?). მე გააგე,
ეს საუბრები. მოდირქოლმა მითხრაო, რო... რეზა უნდა წაადღეს ელა
სოფელჩიო. შენ წადი ძერეადანჩიო და მე გააგზავნი სოფელჩიო
ამუა რეზა ემ სოფელჩიო“. ვთქი: „კარგია“.

აველა და მევორე დღეს აველ ძერეადანს. დავდექი და ხუთ
დღეს უკან, რო მოადა, დადგა კივილზე: „ბიჭო!...“

დადგა კივილზე, რო: მე არ გააგზავნი. მე ილ იქ, რო მითქომ,
უნდა წახიდო. მაგარ მე მეშინია მოდირქოლსა-ყეო, შენ გინდაო,
რო... მე შენ ჰელისძირზე არა ვარ, ხო. შენ ჩემ ჰელის ძირზე ხარ. მე
ვარ შენ დიდიო. მე შენ დიდი ვარ, მე შენ რეასი ვარო და სადაც
გებნებიო, გეტყი, უნდა წახიდო“.

შეცლა, ხო, დაღალული ვიყავ, ბევრი წასულიყავ, მოსულიყავ და
ჰამაცა ფული გამთავებიყო და ხო მეც-ლა ჩარე აღარ მქონდა. ავდე-
ლა და ვთქი, რო „მაშ, ალაგ გამამიცვალე. მე ამ ქურთუფნი არ წავალ.
თუ სოფელჩინაც არ გამიშებ, ქომოთ წავალ, ქომოთ სოფელჩი, ახი-
რასა“.

ის იყო, რო მიველ ახირასა, იგრე იყო, ჩემ მოსლა და ესე ჩემ-
თან ელა ყრალა იყვის-ყე. თა ერ წელი გამოადა და მე-ლა გამგზავნა,
ჩემთა რო ყრალა იყო, გამგზავნა ბოანსა. ბოანსაც ქართველებია,
ბოანსა და დომბუქამარს. იქ წაველ, იქაც ელა ქართველები იყნეს და
ერთი სამ თეს იქ ვიყავ, ექს თესა და იქა და მარიზი შაქენ. მარიზი
რო შაქენ...

ჰა, ჯერ იქ რო წაველ, ერთ თე იყო, რო წასულიყავ და ჩემი ძმა-
მა, რო ეხლა თხუთმეტ ჰელას კითხოფს, დანეშსარაჲე ალიჩივ არი,
ემამა ცხრა ჰელასი ეკითხა და უნდოდა, რო მოადღეს ისპანსა ილ იქ,
რო მე ემთეპანი მემეცა, დანეშსარაჲე ქეშავარზიჩი, ემამაც უნდა შა-
იდეს, მოსულიყო და ემთეპანი მწეცა და ძრიალ ნამაჲ ნომრები
მწტანა. ენგელსიზე ჰიჯდა მწტანა და... რო ცხრამეტი იყოს, და ემლა-
ზე ფუნზდა მწტანა, რო თხუთმეტი იყოს და ელ ეგრე. ცმლა რა

არის?)—ემლა? ეს ჩონ ენა, ძარსულ ენასა, რო ქეთბეფსა-ყე ზუპირად დაეწერავთ, ქეთაფს შავკრავთ და დაეწერთ, გოტყიან და დაეწერათ დიქთათ ვიქთ. ეხლა კი, ესეგი სუ კარგი, ნამაჲ ნომრები მენტყრეთ უნდა დეწერა-ყე, რო, ხობ, ყაბული ხარ, რო წახიდე ისპანსა და დარსი.

ამოჲდა, ჩემ ძმამა და თქო, რო: „ძმავ, მე ემერი, მე ყაბული შაქნივარ, უნდა წაადღე“.

ავდექ და ჩამუელით და თავის შომარა, იქ რო, ემთეჰანს აძლე-და, თერთმეტი იყო, მანი იქ უნდა გაჲკითხონ, რო, სახელად არ გაჲკითხონ-ყე, ეს შომარებით დაჰწერონ-ყე, რო თითან არ იცოდენ-ყე, რო ის შომარა რომელის არი. იმისთი არ იცოდენ, რო რომელს რა სახელი ჰქიან, ის შომარა ჰქიან-ყე. შომარა, მაზდა, დუაზდა, ფუნზ-და და ელ ეგრე. ჩემ ძმას შომარა მაზდა იყო და ეწერა-ყე, რო შომარა მაზდა ყაბულია. ავდექით, ეს აძღეთ და ჩამუელით ისპანსა დაბირეს-ტანჩი. რო ჩამუელით, შაჲარეთ იქაც, რო წინაც მე ყოფილიყავ, ექა, სამ წელს, ოთხ წელს იმის-ყე წინ, იქ ყოფილიყავ მე. შაჲარეთ იმ იმასთან, ის მე მიცნობდა. თქო: „ჰა, რას იქ ექა, ჰა, ექ რად მოსულ-ხარ?“

ვთქი: „ეს ჩემ ძმა, ეს ყაბულ შაქნილა ანქ“. თქო: „რა ჰქია?“ ვთქი რო: „აჰმადყოლია ჰქიან“. და თქო, რო: „ემერი, ეს არა. თავის შომარე ქართი რა არი?“ ვთქი, რო: „თერთმეტი“. თქო: „არა, თერთმეტი ყაბული არ შაქნილა“. ვთქი: „ე, რას უმბობ, ანქ ეს, — ვთქი — ყაბულ შაქნილა, მქკრა და ქალაზზე დაწერილი იყო, მქკრა კედელზე ძირხენაცა ანქაურ დიდსა ემზა ექნა“. „არა, არ არი“.

ავდექ და გამუელ და ერთი დავფიქრე და ვთქი: აბა, რა ვქნა და როგო ვქნა? და ჩემი ძმას უთხარ, რო, — ჩემი ძმა ჯერ ისპანს არ ჩამოსულიყო, პირველა ჩამოსლა იყო, — ვთქი, რო: „ძმავ, ე, ემ სას-ტუმროჩი შენ დაჲდგები“, — და ეხლა კი ფულიც მივე და ვთქი: „ამა-ლამ შენ ექ იყავ და დილობას მე მუალ“. (სასტუმროს ეძახით?)—სას-ტუმრო? ემე, მოსაძერხანაჩი. ჩონ სასტუმროს არ ვამბოფთ, ჩონ მო-საძერხანას ვამბოფთ.—(მამ, რატომ თქვი?)—მე ქართულად მინდა ვიბნა, ვალი, სტუმრადაცა გასტუმრება, ჩონ ერთ ლაპარაკი გოქ ელა, ჩონ ლაპარაკეფჩი, ვიბნეფთ-ყე „გამსტუმრო“, მანი, „გავგზავ-ნეო“. მოსაძერხანას „სასტუმროს“ არ დავძახით. ეხლა კი ეს დავაგდე ექა და თქო: „სად მიხვალო?“ და ვთქი, რო: „...რა ჯელი გაქ! შენ ექ დადექი და ფულიც ხო გაქ და შაქმა-დაღევა და ესეგი, მე წავალ“.

ავდექ და გამუელ და მიველ ერთ მაშინჩი. ეს მაშინები, რო ნაძ-თი მიაქ-მაყე. ჩავეე ისპანსა-ყე და ამუელ დაჰანსა. ამუელ დარანსა და სწთი შაქნილიყო თორმეტი. თორმეტი სადილსაყე გადასულიყო, შუ-

აღმობა იყო და არმინა-ლა ხიბაბანი ანქით-ექით აღარ იყო და მუველ და წაველ იქ, რო ეს ესეები მიეკრა-ყე — ნათიჯა, ნათიჯეღემთეჰანი, რო ის შომარაზდი იქ ჩაწერილიყო. მიველ და კედელსაყე გადველ, კედელსაყე გადველ და წაველ და შუშა გავტეხე, კარის წინა ნაწილსა ზე და შაველ და ის ქალაზი, რო იქ მიკრულიყო და ეწინააღმდეგებოდა მეტი ყაბულ შაქნილა, თხუთმეტი, მა, რომელ და რომელ ემ შომარებზე ყაბულ შაქნილა, იქ ეწერა და ძირხენაც იმ დიდს ემზა ექნა, ჩეწერა. მუელ, მე ეს ავხივე, ექით ადღე და ჭიბეჩი ჩაადღე და გამუელ და შაქნილიყო სწითი, ნახევარი სწითი თორმეტსა-ყე გადასულიყო დამითა. მუელ და კიდემ ერთ მაშინი, ემესა-ყე მოადლოდა, ზუზესტანსა-ყე. ჩაეჯე და ჩამუელ ისპანსა.

ისპანს რო ჩამუელ, სწითი შაქნილიყო სამი და ნახევარი, სამი და ნახევარი. და შამუელ, შაველ ემ მოსაძერხანაჩი. ილ იმ ოთახჩი, რო ჩემ ძმა იწვა, შაველ, იქ დავწევე.

დილობასა რო ადგა: „ე, ძმავე, დაშიმა, როს მოხველო!“ ვთქი, რო: „მე წუხელის მუელ“. — „მა სად წახველ?“ ვთქი, რო: „მე წუხელის წაველ დარანსა და მიველ ძერეადანს“, — მე ვთქი. თქო: „როგო წახველ და მოხველ?“ ვთქი, რო: „წაველ, — მე ვთქი, — და!“

დილობის ავდექ და შაველ, წაველ მოდირქოლთანა. ვთქი, რო: „ალაღე მოდირქოლ, აბა, ემ ჩონ დიდს უთხარ, რო ექ ჩემ ძმა, რო სუ დარსებზე ნამაჲ ნომრები მოტანია, რასთი უნდა ეხლა რადი შექნას, მანი, არ ეყაბულნოს, „ყაბულ ნაქერღე ბუშად“.

თქო, რო: „აბა, აბა, ბეგსთ!“²⁵.

თავის ნომრები, მადხოზვა, თავის ნომრები ნახა, რო ძრიალ ნამაჲ ნომრებია, თქო: „რა ყრალ საქმე უქნია, ყრალ საქმე! ეს უნდა ყაბულ იყოს, რადი არ უნდა იყოს“.

ის იყო, რო ანქით და ექით-ლა და ემ დიდმა ჩამოადღა. თქო, რო: „ალაღე მოდირქოლ, თუ მე, ჩემ სიტყო გამტყუნოო და ემ მიქელანის ჭიტყო გამართლოო, იმაში სირცხილია ჩემთინ. მა ჩემ ალაგი ანქაო, მა იმის ალაგიო. მე აღარ გავდივარო“.

ის იყო, რო ჩემ ძმამა ექით აღარ მოადღა-ლა და სხოვან-ლა იკითხა დარსი-ლა და ნამა შაქნა თავისთი და ნამა შაქნა თავისთი. ეხლა კი, იმის უკან ემამა ჩემთან ყრალა მოადღა, ემ დიდმა, ვთქო, რო... იმაში ვთქო, რო, დარსები რო ემთეჰანი მიეცა, ვთქო, რო: „შენ სახელი რა ჰქიან?“

ვთქო, რო, მე, ეს ჩემ სახელია. ვთქო: „შენ გვარი რა არი, შენ ქამილი?“ ვთქო, რო—ეს ჩემ გვარი. ვთქო, რო: „ანს ერთი გუქმარა, ანს ერთი მიქელანი რო ყოლია და გუქმარა. ამას ელა უკრავ ექაურობა ერთმანერჩი და შენ თავი აღარ გუნდა-ლა“.

იმაზე, ესე რო ჩემთანა ყრალ იყო, ჩემ ძმაცა ემე შექნა, რადი
შექნა. ესეცა ჩონ ემე იყო. რო ჩამუფლთ ანქა.

ეხლა კი, იმის უკანაც ელა მე რო მოსწავლელებელი ვიყავი **საქართველო**
ჩი, იმის უკან გაედონტიოთ-ლა ძრიალ-ლა, დავეცონალეთ-ლა, **საქართველო**
სოფელჩი ჩონსა და, მიადის-ყე ჩონსა და ჩემ თავი ძრიალ უყორდა.

თქო: „ბიჭო, მე შენ ოლტაში, ვარ, მე შენი ნამააობა მინდა. შენ
ეგეთი ემე რო ხარ, გარდანქოლოქტი რო ხარ, მანი, ყოჩალი რო ხარ,
და სუს ლაპარაკს ეტყვი, სუ ლაპარაკს ხალღს ებნები, ერთველ ერთი
დავადონეფს შენა. შენ ჯეალი ხარ და შენ ნამაა კაცი შაქნები, ნა-
მაა კაცი შაქნები. არ მინდა, შენ დააღონდე. ემის უკან-ლა მე შენ
თავი მიყორს. იცოდე შენ, ნამაა ბიჭი ხარ, ექითაც რო მე წავალ, შენ
უნდა მოხიდე ჩემთან“.

იმის უკან, მე ჩემ მამასაც ვეშელეობდი-ლა თა, ხობ, იმაში-ლა,
რო მე მუფელ-ლა თეაჩანსა და ჩემ მამაც მოკდალა და ეხლა ჩემ ძმაც
ექაურ ემე რადათობას იქს-ლა. და ერთიც ბიძა მყავ, ბაბტა ბიძარი,
ისიცა ჩემ პაპას ერთ მეგორე დედაკაცი რო შორთავ, იმის-ყე ყოჭ ის
ბიძა. ისიცა ჩემ ძმას ტოლია და ეს ორნი ერდგან ანქა ქეშავაზრობას
იქმენ. ჩონაც ერთს მიგებდავო-ყე თაუსთანჩი, წავალთ იქა მე და ჩემ
ძმა, მევეშელეებით-ყე კიდემაცა. გათავდა.

3. გათბობა. ზამთრის რო თოვლი მუა და ძრიალ ცივა, იმისთი,
რო არ მოქციედეს და გავათბოთ ოთალი, სახლი, მუალთ, თორნები
რო გუგუყეთებია და ჩუგუდგამ მიწანი და ზედ ქურს მუარქომთ-ყე
და ერთს საბანსა გადვადარეფთ და შოხბდებით-ყე შიგა. ემასა გაზა-
ფხულზე მუალთ და ნეხსა წყალს დავასხამთ და ავრევეთ ერთმანერჩი
და დავლახავთ, ნამა მამაზილოს, გამაგრდეს. ეხლა კი, გუნდულა-გუნ-
დულას გავაკეთეფთ და გომზე მზეჩი დნგდებენ ემასა და დნბრტყელე-
ბენ. და ეხლა კი, რო გავმა ხუთი დღესა, ოთხი დღეს, შექუჩებენ, ჩაპ-
ყრიან ერდგანა ამბარჩი და იმაში რო ჩაყარეს, ეს და დავარდების
ზამთარსათი.

ზამთრისა, დილობის რო ძილისაყე ავდგებით, კაცები წავლენ პი-
რიტყს დოყარონ, პირიტყსა: ცხორსა, ჭარსა, ფურსა ემეფს პირიტყს
დაეძახით, დოყარონ. დედაკაცებიცა ადგებიან და საბანს აჰკდიან და
ქურს ადღებენ და ყალიჩეფს აჰკეკვენ, დოლულავებენ და ფალარს
მაატანენ და წივასაც მაატანენ და შეშასაც მაატანენ. შეშას ჩა-
დღებენ ძირზე, სამ წივასა სამ ჭარაზე ამაწყობენ, ერთმანერთზე დნ-
დებენ და ეგრე მალა, შუაზე ცარიალია, ემ შეშაზე და შეშას... შე-
შა,—ძირზე შეშარი,—და შეშას მოდებენ, ანთებენ და ფალარსაც ერ
ცოტას ჩაპყრიან, პაა ელ ეგრე ენთების, ეს ფალარები დააწების, კი-
დემ ჩოყრიან, კიდემ და კიდემ, თა ემ ნაყრი ფალარსა, ორ ცხავსა, სამ

ცხავსა ფლარს ჩოყრიან და ნამა გაცხელდების, ბევრ ცეცხლი შიქნე-
ნების. იმაში-ღა, რო სუ დაწო-ღა და ბოლი გათავდა-ღა და ბოლო
ალარ ექნების, მოვლენ და მუქუჩებენ ემას ერთ ჭარაზეყ ქქქქქქქქქქქქ
ცარსა, რო წინა დღესი, წინა დღესი, დავარდნილია, ეზქქქქქქქქქქქ
ეს დამალების.

და ერთ თორნესა... სათოლეს დავძახით, რო ბოლსა ამ სათოლესა-
ყე დობერეფს, რო უნთოს ემ თორნეჩი, ქარი დობერავს და თორ-
ნეჩი, იმის-ყე უნთების, ჩუნ ჩუყურეჩი არი. იმაში მუალთ და კოკო-
ბასა, კოკობაჩი წყალს ჩავასხამთ და ერთ ზარა ჭორცსა და დუმასა
ჩავდებენ შიგ და ნუხუდოსა და ბალალასა და ოსპსაც ჩოყრიან და
ემეფსა ჩაადგმენ, ემ ემეს, კოკობას შიგ ცეცხჩი. ცეცხს ერთ ზარას
ჩაჩუყურავებენ და ჩაადებენ შიგა და ზედა საბურავსა დუფარებენ.
დუფარებენ და, ეხლა კი, სადილსათი ეს მამხარშების. (ბალალა რა
არის?)—ბალალა, ჩონ ქარსულად დავძახით — „ბალალა“. ეხლა კი,
ანს გძელები არი, რო ნუხუდოსავეით არი, ემას დავძახით—ბალალა.

ეხლა კი, ეს მამხარშების სადილსათი. რო მამხარშა, იმაშინ ამ-
ალებენ და მარილს ჩოყრიან და პილპილსა ჩოყრიან და, ეხლა
კი, ათი დაყიყას კიდე მამალებენ თორნეჩი და ამამალებენ. ამამალებენ
და, ეხლა კი, პურს მამატანენ სუფრაზე და დო და ყათულსა, და წენს
დუხხმენ და ემ წყალსა და ბადიეფჩი. და ორი და ორი, მა სამი და
სამი დედაკაციები ცალკე ანქითა, კაციებიც ექითა და დავსხდებით და
შავქამთ.

ქენი ალაგი ცარილია. მანი, ემ პურს რო ვჭამთო, ქენაც იყნეთო.
(შემას სად შოულობთ?). პირველად რო თორნეს აყურით ქურსა,
ერთ ნაყრი ნაცარსა, რო წინა დღესია, ამოაღეფთ გარეთა. გარეთ დავ-
ყრით და იმაში წივას, შემას ჩორევეთ ამ ძირზე. (შემა საიდან მო-
გაქვთ?)—შემა? ანს ბუთებია, რო შინდორსა-ყე, შინდორსა-ყე და-
ბთხრიან და შამამატანენ. შემას ჩონ ჯოხს დავძახით.

ავანთეფთ. ესები-ღა იქნების თა მევორე დღემდი. ცხელ თორნე
იქნების. იმაში, რო გაცივდების, შუალამ, ფამშამზე, ერთჯელ რო ვნა-
ხავთ, ქურსი გაცივდა, შოქცივდა, ერთი ის დედაკაცი და კაცი ადგე-
ბის და მაყაშითა, მაყაში იცი, ხო, რა არი? მაყაშს ჩავყოფთ და მრ-
რევეთ. ამ ნაცრეფს გადააზიდავეთ და ცეცხლი გამოჩდების. (კოკობას
სად სდებთ?) თორნეჩიგ არი, ქურს ზედ მოარქომთ-ყე. ქურსი ოთხი
ფეჩია, ეგრე დუგულებია ჩარგუშად, კედელსამთა და ზედაც თახტები
დუგუკრია. (კოკობას რაში დებთ?) კოკობასაც თორნეჩი ჩავდევთ-ყე.

ფლარსაც რო გავაკეთეფთ-ყე, ჭარის ნებსა გამომატანთ თავლა-
სა-ყე. (ძროხის ნებსი არ შეიძლება?) ზროხის? არა! (ფურის ნებსი?)
ფურისა? კი, კი! ერთი-ღა არი და, ქარყი არა ა-ყე! გამომატანთ და

ნებსაცა, გამოატანთ და აატანთ გომზე, გავშლით. გავშლით და ორ დღეს... და დღეს რა გავშლით, ერთ სწათის უკან ავალთ და ერთს მორევთ ემეათა, ნიჩაფითა, მორევით. ნამა გავშლით, შუა და შუა გადსხნას, რა მზე დიდგეს. გაჭმების ცოტა და კიდემ მორევით კიდემ ვორედ და მესამედ და საღომოს შავაჭუჩეფთ. მევორე დღეს კიდემ დილობის ჩონ გოშინია, ღამით თოვლი მოადგეს, ემას შავაჭუჩეფთ ეგრე და დილობის რა კიდემ ავალთ, და თუ ღრუბელი არ არი და თოვლი წინა არ მოსულა, კიდემ გავშლით და ეს ნამა გაჭმების. ნამა რა გაჭმა, შავაჭუჩეფთ, ჩამოატანთ და დავეყრით ემეფჩი...

4. პუ რ ი ს ც ხ ო ბ ა. ცოშს რა მოვზელთ-ყე და გუნდა, პური დაეკრაოთ, პირველადა, ემ აველანთა-ყე, მუალთ და ერ ცოტასა, თა თორნე ნამა გაცხელდეს და გაცივდეს, მუალთ და თხელ პურს დაეკრაეთ. მანი, ემას დაეძახით—ბალიში.

ეხლა კი, ემას მუალთ, ერთი სამი თახტა რა ერთმანერთზე მიკერებულია და საძია, ემაზე ცოშს დიდებენ გუნდულასა და ერთ ჯოხია, რა გორაოფს ორ ქარაზე, ჭელის მოკიდვასი აქ, მაჰკიდებენ და ეგრე წინ დავორებენ წინით-ყე, პირდაპირ და ეხლა უყნით-ყე გამავორებენ და ესე ემას გათხელებენ ემ ბალიშსა, გათხელებენ-ყე. (იმ ჯოხს რა ჰქვია?). ჯოხსა ვარდანა ჰქიან. ჰა, ემ ვარდანას გავგორებენ, გამავგორებენ და სამქელ. ოთქელ და ეს გამტყელდების ნამა. გამტყელდების და ააღებენ და ჩაყრენ.

ეხლა კი, იმაშინა, რა ქმარი შამუა და ცოლი³ ოფლიჩი მორეულა და ილაღების პურის იმაჩი, დაღლილა, იმისთი, რა გაცინოს და ემე ქნას, იტყის: „რას იქ, ბებერ დედაკაცო, რას იქ?“ იტყის: „ბალიშ ვაკრაე“. იტყის: „შატანა და ბალიში, შა...ე და გაგიში“. იმისთი, ამამ დაღსენოს და გააცინოს და, ხობ, გუხუმრების თავის ემე, ქმარი. და ჭალიან იციენფს. იტყის: „ნუ უმბობ ემეფსა, ქმარო! რას უმბობ შენა!“ იტყის: „დედაკაცო, ჩონთი ხო ვიცით, ღამით რა დაეწებით-ყე, ზო ეს არი. ეს ღამე არ არის, დამალვის არ არი, ხო! ეს ერთ რამე, ჰამ მე ვიცო და ჰამ შენ იცი, რა არი“.

5. კ ა რ ა ქ ი ს დ ღ ვ ე ბ ა. ე რ ბ ო. ნეჰრა რა გუნდა შავდლიბოთ, ზე რა მუგუწულია ცხორსა-ყე და ფურსა-ყე, შავადედეფთ ქოთნეფჩი, კოკობაჩი, სალთჩი. თალარჩი. დაეღვამთ და ეხლა კი, ათი დღეს, აა ოცი დღესა, ერთის სახჩი ოლტაშეზი შამაატანენ აა ამას. შაჭუჩეფების ბევრი. რა შაჭუჩეფადა, ათი დღე გააარა, ხუთი დღე, მიჰხედავს და რაქთენ ცხორი ჰყავ. რაქთენზე ექნების, ილ იმის ვარაუდზე ზეს გამართომს ხალღსა. იმაშილა რა ზე... ..წაადა თავის მოზობელის სახჩი, ემ ემამ უნდა შადლიბოს ეს ყათულები. თუ არ შადლიბოს, გაჭამრდების. მუა და ნეჰრას ჩამაბამს კერჩი. ამჰარაზე და ემჰარაზე რი-

გაფი რო ათავლებს-ყე, ემას იტყვიან-ყე: „ხილი შენ კალთაში იყოს, წილი—თაში“.

6. აზმანდრობას თამაშობა მინდა ვიბნა, რო როგო ბენ-ყე ჩონ ყმაწილები და ბიჭები და ყორები.

მე ბაატა რო ვიყავ, და ჩემ ოლტაშეფთანა, ჩემ ბიძას ბიჭებთან, ოლტაშეფთან, მოზობლუფთან გაადეთ, ვითამაშოთ, ერთ ჯურა აზმანდრობა გოჭონდა ჩონ ბიჭეფსა, რო ერთმა დავთოლით-ყე, მინაც უკან დაეარდის-ყე, იმამ უნდოდის-ყე, რო დამპალოს და თოლებიც მააკრას, რო ჩონ წაადეთ, დამპალნეთ. იმამ ერდგან მუჭარის-ყე, დამპალის-ყე, თა ჩონ სუნივენი წაადით, დამპალით-ყე და ეხლა კი ერთმა დააკეღლის-ყე, რო: „გამოდელა!“ ეხლა კი, ემამ გამოადის-ლა, ანკ რო დამალულ იყვის-ყე, და ირბინის, თა უნდა მონახოს ერთი. თა ერთი არ მონახის-ყე, რო უნდოდეს-ყე იაროს, თა ერთი მაანახოს. ერთი რო მონახის-ყე, იმაში, ის, რო მონახის-ყე, ეხლა უნდოდის იმამ დაყუროს და ამ სხოებმა დამპალონ და ეხლა ამამ გემუღევნის-ყე. და ყორესაც ეგრე იყო, რო, მასალან, აზმანდრობა იყო, რო ძუჭთი, იანი, ორა უნდოდა იყოს, მა ოთხი უნდოდა იყოს, მა ექსი უნდოდა იყოს, ელეგრე, რაქთენდა იყოს თა ოცი, ოზღაითი, იქთენ. ეხლა კი, ესენი ორად დაყოფიან-ყე. თუ რუანი იყნიან-ყე, ოთხნი და ოთხნი, ემ ოთხმა უნდოდა დამპალნენ და ამ ოთხმაც უნდოდა მონახონ. იარიან და მონახიან და ეხლა, რო მონახიან-ყე ემ სხოებმა დამპალნიან-ყე და ამათ იარიან, მონახიან-ყე. ეს აზმანდრობა ეგეთ ჯურა იყო.

7. ერთიც იყო, რო დაკენწვა იყო. იანი, იკანკლიან-ყე, რაქთენმა გააქცის-ყე და ერთი, რო იკანკლის და ერთი, რო დაკენწის-ყე, ფეჟს რო ამაადვის-ყე, ეხლა უნდოდის-ყე, ამა ირბინოს და ამ სხომ იკანკლოს და ემე ქნას, დაკენწოს. ელეგრე, რო არიან-ყე. ერთ ეს თამაშობარი, რო ვითამაშით-ყე.

ეხლა სხო რამელა არ ვიცი, რალა ვთქო?

8. ჩობან-გაწყეტინობას თამაშობა ეგრენ არი, რო მოვლენ და ოთხნი, მა ექსნი, ესენიც უნდა ჯუქთად იყნენ. იანი, ორი და ორი და ორი ჯუქთი შაქნებნის. ორი ოთხი, ექსი, რუა, ათი, თორმეტი, თოთხმეტი, ესეფს დამახიან—ჯუქთი, ჯუქთნი. ოთხი რო არიან, მა ექსნი, ალბათა, ექსნი, მეტიც იყნენ, იფო ნამააა. ესენი მოვლენ და ორი დასხლებიან. ფევეფს ეგრე შიადებენ; ანს ერთი მუა, ერთ ფეჟს ძირზე დაადეფს, ერთ ფეჟსაც ზედ დადეფს. ეხლა ანს მეეორე, რო ამქარა ჯუქსაყენ არი, ამ ქომოთ ფეჟზე და ჭელუფსაც ეგრე მაკიიდებენ ერთმანერთსა. და ერთი მუა, ემ ერთსა ჯარებზე მაკიიდეფს და გრპირეფს. ერთიც ამ ერთსა, მესამეც ამას, ელეგრე. და გრპირებენ იმა-

ში, თა გაწყდეს ესე. იმამი, რო გაწყდების შუაზე, ეს იტყვიან. გაწყვეტინობა, ემ თამაშობას დაძახიან.

9. კოკაობა, კოქეფს რო დარჩევენ-ყე ყმაწილები. მითამაშნია. იმამინ, რო ყმაწილი ვიყავ, მე მივიდოდინე დარსა ვკითხოვდი და ჩონ მოალემებმა თქიან-ყე, რო ყომაშია. ეს საქმე ნამა ყმაწილესათი არა ჰშენის. ეს არ უნდა. ის ყმაწილი, რო დარს კითხოფს და ნამა რამე უნდა დაძს წავლოს. არ უნდა იკოქაოს. ვალი .ის ყმაწილები, რო ბეგარ იყნიან-ყე და არა კითხოვდიან-ყე დარსა, ბეგრები იყნიან-ყე, აადიან-ყე გომზე და კოქე-ბით იკოქავიან-ყე. („ბეგარ“ რა არი? — ბუქარ).

ესე ერთ ცოტა მე მაგონდების, ეგრე აპყრიან-ყე და ერთ ჯარა-ზე რო მოდის-ყე, თქიან-ყე „ეს ჯარ“. და ერთ ჯარაზე მოდის-ყე, თქიან-ყე: „ასპ“. მანიც, ვირიო და ცხენიო. და ერთ იგეთ სახელებე დერქო-ყე. ეხლა მე არ ვიცი-ლა, რომელ ჯარას ვირი იყო და რომელ ჯარას ცხენი იყო და ის სახელები არ ვიცი, ვალი იკოქავიან-ყე. შინა-ხავ მე ისი.

10. ტუზობაცა. მოვლენ და ერთ ჯოხითა, მა ერთ წეტი ქუა-თა, გომზე, მა ერთ კალოზე, მა ერთი ალაგზე, რო საჭიზემინი იყოს, მოვლენ და დაძხაზვენ. დაძხაზვენ, ეგეთ სახლეს გვეთებენ და ეხლა კი, ზედა ეს ორ რო ტუზობენ უნდა ორ იყნენ. ემეფს ერთ გზე-ბი აქ, ემ ტუზობას, რო ანს ერთი ქუას დაწყოფს. ეს ერთიცა ჯოხსა. უნდა, რო ტოლებ იყნენ, მანი უნდა, თუ ზუთი ქუა ამამ დაწყოს. ამ ერთმაცა ზუთი ჯოხი დაწყოს. ექ მოვლენ ითამაშებენ ემ თამაშობას ერთ გზა აქ, ალბათა, მანი, როგო ფილაქანი. ფილაქანზე, რო უნდა ერთმა აადეს, აველანთაყე ამ ერთ, აველაზედა, მეგორეზედა, მესამე-ზედა, მეოთხეზედა, ამასაც ერთ ყაედა აქ. ერთ ჰასაბი აქ, მანი, რო უნდა ის გზა, რო თავისთი გოკეთებია-ყე, იგრე ითამაშონ, თა იმამ. რო სუსაყე მალე არჩივა, თუ ქუას პატრონმა არჩივა, იმ ქუას პატრონს წრგია³⁹ და თუ ჯოხის პატრონმა მალე არჩივა, იმას წრგია. ეხლა კი, იმამ, რო მალე არჩივა, ისი წაადეფს. ესეც ტუზობას ემერი, თამაშო-ბარი.

11. პარანგ-პარანგობა ერთ თამაშობარი, რო ესებიც ერთმანერთს ეგრე უვლიან, უვლიან და ეგრე დაქუჩიდებიან, ერთი დაძ-რასა პკრვენ და ეხლა კი, ერთმანერთს ეგრე უვლიან. ემას დაძახიან: პარანგ-პარანგობა.

ეხლა მე მამთხოვა, რო ერცოტა ქორწილის ემე უამბო. მინდა, რო აბაბახი ვიბნა.

ემ აბაბახი ეგრენ არი, რო შა იკივლეს კაცი, დედაცო და
ქელს პირზე აა ეგრე დააცხეთს. დააცხეთს. დაადეთს, დააცხეთს,
დაადეთს. (გამოსცემს აბაბახის ხმას, პირზე ხელის დაკვრით).

და ემასა ჩონ ქორწილეთი, ემ საქმესა ვიქთ-ყე. და იმაჟინებო
გუნდა ერთ ძალი სხო ძალს გომრტივით, ვაშუღლოთ-ყე, ელგე
აბაბახს დაეცხეთ-ყე. და ემ აბაბახი და ტაში დაცხება და კივილი და
სალთიც. სალთსაც ერთი ააღეთს, ის, რო დახატულად უკრავს სალ-
თსა, ააღეთს და სალთს დააქერს ქელჩი და ეხლა კი, უკრავს იმასა.
ყორი, ბიჭი, მინაძლა, რო მოშუშპრერი, რო დახატულად შუშპროფს,
ისებიცა აა დასმლებით იშუშპრებენ და აა ერთ ჯოხეთს ააღებენ და
ჯოხებით იშუშპრებენ. ეხლა კი, აბაბახსაც დააქცხებენ, რო კივილი
იყოს, რო ხალღი შაქუჩადეს. ეს ტაშის დაცხება და აბაბახის დაცხება
და ესები იმისთინარი, რო სუ ხალღმა გააგოს, რო იცოდეს, ეს ქორწი-
ლია. და გამოადენ სეაღი ქნან, ათორიალონ. ეს იმისთინ არი აბაბახი.

ერთი სოფელჩი ერთი დიდ ხანი ყუანდა, რო ასლი ქართველი
იყო და ემე ერქო, მატყოლი-ხანი ერქო იმასა. და ძრიალ ჰკიან კაცი
იყო, და ხალღს ასწავლიდის-ყე და დიდ იყო სოფელისა. და ეშუღე-
ბოდა ხალღსა და ხალღის თავი უყორდა და ქართველების თავი ძრია-
ლ უყორდა.

ერთ დღესა ქომოთ სოფლეთსა-ყე პარსელები ამოვლენ, რო ახან-
ძალი ჩაყვანონ სოფელსა-ყე. ეხლა კი, რო მოვლენ ემ ქუჩაზე და
ეგრე უკრვენ და კივიან და ანსენ უმბობენ, რო ორ დასტა შაქნი-
ლან ესები, პარსელები. ერთ დასტა აა ტაშს დოკრავს და უმბოფს რო:
„ბეშქან, ბეშქან!“ მანი, „გატეხეო, გატეხეო“. ანს დასტა ებნების, რო:
„ნემიშქანამ“—არ გატეხაო,—„ნემიშქანამ“.

ეს ხანი მუა, დიდ კაცი, და დადგების ამ კარას და ელოდების,
რო გზა მიპყენ, რო ექით გაააროს და გზას აღარ აძლევენ. ანს დასტა
უმბოფს, რო: „ბეშქან“, და ანს სხო დასტა უმბოფს: „ნემიშქანამ“, და
შოკრავთ ეს გზა!

ეს ხანი მუა და იტყის-ლა, რო: „თოხოდა ბეშქანი“²⁶ და გამიშით,
მე გააღე ექითა“. ეხლა კი, ხალღი ძრიალ იცინეთს. იგრელა, რო დწიფყ-
დების ეს „ბეშქან, ნემიშქანამ“ და ხალღი, აა ახლა ეს უამბოფს ემასა
და ხანმა რა თქო და იცინებენ-ლა. ეს იმის უკან დავარდა და ეხლა
უამბობენ-ყე და იცინებენ-ყე, რო ერთ ეგეთ საუბარი უბნია ხანსა.
ეს ძრიალ ემერი.

12. ქორწილი. და, აბა, ეს, რო ბატონო მაგალი რო მამთხოვა
ჩემ ქორწილი და ნათხოვნი რო მითხოვნია, ესეც უნდა უამბო მე.

მე, იმაში, რო სოფელჩი მოსწავლებელი ვიყავ და ჩემ დედა და
მამაცა მეზნებოდეს ჰარ დღეთ, რო უნდა დაგაქორწილოთ, უნდა დე-

დაკაცი შავრთოთ. ვთქი; რო: „მე არ მინდა ჯერა. მე მინდა წაადე...
დემ ვისწავლო დარსი, მინდა წაადე დიდ სოფელში, თეარანში. და
იქა მოსწავლებელი ვიყო და ჰამაცა სალომოს წაადე...
დარს ვისწავლო“.

ბიზლირთქ

მითხრეს: „ალარ გინდა, გიკმარა-ლა. თორმეტ ქელას გიკითხავ და
გიკმარა-ლა. არ გინდა-ლა, რას აქნევ-ლა. ეხლა ჩონთანა ხარ და სო-
ფელში არ გინდა“. ვთქი: „არა. უნდა კაცმა, რაც რო გომოუდაწინ წა-
ადეს. უნდა გაავოს სუ რამე, ის-ლა, რო ხალღ გუჯია, უნდა ადამიან-
მა გავოს, ესმოდეს, ჭკიანი იყოს. არა, მე არ მიკმარა, არა!“.

ემათ ძალზე დამადგეს და ის იყო, ჰათა იგრე იყო, ჩემ დედამ და-
მაფიცის-ყე, რო უნდა შენ დედაკაცი ითხოო, ნათხოვნი ითხოო.

ვთქი: „არ არი. ის ყორ, რო მე მინდა, ექ არ არი“. თქო: „არა,
არი. ბევრი არი. აბა, თქი, მინ გინდა?“

თა ის იყო, რო ერთი ისპნელი იქ იყნეს, იქა. ის ბიჭი ჩემ ოლტა-
ში იყო და ერდგან დარსა ვკითხოვდით-ყე, იმაში ისპანს დარსა ვკი-
თხოვდით-ყე, ერდგან ვიყნევით. იმას ერთი და ჰყვანდა. (ისპანში
სწავლობდი?). ისპანსა ემე დანეშარაჩი ვიყავ. ათსა და თერთმეტსა და
ემეფსა ანქა ვკითხოვდი მე. ისპანსა ვკითხოვდი. სოფელში თა ცხრა
მიკითხავ. ცხრა-სა-ყე მეტი ალარ იყო სოფელში, იმაში.

ეხლა კი ჩემ მამასა ძრიალ იმის თავი უყორდა, რო თქის, რო:
„უნდა შენ ოლტაშის და შავრთო. ძალიან დიდ ყორია და დიდ ყორი-
ცა დიდ ყმაწილს მაყვანს. და რო დიდ ყმაწილები ჰყვანდეს, ეს ყორი
შავრთე დიდი“. და ეხლა კი, მე ვთქი, რო: „არა, მე არ მინდა“. და
იგრე იყო, რო ერთ დღესა ის ბიჭი ჩონს ყონალი იყო.

(შენ იცნობდი იმ ქალს?). იმ ქალს ვიცნობდი. ძალიან ემე დახა-
ტულიც იყო. ლამაზი იყო ძრიალა და წითელ ლოყები და დიდი და...

ეხლა კი, იმასაც ძალიან ჩემ თავი უყორდა. იმ დასა უყორდა ჩემ
თავი. და როს საძლა დავსხდით-ყე, მათორიალებდის-ყე, მიჭრე-
ტდის-ყე, იცინოდის-ყე და უხაროდის-ყე. და ვალი მე ამის თავი რო
გნახე-ყე, რო სუ ბიჭთან გააციინის-ყე, მა სხო ბიჭიც რო ნახის და გა-
აციინის-ყე და მე გავხედი-ყე, ერთველ დამახე და იმისთი არ მიყორ-
და იმის თავი. და ის იყო, რო მე ის არ ვიყაბულე.

ილ იგრე, ილ ბიჭი, რო იმ ღამეს ჩონს იყო, ჩემ მამამ თქო, რო:
„ხობ, შენ რო ჩონთან ერთადა ხარ და ძრიალ შენ თავი გუყორს და
ქენაც ჩონ თავი გიყორს-ყე და თუ ეს ჩონ ბიჭიც გიყორს-ყე, ქენ ყო-
რი უნდა მიჰყეთ ემასა, შენ და“.

ემას ძალიან გოხარდა, ემ ბიჭსა. ემ ბიჭსაც უყორდა ჩემ თავი
და თავის დედასა და ემ ძმეფსა და სუს უყორდა. ისპნელი იყო თავის



ემე. ვთქი: „არა, არ მინდა. მე მინდა, რო ერთ ქართველ ყორი შაბრ-
თო“.

ის იყო, რო გადარა... (ის ქალი ქართველი არ იყო?). ის ქართველი არ იყო, არა, ისპნელი იყო ისი.

ეხლა კი, იმამ რო გადგო, იმ ბიჭმა, ღამითა მე მუელ ჩემ დედას უთხარი, რო: „ჩემ მამასა ის ყორი თავისთი უნდა, თუ ჩემთი უნდა“. ჩემ დედამ თქო, რო: „არ ვიცი“. ხობ. ადგა და ჩემ მამას ეშულლა: „შენ რა ჯელი გაქ, კაცო! შენ ბიჭსათი გინდა დედაკაცი, თუ შენთი გინდა? თუ შენთი გინდა და შენთი შაბრთე. და თუ შენ ბიჭსათი გინდა, შენ ბიჭი უმბოფს, რო, მე არ მინდა ესე, მე მინდა ქართველის ყორი შაბრთო“.

გადარალა ესე, გადარალა. და ეხლა კი, ერთ დღესა, ურთი, რო ჩონ ბიძაშვილები, ჩონს იყო. ისი ნაჯარია, ნაჯარი, მანი, კარს აკეთეფს, ჯოხის კარეფსა და იმას აკეთეფს. ის ჩონს იყო და ექა ჩემ დედამ თქო, რო: „ბიძაშვილო, ჩონ ბიჭი არ ვიცი, რასა ფიქრავს. ეს უმბოფს, რო მე დედაკაცი არ მინდა. და, აბა, ემას ერთ რამე გავგებინე. ემას არც რა ესმის“. და ამამ გედმეკიდა და თქო, რო: „ბიჭო, ჰო, შენ-ლა დიდი ხარ, თზღასამი წლისა ხარ. ეხლა უნდა დედაკაცი ყუანდეს“.

ვთქი: „მე არ მინდა, ბიძა, მე არ მინდა. მე ეხლა დედაკაცი არ მინდა. მე მინდა წადდე თეგრანჩი, დანეშგაჩი, ვიკითხო დარსი ჯერა. მე თერთმეტი-თორმეტი ქელასი არ მიკმარა. მე მინდა ვიკითხო. ექამ-დი, ხო, ემ გორების შუაზე ვიყნევეთ და არც რა არ გოქონდა და ეხლა რალა, რო ნამაა მამლეჭათი შუქნია და სულა წინ მიდის-ლა და მოჰანდესი კეთდების და დოქტორი კეთდების, ჩონ არ უნდა უკან დაეცივდეთ, არ უნდა უკან დავვარდეთ“.

თქო: „არა, ის დედაკაციცა ყუანდეს, ჰამაც გამოგივა, რო მოჰანდესი შაქნები, დოქტორი შაქნები. დედაკაცი აყუვა და წადი!“

ვთქი: „ხოზ, აბა, ის ყორი!“. ადგა და წამიყვანა და მითხრა, რო ის ყორია. მაჩენა (ვინ იყო ის ყორი?). ისი, ერთი მირზა მაჰამადი ჰქიან, იმის ყორი იყო. (თქვენ სოფელში?). ჩონ სოფელჩი.

მიველ და ეს ყორიც მე ჯერ არ მენახა. მე სუ ყელგან შნლოდი, მოდლიოდი, ეს ყორი არ მენახა. მივხედე, ბაბტა იყო ჯერა, ცამეტი წლისა იყო. მივხედე და ძრიალ მე დახატულად მამივიდა და ძრიალ ხოშად მამივიდა და ის იყო, რო ვთქი, რო: „ხო, მინდა მე ემის თავი“.

მიველ და ჩემ დედასა უთხარ, რო: „მე იმით ყორი მინდა“. და იმამ თქო, რო: „ხო, გითხოვთ“. მანი, წავალთ, დავნიშნავთ. და მე ვთქი, რო: „მალე, ძალიან მალე წათ, დანიშნეთ“. თქო: „შენ, ხო უმბობდი, რო მე არ მინდა ანსი“. ვთქი: „ხო, ანსი, ის დედაკაცი, მე არ მინდოდა და ეხლაც, თუ დემესხნებით და არ მეტყით, მე არ მინ-

და ელა. და თუ გინდა-ყე მითხრათ, მე ანს მინდა და თუ ანატიც გაა-
დალა და სხომ დანიშნა და აღარ მინდა“.

ის იყო, რო ემათა, ადგეს და ჩემ აღადია, თავის ძმა, ჩემ ღვინა, თავის ძმა, — დედას ძმას დაეძახით: აღადია, — თავის ძმა მიგზავნა იქა, რომის მამასთანა, რომ უთხრეს ემასა. იქაც წაადა. იმათ ძალიან გრხარდა-ყე. იმისთი, რომ ჩონ ჯერ სოფელჩი ჩონ პირველად თორმეტ ქელასებ გოკითხა და ძალიან უყორდა ჩონ თავი ამ ემ ჩონ შვილეთსა, ჩონ ბიჭეთსა, ემ ჩონ ჯეაღეთს. ეხლა ესეები პირველად არიან, რომ თორმეტ ქელასი უკითხავ-ყე და ჰქიანები შაქნილან და ყორს ჩონა. კარგად, მისთანაც მიწით-ყე, ყორს მოქცემდეს ჩონა.

ის იყო, რომ ამათ ყორი იყაბულეს და დავნიშნე. დავნიშნე-ლა და ის იყო, ერთ წელ ნახევარ ეს დანიშნულ იყო, ჩემ ნათხოვნი იყო. (თქვენ განა „დანიშნულს“ ამბობთ?— „დანიშნულს“ არ ვიტყით-ყე ჩონა).

ერთ წელ ნახევარს ჩემ ნათხოვნი იყო. მე ძრიალ მიყორდა. პარ ლამეთ იქ ვიყვი-ყე, მანი, სუ ლამეს წაადი-ყე იმით სახჩი. და ერთ, ელეგრე, გაზი, ერთი შირინი, ერთ რამე ადლი და ვიყიდი-ყე დუქანსა-ყე და ადლი და წაადი-ყე ექა, რომ დავსხდეთ ერთმანერთის გერდითა და შავკამოთ და ვიცინოთ და ვიბნათ.

ეხლა კი, იმაშილა ბაატა იყვის-ყე და იმას ელა არც რა არ ესმოდა. მიპრეტდის და იცინოდის-ყე და ილიგრე ის არ იყო, რომ იმამა გემეხუმროს და მა იცოდეს რამე და მეც ელა ეგრე არ იყვის-ყე, რომ ძრიალ გახუმრებად, ისეები. მეც პირზე არ მამდიოდის-ყე, პირზე არ მამივიდის-ყე.

ეხლა კი, ჩემ დედამ მითხრის-ყე, რომ: „ის აღარ... იმ დღეს უმბობდი, მე ასლან დედაკაცი არ მინდა. ეხლა პარ ლამეთ იქა აგდისხარ, შენ ნათხოვნიანთასა“. ვთქი: „ხოზ, მე უნდა გააღე, უნდა ვიცოდე, აბა, ის რას იქს. იმამ იცოდეს, აბა, მე რას ვიქ. ელ ეგრე უნდა იყოს: ნათხოვნი ნათხოვნიბა ეს უნდა იყოს“.

დედაც არა ჰყვანდა იმ ჩემ ნათხოვნსა, ძმები ჰყვანდა. და თავის ძმებიცა ექ არ იყნეს.

და ეხლა კი, თავის მამას ერთ მეგორე დედაკაცი შერთო. ის მეგორე დედაკაციცა ელა ქართველ იყო, ის აველაცა დედასაყე ქართველ იყო. იმ ჩემ ნათხოვნის დედა დედასაყე ქართველ იყო, თავის მამაც ელა დედასაყე, ემე იყო, ქართველი იყო. და იმაში არ ვიცოდი მე ეს, რომ ცარილა ქართველი არ არი. მე მეგონა, რომ ქართველნი. იმაში-ლა, რომ ვიკითხე, იმაში თქეს: „არა, ესენი ას წელი, ას ორმოც წელია, რომ მოსულან ჩონ ქართველეთჩი და ექა თავის დედა და დიდ-დიდა და ესეები ამ ქართველებია. იმაში მე გააგე, იმის უკანდა, რომ

ქორწილი ვქენი-ლა და ჩემ დედაკაცი-ლა რო შაქნა, ჩემ ცოლი-ლა
რო შაქნა, იმაში მე მიამბეს, რო ესენი დედით ქართველნია და ასოც
წელს ემისყე წინა ესენი შამოსულან ექა, სოფელი. ეხლა ისპანელნია,
მა ქურთნია თავით ემე, თავით ბოლოს და ბოლოს, თავით რომეცა
თია, მა ისპნელი. ეხლა კი, იმის უკან-ლა, ხობ, ერთი ყმაწილს მცხადს, მცხადს

ბაატა იყო ჩემ დედაკაცი. ცამეტი წლისა იყო, რო მოაყვანე
ჩონსა. ცამეტი წლისა და ნახევრისა იყო, ის რო მოაყვანე. იმაში ჩემ
მამამ თქო, რო: „ქორწილი არ გუნდა-ლა დაჰქიროთ-ლა, რა არი ქორ-
წილი“. ვთქი: „როგორაც შენც გინდა“. და ჩემ აღადიებმა და იმებმა
თქეს: „არა, ესე მოსწავლებელია და უნდა ემასა... ეს დიდი კაცია და
ემას არ უნდა ეგეთი, არმინ არ გააგოს და ახანძალი მააყვანოს. უნ-
და მენაღარე მააყვანოს და მესტირე და ეხლა კი სამ-ოთხი ღამეს,
ოთხ-ხუთი ღამეს უნდა სადილი და ვახშამი ქართველები დავყონა-
ლოთ-ყე, მოზობლები და ბიძაშვილები დავყონალოთ-ყე“.

და, ეხლა კი, ილ იგრე ქნეს. ჩემ მამასაც იმაში ერთი მარიზობა
ქონდა, სარათანი, და ხობ იმაში ეგრე უხაროდა, რო ჩემ ქორწილია,
ვალი, გულჩი, ხობ, გუნება იგეთ აღარა ქონდა, ელა ნარაპათ იყო,
მარიზით იყო და იცოდა, რო არ გომოუყვა, მოკდების. ჩუნ სარათა-
ნი, ხობ, ის მარიზობარი, რომ მაკლავს აღამიანსა³.

ეხლა კი, მე ჩემთი... იმ ღამეჩი, ოთახჩი სუ ჩონ ბიძაშვილები
იყნეს და მოზობლები იყნეს და სუ ქართველები მეტობ იყნეს. სამ
ღღე და ღამესა ჩემ ქორწილ იყო: მენაღარე და მესტირე, ესები იყ-
ნეს ბევრები.

იმაშინა, რო ქორწილი-ლა მქონდა, დავპატიყეთ-ყე³ ხალღი,
მანი, დავყონაღეთ-ყე, ჩონ ვიტყით: დავყონაღეთ-ყე. ბიძაშვილები,
მოზობლები, აღადიები, მინაძ-ლა, რო იყო ჩონ ქართველები, იმეფ-
თან წასლა-მოსლა გოქონდა და იმებმაც, რო ჩონ დოგყონალიან-ყე.
ახირ იქა ეგრენ არი, სოფელიც გადიდებულა, ბევრ ხალღია შიგა.
ათიათასილა შაქნილა სოფელიჩი ხალღი და არა ქნდების ათი ათას ხალ-
ღი ერთ სახჩი, ორ სახჩი, სამ სახჩი დაჰსო. ის არი, რო, ის რო, მასა-
ლან, მე მაწევს და დამყონაღავს, მეც იმას დავყონაღავ.

ეხლა კი, სამასი, ოთხასი ხალღი ჩონა ყუანდა, ჩონ ოთაღეფჩი,
სახლეფჩი.

ეხლა კი, ჩემ მამასა, რო მარიზ იყო ისი, ხობ, მწოდოდა-მოადო-
და, უხაროდა, ძრიალ უხაროდა ჩემ ქორწილი. იცინოდა და ეხლა კი, მე-
ცა ღამით იგრე იყვის-ყე, წაადლი-ყე თორენესთანა, ჯორცს რო ვხარშე-
ღით-ყე, ბრინჯს რო ვხარშეღვით-ყე, ხორემტს რო ვხარშეღვით-ყე,
ჩაძლა რა, რაძლა რო იყო, და გუნდოდა, მე დავადგი-ყე თავთა-ყე და

ვემელებოდი-ყე ღამითა. შაქნის-ყე, რო იმ ღამის არ დადინი-ყე მე, თა ის იყო, რო ყონაღები გააღდინეთ.

ეხლა კი, სამ დღე და ღამესა ჩემ ქორწილ იყო. მენათარე და მესტირე უკრევდეს და იშუშრობდეს და ნამ მაგონდების, ჩემს მამა და მამა ჩონ რეასეძარპანვი სოფლისა და მო'ალემები, რო მოსწავთქვენი იქნენ, სუნივენი, ჩემ ოლტაშები იქ იყნეს. სუნივენ დადგენ, იშუშრეს. რეასეძარპანვმა იშუშრა, იმ სხოებმაც იშუშრეს. ეხლა კი ქორწილი-ღა რო გათავდა, ახანძალი უნდა მაყყვანონ, ახანძალი, წაადგენ, მაყყვანონ...

ჰა, ესეც მაგონდების, იმაშინა, რო მიველით, უნდოდა, რო ქები-ნი გაჭრან, აანი, იქდა, რო უნდა ჩაპწერონ-ღა ამის სახელი, ჩემ დედაკაცის სახელი და ჩემ დედას სახელი და ჩემ სახელი, იმ დაქთარჩი, იქ, რო მიველით, ყორის ბიძაშვილები და ყორის გვარები და ჩემი სუ იყნეს ერდგან, დასხდომილ იყნეს და ბერ-კაცები, დიდრონ კაცები, სუ, ბაატა, დიდცი, სუ. კაცები ცალკე, დედაკაცები ცალკე. მოადა, ის, ილ ბიძაშვილმა, რო მითხრა, რო უნდა ნათხოვენი ითხოვო, დედაკაცი უნდა შაართო. ილ იმამ მოადა, ჩემთან თქო: „რეზა, ადე, მოდი-ღა, ახლა უნდა შენ სახელი და იმ შენ დედაკაცის სახელი ჩაპწერონ იქავთქი: „კი, მუალ“.

ერთ განიარ ნიფხავი, მაგონდების,—ჩონ ექა განიარ ნიფხვები ჩააღმთ-ყე,—განიარ ნიფხავი ჩემეცო და ძრიალ ჩემ თავი გემეკეთა და თმები და აბონეჩი წასულოყავ და გაკეთებულოყავ, გადახატულეზულოყავ და ავდექ და მევედევენ და წაველ. წაველ და, ხობ, მეც იქა, იმ წინ, მაგონდების, რო ბიჭები, რო წაყყვანიან-ყე, რო თავის სახელი ჩაპწერონ იქა, იმალებოდის-ყე, იგრე კაცის უკან დადგის-ყე, იმალებოდის-ყე, რო ხალღმა არ დაანახოს. (ვინ იმალებოდა?). ის სიძე, ის ბიჭი, რო უნდოდა ქორწილი ჰქონიყო. ის მევორე, ის სხო. სხოს გაფი მაქ მე, ჩემი არა. იმამა, რო წაადის-ყე იქა, წაადის, ერთ კაცის უკან დაჯიდის-ყე, რო არ დაანახონ. პირზე არ მაადიოდა, „ხეჯალათ მიქაშიღ“²⁷. ეხლა კი, იქა მოადიან და უთხრიან-ყე: „თუ ემზა იცი, ემზა ქენ, თუ არ იცი, თითი დნსი“. და იმალებოდენღა და პირზე არ მაადის-ყე. იმისთი, თა იმ დედაკაცის მამაც იქ იჯიდის-ყე და იმასთან პირზე არ მაადიოდის-ყე და თავის მამასთანაც პირზე არ მაადიოდის-ყე. და მე ეგრე აღარ იყო. მე, ახირ, დარსი მეკითხა, და ის არ იყო, რო, ის დაამალო. ანქ იგეთ რამე არ იყო, რო, სუმ იცოდა და დამალვა არ უნდოდა. მე მიველ და წაველ, სუსაყე ზემოთ დავჯე, ბერიკაცეფთან ზემოთ დავჯე. იმ კაცმა, იმ მოლას ემამ, რო ელა ქართველ იყო, ყურჩი მითხრა, რო: „ბიჭო, რასათი იგეთ ფორრუ ხარ, პირადიანი ხარ შენა? იქა, შენ მამა ანქა ზის, შენ დედაკაცის მამა ანქა ზის, დიდრონი კაცები,

ქართველები ანჭა სხედან, შენ ბიძაშვილები“. ვთქი: „იყოს! მაგარი მე მოკობრობაზე მოსულვარ, ძანი, მე კაცი მამიკლავ? მე მოსულვარ ქორწილი უნდა ვქნა. მე მინდა ექ დაეჯდე, სუმა მნახოს, მე დიდი კაცი ვარ“.

ივინა და ამ სხოებმაც ივინეს. ეხლა კი ამ ყორის ემეფსა ვთქო-ყე, რო.—ყორის მამასა და ემეფს, ეთქო-ყე ამ მოლასათი,—რო ჩონ რეზას მამას უთხარით, რო ერთ დანგი სახლი, თავის სახლები და სამი ათას თუმანი თავის ქებინჩი ჩავდოს. და ჩონ რეზასათინაც მალვით გუთქომ, რო ხუთი ათას თუმანი ჩაჰწეროს, რო თავის მამამ არ გადგოს. იმ მოლამ მე მითხრა, რო, ეგრენ არი, ყურჩი. ვთქი მე, დააკილე მალლა, ვთქი: „არა, მე ჩემ მამას მალვით არც რას არ ვიქ. მე რაც, რო ჩემ მამას უთქომ, იმის კარგია. მე, ჩემ მამამ თუ თქოს, რო არც რა, არც რა არი და თუ თქოს, რო ათი ათასი, ჩავწერავ“.

თქო, რო: „ახირ, ნამაძ არ არი, კარგიძ არ არი ეგრე. აბერუ დეგ-ელრების-ყე, ნამაძ არ არი, ხალღმა გადგოს“.

სუნივენთ გადგეს. ემ ჩემ ბიძაშვილებმა, ქართველებმა,—ეს სხილ ხალღები, ქართველები იქ ისხდეს, ანქ სუ ქართველები იყნეს, იქ ისხდეს,—სუნივენთ გადგეს. ამამ თქო, რო: „რა არი?“ და ემამ თქო, რო: „რა არი?“ და „ეს რა იყო?“ და „ყურჩი საუბარი რა იყო?“ და ვთქი, რო: „ეგრე უმბოფს ესე. აბა, რას უმბოფს ესე, ეს ქენ ჰქუოსთან ახლორი“. თქეს: „ხო, აბი არა აქ, რამე არ არი. ეხლა მიაწერე ხუთი ათასი, რამე არ შაქნების. შენ მაგის დედაკაცი რო მოგყაუ. გინდა გამაგლო? რო გეშინია, რო ცოტა იყოს“. ვთქი, რო: „არა, ჩონ ქართველები, ხო ივით ქენთი, დედაკაცს რო მოყვანთ, გამოგდება შუაზე არ არი. მაგარ როგო უნდა შაქნეს“. და თქო, რო: „ხოძ. მიჰწერე“. ვთქი: „არა, აბა, მე მითხარით, რითი ეგ საქმე უბნია-ყე. მე ჩემ მამას მალვით არც რას არ ვიქ“. თქეს: „აბიია. შენ მამაცა არც რას არ იტყის. შენ მამაც, ხო, აძ ექა ზის“. ის იყო, რო ვთქი: „ხო, ეხლა, რო ქენ ქართველები მე მეზნებით, ჩემ ბიძაშვილები ხართ და ჩემ გვარები ხართ და ესები, მე ქენ გაფს ორს არ შავიქ. ხუთი ათასი, ხო რამე არ არი. ას ათას მე მივწერავ, რო გადგოთ, რო მე ეს რამე არ არი, ვალი, მალვითა და ჩემ მამას მალვითა ეს გაფები არ უნდა სოჰბათები იყოს. რითი ეგრე!“

ეხლა კი, ემათა თქეს, რო : „მამუნ, ძანი, მადლობელნი ვართ. შენ ჰკიან ბიქი ხარ და გუყორს შენ თავი და ჩონ, ჩონი ხარ და იმისთი მიჰწერე“. მე ვთქი: „ხოძ, მივწერავ“. ის იყო, მივწერე და თქეს, რო: „თითი დწი“.—ამ მოლამ მითხრა. ვთქი: „შე ვირო, მე თორმეტ ქელასი მიკითხავ. თითი როგო დავასო!“ და გადცინეს სუნივენთა. ბევრი ვი-

ხუმრეთ, იქ ძრიალ ისი, ემე შაქნა, ბური შაქნა, „მანი ხით შოღ“
(„ბური“ ქართულია?) — არა, „ბური შოდ“ — ქარსულია.

ეხლა კი, მელა მიეწერე, ეშხა ვქენ-ლა და ავდე-ლე უნდა გამოდდე, ემ ემემ მითხრა, რო, იმ ჩემ დედაკაცი მითხრა, რო, თქო, რო: „კაცი ხო ხარ, სიბილეები ხო დაგიგდია, ესე-ბი!“ ქართულად რას დააძახიან? (ულვაში). ხო. „ულვაშიც ხო დავიგდია და კაციც ხო ხარ?“ ვთქი, რო: „თოლები დაგიდგეს შენა, დაპქორდე ჩემ ულვაშეფსა-ყე, ჩემ სიბილეფსა-ყე. შენ კაცი არა ხარ, რო დაბერებულხარ და ერთ ეგეთ სიტყოები და ეგეთ ლაპარაკები გა-ყე, რო ხალღმა დაქცინოს-ყე“.

ეხლა კი, ავდექ და გამუელ. გამუელ-ლა საღამოსა, იმ საღამოს-ლა ჩემ ახანძალი მაყვანეს, ნათხოვნი, ჩემ დედაკაცი—მაყვანეს. და სენალარე და მესტიარე ანქ უკრევედეს და იმ წინასა ჩემ დღები შუშპრობდეს და... დღები ხო იცი, რა არი? ჩემ დედია,—„დედია“—დედას ემე იყოს, „დედია“ ჩემ დედას და შაქნების,—ესები. და ეხლა კი, ჩემ მაშიდები და ესები, სუ, ჩემ მაშიდას ყორები და ესები კითხობდეს და შუშპრობდეს და ბევრ იყო.

მაყვანეს, შამაყვანეს და მეცა შუშას უკანა, ერთ კარის უკანა დადგომილიყავ და გავქრეტდი, დამალულიყავ. გავქრეტდი, ჩემ ნათხოვნი რო შამაყვანეს. ეხლა კი, რო შამაყვანეს, ერთ რამე გედეფარა-ყე და ერთ ტანისამოსი, ახალ ტანისამოსი ჩუცო და ერთ რამე ზედ თავზე გედეფარა-ყე თხელი, რო ხედევედეს მითმე გარეთობასა. ერთსა თავის ძმას ანქით ჳელზე მუქიდნა თავის დასათი და ექითაცა ემ ჩონ სიძესა, ჩემ დას ქმარსა ჳელზე მუქიდნა. და ემ წინას ერთ სარკე ექირა-ყე ახანძალის წინა და ერთი ჩირალიცა. (ვის ექირა?) — ერთი დედაკაცსა. ერთი დედაკაცი ემ ჩონ გვარეფსა-ყე. ჩონ ჭამილსა-ყე. ერთ სარკე და ერთ ჩირალი წინა.

ახლო რო მოდდენ კართან, ჩემ დიდიდამა გაადა და, ეხლა კი ერთ ნაყრი ფული,—ფული იცი, რა არი, ხო?—ხურდა ფული: ერთრიალა, ორრიალა, ხუთრიალა ეგეზადები თავზე დაყარა და ეგრე თავზე დაყარა და ჩაყვანა და ხალღმა არჩივა, ერთ ნაყრი ხორბალი ვადაყარა და ერთ ნაყრი შირინი თავზე და არა ესე ფორტუზ იყოს, რო შამუა. მანი, ჩონ ეგრე გუყორს ესე. ეს ახანძალი ეგრე გუყორს, რო ჩონ ფულს ვაყრით თავზენა და შირინს ვაყრით.

ეხლა კი, შამაყვანეს და იქ რო მოადა, კართანაც რო მოადა, ჩემ მამამ ერთი ყურანი მიპცა და თქო: „ეს ჩაადე ჳიბეჩი, გაქონდეს“.

ეხლა კი, შამაყვანეს და იმაში კაცებმა რო გაადეს-ლა, კაცებმა გაადეს, ცოტა ჩონ სიძემ-ლა და ჩემ ძმამ და ჩონ ახლო გვარები-ლა

ფამილები, ისები-ლა დაცივდეს და დედაკაცები იუნეს ბევრები. (და-
ცივდეს“ რას ნიშნავს?)—დაცივდეს, მანი, დადგეს ჩონსა.

ღამე რო შაქნა, ავდექ, შაველი იმაჩი, სახჩი. სახჩი ეხლა კი, დედაკაცი, რო მაპყოლიყო ამ ჩემ ახანძალსა, თქო, რო: „ადე ფეკზე, შენ ქმარი შამოდა, ადე ფეკზე!“

წამოდა და გააციუნეს. ვთქი: „რამსთი უთხარ. დაჯიდეს, დაჯიდეს“. და დედაკაცებმა გააციუნეს, თქეს :...ა. ნახე როგო ფორური“. ვთქი: „მე არ მიცნოფთ და ემას არ იცნოფთ? ახირ რად უნდა ფეკზე ადგეს! დალონდების“. და გააციუნეს სუნივენთა.

ათი სათი-ლა რო შაქნა, გაადა სუნივენი- გაადა. სად ვიყავ? (აი, რო შემოიყვანეს პატარძალი).

პა. შამაყვანეს და ეხლა კი, ღამე-ლა რო გაადეს, ამებმა... ხობ, იმაში-ლა შემევეყარენით ერთ ოთაღჩიკა და ვიბენით ბაატახან მე და ჩემ ახანძალმა. (მარტო?) მარტო. მარტო შემევეყარეთ და ეხლა კი, დავსხედით და ვიბენით და ვიციენთ და გუხაროდა-ლა, რო შამოყრილი ვიყენევით, ერღვან ვიყენევით. ის იყო, რო, იმის უკან-ლა, ხობ, ძრიალ უყორდა ჩონთავი და ყმაწილი იყვის-ყე, ბაატა იყვის-ყე. იგეთი არ იყო, რო სუ რამ იცოდეს და ხობ, წყნარ-წყნარად ჩემ დედამ ასწავლა და ჩემ დიდიდამ ასწავლა და. (რამდენი წლის იყო?). ცამეტის და ნახევარი, თოთხმეტი რო შაქნილიყო.

ეხლა კი, იმის უკან, აღან, იმის უკან, რო შიდი წელი მიდის, მე სამ ყმაწილი მყოლია. ერთი, ის პირველა ყმაწილი, რო ძრიალ ჩემ დედაკაცი ბაატა იყო, ის, ხო, შიდის თისა იყო და ის მოკდა. დააბადა და ძრიალ კარგი ყმაწილიც იყო და მოკდა ისი. და მევორეც, რო აღანა მყაჟ და ქურუშა ჰქიან, ისიც ელა იმაში, რო დააბადა, ძრიალ ბაატა იყო, იქსიდე იყო, რო ძუძუს არ იჭერდა პირჩი. ის იყო, რო იმის უკან დაპკირა ძუძუ და წყნარ-წყნარად გააზლო და ხობ...

ეხლა მესამეცა, რო თეარანსა მყუანდა, შარშა მყუანდა. თეარანს დააბადა ისი. და ის თეპრანელი, ეს ყმაწილი. ანს არა, ანს პირველა, პირველი ის ერთი ხო მოკდა. ის მევორე, რომ მყაჟ, ისიც სოფლე-ლია, მევორეც ემწრი. ეს ჩემ ქორწილის ემე იყო.

და მევორესაც ქუშანა ჰქიან. ბიჭია. ორნივენი ბიჭნია.

ქუროში, ეს სახელი, წინა, იმისყე წინა ჩონ ირანჩი ერთი ყვანი ყოლია, ქუროში პრქმევი. ძალიან დიდ ყვანი ყოფილა და ჰქიანი და მამლეჭათი ძრიალ გოკეთებია და ხალღი ჰყორვებია და ნამაჟ ყოფილა. ეს იმისთი, რო გუყორს, სახელი დამირქომ—ქუროშა.

[13. ს ა მ ქ ე დ ლ ო]. ჩონ ანქა აპენგარი რო ყოჟ, სოფელჩი ლაფაქი გააზიდინან... (მკუდეღს არ ეძახით?). არა, კედელი არა. აპენგარს დაეძახით.

ეხლა კი, ისინი ლაფაქი, გუთანი რო უნდა ოღვას და გუთანს უნდა შამუაცოთ და, მანი, გუთანს უნდა შამუაცოთ... (იკრისის -ყრალ სიტყო ვთქი?)“. ეხლა კი, ესე—წეტია. თავის ერუქრე წაღწეტია, ერთ კარაზე წეტი არ არი. ის, ლაფაქს რო შეგეჯეჯეჯეჯეჯეჯე კარაზე —წეტია. წეტი, მანი, ნოქთის. „წეტი“ გურჯიე²⁹ წეტია, რო, ესე მიწაჩი ნამა წაეა, მიწას ნამა გაპჭრის და წაეა, ეს იმისთი.

და ყაზმა რო უნდა გავაკეთოთ,—ყაზმა, მანი, ქოლნგ,—ყაზმა-საც ილ იქ გავაკეთეთ, ქულუნგსასაც და ბარსაც. ქოლნგ—ჩონ ვიტყით, რო „ქულუნგი“³⁰. ქულუნგი — ერთ ყაზმარი, რო ორივე კარაზე აქ, ჰამ ანქით აქ, ჰამ ექითა.

ეხლა კი, ბარსაც ილ იქ გუგუკეთებენ-ყე, ილ ის აპენგარი. ფიწალი, ფიწალი იცი რა არი, ხო? ფიწალსა ელემეფსაც ისეგი გუგუკეთებენ-ყე. აპენგარი. (რა არის ფიწალი, თქვი!)—ფიწალი ის არი, რო ჩონ ყანასა კალოზე რო მოატანთ, იმითა გადაეყრით-გადმოეყრით, შორეეთ ყანაჩი ბზესა. ფიწალს ორთითი აქ, სამთითი აქ, ოთხთითი აქ, ხუთთითი აქ. ეგრე. იმას ფიწალს დაეძახით. კინასა-ყე გაკეთებენ. ჭოხის ემეც გოქ, ფიწალიც გოქ, ჭოხისაც გოქ, რო ჭოხისა სუბუქია.

ეხლა კი, ნიჩაფი. ნიჩაფი ხო იცი? ნიჩაფი ჭოხისა გოქ, რო იმით კალოზე ჭენქსა, ხორბალი რო არი, და გუნდა შავებოთ. თოვლი, შამთრის რო თოვლი მუა გომებზე, იმ ნიჩაფით გადმოეყრით. ემე გოქ, რა ჰქიან, ერთიც გოქ, რო ერთ სხო ნიჩაფია, რო იმას დაეძახით,—არნადი. ესეცა ვძელია. იმითაცა ცოტა თოვლი რო მუა, ფირფ-ლი თოვლი რო მუა, ცოტა თხელი, იმით გადმოეყრით და ბევრ თოვ-ლი რო იყოს, ემ ნიჩაფითა ჰამ მოეჭრით და მოატანთ და გადაევა-დეფთ ქუჩეფზე.

(სამშედლოში კიდევ რას აკეთებთ?). აპენგარი, მასალან, ერთი ღინას რამე გატეხილი იყოს, ერთ ზინჯირი რამე გატეხილი იყოს. მიხ-საც გაკეთებენ იქა. (ქართულად ილაპარაკე!)—ქართულად, ელა დიდ მიხეფსა, მიხია და მიხს დაეძახით! დიდ მიხეფსაც გაკეთებენ-ყე, რო ერთველ, რო უნდა, რო ერდგან განიარ კედელი რამერი, დონაყონ, ემ მიხეფს ისეგი გაკეთებენ. სხო რამე აღარ ვიცი, რაღას გაკეთებენ. მე აპინგარიჩი ცოტა ჩასულვარ. ცოტა მინახავ, რო, რას აკეთებენ.

(ცხენებს არ ჰედენ?) — ის არ მინახავ. (ვირებს არ ჰედენ?). ისი — ნალია. ჰა. ის აპენგარები, იმეფს დაეძახით—ნალბანდ. ნალბანდ, ისე-ბია, რო ვირის ფეჭეფსა, ჰელს და ფეჭს, რო ამაკენ-ყე,—თხელ კი-ნებია,—იმ თხელ კინეფსა და გაკეთებენ და ჰრეღეფს დოგდებენ. და ეხლა კი, ვირი, რო უნდა, მუშაოფს, იმეფს ამაკრვენ ძირზე და მიხს დონაყვენ იმ ნალეფჩი და გოკეთებენ იმ ნალეფსა ვირეფსა, რო ვირეფსა ჰელ-ფეჭი არ დოშარავდეს-ყე, არ გოშახმდეს, არ შექენს,



სისხლი არ გომრდეს-ყე და ნამაც გომრდეს-ყე, მარა, არ უნდა ვომრდეს-ყე. სავანეს რო აპკიდვენ ანჭით-ეჭითა.

ეხლა კი, ის ნაღბანდები ემეფსაც აკეთებენ, ლამგლეფსაც ლამგალი—რო ჩონ ყანას მოვითბაეთ. ლამგლეფსაც ისეები აკეთებენ და ნამა ლამგლეფსაც აკეთებენ ისეები. ისეებიც ემეზია, იმეფსაც აქენგარს დავძახით და ნაღბანდსაც დავძახით.

ეხლა კი, სხო რამე-ლა, აღარ ვიცი იმეზისა.

(თქვენ სოფელში მოლები ქართველები არიან, თუ სპარსელები?). მოლები არიან, კი, ქართველებია. მოლას ჩონ ახუნდს დავძახით. ერთ ორ-სამ მოლა ყოფ. ესეები ქართველებია და ესეები, ხობ გარეთ გამოსულან და სხო სოფელში დონწავლია-ყე მოლობა და იქა ქართველეთს ასწავლიან, მოლობას იქმენ. მოსულან, ყუმჩი დონწავლია-ყე. (ყუმში რა სკოლაა?) — ყუმჩი — ოლუმედინი. ძრიალ ნამაჩონ მიმლექაჩი. ყუმჩი სუნევენთ ნამა ემეს ასწავლიან, ოლუმედინსა. და მოლები, დიდ მოლები ყუმჩიგ არიან, ყუმჩი ცოცხლობენ. სოფელში ნამაჩს ასწავლიან, რო ღმერთსათი თავს დაძხრიან და, ადგებიან და დაძხრიან, ეხლა კი, იმას ასწავლიან ურუჯის დაქერასა. ოლაგეფს რა უთქომ-ყე, ფეღამბარს რა უთქომ. ურუჯი-ესე, რო დილობისა-ყე და სალომომღე არც რას არ შავქამთ და სალომოს პურს შავქამთ, ემას დავძახით — ურუჯი. (მეჩეთი გაქეთ?). მასჩედი? სამ-ოთხ მასჩედი გოქ და ოთხი მასჩედი გოქ. და ერთი მასჩედი, რო ეხლა ერთ ხიაბანქეშობა ქნეს. ხიაბანი გაკეთეს სოფელში; ერთ მასჩედი მოადღე ხიაბანის შუაზე, ის ადღეს, დაშალეს, დაფუშეს და ეხლა ერთი ძრიალ ნამაჩ მასჩედი, რო ბევრ ფული დონხარჯავ-ყე, გოკეთებია-ყე. რო კინას ქერი აქ, აჭურითა და სიმანით და რამით გოკეთებია-ყე, იმეზით გოკეთებია-ყე. დიდიც არი ხიაბანის პირზე. ეხლა აკეთებენ. არ ათავებულა, მე რო მუელ სოფელსა-ყე, ჯერ არ ათავებულიყო, ქერს აკეთებენ, თავის ქერსა. და არი. სამ-ოთხი არი. მოლებიცა ელა — ქართველები, ჩონ მოლები. ხო, რაზე-ლა, რა ვიბნა-ლა?

14. თ ე ბ ი. თები ჩონ ერთი გოქ ამოღლობაზე, ამოღლობას თავზე, რო ქალების (-ქალაზი) ქოფს დავძახით, იქ ერთი დიდ თარი, რო იმ თავზე ქამა და ალაფა და ბალახი... და ჩონ ცხორები ავლენ და იქ ძოვენ. სხო თები, ერთი სიხერი. სიხეც ხო უნდა იცოდე. დიდწერიც ხო იცი? ერთიცა გოქ, რო თათაშვილის გორა უნდა იყოს. ჩომ დავძახით „თათაშვილის გორა“. ესე. — ერთ-ორ ემ ქართველების სახელზედა, — ეს გორა.

ერთი — აღუნის გორა. აღუნის გორა წინაც მე მიბნა, როცა იქა-
ნები რო მოსულან და ქართველეს დროცავეყუ. მრავალ
დრწყეტია-ყე და იქ სანგარები გოქ, აღილები გრკეთებია-ყე იქა.
(„აღილი“ რა არის?). აღილს რა ჰქიან? ოზო. ჰა, ოზისაქქქქქქქქქქქ
ლა. იმას დაძახიან: აღუნის გორა. გორა ბევრი გოქ ქქქქქქქქქქქქ
გორა გოქ შავი, მანი, ის თავის მიწა და ის ქულები რო ყრია იქა, შავე-
ბია. იმას დაძახით—შავგორა. ერთს დაძახით—ნამაზის გორა. ეს ნა-
მაზის გორაზე ეხლა ბალები გოქ ზედა. ბალებია, ქართველის ბალები.
ერთი ბაბტა გორარი და არ ვიცი ეხლა, ნამაზის გორა რათ დორქომ-
ყე. წინა იქა, რო ჩონ მამულწყალი არი, იმის ანქით-ექითა, იმ გორას
ანქით-ექითა, უკანა და წინა გერდებზე და ეს ემები, რო რაათები და
ჰაბ, სალომოს, რო მოსულან, მევორე სოფელჩი რო შამოადენ და მზე
მოსულა-და, რო ჩაადეს და ნამაზი უნდოდა ქნას, სადილის ნამაზი და
ის, რო გზაჩი არი, და იმაში ნამაზი უქნია-ყე და იმისთი დორქომ-ყე
ნამაზის გორა. და სხო გორა მე აღარ მაგონდების.

15. წყალი. წყალი ჩონ სოფელჩი რაქთენ წყარო გოქ, რო ერთს
დაძახით—ქაპრიზი, მანი, ორ წყაროს დაძახით—ქაპრიზი. ერთს
დაძახით —თაჯილია, თაჯილია წყალი. იქაც ორ წყარორი. „თაჯ აღი
ესმე“³¹. ერთდგან არი, რო ცივ წყაროს დაძახით, ცივ წყარო, თავის
წყალი ძრიალ ცივია. და ჩონ წყარო ბევრი გოქ სოფელჩი. ხუციანთ
წყარო. ერთ წყაროც გოქ, რო იქ არი, რო ხუციანთ გვარების სახლე-
ბი არი და ეს წყალი იმით სახლებთან გამოდის. იმას დაძახით — ხუ-
ციანთ წყარო. ეს წყარო შიგ სოფელჩიგ არი. ერდგანაც გოქ. გელაზი
დაძახით. გელ აზი. დიდ წყარორი, რო ექ ბევრ წყალი გამოდის.
გელაზ დაძახიან. არ ვიცი, რაითი დაძახიან გელაზსა. ეხლა კი,
ერთ წყალი გოქ, ლაჩინანთ წყაროს დაძახით. ლაჩინანიც ერთ გვა-
რია, ელა, ემერი ქართველებია, რომ სოფლის ქომოთ არიან ერთ ცო-
ტლა, სოფლის ძირზეგ არიან. იქაცა ლაჩინანთ წყარო გოქ. და შიგ
სოფელჩი წყარო გოქ, ჰევ-ჰევ რო წამუა, ბევრ წყარორი. ბაბტა წყა-
როები, რო წყალები გამოდის. ახლა კი, სოფლის ანქით-ექითა და თა-
ვის მამული და ანქეთჩიგაც ხო წყალი ბევრი გოქ, წყალი ბევრი არი.
ანქით-ექითა სოფლის ქენარებზე და გავა ერდგანაცა, რო ლანგეჩემ-
მა — ერთი ბაბტა გორა არი; ბაბტა არ არი და ერთ გორა არი, რო
იმის ძირზე ბევრ წყალი გამოდის. არ ეტყობის, რო ეს წყალი საათ
გამოდის. რაც რო ქართველეს უთხრია-ყე თავის ზემოთა, იქ, რო
მიწები არი, იქ, რო გომოუვათ, იქა ყანა, რამე მოჭნან, ქეშაეარზობა
ქნან, რაც, რო ანქით-ექით უთხრია-ყე, რო მონახონ-ყე, აბა, ეს წყა-



ლი საბოლოო გამოდის, რო, იქ. ის ყანები დაჯნან და ქეშავარზობა ქნან ვერ მონახავ-ყე ის წყალი. და ექით უმბობენ-ყე, რო ესე დირსა-ნი გამოდის-ყე. დიდი წყალია. ივეთ დიდ წყალია, რო ვახაფხულ-ნა ფხულზე ივეთია, რო კაცი ვერ გრლის ემ წყალნი ზაფხულსუ. თაუს-ტანჩიაც არი. ვახაფხული—თაუსტანი შაქნების. ილ იმაში, ეს წყალი ერ ცოტა დაცოტავდების და, მე მგონია, რო ისი, თოვლი რო ზამთრის ბევრი მუა-ყე და წიმა ჩავა მიწას ძირზე და მიწას ძირზე წყალი რო დაქუჩდების, იქა, შაქუჩდების, ესეც, რო გამოდის და იმაში, რო დაცოტავდების, თაუსტანი შაქნების, ეს წყალიც ანქ დაცოტავდების, თოვლი რო დაცოტავდების, წყალიც დაცოტავდების. ბალი. დაემარი, თორმეტ თესაც წყალი გამოდის. ძრიალა ცივ წყალია.

[16. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა]. სონებმა გადაგდო უღელი, მოკდა კურდ-ღელი. ერთი ფერეადნელი კაცი მოგზავრი ერთ სოფელსა-ყე მიდიო-და მევორე სოფელს. გზანი ნახა ერთი ბახტიარელ ხანი. ბევრი ხალ-ღიც თავისთან იყო. ემ ქართველ კაცმა სალამი უთხრა და იმამ ჭავაბი მიპცა და მევორედ ერთი გვანა. ხანმა უთხრა: — „ეს შენ სალამი რა იყო და გავინება რა?“ უთხრა ქართველმა:—„სლამი იმისთი ვითხარი, რო არა ჰქო, ქართველმა არც რა არ იცის და გავავინე იმისთი, რო არა ჰქო, ქართველს ეშინიან“.

[17. ნ ა ვ რ უ ზ ი]. ჩონ ქართველები ირანჩი ერთ ნავრუზი გოქ, რო აველ ვახაფხულის ღამე შაქნების, ემ ღამეს ჩონ რას ვიქთ-ყე, სად მივალთ, სად მუვალთ, რას ვიტყით, რას ვიქთ, ეს არი:

საღომო რო შაქნების, მუვალთ, ბრინჯს გავაყეთფეთ და შემე-ვეყრებით სუნჩენი: მამა, დედა, ბიჭი, ყორი, სუ და სუ, მინაძლა რო ერთ სახჩი არი და ერთ სწო, იმ სათზე, რო სამოზდა ხუთი დღე რო ერთ წელი შაქნების, შამობრუნდების, იმაში ვიტყით, რო თავილი დაბრუნდა, მანი გადააყვალა წელი.

ეხლა კი ბატბატა მუა და კერცხს დაადეფს ერთ ემეზე, ერთ სინზე, მაქმაზე და იტყის, რო... ეს ეხლა იმაში, რო თავილი დაბ-რუნდების, წელი გადააყვლების, იმაში ეს ვაჩუჩუნდების. ერთი იტ-ყის, რო... არა, იცი, როგო არი ეს თელ დუნია ერთ ჭარის თავზე ძეგ, თავის ქების შუა, იმაში, რო წელი გამააყვლების, ემ ქასაყე აადეფს და გადაგდეფს ამ ქაზე. წელი გამააყვლების.

ყმაწილები, სხილი, ბაატა ანქ ერთ რამეს იტყის და ღამით ვახ-შანს რო შავქამთ, შომოზხდებით ერთმანერთს და შავქამთ. იმაში ყორები რო გუგუთხოვებია. ყორი, მამიდა, ესები, სადაძლა რო გუ-

გუთხოვებია და ბიძას ბიჭედსა, მოზობლედს ემას, ამას წრეყანია, წრეყანია ჩონ სოფელი, ავდგებით და ჭეღლი რი იმ სახნი ათი, ბიჭი, ადგების და ერთ მაქმასა, პრინქსა და ხორცმტა და უკრეყანია და სამოსს და ემედს დავადედთ და რუა სნთი რი ღამეს უკრეყანია და ცხრა, წრლედთ იმასა, წავალთ და ვიტყვიო, რი: „შენ ხავრუნი მო-ბარეტი იყოს!“ და დაესხდებით და იმას დუგუცლიან მაქმასა და იმა-ში ადგებიან და ერთ ნაყრი სიტკბოსა, შირინს, ჩუგუყრიან და ერთი ხუთ თუმანსაც დანდებენ, რი იტყვიან: „ეს პალა ქი დაღონებულხარ და ზაპმათი გავიზინია-ყე, მოგიტანია ჩემთი, ყაბი მოგიტანია, ესეც შენ შირინი“.

ადგების და მუა, ეხლა ამასა და ამას რაქთენ ყორიცი-ლა რი გა-თხოვილი იყო, წრლედთ-ყე იმ ყაბედსა.

დილობას, რი... ღამელა, მუალთლა და დაეწებითლა და... პა, ესე-ცა ვთქო, რი ემ ჩონ თავსახლედჩი,—დიდ სახლებია, რი ექსი მეთრი და ექსი მეთრი არი, რი თორმეტ მეთრი შაქნების, თავის მიწა და ბოძებიც მიცემული აქ და საკომიც აქ, ემ საკომსა-ყე ბიჭები, ჭეღლი ბიჭები, მოვლენ და... ათ წელსა-ყე ზემოთლა თა ოც წლამდე-ლა და მეტი, მოვლენ და ამ საკომსა-ყე ერთ ბაატა ყუთი ა-ყე, კარი აქ იმ ყუთსა და ბაწარი მობმული აქ. ჩამაჰკიდებენ, ჩამაჰკიდებენ და იტყვიან, რი: „შირინი ჩუგუყარეთ!“.


ჩონაც ავდგებით და კაკალი ჩრყართ-ყე, მა ნუხულო ჩრყართ-ყე, მა ნუში ჩრყართ-ყე, მა რაბლა რი არილა შინალა, მა ხურმა ჩრყართ-ყე ემ ყუთჩი. ბაატა ყუთები არი, რი ჩამაჰკიდებენ-ყე და ეხლა ააზიდვენ. ემას ვეტყვიო — კალათა. კალათას ჩამაჰკიდებენ-ყე და ააზიდვენ, ააზიდვენ და ეხლა კი სხო მუა, ეხლა სხო მუა, ეხლა სხო მუა.

ესე, ერთმა მე მიამბო, ვამიგია, რი ერთი სიბე წავა და კალათას ჩაჰკიდედს სიმამრიანთასა. ჩაჰკიდედს და ანს სიმამრი ადგების და მუა, ემ კალათას ჩრკედედს და ესე ვეტყვის, რი: „ააზიდე!“

ეს ამააზიდავს და ეტყვის, რი... ვადანჰოტედს და ესეცა ერთს ჩრკედედს და ეტყვის: „დაჰკი, ჩამუაგდებ, შენ დაჰკი!“.

და ბელახარა ჩომოგლო, ეხლა ადგების, წავა. ეს ერთ იგეთ საქმეს იქს. (რასა იქს?) ჩომოგდედს და იტყვის, რი: „ჩამოგიგდე-ყე, ქენი იყოს. ეს, რი ჩამიდევით ემ კალათაჩი, ჩამოგიგდე და ქენთი ააღეთ, ქენთი მოზავთეთ!“.

ესეცა სიცილსათი ვთქი. ეხლა კი ღამით მოვლენდა და ათი, თერთმეტი, თორმეტილა რი შაქნების სნთი, დაწვებიანლა და დილობის ადგებიანლა და კარგად დაგვიან ოთალედსა და ოზოსა და ჩამს გავეთებენ და კაკალს და



ნუშს და შირინსა და რაძლა, რო არი, დაადებენ სინზე, კარგად, თამიზად დაადებენ, და ეხლა კი, რუა რო შაქნების სწოთი, დღე, ბაბატა ბიჭები გავლენ. გავლენ და წავლენ მოზობლების სახტყეხტყეხტყეხ იტყვიან, რო: „ქენ ნავრუზი მობარეკი იყოს!“. ერთს ემას ბატატა იტყვის, რო: „ბაპარეთ მობარეკი“³². და პარ თითო ერჯურად იტყვის: ერთი იტყვის, რო: „აბაშეკუმ საადა“³³, აანი „ შენ ვახტო, შენ დღეო მობარეკი იყოსო!“.

ეს რო შავა ემ სახჩი, ამას იტყვის, ანს იტყვის: „შენიც იყოსო!“. ანიც იტყვის: „შენიც იყოსო!“.

ერთმანერთს დაპკოცნიან. თუ ბაბატა ყმაწილი შასულა, ბაბატა არი, რო დიდს ჭვლზე აკოცეფს. დიდიც ლოყაზე დაპკოცნის.

ეხლა კი ელეგრე, შირინს ჩოყრიან. იტყვიან: „შენ ჯიბე ვაბი“. ჯიბეს გრზიდვენ და თუ ბატატა ყმაწილებია, ხო, კაკალს და ნუშს ჩოყრიან და თუ დიდი, იტყვიან: „მოდი, დაჯე. მოდი, ბეჭარმა 'იდ, დაჯე!“. დაპსმენ და და ჩაბს დოსხმენ და იტყვიან, რო: „სიგარი ბეჭარმა“³⁴, მაბი“ და „შირინი შექამე“ და სინს მოზიდვენ და დაჯიდების ერთი ათი დაყიყას, ხუთმეტი დაყიყას და ადგების, გამუა, ხოდაპაძეფს იქს და ვამუა.

გამუა და ეხლა კი სხო და იმ დღესა ბაბატები, ბიძაშვილები წავლენ, პირველად ბიძეფს ნახვენ, დიდ ბიძეფსა. პაპასა, პირველად პაპას ნახვენ. სუ ნავა პაპას ნახავს. იმის უკან დიდ ბიძეფს ნახვენ, იმის უკან ბაბატა ბიძეფსა, მოადეს იმ ბაბატამდი.

ელეგრე თა ცამეტი დღემდი, თორმეტი დღემდი ეს თავით საქმერი და მიდიან ერთმანერთის სანახველადა.

ეხლა კი თორმეტ დღე რო გავა, მეცამეტე დღეს დავძახით სინზდა. ემ სანზღაზელა აქ უნდა ეს წასლა-მოსლა, ეს ნავრუზ-მობარეკი, ესებილა, ათავდესლა და ხალღმა წაადესლა საქმეზე და იმ დღესაცა კიდემ წავლენ და მაპკრეფენ და ოლტაშები ერდგან, ბიძაშვილები ერდგანა, ყორები ერდგანა, ბიძები ერდგანა, დედაკაცები ერდგანა ხუთი და ხუთი, ათი, ექსი, რუა ელეგრე ხუთი ამის სახჩი, ხუთი ამის სახჩი, ხუთი ამის სახჩი ელეგრე მაპკრეფენ, სადილობა რო შაქნების, პურს შაქამენ და გამოვლენ და ეხლაკი წავლენ ერთი თა გოქ, იმას დავძახით: ქალების ქობი.

ესე პირველად რო ქართველები გამოსულან და ექ ეს ემ ქობი ყოფილა და ქალები ასულან ექა, დორქომ-ყე ქალების ქობი.

იქ ავალთ და დაავლით და ვივლით და ამულთ, წავალთ. ერდგანაც არის, სარავს დავძახით, იქითა. იმას სარავს დავძახით. ჩონ ენაზე სარავს დავძახით და ქარსულად შაქნების „სარაბ“. ექ ემ სარავის

მანი, მანი, ესე, რო, ექითა გაზაფხული რო შაქნების, პირველი გა-
ფხული, დიდ წყალი გამუა. ესლა რასათი დიდ წყალი გამუა?

ხამთარჩი რო თოვლი ბევრი მუა და წიმა ბევრი ლები ჩავა მიწას ძირზე შაქუნდების და პირველა გაზაფხულზე ექ-
დიდ წყალი გამუა, გამუა და შუა თაუსტანამდი. ერთ თე თაუსტანი
რო გავა, ის წყალი ელა მოდის. (თაუსტანი რა არის?) გაზაფხულის
უკან რა შაქნების? ქარსულად იტყიან: თაბესთანი.

ესლა კი ავლენ იქეფჩი, დაავლიან და იტყიან, რო: „უნდა სინ-
ზდა გადავადოთ!“

სინზდა ყრალ დღერი, ნაჰსი დღერი, ჩონ მეცამეტე დღერი, ჯუფ-
თი არა ჰყავ. ეს ყრალ დღერი. მოვლენ და ქუეფს აალებენ, შიდ, რუა
ქუას და ყორი და ბიჭი ელეგრე დაჭიდებიან და იტყის, რო: „სინზდა
ბორო!“ მანი „წადიო“. ქუას გადავდეფს წინით-ყე, წყალჩი ჩავდეფს
და იტყის: „ჩარდა ბია!“³⁵. ერთ ქუას ეგრე თავის ჯარაზე დავდეფს. იტ-
ყის, რო: „ყამ ბორო!“ მანი „ყუსამ წაადესო!“ მანი, ყრალ დღეები
გაადენო და ერთ ქუას გადავდეფს. ყუსა, მანი, ადამიანი³⁶ რო ნამა არ
არი და ელონების და გული, გული შაკრული აქ ესე, ყუსა, და ფიქ-
როფს ერთ ყრალ რამებზე და ელონების. და იტყის, რო: „შადი ბია!“
მანი „ნამაა დღეები მოდიო!“ და ელეგრე თავის საქმერი, თა ოთხი სწ-
თი რო გავა, ხუთი, შამოვლენდა სახლეფჩი და და ჩარდაზედა ხალდი
წავა საქმეზე, მისაც რა საქმელა აქ, წავა თავის საქმეზე.

ესლა კი ეგრე რო გამიგია, ეს ნავრუზი, ეს ეადი, მის დრდებია,
მის გოკეთებია ჩონთინა, როს დავარდნილა ეს ეადი, ეგრე მე გამიგია
და ქეთბეფჩინაც, წიგნეფჩინაც, ეგრე ჰწერია.

ამბობენ, რო, ყადიმადა ერთ ყეანი ყოლია ირანჩი — ჯამშიდი
ჰრქმეფია. ემ ჯამშიდსა იმისთი, რო ხალღს ერთ დღე ატყობდეს, რო
ერთმანერთი ნახონ და მინაც ანსი ამასთან გუვის, ყრალად არის, და
ანს ამასთან წაკიდებულია და ანს ამასთან ყრალ არი, გადოსტდენ
და ერთმანერთს ნამა შობრაზონ და ერთმანერთს დაჰკოცნონ და გუ-
ლები გეწმინდოს-ყე, ეს დღე დრდებია იმისთი, რო ესეები შემოეყარ-
ნენ და ერთმანერთთან ლაპარაკი ქნან და ერთმანერთი დაჰკოცნონ და
ერთმანერთან იბნან.

ეს ჩონ ნავრუზია, რო შემევეყრებით-ყე და ემეს ვიქთ-ყე ქართ-
ველები. და სუ ყელგან ელა ეგრენ არი, ესლა, ჰარ სოფელჩი ქარყი აქ,
ნამა გაფიქრებულია დანჯარგი ემერი, რო დრდებია ემ კაცსა, ემ ყე-
მანსა.

[18. ფერეიდანი. ქართველთა მეზობლები. ალბათი და სხვ.]. ჩონ ქერედიანი ვიტყვით, ერთ შარესტანს დაეძახით, სამას ორმოზდა ათი ბატატა სოფელი და დიდ სოფელი და არიან. სუსა-ყე დიდ სოფელი ჩონ სოფელია ელა, რო საქართველო ქერედიანი.

ეხლა კი ექა ჰყავ... შივ სოფელი ათიათასი ქართველი არი, ჩონ მოზობლები ქომოთ სოფელი.

შიდ, რუა ბატატა სოფელი არი, რო ექა ემეზია, სომხებია. ეს სომხები სუ ქეშავარზობას იქმენ, მუშაობენ, მიწასა ვნვენ. ჭარი ჰყავ-ყე, ცხორი ჰყავ-ყე, ყალიჩასა ქსოვენ. ბალები ა-ყე, ღინოს აკეთებენ.

ეხლა კი ჩონ ქართველები ღინოს ცოტა დავლევთ, იმისთი, რო უთქომ-ყე, რო ღინო არ უნდა დავლიოთ. და ეხლა და ეხლა ჩონ ჭე-დღეები და ესები, რო გამოსულვართ და გუჯითხავ დარსი დამივალთ და მუალთ, ჩონ ცოტად ღინოსა მალვით დავლევთ-ყე, მამების მალვითა და დედების მალვითა და თუ იმათა გნახონ, გამუაგდებენ სახლსა-ყე, იტყიან: „ღინოს ნუ ძლევთ!“.

და ეს ღინო, რო ვამბობდი, შარშა მე, მანი, ორ წელს იმის-ყე წინ, მავონდების, რო მიველ და ერთ ნაყრი ღინო სომხეთსა-ყე ვიყიდე და აძლე და აძტანე სოფელი და აძტანე და ჩემ დედამ თქო: „ეს რა არი! რა მაძტანე ექა!“.

ვთქი: „მე მარიზობა მაქ და ეს მამიტანია, ექიმს უთქომ ჩემთი-ეს იყიდე და დალივე“.

და თქო: „ხო, ნამაძა, შენ დალივე, რო ვაკეთდე, გამთელდე“.

და ჩემ ცოლმა იცოდა, რა არი. მოძდა აზხადა და ეს სული რო ჰქონდა, ერთ რაქთენ დღეს უკან მითხრა, რო: „მე დედას ვეტყი“. და ვთქი: „არა, არ უთხრა“.

ერთ დღეს ეთქო დედასათი. დედამ მოძდა, თქო, რო: „ეს შენ მარიზობა რა არი. ეს აღარ ათავდების, ეს წამალი!“

ვთქი, რო: „ხოვ, ეს უნდა ცოტა, ცოტა დავლიო“. თქო: „მა დალივე, მა გადავღრი სუსა, ეს აღარ იყოს ემ ოთახჩი, ოთალს გავპარამეტს“.

და ეს დავლივეთლა მე და ჩემ ბიძაშვილები.

ესეც ჩონ მოზობლების ემერი.

წინასწინა ემ სომხებსა... ამ სომხების ანქითასა თურქები არიან. თურქები სომხეთს აღონებდიან-ყე, აღონებდიან-ყე, ცემდიან-ყე. ჩამოძდიან-ყე, დწლონიან-ყე სომხები.

ეხლა კი ჩონ, ქართველებმა, შავატყევით სომხებსა, ერთველ რო ემებმა, თურქებმა, დწლონიან-ყე, ჩონ წადით-ყე და მევეშელით-ყე

სომხეთსა და არ გრძობთ-ყე თურქეთსა, თურქეთსა არ გრძობთ-ყე. თურქეთსა ჩონყე ეშინოდა-ყე, ჰამ თურქეთს ეშინოდა-ყე, ჰამ სომხეთს ეშინოდა-ყე ჩონყე.

და ის იყო, რო სომხეთს მევეშელით-ყე. სომხეთს ქართველეთსა თავი უყორდა-ყე, ჩონ — ქართველები.

გარდა ემისა, ემები არიან ქურთები.

ქურთები სოფლის ანქით ბევრი არი და ჩონ ქართველეთთან წასლა-მოსლა ა-ყე, ნამა ლაპარაკი, დაყონაღვა, წავალთ-წამულთ და ერთმანერთან ამხანაგები ვართ. და გუყორს ერთმანერთი.

ეხლა კი სოფლის გარდა ემისაცა ერთი ბოძნია, ექაცა ელა ქურთებია. ვრდგანაცა აქუსია. ემ აქუსელთა, ეს აქუსელებიც ქართველებია და ენა დოკარგავ-ყე. პარსულად უმბოზენლა. ახჩარი, ისები, რო მე ვიცი, მოადეს, ჩულურეთია, სიბაქია, ჯაყჯაყია.

ამბოზენ, რო... ეგრე მე რო ვიკითხე, ალიგუდარზის კარაზენაცა ერთ-ორ სოფელი არი, რო იქა ჰქიან ქართველი სოფელი. იქაცა, ხობ, ქართველებია. ჰამ ქართველები, ჰამ სომხები. მე კი არ წასულვარ. და ვწყობ, რო ერთველ რო მეც გამამივიდა, ერთი წაადე, აბა, ვნახო, იქა ქართველები არიან, თუ არა.

და ესები ქომოთ ძერეადანსა-ყე სხო პარსელები არიან და ემეფთან წასლა-მოსლა ვოქ და ერთად ვართ და ძალიან ერთმანერთი გუყორს და ერთადა ვართ და ამხანაგები ვართ. ოლტაშები ვართ. (ესენი ბახტიარები არიან, თუ სხვა სპარსელები არიან?! სხო სპარსელებიც არიან. ბახტიარებიც არიან. კი, ბახტიარები არიან ბევრი. (თქვენ რას ეძახით ბახტიარებს?! ბახტიარი — ქურთს დავძახით ჩონა. ქურთსა, ქურთეთსა. ჩონებურადა, ქართულად ჩონ დავძახით ქურთეთსა და რო ჩონ პაპეთსა დოძახნია-ყე, უთქომ-ყე და იმით ენაზე ჩონ ვეტყით: ქურთები. ჩონ პარსელებსა ქურთებს არ დავძახით-ყე. ანს ბახტიარებს დავძახით-ყე ქურთეთსა. კი.

ეხლა კი ესები იზნებენ-ყე. ჩემ პაპა, იმაში, რო ჩემ პაპა იყო და თავის ჯეალობაჩი, ამბობდა, რო იმაში, რო ეს ჩონ ყეანის მამა. ეს ჩონ ყეანი ჯერ ყეანი არ შაქნილიყენეს, იმაში ქურთები ძრიალ აღონებდეს-ყე ემ ქომოთ ძერეადანის ხალსა, სომხეთსა, თურქეთსა და ქართველეთთანაცა დამე შულლობდეს.

ქართველეთს კი ვერ აღონებდეს-ყე და ვალი კიდემ შულლობდიან-ყე თოფებით. ვერ აღონებდეს და ვალი შულლობდიან-ყე, ყრალად იყნიან-ყე.

ეხლა კი იმაშილა, რო ჩონ ყეანის მამა დიდ ალაზრათი ყეანი შაქნა, იმაში ემ დამაღონებლეთსა, სუს, დაქოცა და ის თავის სხი-

„ქენ ისეები ხართ, რო მოსთარაპჩი. ერთ მოსთარაპჩი ერთ დღეზე ხუთნი, ექსნი შახოლთ-ყე, ვალი ჩონ ისინი ვართ, რო წაველო ბიჭანზე, პარ თითო ერთ ჭარაზე წაველო-ყე“.

ერქონულნი
განუხილეთუქ

და ისინი იგრე ყოფილან იმამი, ჯერ ემე არა ჰქონდა-ყე ემათა, ემათ დწყედრებენ ქართველესა, მანი ქართველეს იტყიან, რო ქენ იგეთები ხართ, რო ეგეთ საქმეები გა-ყე, მოსთარაპი გა-ყე ქენა.

ქართველებმა იცინეს. ძალიან ვიცინეთ-ყე ჩონაცა, რო იმეფს იმაში იგრე უკან ყოფილან იმ წინა და არცა რა სმია-ყე და გაფიქრება არა ჰქონია-ყე, რო ერთ იგეთ რამე ადბი გონია-ყე, ყრალ საქმე გონია-ყე.

(ქურთები სპარსულად ლაპარაკობენ თქვენთან?). კი, ქურთები პარსულად ლაპარაკობენ ჩონთან. პარსულადა და ქურთულადა. ჩონ ქურთული ვიცით, ვიბნათ.

ქურთულს იქთენ პარსულთან ემე არა აქ, ქარყი არა აქ. ბევრ ქარყი არა აქ. ერთად არი, ანსენ, რო ცოტა ქარყი აქ. ეგრე, რო... (თქვი რაიმე ქურთულად და მერე სპარსულად!).

მასალან, იტყის, რო, უნდა თქოს, რო, „სად ყოფილხარ?“ ქურთი იტყის: „ქოჯე ბიდი“ — ქურთი იტყის. პარსელი იტყის, რო „ქოჯაბუდი“.

უნდა უთხრას, რო: „აღადი, შამო ჩონსა, მოდი ჩონსა“. იტყის, რო: „ბოჲ, ბეჭარმო, ბეჭუნემო“. მანი „მოდი ჩონ სახჩი“. პარსულად იტყიან, რო: „ბეჭარმაჲ ბემანზელემჲ“.

იგეთ ქარყი, რო ატყობდეს, არა აქ. ერთად არი.

(ქურთული ლექსი არ იცი?)

ქურთულის ლექსი არ ვიცი, არ ვიცი, არა. გამიგია, ძრიალ ბევრი გამიგია და არ დამისწავლია, ესეები არ დამისწავლია.

ბ. ემეფს რო ქურთეფსა-ყე იბნებენ-ყე, იტყიან-ყე, რო ერგელა ერთი ქართველი სარტყელი რო შამოკრული ჰქონია, სარტყელი იცი, რა არი, ხო! შამთარი ყოფილა. სიცივე და ჩამოსულა ისპანს, რო ექა ბრინჯი იყიდოს და ყანდი იყიდოს და ჩაჲ იყიდოს და ტანისამოსი იყიდოს, ოტანოს, ამატანოს სოფელჩი თავის ყმაწილესათი, თავის შვილესათი და დედაკაცათი და ემეფსათი. და ეს სარტყელი რო შამოკრული ყოფილა, დწხნების ერთჯარა და, ერთწერი დწხნების და ემ უკნით-ყე ემე ქნდების, ჩამუა უკნით-ყე და მიწაზე გჳორეფს სარტყელს, ემ სარტყელი რო ერტყა, მიწაზე გჳორეფს. და ერთი ეს ისპნელი ყმაწილები, ისპანის ყმაწილები, რო ძრიალ ბადჯენსებია, ძუზუ-



ლებია, მშდგებიან, იტყიან, რო: „ე, ბაბა, ე, ალა, ე, ბატონო! ეს კურტუმი გაკიდავ, ემე აჟსარა გიქნია შენ. კურტუმები, მანი, აჟსარა, გიქნია ცხენი... ცხენები ერთ რამე არი, რო ცხენს პირჩი ამადღებენ-ყე, დაეძახით: აჟსარა, დაჰნა აჟსარა.“

„აჟსარა გიქნია“. (რა უქნია?) — ემ კურტუმი, რო გაკიდავ, ეტყის, რო: „ყრალ საქმე უქნია“.

„აბა, თქი!“

იტყის, რო: „არა, ვერ ვიტყი ყრალსა!“

„აბა, თქი!“

იტყის, რო: „ქენ მამასათი დოჯომ“.

გააქცევიან სუნივენი და დამაღლებიან ემ ლაპარაკსაყე, რო ერთ ეგეთია, პასუხს მიჰცემს, ესე დაემალეზიან, იტყიან, ქართველმა ეგეთ სიტყო თქო.

გ. ერთველაცა ერთ ქართველი ჩამუა ისპანსა, წავა ბაზარჩი და ეს ჰაჯიები და ეს სხილ, დიდრონი ბაზარიები შემეყრებიან და ეტყიან, რო: „ბიძაყოლი, ამყოლი, ჩონ ერთ საქმეს გამოკითხავთ. თუ პასუხი ნამა მოგე, ხო ჩონ ორმოცნი ვართ, ორმოცდღეს ექ შაგინხავთ და სადილსა და რამესა გაჰმევეთ და ჩონ ყონალად, ჩონ სტუმრად იყავ“.

(„ბიძაყოლი“ რა არი?). ბიძაყოლი, ამყოლი, მანი, ეგრე ჩონ ერთს რო გუნდა მოაკითხოთ და ერთრამე დავდვათ, ვიტყით, რო „ამუ“, ან „ალადი“, ერთ ეგეთ რამე.

ესლა კი ეტყის, რო: „თქით, მე ქენთანა ვარ, თქით“.

„და თითონი ათას თუმანს მოქცემთ!“

იტყის, რო: „კარგია, თქით. აბა, რა არი!“

„და თუ შენ არა ჰთქი რა!“

იტყის, რო: „ქენა თქით, აბა, მე რა ვქნა!“

იტყიან, რო: „თუ შენ ვერა ჰთქი, უნდა ეს, ემე რო ჩამოგიტანია, ფული და ხორბალი და ქერი და ოსპი და ნუხუდო, ესეგი რო ჩამოგიტანია, უნდა სუ მოქცე ჩონა და ერთ სადილი დოყონალო“.


იტყის, რო: „კარგია, თქით“.

იტყიან, რო: „აბა, თქი, ის რა არი, რო ჩონ წელჩი, ერთ წელჩი ქარ ლამეთ იმას შავკამთ-ყე და ქენ, ქართველები, ერთ წელჩი ერთ ლამეს შავკამთ-ყე?“

(„ქარ ლამეს“ რას ნიშნავს?) ყოლა ლამესა, ყოლა ლამეს შავკამთ-ყე და ქენ წელჩი ერთ ლამეს შავკამთ-ყე.

იტყის, რო: „რა არი, ასანდი რამე არ არი“.

იტყიან: „თქი“. და იტყის, რო: ტრაწიო. ძღენი მანი. ეს ყოლი ეტყის, ქართველი. ეტყის ესე, ეს ტრაწია, რო ქენ ყოლა ლამეს შავკამთ და ჩონ ერთველ შავკამთ-ყე.



ესები სუ დაამალეზიან და მაკიდებენ და შეაყვანენ ოთასობით იტყიან, რო: „ეს აღარსად აღარა ჰქო და რაც გინდა, მტკიცე უნდა იყო ათას თუმანს მოქცემთ და ას დღეს ექა, სამ თეს, და კიდემ ერთ ათასეფსაც დავადეფთ და აღარსად არა ჰქო ეს ლაპარაკი“.

ემამ ისპნელეფს უთხრა-ყე: „არა, აღარ ვიტყი“.

ეხლა კი ეს ბიძაყოლია, ეს ბიძაყოლია დაყონადღეს და სამ თეს შაანახეს ისპანსა და აჭამეს და ალევინეს და ეხლა იციან-ყე, რო ეს არა თქოლა სადმეო. და ბიძაყოლიაცა კარგი, ნამაა მოლაპარაკე იყო და უამბობდის-ყე და უთხრიან-ყე, რო გაფი გამზე და ამას გაფი უამბის-ყე და დაპცინოდის-ყე ამ ისპნელეფსა და ემეზსაც სუს ეშინოდა-ყე ემის ყე და ფულებიც მიპცეს ბევრი და ბევრი საპანე დრჭირეს, და ეხლა კი ადგა და ამოადა სოფელჩი. საპანე დრჭირეს, ყანდი და ჩაა და ტანისამოსი და ესები ელეგრე მიპცეს მუჭთადა.

(„საპანე“ რა არის?) საპანე, ხორბალი რო შაპკრა და აპკიდო ვირზე, იმას დააძახიან: საპანე.

ეხლა კი ემემლა ამოადა. ეხლა რა ყოფილა! ამ ისპნელეფს ეს რო გომრკითხავ-ყე, რა ჰქონია-ყე გულჩი? ეს ყოფილა, რო ისპნელები და სხო და სხო ხალღიდა ყოლა ღამესა ბრინჯს შაპკამენ და ჩონ, ქართველები, რო ქონება იგეთ ნამაა არ გოქონდა, ნავრუზ ღამეს, რო ვიბენ, რო ეს ერთ ეადია და ჯამშიდს ჩონთინ გრკეთებია, ემ ღამეს გავაკეთეფთ და შევკამთ.

და ერთველაც, რო ყონალი მოადღეს და ძრიალ ნამაა ყონალი იყოს და უნდოდღეს, გრკეთოთ.

და ემათ ემისთი გამაპკითხეს: ის რა არი, რო ჩონ ყოლა ღამეს შავკამთ-ყე და ქენ ერთ ღამეს წელჩი და ამამაც ანგეთ ნამაა პასუხი მიპცა.

ესე იმისთი ვთქი, რო ქართველები ერთ ეგეთ კარგი გაფიქრება ჰქონია-ყე და ა-ყე და ეგეთ მალე ჯავაბი მიპციათ-ყე, პასუხს მიპციათ-ყე ერთ რამესა.

(სხვა რა ეადები იცი?).

სხო, ესე, რო ქურთები და ჩონ ქართველები ამხანაგები რო არიან, და შომოსხდებით ერთმანერთსა, ერთ ოთაღჩი დავსხდებით ერთველ ხუთი, ოთხი ამხანაგი, რო ოლტამ დავძახით ჩონა, ჩონ ვიტყით: ოლტაში.

შომოსხდებით ერთმანერთს, ჩონ ქართველები, ვიტყით, რო: „ა, ნახე, ამ ქურთმა რა ქნა!“ ანს იტყის: „ნახე, ამ ქართველმა რა ქნა!“.



ეხლა რას ვიტყვით ჩონა. ჩონ ვიტყვით, რო: „ნახე, ამ ქურთმა რო წააღა, შააღა ემეჩი, ერთ ხაათთან. ხაათი — ანს, რო ტანისამოსს კერავს. შააღა, უთხრა: „ზოლალი გაქ!“

ის, რო ტანისამოსს კერავს, ხო ზოლალი არ უნდა პქონდეს. ამ ქურთმა არ იცოდა, ექ ეს რა ქარარი და რას იქს და: „შენ ზოლალი გაქ?“.

ამამ თქო, რო: „კაცო, ექ ხო ტანისამოსსა ვკერავთ, ზოლალი რად გუნდა გოქონდეს!“ და დაპცინეს ხალღმა. ჩონ ეს უთხარით.

ეხლა ამამ თქო:

დ. ნახე, ამ ქართველმა, რო რუა ვირი ჰყუანდა და ერთ ვირზე იჯიდა და მწოდოდა, ქამა მაატანოს, ბზე მაატანოს და ერთს იჯიდა და ნამძინარე იყო და ეხლა კი დათოლის-ყე, ღამე იყო, რო მწოდოდა ღამითა იქ, თორიან ღამე იყო და გაახედა და ნახა, რო შიდი ვირი წინ მიდის და დათოლა და თქო, რო შიდია და ემამ თქო, რო: „ვაა, ერთი დავკარგე, მამპარეს, რა შააქნა!“... და რო ჩამოადის-ყე ამის-ყე, რუა არი და შაჟიდის-ყე ამის-ყე და შიდია.

ეხლა ეს ქართველს არ უქნია-ყე ეს საქმე. ეს ელა ქურთს ექნა და მიაბრაღიან-ყე ქართველეფსა. ეს ემე არი, რო ერთმანერთს დაპცინიან-ყე.

ბევრი ერთ ეგეთ რამეები გააღის-ყე ჩონ შუაზე, ბევრი.

ე. ერთიც, ამბობენ, რო ერთ ქართველს ერთი სომეხის დედაკაცი მწწონა. უყორდა და არ იქმოდა, რო ესე იმასთან დაჯიდეს და ლაპარაკი ქნას და გააცინოს და არ იქმოდის-ყე.

და ერთ დღესა ესენი ორნი იყნეს. ეს ორნი ძალიან² ყოჩაღები იყნეს ეს ქართველები და ერთს ერქო ჯაქარ, მამჯაქარა და ერთსაც ერქო მამაქბარა. ესები ჰამ მოკობრები იყნეს და ქართველეფს კი არ მამპარიანა-ყე და წაადიან, ანქით მამპარიან-ყე და მაატანიან და ქამენ. ერთი თავით საქმე ქამა და ლევა იყო. დღესით იწუეს და ღამ-ღამითა სუს დადიოდიან-ყე. დღესით დაწუიან-ყე, იძინიან-ყე და ღამ-ღამით გაადიან-ყე.

ერთ ღამესა ჯაქარა ამ ერთს ეტყის, რო: „ძმაგ, მე ანს სომეხის დედაკაცი ძრიალ მიყორს, ძრიალ მინდა ამის თავი და მე არ ვიცი, რა ექნა, როგო გავაცალკევო სომეხსა-ყე და ექით გამოაყვანო, შაართო“.

იტყის, რო: „რას აქნევ, კაცო, რათ უნდა შაართო შენა? ანსი სომეხი დედაკაცია, სომეხია. მუსულმანი ხარ შენა!“

იტყის, რო: „ეს რა არი, კაცო, იმას რა უშავ, რო მუსულმანი არ არი. მე მიყორს იმის თავი და სომეხი იყოს“.

იტყის, რო: „ხო, რა ექნათ, როგო ექნათ!“



და დასხდებიან და კარვად გაჰფიქრვენ და ადგებიან და სპაომხეთსასა, მოვლენ ერთ გორას უკანა, იციან, რომ ესაა მისი თავის ზალი (ის ზალი ყოფილა კარგი ემე — დედაკაცი და დახატული დედაკაცი).

ესები ანქა დემსა გლეჯენ, დემი ზორბალსა. ჩონ ზორბალს რო არ მოვრწყავთ, იმას დაეძახით: დემი — დემი ყანა.

და იმასა გლეჯედეს გორაზე და ამ ერთმა მოადა ექა და ჩადრი წააღო-ყე. ჩადრი — ერთი ემერი, რომ გაღმარებენ-ყე ექა.

(რითი გლეჯენ დემს?) ჭელითა. (ხელით, თუ ნამგლით?). არა, ჭელითა. იმეფს ჭელითა და ემეფს, რომ მოვრწყავთ და მაგარია თავის ვე, — ლამგლითა.

ესლა კი მოვლენ ექა და ესე ჩადრს გადაფარეფს, ეს ერთი ჯაძარა, და ამ დელეჩი, ერთ ჩუყურეთჩიგა დაჯიდების და ბენას იქს, რომ იქნესის, ესლა იქნესის.

ეტყის: „ეა, ვაა, მუცელი, მუცელი მალონეფს. ეა, ვაა, როგო მალონეფს მუცელი!“.

ეგრე და ჰაა იგრე იწნიხების და იქმუნების. ესლა კი ანს ერთი ადგების და წავა და ამ სომეხთანა, იტყის, რომ: „ალაყოთერ სუნით“, მანი „ღმერთმა მეგეშელესო“. ჭარსულად იტყიან: „ხოდა ყოვან ბედად“. ჩონ ჭართველებიც ერთმანერთს ვეტყით: „ალა ყოთვერ სუნით“. ესე თურქულია, ასე მგონია, მანი, „ალა ყოთვერ სუნით“.

ესლა კი ესე წავა და იტყის, რომ: „ოლტაშო, მუსიო!“ იტყის, რომ: „რა გინდა, ჰა, ძელანი, სად ყოფილხარ!“.

იტყის, რომ: „ჰა, რა გინდა, შენ, აქბარ!“ იტყის, რომ: „არც რა, ჩემ ცოლზე მამყუანდა, წააყვანო ემეჩი, ისპანსა და გზაზე ექა მუცედა აქტივდა, უნდა ყმაწილი დაბადოს. მუცელი ჰტიკვის და უნდა ყმაწილი დედადოს“.

და ეტყის: „მა აბა!“ თქო: „ამ დელეჩი დავაგდე და ანქ უნდა ყმაწილი ეყოლოს და აბა, ეს შენი ზალი გაგზავნე ანქა. ამას უნდა ყმაწილი ეყოლოს და ანქ მუშელოს, ამამ არ ელონოს“.

და ესეც იტყის, სომხურად ეტყის: „ჰა, ზალო, ადე, გადი, აა, ემ ჩემ ოლტაშის დედაკაცია ანქა, უნდა ყმაწილი ჰყუანდეს და გადი ანქა, ერთჯელ არ ელონოს“.

ესე ადგების და ორნივენი ადგებიან და გადვა ანქა. გადვა ანქა და ჭართველი ემას მააზავთავს, შადრთავს. მანი, ჭელს გადაჰზოვს და ესლა კი ეს დადგების კივილზე, რომ: „ესე ბიჭია, ბიჭია, ბიჭია!“ — ეს სომეხის ზალი. ჰა, სომეხი ამ ემეს ყურზე მაკიდეფს და ამ აქბარას ეტყის, რომ: „ბიჭი ყავ, ბიჭი ყავ, შირინი მამე“. და ესე ჰაა ამას ეტყის: „ბიჭი ყავ, შირინი მამე!“ ეგრე ამამ მოზაძთა.

ეხლა კი ემამა ადგალა და მოადლა და აღარც რა, ეს საქმე გავლილ იყოლა და, საქმე გავლილ იყო.

[20. უ რ უ ჯ ი]. (სხვა რა იცი?) სხო! ბევრი რამე არი. ვიამზობ ელეგრე. (რა ეადღები იცი კიდევ!) ჩონ ეადღებიც. ერთი ურუჯი ვმტულებ ჩონ მუსულმანების ერთ ესა, ფადშობა რო შაქნების. შაქნების მისი მანი საპარ.

ფადშობა რო შაქნების, ავდგებით და დაადიდეთ სუნევენი და პურს შავჭამთ და ეხლა კი დავწებით, დავწებითლა და პურს აღარ შავჭამთ. მევორე დღესლა თა შაქნეს სალომო, მევორე დღეს სალომო. სალომოსა კიდემ პურს შავჭამთ და ემას ვიტყით: ექტარი, ექტარის დრო. ბუნგეფს რო დააკვილუფთ, იმაშინ ექტარის დრო მუა. ბუნქსა, მანი, ღმერთის დიდობას ვიბნებთ და ფელამბარისა და ემამისა და ემებისა დიდობას ვიბნეფთ და ემით სახელსა შად დააკვილუფთ, რო მანი, ეს ჩონა ურუჯი რო დუგუქერია, ნამა ურუჯი იყოს და ღმართმა იყაბულოს, (ურუჯი, მანი პურს არ შავჭამთ — რუხე).

ეხლა კი ერთ თეს, ეს ჩონ ემერი, ერთ თე რო ათაღდების, იმაში ვიტყით: „ურუჯ ბადრამი და ეადე რამაზან“ — ქარსულად იტყიან.

ეხლა კი ემ დღეჩინაცა, რო ერთ თესა პური არ გუჭამია და ურუჯნი ყოფილვართ, ძრიალ გუხარიან. და იმ დღესა ჩონა ეადს დააქვართ. ერთმანერთს თაბრიქს ვეტყით და ვეტყით, რო: „ეს შენ ეადე დინი ყაბულ იყოს, ღმერთმა გიყაბულოს, ეს შენი ურუჯები რო დაგიქვრია იმ ერთ თესა!“ და იმ დღესაც შემევეყრებით და ხუთი და ათი და ელეგრე ერთმანერთან და შაქმა-დალუვა და ილ იმ დღესლა მუსიყი, ვიკითხავთ და იმეფსაც სუ იმ დღესა ძრიალ ნამა გავატარეფთ და იმ დღესაც ერთ ეადია ჩონი.

[21. მ ე ქ ა ს მ ო ლ ო ც ვ ა]. ერთ ეადიც ეს არი, რო, იმაშინ არი, რო მაქაჩი არაბესტან, რო ვამბობთ, რო ღმერთის სახლი იქ არი, რო ჰაზრათ ებრაჰიმს გრქეთებია იქა, მუსულმანები ერთ თეჩი, რო დაეძახით ზიჰაჯე, იმ თესა, იმ თეჩი წავლენ-ყე იმ ზიადრათზე, რო იქა შომრვლიან და ნამაზს იკითხვენ და თავს მაახრიან და ერთ ქუები იქა „ჰაარ ოლ-ასვად“ — არაბულია ესე, მანი, „შავ ქუა“ ჩონებურად შაქნების. ჰაჯარი — ქუარი და ასვადიც — შავია. იქა დაკოცნიან ერთმანერთს. შომრვლიან და ყურბანს იქმენ. ყურბანსა, მანი, ცხორს დაკველენ იქა, ყოჩს დაკველენ ერთსა, და ეხლა კი იმ დღესა, იმ დღესაც ეადია ჩონი, იმ დღესაცა მუსულმანები ერთმანერთს კიდემ თაბრიქს ვეტყით, ვეტყით, რო: „შენ ეადი მობარექი იყოს და გიყაბულოს!“.

ერთ თეც გაღის და ჰაჯიები დაბრუნდებიან და ერთ თეცაც წასლა-მოსლა და იმით ნახვა და შაჰმა და დალევა და დაყო-
ნაღვა და ესეები არი.



[22. მუხსულმანთა დღესასწაულეები].
ბიძე, რო ჩონ გოქ იმ დღეფი, რო ემამები დაბადებულან: ჰაზრათე
ალი დაბადებულა, ემამ ჰასანი დაბადებულა, ემამ ჰუსეანი დაბადებუ-
ლა და სუ თორმეტ ემამი ყოჲ, რო დაბადებულა და ერთიეც ფეღალამ-
ბარი, ჰაზრათე მუჰამადი დაბადებულა, იმ დღეფინაცა, რო დაბადე-
ბულა, ჩონ ედღია. იმ დღეფინაც, რო გადაცლილან და მამეკარან,
იმ დღეფინაც ჩონ აზადრობა არი, მანი, იმ დღეფი არ გააციწეფთ
და არ ვიკითხავთ და ნამა არ ვილაპარაკეფთ. იმ დღესა ჩონ ყუსას
ვეზიდებით, რო ესეები, ეს ჩონ მამები, მამეკარან და ესეებიც გოქ.
და სხოც რო გოქ, ის არი, რო იმ დღეს, რო ყმაწილი დაბადე-
ბულა, იმ დღესაცა ედღს დაჰქერენ-ყე, ჩონ კი ცოტას დაჰქერთ.
იმეფს, რო ბევერ ჭონება ა-ყე და საქონელი ა-ყე, ისეები დაჰქერენ-ყე
იმეფსა და შაჰმა და დალევა და შირინი და დაკრვა და შუშპრობა და
ესეები ა-ყე: ჩონ ესეები არა გოქ.

[სეფიქოლა იოსელიანის ამბავი]. რეჰიმა ონიკაძე
ჩამოდლა ისპანსა და გამაჰკითხეს, რო: „მის ბიჭი ხარ?“

თქო: „რო: „მე სეფიქოლა-ხანის სიძე ვარ“.

„კაცო, რასთი არ უნბობ, რო: „მე მის შვილი ვარ“.

თქო: „კი, ხო, მე... ჩემ მამასაც ეს სახელი ჰქია და... ვალი მე
სეფიქოლა-ხანის ვემ სიძე ვარ“.

(რატომ ამბობდა ასე?) ხობ, სინჯევედა, ანს დიდი კაცია, თავის მა-
მაც დიდ კაც იყო და ანს იფიქრებენ, ანს დიდი კაცია და ანსი კარგია
თქოს, იმისთი უნბობდა და უთხრა: „არა, შენი მამაც დიდი კაცია,
ისიეც დიდი კაცია“.

იმაშილა გაავგო, რო ყრალ საქმე უქნია („კარგს“ რატომ ამბობ,
თქვენ ამ სიტყვას ხომ არ ხმარობთ?!) — ეს ლაპარაკი ვთქი.

(სეფიქოლა-ხანზე რა გაგიგონია?).

მე სეფიქოლა-ხანზეც რო გამიგონია: ჩონ ერთი ბიძა ყუანდა, ალა-
მაჰმადი ერქო. (რა ერქვა?) ალამაჰმადი. არ მავონდების მე. ამბობენ,
რო იმაში, რო ამ ზემოთ ხანმაო, მატყული-ხანი იყო, ელა ქართვე-
ლი იყო. ამბობენ, რო ისი ხალღს აღონებდაო. და ამ ზემოთ მაჰლას
ხალღსაო, ყალას ხალღსაო, იმეფს ეშელებოდაო და ქომოსაო —
არა, არ ეშელებოდაო, აღონებდაო.

სოფელჩი ერთ ალაგია, რო ყალას დაამახიან: ანს რო ზემოთ
არი, ზემოთ ჭარა ყალას დაამახიან და ქომოთ ჭარასა — ქომოთ მაჰ-
ლას დაამახიან. ეხლა კი ემ ხალღმა, რო ეღონებოდეს, ქომოთ მაჰლას

ხალმა, თქეს: „რა ვქნათ, როგო ვქნათ, ერთი დიდი ჩონთი ქართველი გავაკეთოთ, რო ზემოთს ცალკე ჰყვანდეს და ქომოთსაც ცალკე ჰყვანდეს“.

იმ ჩონ ბიძამა, აღამაჰმადა, მოადა და ჩემ ბიძები და თქო, რო: „მოდი, დავსხდეთ და ერთი დიდი მოვნახოთ ეს ქომოთ მაჰლასათი ანჭით-ექითა“.

ეხლა კი იმაშინაცა ერთი რაჟათი იყო, სეფაქოლა-ხანი მიდიოდის-ყე სარწყავზე, საწნავზე, თესევედის-ყე ანჭით-ექითა და სეფაქოლა ხანიც ემათან ამხანავი იყო, ღანი, ოლტაში იყო.

მაათხოვეს და დასხდეს ერდგანა და თქეს:

„სეფაქოლა-ხან, მადტა, შენ ჩონ ქომოთ მაჰლას დიდ იყავ და ერთ საქმეები, რო ძრიალ დიდ საქმეებირი, ისი შენ გჰკეთე და ჩონაც ემეგეშელეებით. ფულიჩი, ყონალი მოგვიდეს, მეგეშელეებით, ყონაღს წაყვანო ჩონ, ფული მოგინდეს, მეგეშელეებით და ჰამარანვად“.

ეხლა კი სეფაქოლა-ხანმაცა იყაბულა. პირველად, ღანი აველანთა-ყე, ჩონ ბიძამ და ჩემ ჰაჰამაც, რო აღიმაჰმადა ერქო, ემებმა ყონალი სუ მოუდის-ყე სეფაქოლა-ხანსა, გარეთყე ემათ ჩამაყვანენ ღამითა, ღა ჩონს დაწვის-ყე, ღა იმ ჩემ ბიძას სახლი დაწვის-ყე, ღა ამ სხო ბიძანთი, ელეგრე. ილივრე სეფაქოლა-ხანს ეშელეს, თა სეფაქოლა-ხანმა ნამა წინ წაადა და ყოდრათი გამაღჩინა. ყოდრათი რო გამაღჩინა, იმაში ძრიალ ნამა უმბობდის-ყე, დახატულად უმბობდის-ყე და ჰკიანი კაციც იყო. მწხუა ხალმა, მწხუა და შოყორდა-ყე. რო შოყორდა-ყე, იმაშინ მოადა და ის მამულეები, რო ქართველებისა იყო და ჰტურთეფსა, ღა სხო და სხოს გეტანა და დეჰირა, ემამა ქართველები სუ შამაჰყარა და თქო, რო:

„ძმებო, ჩონ ქართველები არ უნდა გოშოთ, რო მინემ ძალი გუთხრას. ჰტურთი იყოს ნამა, პარსელ იყოს ნამა, სომეხ იყოს ნამა, არმისა, არმის არ უნდა გოშოთ, თა ცოცხალნი ვართ, ჩონ უნდა ერთმანერთან ვიყნეთ და ჰელი ჰელი გოქონდეს და არ გოშათ, რო მინემ გომოვდეს, რო ჩონ დოგოლონოს და თუ ცალ-ცალკე ვიყნეთ, დავლონდებით“.

ეხლა კი იმისუჟანა ეს იყო, რო გამოადა, იბნებენ-ყე, მე კი არ მაგონდების, თქეს, რო გამოადა, საქართველოჩიო და საქართველოჩინაცო მრდა ყუანთანო და საქართველოს ყუანთანო.

ის იყო, რო ანჭითლა რო გამოადა ეჰა და რაქთენ დღესაც იყო და იმაში ამბობენ, რო ერთი ღარა გამრდაო და იმაზედა იქ ექიმები არ იყნეს სოფელჩი, ნამაღ ექიმები და ის იყო, რო მოკდა ილ იმაზე.

[24. ს ო ფ ლ ი ს ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი]. მე ყმაწილობითა შიდის წლისა რო შაჰქენ, იმაში რო წაველ მადრესაჩი დარსი ვიკითხო, ცხრა თეს

წაველ მე მადრესაჲი, ფაიზე და ამთრის და გაზაფხულზენა, თაზაფხულ-
ლი გათავდის-ყელა თათილი შაქნებისდა, მანი დააკეთი-ყე მადრესა-
იმის უკანლა მოადი-ყე და ჩემ მამასა მევეშელი-ყე. როგო მევე-
შელი-ყე? ჩონ რაათობა გოქონდა, ქეშავარზობას ვიქმინებოდა. მადრესა-
რი ყუანდა და ქარი და ფური და ვირი და სუ რამე. მუჩუბ ლეჩუჩუ მუჩუბ
ყავ, ჩონ ერთი გომელზოდის-ყე, ერთი ბაატა ყმაწილი. ფურები გა-
რეკის, აძოვის-ყე. მეც გავყვი-ყე იმასა. გავყვი-ყე და გაადით-ყე მინ-
დორჩი და ვაძოვით-ყე და სალომო დროსა შამოადით-ყე შინა.

(ფულს აძლევდით?) არა, ხორბალი მივციით-ყე. ხუთი გირი, ექსი
გირი. აველანთაყე იმ წლეფჩი ცოტა ემე მივციით-ყე. იმაში ხორბალს
ბევრ ყემათი ჰქონდა. ცოტა მივციით-ყე. ეხლეფჩილა ბევრს გამართ-
მენ-ყე. ეხლა ერთმა რო უნდა წაადეს ნოქრადა, მუშად³ რო წაადეს,
ერთიცა ერთ წელზე ორმოზდა ოც გირსა, ორმოზდათ გირსა, სამოც
გირსა, ექთენს გამართომს-ყე. გირი, მანი, შიდ ლითრა ნახევარსა ერთ
გირს დავძახით. შიდ ლითრა ნახევარ ხორბალსა ერთ გირს დავძახით.

ეხლა კი იმაშინაც რო ბაატა მოვდიდდი და მოაზდე, იმაში წაა-
დი-ყე სამკალზე და ერთჯელ მაგონდების, რო ჩემ პაპამა თქო, რო:
„ბიჭებო, წადით, მკევიით!“

და მე დავფიქრე: „მკევიით“ რა არი! არ გემეგო მე „მკევიით“, რა
არი. და ვთქი: „რას უმბობ, პაპა!“.

თქო: „წა, დააკარგე. მა როგო ქართველი ხარ, არ იცი!“.

ვთქი: „ექამდე არ გითქომ-ყე ესე“.

„მანი, წადით, თიბეთ“. მკევიით, მანი, თიბეთ. ერთ სახელიცა აქ —
„მკევიით“.

ის იყო რო იმაშინა, რო ეს სიტყო გააგე, რო „მკევიით“, მანი
„თიბეთ“. წაველიდა და ბიჭები აყვანე და წაველით და იქა მკევიით.

მაგონდების, რო ყანები ჩამყმარ იყო და ჩონი ნოქარი, მანი ის
ჩონ მუშა³ გაგუებულიყო, არ მოსულიყო, მოგეშელოს. ჩონ საქმეზე
არ მოსულიყო, გაგუებულიყო. „გაგუებულიყო“ ქართულ ემერი —
ლაპარაკია.

ეხლა კი მე მაგონდების, ეს ყანები, რო ჩამყმარიყო, სალომოსა,
რო ჩამუელ ემ დიზეფჩი. დიზები — ერთ ბაატა სახლები გუკეთებია.
ხუთი კილუმეთრი, ექსი კილუმეთრი სოფელსა-ყე შორს იყო და ლა-
მითა იქ ჩონ ცხორები და ფურები და პირიტყი მოადიან-ყე. და ჩემ
დიდიდაცა და დედაც ამოადიან-ყე ლამით იქა, რო ცხორი მოწელონ.
ცხორი სალომოს მოწელიან-ყე და ბატყნები შოშიან, ბატყნებიც დაწო-
ვიან-ყე.

და ეხლა კი ფურიც მოწელიან და კბო გამაყვანიან, მოწო-
ვის კბომა და კილემ შაყვანიან, დზბიან და ეხლა კი დილობისაცა-

ადგიან, მევორედ მოწელიან-ყე და ჩობანმა მოადის, გარეკის-ყე, დი
ლასაცა მოადის, გარეკის-ყე ჩობანმა.

ის იყო, რო მე შამუელ და ვთქი: „დედა!“

თქო: „რა არი?“

ვთქი: „მე ლუკმა პური მამიჯა და ყათული და რადლა გეჭმე-
ქამო და მე ავდეგე მინდა, გაადე, თორიან ლამერი, ნათელა, ნამა ნათე-
ლა, გაადე მინდა სამკალზე.“

თქო: „ბიჭო, არ დაღალულხარ დღესითა!“

ვთქი: „არა, არა! მე მინდა გაადე, მოვთიბო, ჩონ ემები გამკმა-
რა.“

ავდექ და იმაშინაცა თექსმეტი წლისა ვიყავ, მა ჩიდმეტი, წო-
რეთ არ მაგონდების, მა თექსმეტი, მა ჩიდმეტი, ავდექ და ლამკლები
გავლესე და გაველ და თორიან ლამეც იყო და მწდექ და ერთ მიწაზე
და ესე ავთიბე თა თავამდი, დილობა რო შაქნა, რო ინათა, მე თელ
მიწა შემეთიბა.

დილობის რო ამოდეს, ენ ჩემ ბიძაშვილებმა და ემ ჩემ ამხანა-
გებმა, მანი მოზობლები, რო ჩონ გერდით ყანები ჰქონდა-ყე, თქეს:

„ეს მინ მოთიბა, გუშინ ხო არ იყო იგეთ რამე“.

ვთქი: „მე ლამით მტულ, მოვთიბე“.

ჩემ პაპამ თქო: „კარგი, კარგი საქმე გიქნია, როგო ეს, ბიჭო, არ
დააღალე!“

იმას ძრიალ უხაროდის-ყე, ბევრ საქმე რო ვაეკეთით-ყე, იმას
ძრიალ გზხარდის-ყე.

ეხლა კი მიველ იქ, ისეხი რო შავკარით, თხუთმეტ ხარაქი შაქნა,
თხუთმეტ ხარაქი, მანი ის საბანები, რო შავკარით-ყე, რო ვირს დავკი-
დით-ყე, თხუთმეტი, ეს ყანა, იყო, ხორბალ იყო.

ეხლა კი ეს მაგონდების, რო ერთ ლამეს მე იქთენი ვიმუშავე, იმის
უკანაცა, ჩემ მამასა დავსილი ემე იყო, თავი დლონის-ყე, თავი ავად-
ლოფობა ჰქონდის-ყე, შიდ დღე, ექსი დღე გამოადის-ყე და თავი ძრი-
ალ აღონის-ყე და იგრე იყვის-ყე, რო დაწვის-ყე და გადავარდის-ყე.

და ლამით სარწყავი გოქონდის-ყე, ლამითა წყალები ბევრი იყვის-
ყე, იმ წელს, რო წყალი ბევრი იყვის-ყე და ერთ რუები იყვის-ყე, რო
წყალი ბევრი ჰქონდის-ყე, ეს არ ქნდების-ყე, რო შავკრათ, გოლში
შავაქუჩოთ და დილობის წადდეთ, გომრშოთ და ვრწყათ. უხდოდის-ყე
ლამითა, ჩირალები ადლოთ და ჩირალებიც ეგრე განათებეს-ყე, ადლოთ
და გაატანოთ და ბარი და ეხლა კი ერთი ფათუც გაატანოთ, მანი, სა-
ბახი, ბაეტა საბანიც გაატანოთ, რო ერთქელ რომელსაცა ჰკიცვა, გა-
დადვაროს.



ეხლა კი ღამითა პური და ჭაბი რო ავანთოთ და ჩაა და ვერც
რამეზიც გაატანით-ყე და პური, რო აა იქ წაადღეთ და ერთმანეთს
მევეშელით-ყე ბიძაშვილები, მოზობლები. ესეზი მევეშელით-ყე, იქ
ვრწყევით-ყე.

მე მაგონდების, იმ წელს უკან, დანი თხუტმეტი წლის უკან, მე
მე ცხრამეტი წლისა რო შაქენ, თა იქამდი ძრიალ ნამა ვეშელებოდი.
XIV. მარზია მოვაპედი*, ოცი წლისა. რეზაყული მიქელა-
ნის შეუღლე.

[1. ჩობან-გაწყეტინობა]. ვამბობ, მოლით, ჩობან-გაწყ-
ეტინობა.

იტყიან: „ხო, მუალთ!“ მე ვეტყვი, რო: „მე დავჯიდები ქუნდათ“.
ანსები იტყიან: „ხო, შენ დაჯე ქუნდათ!“

იმაში დავათორიალებ, სამი ნამაა დიდს გამუარჩევ, იმაში დაა-
სომ ერთს ემ გერდითა, ერთსაცა ჩაასომ კათლაჩი, რო შამამზუს
წელზე და ემ სამთა მემეშელონ მე, რო ამებმა მე არ გამათრიონ.
იმაში თერთმეტნი იქნებიან, ოცნიც იქნებიან.

იმასა, რო კალთაჩი მყავ, მაჰკიდებენ წელზე. ემ თერთმეტსა-ყე
ერთი დიდი, რეშიდი, გადგების ქენარზე.

ეს ათნი, ეს რო კალთაჩი მყავ, მაჰკიდებენ წელზე და გაწყროვ-
დებიან ერთ ყათარზე. და ეს ორნი, რო რეშიდი, ქენარზე არი, მუა
და მაჰკიდებს იმ მეათესა, რო ახირ ჯალაზე არი. და გრჰირფეს, რო
ანს ქუნდა გათრივონ. იმაში, რო გრჰირებენ და ემ ქუნდას ვერ გე-
თრევენ, იმაში ერთი ემ შუაზე გაჰწყეტს და იმაში მოვლენ, ემას
რო გრწყეტია, იმას მაჰკიდებენ და ტრ...ეფს აკრევიებენ. (ამ სიტ-
ყვას რო მიადგა, ადგა, ქმარს უთხრა: „შენ თქვიო!“ და გარეთ გას-
ვლა დააპირა).

XV. ებრაჰიმ მიქელანი. მამით ქართველი. დედა სპარსე-
ლი ჰყავს. დედასთან ქართულად ლაპარაკობს. ოჯახში სალაპარაკო ენა
ქართულია.

[1. ჰერანგ-ჰერანგობა]. დაქუჩდებიან, ორი დიდი შაქენ-
ბის. ცხენი რამეს დადანიშნიან. მასალან, ერთის ცხენს დადანიშნიან. ეს,
რო თამაშოფს, იმ ორის გარდაას. დიდს შომოსხნია ქამარბანდი. ერთი
მუა, მაჰკიდებს პალყაზე ქამარბანდს. ერთი დიდი იტყის: „ჰერანგ,
ჰერანგ!“

ემას, რომ მოკიდნია ქამარბანდზე, ეს იტყის: „ასპე ჩერანგ!“³⁶ ანს
ორი დიდი იტყიან: „ასპ უნ დარე მაჰლე“³⁷.

* აქლან ხელით გვაქვს ჩაწერილი.

თუ ემამ, რო ქამარბანდზე მოკიდნია, გამაეტანა (შეაცნო), ვმ სხოეფს გემუდევენების-ყე, თა დაპცხოს-ყე.

ანს დიდი იტყის: „განდომ, განდომ!“, თა დაპცხოს-ყე. იმაში, რო ნამა ჰცა-ყე, ეს ორი იტყის: „ჯოჟ, ჯოჟ!“.

ანსები მობრუნდებიან და გემუდევენებიან იმას, რო მიადევდა-ყე, გემუდევენებიან, თა მოადენ ემ ორ დიდთან და გათავდების.

2. ქუა და კაკალი. ერთი კაკალი იყო. ემას ერთ დედა ჰყუნადა. ერთი ქუა იყო. ემ კაკალმა გაგორდა და ემ ქუას თავი ჰკრა. ემ კაკალმა უთხრა:

„ქუა თავი რათ გამოიტეხე!“

ემ ქუამ უთხრა: „მა ბალახმა ჩემ ძირზე რათ გამწონდა!“

„ბალახო, ემის ძირზე რათ გამწონდი!“

„მა ცხორმა რათ მამძოვა!“

„ცხორო, რათ მამძოვე!“

„მა, გელმა დუმა რათ მამგლიჯა!“

„გელო, დუმა რათ მამგლიჯე!“

„მა, ციცამ რათ გამფხლანჭა!“

„ციცა, რათ დაფხლანჭე!“

„მა, რაითი ღამით დანი არ დამიგდეს!“

გათავდა.

3. იმაში, რო ორ საათ დარსი ვეკითხით-ყე, ორ საათსაც ვითამა- შით-ყე. ეგეთ ჰალყა ვკრით-ყე. (ვეკითხები: „ეს წინადადება სპარსუ- ლად როგორ იქნება-მეთქი?“ დაიბნა, თურმე სპარსული არ სცოდნია).

და მოღირებმა მოადიან-ყე და ხუთ-ექსი, რომელიც რო ნამაჲ იყო და დარბოდა, ისი შავდიან-ყე დაძრაჩი და იმაში გუნდაათა ეს- როლიან-ყე, თა მწთინიან-ყე, ერთ-ერთს მწთინიან, იმას, რო მწთინიან, შამოადის-ყე საძჩი, დაძრაჩი და ეხლა იმ სხოეფს ესრო- ლიან-ყე, თა ერთიცა შამოადის-ყე საძჩი, ელეგრე ფასძტი, ფასძტა- ფასტა.

შამაყვანიან საძჩი და იმაში გათავდის-ყე და წაადით-ყე შინა.

[4. ქამარბანდბაზობა]. ქამარბანდბაზობა რო უნდო- დის-ყე ვითამაშოთ, ათნი, მა თორმეტნი ვიყვით-ყე და ხატი ეგრე შა- მოუხაზით-ყე, მასალან, თორმეტი ვიყვით-ყე, ექსნი შიგ ხატიჩ დავდ- გით-ყე, ქამარბანდები შამოაძსხნით-ყე, ექსი ქამარბანდი შამოაძსხნით- ყე და ექსნი დოღვით-ყე, რო ქამარბანდი, ისები, რო გარეთ იყნეს. მოგპარიან-ყე და ერთჲელ შოგოქცივიან-ყე და ქამარბანდი გაეტანი- ან-ყე და ის ექსი, რო გარეთ იყო, იმებმა ჰართითომ ერთი ქამარბან- დები აძლეს, აძლიან-ყე და ისები, რო შიგ იყნეს, იმეფს დაპცხიან-ყე.

თა პალა ქნიან-ყე. ემებმა გამოადიან-ყე და ანებმა შადიან-ყე და კავადის-ყე.

XIV. ა შ რ ა ძ ა რ ა პ ი მ ი, 44 წლისა. რეზა მიქელანის დედა.

[მ ო ხ რ ა-გ ა რ დ ა ხ ტ ო მ ა]. ყადიმად ერთ ქორწინებას ქარი დაქუჩდის. თქიან-ყე: „მოდით, მოხრა-გარდახტოქსა ერთი მოჰხარინ-ყე, მაჟუნტის. ამ ბის ნაქარშალა გარდაფლიან და გარდმოფრინდიან, ჰამ გარდვიდიან, ჰამ გარდმოდიან. ევრე ერთ ესე, რო მოჰხარინ, ორნივე ჯელი დადვიან და გარდახტიან-ყე. ბალი, დაჰწერე?

რომელმაც ვერ გარდავიდის-ყე. დრშინიან, ერთ თავი სუმ დრშინიან-ყე. იმაში ახლა ის მოჰხარინ-ყე. დავარდის-ყე, იმის ფასტა მოადის-ყე.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. ტექსტის ჩაწერა ყველა ფონეტიკური (ე. ი. ფონოლოგიის თვალსაზრისით ქარბი, ავტომატური) თვისებების აღნუსხვით არ მოხერხდა, რამდენადაც ფონეტიკურ-ექსპერიმენტული კვლევა ვერ ჩავატარეთ და არც მითქმელებთან უშუალო მუშაობის საშუალება გვქონია, გარდა რეზა მიქელანისა.

მაგრამ იქ, სადაც მაგნიტურ ფირზე ჩანაწერი მკაფიოდ ისმოდა და ფონეტიკური თავისებურებები სმენით კარგად აღიქმებოდა. შეძლებისდაგვარად აღვანუსხეთ ისინი. ამდენად ჩაწერა არც წმინდა ფონოლოგიურია.

ჩვენი დაკვირვებით, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკლეჩის დაყრუება არ იწვევს მის ავტომატურ ასპირაციას. ასპირირებული ყრუ თანხმოვანი ან მომდევნო ფშვინვიერი, ან სისინა ბგერის გავლენით არის მიღებული, ანდა პარადიგმატული გასწორების შედეგია. მახვილიანი ხმოვნის მომდევნო მკლეჩი თანხმოვანი კი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ინარჩუნებს მკლეჩობას. ამ წესებიდან გამონაკლისია „დეგ“ ძირის შემცველი ზმნის ფორმები: ავდექი და ა. შ. რაც შეიძლება აიხსნას გ და ქ ფონემების ფუნქციონალური წონით. ი. მელქიშვილის დაკვირვებით, ველარულ რიგში უფრო ხშირია ქ, ამდენად არამარკირებულია ყრუ-ფშვინვიერი.

2. ეს სიტყვა რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: ქბილი|ქველი|ფქილი.

3. ეს სიტყვა ფერეიდნულისათვის დამახასიათებელი არ არის. შეთვისებულია ან წიგნური გზით, ანდა ქართველებთან ურთიერთობის შედეგად. საილუსტრაციოდ მივუთითებთ მხოლოდ მისი ხმარების რამდენიმე შემთხვევას.



4. S_2O_3 და პირდაპირი ობიექტი ზმნის I სერის ზმნისწინა ფორმებში გამოიხატება შემდეგი ფონეტიკურად შეპირობებული ფორმებით:

ა. მქლერი თანხმოვნების წინ შუაენისმიერი მქლერი (პალატალიზებული) სპირანტი, რომელიც აღვნიშნეთ — [ა]. ამავე გრაფემით აღინიშნა, შესაბამისი სასტამბო ნიშნის უქონლობის გამო, მახვილიანი ხმოვნის შემდეგ პოზიციაში და ხმოვნის წინა პოზიციაში დასუსტებული ი — ხმოვანიც.

ბ. ყრუ თანხმოვნების წინ გვხვდება ორი ალომორფი: [პ] და [პ']. ზმნისწინისეული ან წინა სიტყვის ხმოვნის შემდეგ ალომორფი [პ'] — ყრუ (პალატალიზებული) შუაენისმიერი ასპირირებული სპირანტი (გერმანული ich — laut-ის მსგავსი). ალომორფი [პ] — ყრუ უკანაენისმიერი ასპირირებული სპირანტი (გერმანული ach — laut-ის მსგავსი) შეგვხვდა სიტყვაში „ჰყავს“ პაუზის შემდეგ. ამ მორფემის [ს] და [ო] ალომორფები ჩვენ ვერ დავადასტურეთ.

5. ეს სიტყვა მოქმედის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმია.

6. ორ ხმოვანს შორის, თუ პირველი მათგანი მახვილიანია, თანხმოვნები განსაკუთრებით ინტენსიურად წარმოითქმის. საილუსტრაციოდ მივუთითეთ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაზე.

7. ბოლოხმოვანი სახელის ფუძეზე „არის“ მეშველი ზმნის დართვისას იკარგება ა ხმოვანი. მაგალითად, ოზო არი — ოზორი, რუ არი — რური და ა. შ. რაც სპარსულის გავლენით უნდა აიხსნას. ბოლოხმოვანი და ანლაუტხმოვანი სიტყვების შეხვედრისას კი, როგორც წესი, სუსტდება წინამავალი სიტყვის ბოლო ხმოვანი. მაგალითად, „უნდა იყოს“ — დასუსტებულია წინამავალი სიტყვის აუსლაუტისეული ა. „ეგრე იქნება“ — დასუსტებულია ე. „მუცელი ატკივდა უნდა...“ — დასუსტებულია წინამავალი სიტყვების ი და ა ბოლო ხმოვნები და ა. შ.

8. ქალების მეტყველებაში ორ სიტყვაში დავადასტურეთ ხმოვნის ფშვინვიერი დამართვა: „ღგაპ“ და „ზეპ“.

9. III პირის ნაცვალსახელის დეიქტური ხმოვნითი ელემენტები ფუნქციურად ქართულისგან განსხვავდებიან.

დაპირისპირებულია სამი ხმოვანი: ა: ე: ი. ეს ხმოვნები მიჰყვებიან ნაცვალსახელთა ბრუნების მთელ პარადიგმას. ისინი გვაქვს როგორც სახელობით ბრუნვაში (ანსი, ესე, ისი), ისე ირიბ ბრუნვებშიც შესაბამისად (ამამ, ამას... ემამ, ემას..., იმამ, იმას...), მხოლოდ ფერეიდნულისათვის დამახასიათებელი III პირის ნაცვალსახელი „ანსი“, ჩვენი აზრით, კონტამინირებული ფორმაა: სპარსული III პირის ნაცვალსახელი ან N ('ის') + ისი. სპარსულ ენაში ან ('ის') უპირის-



პირდება ონ ('ეს') ნაცვალსახელს და მისგან განსხვავებით აღნიშნავს შორს მყოფ საგანს.

ფერეიდნულის სამი დეიქტური ხმოვანი ფუნქციონირებს ირად ნაწილდება:

• ხმოვანი აღნიშნავს მოლაპარაკე პირებისაგან შორს მყოფ საგანს, ანუ ისეთ საგანს, რომელიც მოლაპარაკეთა თვალთახედვის არეში არ ხვდება.

ა და ე ხმოვნები აღნიშნავენ მოლაპარაკე პირების თვალთახედვის არეში მოქცეულ საგანს. ა — მოლაპარაკე პირებისაგან დაშორებულს, ხოლო ე — მათთან უშუალო მეზობლობაში მყოფს.

იგივე ოპოზიცია მეორდება ჩვენებით ნაცვალსახელებში და იმ ზნისსართებში, რომელნიც შეიცავენ შესაბამის ხმოვნებს. მაგალითად, ანგეთი: ეგეთი; იგეთი; ამკარა — ემკარა; ანქით-ექით და სხვ.

ფერეიდნულის ნიადაგზე დაუპირისპირდა ერთმანეთს იგივე დეიქტური ელემენტები თურქულიდან ნასესხებ ნაწილაკში „ელა“ (— მნიშვნელობით ქართ. „აი“) მაგალითად, ალა: ელა; ალ ამ: ელ ემ; ილ იმ; ელ ეგრე: ილ იგრე და სხვ.

10. بطور کلی ბე თოტრ-ე ქოლღრ. — „მთლიანად, სავსებით“.
11. حتی تیر آهن ჭათთა თირ-ე აჰენ — „თვით რკინის თავზეც“.
12. خیلی واضح ხელღრ ვაჰეჰ — მეტად აშკარა.
13. მთქმელი მეტი ხნის გამოდის, — ხსენებულ პირთ საქართველოში იმოგზაურეს 1896 წ.
14. هر زاد و حقوق ჰოყუყ-ო ჰარზად — „ხელფასი და ყველაფერი“.
15. تمام سراسری باصطلاح ბე ხედმათ-ე სარბაზრ, ბე ესთელჰ — „ე. წ. (სიღყვაზე) ჯარში სამსახური“.
16. بانک کشاورزی ბანკ-ე ქეშავარზრ — „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“.
17. شرکت میکنند შერქათ მრქონანდ — „მონაწილეობას ლებულო-ბენ“.
18. رئیس پیرستان რა'ის-ე დაბრრესთან — „სკოლის დირექტორი“.
19. تمام هر راد თამამ-ე ჰარზად — „ყველაფრის სრულგზნა“.
20. گذشته بود გოზაშთე ბუდ — „წარსული იყო“, „რაც მოხდა, მოხდა“.
21. فلان فلان شده ჭელან-ე ჭელან შოდე — „შე ასეთო და ისეთო“.
22. ششم بهمن შეშომ-ე ბაჰმან — ირანის მზის კალენდრის მეტორ-მეტე თვე, დეკემბერი.



23. برای خدمت سرسازى بآرزو-მე ხედმეთ-ე სარბზზ-ქარში სამსახურისათვის“.
24. سلام ازبنده است—‘სალამი გონისგან არის’ „გამარჯობა“.
25. به ایست ბე ისთ—„შეჩერდი!“
26. تراخدا თორა ხოდა—„ღვთის გულისათვის, გაფიცებ“.
27. میکشید خجالت ხეჯალათ ზეჯაშედ—„რცხვენოდა“.
28. خیت شد ხით შოდ—„შერცხვა“,
29. گرجیه გორჯიე—„ქართულია“.
30. რ. მიქელანი სპარსულ სიტყვებს სპარსულ ფრაზაში ლიტერატურული ფორმით გამოთქვამს, ხოლო ფერეიდნულ ქართულში შემოსულ იმავე სიტყვებს კი — დიალექტურით.
31. تا علی اسمه თაჯ-ე’ალე ესმე — „თაჯ-ე ’ალე სახელია“.
32. ببارت مبارک ბაპარეთ მობარაქ — „ბედნიერი გაზაფხული გქონდეს“.
33. ایامکم سعیدا იამმექუმ სა’იდა — „ბედნიერ დღეებს გისურვებ“ (არაბ.)
34. سبهار بفرما სბვარ ბეფარმა — „სიგარეტი ინებეთ“.
35. چاره بیا ჩაპარდაპ ბნაშ — „თოთხმეტო [რიცხვო], მოდი“.
36. چهرنگ اسب ასბ-ე ჩე რანგ — „რა ფერის ცხენი“.
37. در ان محل ასბ-ე დარ ან მაჰალლ — „იმ უბნის ცხენი“.
38. سی و پنج سال სნ-აო ფანჯ სალ — „ოცდათხუთმეტი წელი“.
39. „წოგია“ ნიშნავს „მოუგია“.



- ამზად-ი همزاد ჰამზად—ტოლი, კბილა.
 ამალ-ი عمل 'ამალ—საქმიანობა, პრაქტიკა.
 ანნაბ-ი عناب 'ონნაბ—უნაბი.
 ანსიდეს—ანსი (ის) და ეს.
 არნადი—„ბზის გასახვეტელი“ (საბა).
 არიშტა ارشته არიშთა—გამხმარი ცომი; მაკარონი.
 ასანდ-ი آسان 'ასან—იოლი.
 ასლან اصلا ასლან—1) საცხებიით. 2) იმთავითვე.
 ასლ-ი صل ასლ—ძირი, მოღვმა.
 ასუდა اسودا 'ასუდა—მოსვენებული.
 აქსარიათ-ი اكثريت აქსარიათ—უმეტესობა.
 აქს-ი عكس 'აქს—სურათი.
 ალა قا 'აყა—1) ბატონი. 2) მამა.
 ალაღია ბიღა (დედის ძმა).
 აღდ-ი عقد 'აყდ—ჯვარისწერა.
 აღილ-ი اغيل (თურქ.)—ფარეხი.
 ახირ-ი آخر 'ახერ—ბოლო; ბოლოს.
 აჯურ-ი اجر 'აჯორ—აჯური.
 აქენგარ-ი آهنگر 'აქენგარ—მჭედელი.
 აქენგარი آهنگری 'აქენგარე—სამჭედლო.
 აჰვალ-ი احوال აჰვალ—მდგომარეობა, ვითარება.
 აჰვალის არევა—ცუდად გახდომა.
 აფჰან-ი افغان 'აფღან—ავღანელი.
 ბად بعد 'ბა'დ—შემდეგ.
 ბა'დან بعداً 'შემდეგ.
 ბადან-• بدن ბადან—სხეული.
 ბადჯანს-• بدجنس ბადჯენს—ავი, ცუდი ბუნებისა.
 ბაზარი بازاری ბაზარე—ბაზრის კაცი, ვაჭარი.
 ბაჯტა—პატარა.
 ბალი بلی 'ბალე—ღიას.
 ბალიშ-• پاش 'ბალეშ—თხელი პური.
 ბანდ-• بند ბანდ—თოკი.
 ბარყ-• برق 'ბარყ—დენი.
 ბალაღა باغلا 'ბაყლღა—პარკოსანი მარცვლეული.



- ბეგარ-ი بيكار ბეკარ—უსაქმური.
- ბელბაქ-ი بيل پاك ბილ ფეკ(?)—პატარა, კოვზის ხელა ნიბი.
- ბელახარا بالاخره ბე ალ-ახერა—ბოლოს.
- ბენა بنا ბენა—საფუძველი.
- ბერეშტა برشته ბერეშტა—დამწვარი პური.
- ბესთელა باصطلاح ბე ესთელაჰ—როგორც იტყვიან, ასე ვთქვათ.
- ბეჩაგანა بهجگاه ბაჩეგანე—საბავშვო.
- ბეჰლაშთი بهداشتى ბეჰლაშთი—სანიტარია, ჰიგიენა.
- ბიბან-ი بيابان ბიბან—უღაბნო.
- ბიმარესტან-ი بيمارستان ბიმარესტან—საავადმყოფო.
- ბის بست ბისთ—ოცი.
- ბიხოდ بيخود ბიხოდ—ტყუილა.
- ბუთა بوتა ბუთა—ბუჩქი (←ბუთქ←ბუთაქ); ძეძვი.
- ბუნგ-ი بنگ ბუნგ—ხმა; ძახილი.
- ბურ-ი بور ბურ—ელალი; ქერა.
- გავრან-ი گاوران გაურან—('ხარის სადენი') სახრე.
- გაზ-ი گاز გაზ—ტყბილეული, რომელსაც მანანისგან ამზადებენ ის-პანში.
- განდომ گندم — ხორბალი.
- გარდანქოლოძტ-ი گردن کلفت გარდან ქოლოძთ—თაფხედი; დაუ-დეგარი.
- გართ-ი گرد گარდ—მტვერი.
- გარმესირ-ი گرمسير გარმსირ—თბილი ადგილი; მომთაბარეთა სა-ზამთრო სადგომი.
- გაფ-ი گف გაფ—სიტყვა; ამბავი.
- გაჰამრება გაარმება—გაფუჭება (حرم ჰარამ—აღკვეთილი).
- გერუვათ-ი گراوات ქრავეთ—პალსტუხი.
- გერიმ ისეე.
- გოზაშტა گزشته გოზაშთა—წარსული.
- გოლ-ი گول გულ—ტბა; აუზი.
- გოლაბი گلابي გოლაბი—მსხალი.
- გოლაფტაბ-ი گلافتاب გოლაფთაბ—მზესუმზირა.
- გოლბანდ-ი گلبند გოლბანდ—წყლის გასასვლელი არხში, რომელიც იკეტება.
- გოლგავზაბან گلاوزبان გოლ-ე გავზაბან—პატარაძალა, ძროხიენა.

გოტჯა گوجہ გოტჯე—ჰამიდორი.

დაბირ-ი دایر დაბირ—1) მდივანი 3) მასწავლებელი.

დაბირესტან-ი دایرستان დაბირესთან—საშუალო სკოლა.

დაემ-ი دایم დაემ—მუდამ; მუდმივი.

დავაზდა دوازده დავაზდაჰ—თორმეტი.

დაჰრა دایره დჰერე—წრე.

დამ-ი دم დამ—ჰაერი.

დამფეზეშქ-ი دامزشک დამფეზეშქ—ბეითალი.

დან-ი دان დან—მარცვალი; ნატეხი.

დანგ-ი دنگ დანგ—უძრავი ქონების მეცვლელი.

დანეშსარაჰ ქეშავარზი دانهسرای کشاورزی დანეშსარაჰ-ე ქეშავარ-
ზი—სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

დანეშგა دانگاه დანეშგაჰ—უნივერსიტეტი.

დარამად-ი در آمد დარამად—შემოსავალი.

დარბარ-ი دربار დარბარ—სასახლე.

დარს-ი درس დარს—გაკვეთილი.

დასგა دستگاه დასთგაჰ—1) აპარატი. 2) ხელისუფლება.

დასმალ-ი دستمال დასთმალ—ხელსახოცი.

დასტან-ი داستان დსთან—ამბავი.

დარუჰონუნ-ი دارافزون დარ ალ-ფონუნ—'მეცნიერებათა სასახლე'
პირველი ევროპული ტიპის სასწავლებელი ირანში.

დაქორვა დაბრმავება (کور کردن—ბრმა).

დაჟა دقایق დაჟა (იხ.).

დაჟიჟა دقایق დაჟიჟა—წუთი.

დაშ-ი دایم დამ—ძმა. დაშიმ 'ჩემო ძმაო'.

დახატული—ლამაზი, კარგი.

დაჰანა-აჰსარა دانه‌افساره დაჰანე-აჰსარა—აეშარა.

დაჰათან دایم‌اتان დაჰ'ათან—მოულოდნელად; შემთხვევით.

დელავარ-ი دلاور დელავარ—გულადი.

დერელი دایری დერელე—ბურღი.

დიდანი دایمی დიდანი—მონახულება.

დიდი—უფროსი, ხელმძღვანელი.

დიზ-ი دایم დეზ—ციხე; კოშკი.

დო'ა دا დო'ან—შელოცვა.



დოვლათ-ი دولت დავლათ—სახელმწიფო; მთავრობა.

დოვომ-ი دؤم დოვომ—მეორე.

დოღულა دولولا დულულა—ორლულიანი.

დოშაქ-ი دوشك დუშაქ—ლები.

დურდასტ-ი دوردست დურდასთ—დამორებული.

ედა دا 'ედად—რიცხვი, რაოდენობა.

ეაღბანი عايديني 'ეაღბნინ—ზეიმზე, დღესასწაულზე მოსვლა.

ეაღ-ი عيد 'ეაღ—დღესასწაული.

ელათი اعك 'ელათ—მიზეზი.

ემზა امضا ემზნ—ხელმოწერა.

ემლა املا 'ემლა—ორთოგრაფია, სასკოლო წერა.

ემთეჰან-ი امتحان ემთეჰან—გამოცდა.

ემთეჰანათ-ი امتحانات ემთეჰანათ—გამოცდები.

ენტეზაბი انتخاب ენთეზაბ—რჩევა; რჩეული.

ესთეჰადა استفادე ესთეჰადა—სარგებლობა.

ესლაჰათე არზი اصلاحات არზნ-ე არზნ—მიწის რეფორმა.

ესთელაჰ-ი اختلاف ესთელაჰ—უთანხმოება.

ესთიარ-ი اختيار ესთიარ—არჩევანი.

ესლეფი-ი ამ ბოლო ხა:ებში.

ეჯაზა اجازه ეჯზე—ნებართვა.

ეჰთაჯ-ი احتياج ეჰთნაჯ—საჭიროება.

ეჰრამ-ი احرام ეჰრამ—1) ჰაჯის (პილიგრიმის) მოსახური ქსოვილი.

2) იმავე თხელი ქსოვილის ფარდაგი.

ეჰტარ-ი اعطار ეჰტარ—ხსნილი.

ვაზ'-ი وضع ვაზე'—საფუძველი; ქონება.

ვაზ'იათ-ი وضعت ვაზ'ნიათ—მდგომარეობა.

ვალ-ი ولي ვალნ—მავრამ.

ვასაელ-ი وسائل ვასაელ—ხელსაწყობები.

ვასილა وسيله ვასილა—ხელსაწყო.

ვახტ-ი وقت ვაყთ—დრო.

ზარა ذرة 'ზარე—წვრილი; მცირე რამ.

ზარე زارع 'ზარე'—მიწის მუშა.

ზარჰ-ი ظرف 'ზარჰ—ჭურჭელი.

ზახმ-ი زخم 'ზახმ—ჭრილობა, იარა.



ზაჰმათ-ი زحمت ზაჰმათ—გაჭირვება.

ზემინ-ი زمین ზამინ—მიწა.

ზემბასტე რ. მიქელანმა განგვიმარცა: زبان بسته ზაბან ბასთე (ენა დაკეცილი) უნდა იყოსო, მაგრამ ჩვენ دم و دست (ზემბასტე) ან ზემმ-ფასთ—'ჯანდაკი და დავარდნილი') გვეგონია.

ზენდეგი زندگی ზენდეგი—სიცოცხლე, ცხოვრება.

ზენდან-ი زندان ზენდან—საპატიმრო.

ზიარათ-ი زیارت ზიარათ—მონახულება წმინდა ადგილებსა.

ზინბარგ-ი زینبرگ ზინ-ბარგ—უნაგირი, კურტანი.

ზინჯირ-ი زنجیر ზენჯირ—ჯაჭვი.

ზირფირჰანი زیرافرهانی ზირ ფირჰანი—მაისური.

ზილჰაჯე ذی الحجه ზი ალ-ჰეჯეჟე—მუსულმანთა მთვარის კალენდრის მეთორმეტე თვე.

ზორათ-ი ذرت ზორათ—სიმინდი.

ზოღალ-ი ذغال ზოღალ—ნახშირი.

თა ს თა—სანამ;—მდის; რათა.

თა ახერ آخر თა თა ახერ—ბოლომდის.

თა'არუჭ-ი تعارف თა'აროჭ—ძღვენი.

თაბრიქ-ი تبریک თაბრიქ—მილოცვა.

თაბუთ-ი تبوت თაბუთ—კუბო.

თავლილ-ი تب. თა ღვილ-ი.

თაზა تازة თაზა—ქორფა; ახალი.

თათილ-ი تعطيل თა'თილ—დასვენება, არდაღეგები.

თა'ინ-ი تعین თა'ინ—განსაზღვრული.

თაღაჭა تلافی თაღაჭი—საზღაური.

თამამ-ი تمام თამამ—მთლიანად.

თამიზ-ი تعین თამიზ—სუფთა.

თარაყი ترقی თარაყე—პროგრესი.

თარვიჯ-ი ترویج თარვიჯ—გავრცელება.

თას ფეჭი—მთის ძირი.

თაუსტან-ი تاستان თაბესთან—ზაფხული.

თაღარ-ი تغار თაღარ—თიხის გობი.

თაყაზა تقاضا თაყაზა—მოთხოვნა.

თაყრიზან تفریباً თაყრიზან—დაახლოებით.

თახტა تختة თახტა—ფიცარი.



თახტახონ-ი تخت-خوان თახთახონ—გობი.

თახტ-ი تخت თახთ—ტახტი.

თაჰვილ-ი تحويل თაჰველ (حول ჰოლულ)—დროის ახალი წლის დადგომა.

თეჰრანი تهران—თეირანი.

თიჟა تاج თეჟე—ნაჰერი.

თონაგუ تونگو თონაგუ—თურმე ნუ იტყვი.

თოურ-ი طور თაურ—გვარი, რიგი.

თოუჰინ-ი توهين თოუჰინ—შეურაცხყოფა.

იჰანი ايمنى იჰანი—იგუდი; უშიშროება.

ინშალა الله انشاء ენშა'ალ-ლაჰ—'ღმერთმა ქნას!'

მა სი მა—ან.

მაზდა دادا მაზდაჰ—თერთმეტი.

მანი معنى მა'ნი—ანუ.

მაღი ياغي მაღი—გეგმობი.

კითხვა—1) ჩვ. მნიშვნ. 2) მღერა.

ლაბას-ი لباس ლაბას—ტანსაცმელი.

ლანგეჩეშმა لنگچه لანგ-ჩაშმე.

მაგარ مگر მაგარ—განა.

მაგარი აჰ: კლდე, გორა (მღრ. „წიგნი სიბრძნე-სიკრუისა“, გ. ლეონიძის გამოცემა, გვ. 93).

მა'დან-ი معدن მა'დან—მადანი.

მადრესა مدرسه — სკოლა, საშუალო სასწავლებელი.

მაზრა مزرعه მაზრა'ე—ნათესი მიწდევები.

მათლაბ-ი مطلب მათლაბ—საკითხი.

მაჰა ماهე მაჰა—კვეთი.

მაღა ماهე მაღა—ჭაფჩა.

მაღეჟ-ი ملكე მაღეჟ—მეზატრონე.

მაღიათ-ი ماليات მაღიჯათ—გადასახადი.

მამლეჟათ-ი مملکت მამლაჟათ—სახელმწიფო.

მამუნ-ი ممنون მამუნ—მადლობელი.

მა'ნი معنى—მნიშვნელობა.

მარიზ-ი مريض მარიზ—ავადმყოფი.

მარიზხანა مريضخانه მარიზ-ხანა—საავადმყოფო.

მარსუმ-ი مرسوم მარსუმ—დასახელებული; ჩვეულებრივი.

მას-ი ماس მას—ფლოსტები,

მასალან ماسالان მასალან—მავალითად.

მასჩედი ماسچدي მასჯედ—მეჩეთი.

მაქს-ი ماکس მაქს—დაყოვნება.

მაყაშ-ი ماقاش მანყაშ—პინცეტი.

მაშთა—სქელი ფარდაგი.

მაჯლეს-ი ماسجلس მაჯლეს—შეკრებილობა, წვეულება.

მაჯმა ماسچما მაჯმა—ლანგარი, ტაბაკი.

მაპლა (მაპალა) ماسچلا მაპალლე—უბანი.

მევი موي მოჲ—ვაზი.

მეჯირი مچري მეჯარ—პატარა ზანდუკი.

მიზან-ი ميزان მიზან—თანასწორი.

მისი مسي მესნ—სპილენძის კურკელი.

მიხ-ი مبخ მხ—ლურსმანი.

მო'ალემ-ი (მუალემ-ი) ماسچلم მო'ალლემ—მასწავლებელი.

მო'არეჭი ماسچري მო'არეჭბ—რეკომენდაცია.

მობარეჟ-ი ماسچرك მობარაჟ—ბედნიერი.

მოდირ-ი ماسچير მოდირ—შმართველი, გამგე.

მოდირქოლ-ი ماسچيركل მოდირ-ე ქოლლ—მმართველი, უფროსი.

მოსაჭერხანა ماسچرخانه მოსაჭერ-ხანა—სასტუმრო.

მოსთარაჰ-ი ماسچراح მოსთარაჰ—ფეხისალაგი.

მოსთახდემ-ი ماسچخادم მოსთახდემ—მსახური.

მოჰანდეს-ი ماسچندس მოჰანდეს—ინჟინერი.

მოჰასელ-ი ماسچاصل მოჰასსელ—1) გადასახადის ამკრეფი. 2) მოს-

მლუ.

მუზდ-ი مازد მოზდ—მინდი.

მუვაჭყუ-ი ماسچوق მოვაჭყაყ—შესაბამისი.

მურდშურხანა ماسچورخانه მორდე შურ-ხანა—მკვდრის განსაბანი.

მუსიყი ماسچيقي მუსინყ—მუსიკა.

მუჭთ-ი ماسچفت მოჭთ—მუჭთი.

ნავა ماسچوا ნავა—შვილიშვილი.

ნავრუშ-ი ماسچوروش ნავრუშ—'ახალი დღე', ახალი წელი (21 მარტს

დღის).

- ნათირალი—დაჭრილი (نير თირ—ისარი).
 ნათიჯა ნათიჯა ნათიჯა—შედევნი.
 ნათიჯე-ამეთეჰანათ-ი ნათიჯე-დე ემეთეჰანათ-ი
 ცლების შედეგები. ناتاجه امتهاناث
 ნალბანდ-ი نعلبنდ ნა'ლ-ბანდ—ნალის ამბმელი.
 ნამა نعم ნე'მა—კარგი.
 ნამაზ-ი نماز ნამაზ—მუსულმანთა ლოცვა.
 ნარაჰათ-ი ناراحت ნარაჰათ—შეწუხებული.
 ნარმ-ი نرم—რბილი.
 ნაყრი—ცოტა.
 ნახოშ-ი خاش ნახოშ—უგუნებო, ავადმყოფი.
 ნაჯარ-ი ناجو ნეჯარ—დურგალი.
 ნაჯაჭაბად-ი نجف آباج ნაჯაჭ-აბაჯ — ქალაქია ისპაანს ახლოს
 (30 კმ), ნაქართველარია.
 ნაჭ-ი نجف ნაჭ'—შემოსავალი.
 ნაჭარ-ი نجار ნაჭარ—სული.
 ნეჰრა نهرا ნეჰრა—სადღვებული.
 ნოქთე نجته ნოქთე—წერტილი.
 ნოხუდო نخود ნოხუდ—მუხუდო; ცერცვი.
 ოლამებ-ი علمه 'ოლამე—სწავლულები, ისლამის სჯულის მოძღვარნი.
 ომრ-ი عمر 'ომრ—სიცოცხლე.
 რადი رادي რადიდ—უარყოფილი, დაწუნებული.
 რაჰათ-ი رحمت რა'რჰათ—გლეხი.
 რანგ-ი رنگ —ფერი; საღებავი.
 რაყამ-ი رقم რაყამ—სახეობა.
 რეზა رضا რეზა—დაკმაყოფილება.
 რენდა رنده რანდა—შალაშინი.
 რეჰს-ი رئيس რა'რჰს—მეთაური, უფროსი.
 რეშტა رسته რეშტა—დარგი.
 რეშიდ-ი رشيد რა'რშიდ—ძლიერი; გამორჩეული.
 რიალ-ი ريال რიჰალ—ფულის უმცირესი ერთეული ირანში.
 რისალ-ი رسال რისმალ—თოკი.
 რიშა ريشه რიშა—ძირი, მოდგმა.
 როდანი روغن როდანი—ზეთი.
 რუზე روزه რუზე—მარხვა.



სათლელი — (სათლელი) — ფული.

სალავათ-ი صلوات სალავათ — ლოცვა. სალავათს გაგზავნა ეგვიპტეში წარმოთქმა ასეთი ლოცვისა: محمد آلى و محمد آلى على محمد آلى. აქურთზე მოჭამმადი და მოჭამმადის საგვარეულო“.

სალამათ-ი سلامت სალამათ — სიკეთე, ჯანმრთელობა.

სალთი — სათლი.

სარათან-ი سرطان სარათან — კიბო.

სარავ-ი سر آى სარავ — წყაროს თვალი.

სარვაზ-ი سر باز სარბავ — ჯარისკაცი.

საწერი — ქალაქი; განცხადება.

სახტემან-ი ساختمان სხთემან — შენობა.

საჭი-ი صف საქ — რიგი, მწკრივი.

საჭი صفى საქი — სუფთა.

საჭემინ-ი صف زمين საქ ზამინ — სწორი ადგილი.

სეაღი — სეირი.

სეფაქებეჭდაშთ-ი سپاه پداشت სეფაქ-ე ბეჭდაშთ — ‘ჯანმრთელობის სპა’ შღრ. სეფაქედანეში).

სეფაქედანეში-ი سپاه دااشت სეფაქ-ე დანეში — ‘ცოდნის სპა’, წერაკითხვის (და ჩაბორჩენილობის სალიკვიდაციო) ჯარი.

სეჯელ-ი سجل სეჯელ — მოწმობა.

სიბეზემინ-ი سب زمين სიბ-ე ზამინ — ‘შიწის ვაშლი’, კარტოფილი.

სიბილ-ი سبيل სებილ — უღვაღი.

სიმან-ი سيمان სიმან — ცემენტი.

სინაბანდ-ი بند سينه სინაბანდ — აზღუღი.

სინზდა سزده სინზდაპ — ცაღეტი.

სიხ-ი سخ სიხ — შამფური.

სიხე — ციხე.

სომახთაღურ-ი سما غ سلا სომაღ-ე ფაღან — ცხრილი.

სორაღ-ი سراغ სორაღ — კვალი.

სოპბათ-ي صحبت სოპბათ — საუბარი.

უღუმედინ-ي علم دینی უღუმ-ე დინი — სასულიერო გეცნიერებანი.

ფათირ-ي فطير ფათირ — ერთგვარი ნამცხვარი.

ფათუ فو ფათუ — საბანი.

ფაშამ-ي شام ფა-ე შამ — საღამო.

ფაიზ-ი فايز ფაიზ—შემოდგომა.

ფაშა-ი پاشا ფაშა—გარიერა.

ფარა فر فاრა—შვერილი. فر ფარ—ფრთა.

ფასტა پستა ფასთა—რივი.

ფაქიზა فاكيزه ფაქიზა—სუფთა.

ფაშიმან-ი فاشيمان ფაშიმან—მომხანე.

ფაქლავი فاخولوي ფაქლავი—არანის დღევანდელი სამეფო დინასტია
(1925 წლიდან).

ფედარსაგ-ი فدراساغ ფედარ-საგ—მამაძალი.

ფეაღამბარ-ი فعاغامبار ფეაღამბარ—მოკიქული მოჭამმადი.

ფეთაქ-ი petek (თურქ.)—ბელელი.

ფელეშტ-ი فلهشت ფელეშთ—ქუქუციანი.

ფიშბანდ-ი فیشبند ფიშბანდ—წინსაფარი.

ფიშრაქტ-ი فیشراخت ფიშრაქტ—წინსვლა.

ფორარუ فرورو ფორარუ—თაეხედი.

ფორუზ-ი فروروز ფორუზ—ბედნიერი.

ფუნზდა فونزدا ფუნზდა—თუთხმეტი.

ფუსთინდუზ-ი فوستيندوز ფუსთინდუზ—ქურჭი (ქურჭის მკერავი).

ჭაგილ-ი چاغل چაგელ 'ბზე-თიხა',—ბზეს დაეკვავენ და თიხა-
ში აურევენ შენობის შესაღესად.

ჭალაშა—ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ჭამარბანდბაზოზა چاماربانده بازي چამარბანდ-ბაზნ—ჭამართ თამაში, ლახ-
ტობა.

ჭამ-ჭამ كم كم چამ-ჭამ—ცოტ-ცოტა.

ჭარ-ი چار ჭარ—საქმე.

ჭაღაზ-ი چاغ چაღაზ—ჭაღალდი.

ჭარმანდ-ი چارمند ჭარმანდ—დაწესებულების მუშაკი.

ჭახა چاخ چახე—ჯამი, დიდი ფილა.

ჭახიჭ-ი چاخچ چახიჭ—ქუქუციანი.

ჭახ-ი چاخ چახ—სასახლე; სახლი.

ჭაპრიზ-ი چاپريز ჭაპრიზ—მიწისქვეშა არხი.

ჭე(ჭი) چه—რომ.

ჭებინ-ი چين چებინ—თანხა, რომელსაც სიქე ცოლოურს უხდის.

ჭეთაბ-ი چتاب ჭეთაბ—წიგნი.

ქელას-ი کلاس ქალას—კლასი.

ქენ—თქვენ.

ქენარ-ი کنار ქენარ—ნაპირი.

ქეშავარზობა کشاورزی ქეშეგარზე—მიწათმოქმედება.

ქიჭი-ი کيف ქიჭი—ჩანთა.

ქოთ-ი کت—პიჯაქი.

ქოლლ-ი کل ქოლლ—მთლიანი.

ქუმბუზა—کنبزه ქონბზე—მოუწყველი ნესვი.

ქულუნგ-ი کنگ ქოლანგ— 1) წერაქვი. 2) თოხი.

ქურსი کرسی ქორსნ—დაბალი მაგიდა, რომლის ქვეშ ცეცხლი

უნთიათ, ზედ საბანს გადაადარებენ და მიუსხდებიან.

ყაბ-ი قاب ყაბ—კერძის ჭურჭელი.

ყაბლამა قابلاما ყაბლამა—ტაფა.

ყაბულ-ი قابول ყაბულ—თანხმობა.

ყადიმ-ი قديم ყადიმ—ძველი.

ყადიჭა قديمچا ყათიჭა—აბანოს ზეწარი.

ყაედა اءءا ყა'ედა—წესი, რიგი, ყაიდა.

ყაზმა kazma (თურქ.)—წერაქვი.

ყათარ-ი قاتار ყათარ—მწკრივი.

ყათულ-ი قاتق ყათოყ—მაწონი.

ყალა قالا ყალ'ა—ციხე; უბანი ფერეიდნის მარტყოფში.

ყალათ-ი قاطال ლალათ—შეცდომა.

ყალიჩა قاطيچا ყალჩიჩა—ხალიჩა.

ყალასალბაღია قاطالسا لباغيا ყალ'ე-აე სარბალბაღი—ციხის გორა.

ყარაჩორაქ-ი karacörek (თურქ.)—'შავი პური'.

ყარაყულ-ი قرقه ყარა-გოლ—კრაველი.

ყეიზან قيا لეიზან—მალულად.

ყეირაზ قيراز ლეიზ აზ—გარდა.

ყეიმათ-ი قيمت ყეიმათ—ფასი.

ყესმათ-ი قسمت ყესმათ—ნაწილი.

ყიშლალ-ი قشلاق ყეშლაყ—სოფელი.

ყოდრათ-ი قدرت ყოდრათ—ძალი.

ყოლამ-ი قلام ლოლამ—მონა, მსახური.

ყოლბაღ-ი kolbađi (თურქ.)—სამაჭური.



- ყონალ-ი konak (თურქ.) — სტუმარი.
- ყრალი — ცუდი.
- ყურბან-ი قربان ყორბან — მსხვერპლი; ზეარაყი.
- ყური قوری ყურბ — ჩაიდანი.
- ყურუთ-ი kurut (თურქ.) — ერთგვარი გამხმარი მაწონი.
- ყუსა عصفა ლოსხა — მწუხარება.
- შაბო شادباش შად ბაშ — 'მხიარულად იყავ'.
- შათრანჯ-ი شطرنج შათრანჯ — ჭადრაკი.
- შალაფ-ი ბურღი.
- შალაღა شلاق შალაყ — მათრახი.
- შახ-ი شخ შახ — რქა. ხის ტოტი.
- შაჰედ-ი شاهد შაჰედ — მოწმე.
- შაჰრესტან-ი شهرستان შაჰრესტან — ოლქი. მხარე.
- შეჟარჩი شكارچي შეჟარჩი — მონადირე.
- შიმშა شمشე შემშა — ხის ლარტყა.
- შირა شيره შირა — ტყბილი, მაჭარი.
- შირინ-ი شيرين შირინ — ტყბილეული.
- შიქალ-ი شكار შექარ — ნადირობა.
- შომარა شماره შომარე — ნომერი.
- შოღლ-ი شغل შოღლ — საქმიანობა.
- ჩადრ-ი چادر ჩადორ — 1) ყარავი. 2) სახის ჩადრი.
- ჩათა. تاجه თაჟე — პატარა ტომარა.
- ჩარა چاره ჩარე — ჩარა, ღონე.
- ჩარბ-ი چرب ჩარბ — ჭონი.
- ჩარბად-ი چارده ჩაპარ ბად — 'ოთხი ბადი', მთავარი გამზირი ისპაანში.
- ჩარგუშა چارگوشتე ჩაპარ გუშე — ოთხკუთხა.
- ჩარდევარ-ი چارديوار ჩაპარ დევარ — ოთხი კედელი; ოთხი მხარე.
- ჩაფ-ი چاپ ჩაფ — ბეჭდვა.
- ჩაღ-ი چاق ჩაყ — მსუქანი.
- ჩინა چيني ჩინი — ფაიფური.
- ჩუნ (ჩონ) چون ჩუნ — რადგან.
- ხაჰათ-ი خياط ხაჰათ — თერძი.
- ხანე-ჟე ენსაჰ-ი خانانصاف ხანე-ჟე ენსაჰ — 'მართლმსაჯულების სახლი', სასამართლო.

ხათ-ი خات ხათ—ხაზი.

ხარაქ-ი خراک —ერთი ვირის საპალნე.

ხაქანდაზ-ი خاك انداز ხაქ-ანდაზ—აქანდაზი.

ხეთმათ-ი خدمت ხედმათ—სამსახური.

ხეარ خير ხეარ—არა.

ხელა خا ხალა—განმარტოებული ადგილი; ფეხისლაგი.

ხიაბან-ი خيابان ხიბაბან—გამზირი.

ხიაბანქეშობა خيابانكشي ხიბაბან ქაშე—ქუჩის გაყვანა.

ხიარჩაბარ-ი خيارچنبر ხივარ-ე ჩანბარ — ერთგვარი წვრილი და დაგრებილი კიტრი. მთვმელი ბოსტნეულს რომ ჩამოთვლიდა, ხელი პირზე ჰქონდა მიფარებული. რომ უთხრეს, „ხელი ჩამოიღეო“, ამ ფრაზამ ეს სიტყვა მოაგონა.

ხიშტ-ი خشت ხეშთ — ალიზი.

ხობ خوب ხუბ—ყარგი.

ხოდაჰაძეზ-ი خداحافظ ხოდან ჰაძეზ—ნახვამდის.

ხოდთარაშ-ი خودتراش ხუდ-თარაშ—პირსაპარსი.

ხოლასა خالص ხოლასა—მოკლედ.

ხონ-ი خوان ხონ—ტაბაკი.

ხორეშტ-ი خورش ხურეშ—წენიანი კერძი.

ხომ-ი خوش ხუმ—ყარგი.

ხურდა خرد ხორდა—წვრილი; ბავშვი.

ჯა — جا ჯა—ადგილი

ჯადიდ-ი جديد ჯადიდ—ახალი.

ჯავაბ-ი جواب ჯავაბ—პასუხი.

ჯაშნ-ი جشن ჯაშნ—ზეიმი.

ჯირიუآ جلقه ჯელეყე—ტილეტი.

ჯომშურ-ი جمشور ჯომშურ—ხალხი.

ჯოტ جو—ქერი.

ჰაზირ-ი حاضر ჰაზერ—ადგილზე მყოფი, მზად მყოფი, თანახმა.

ჰათა حتى ჰათთა—იქამდის, რომ.

ჰათმან حتما ჰათმან—უსათუოდ.

ჰაძე-ი حيف ჰაძე—საბრალო, აფსუსი.

ჰალა هاله ჰალა—თავდასხმა, „დაკენწეა“.

ჰალაქ-ი هالاك ჰალაქ—მოკვლა; დაღუპვა.

- მალაქი **حالا** მალაქე—ახლა რომ.
 მალუა **حلمة** მალუა—რგოლი; მარყუევი.
 მამ **م** მამ—თან.
 მამარანგ-ი **همه رنگ** მამე რანგ—ყოველმხრივი.
 მამლა **حمله** მამლა—შეტევა.
 მარ **مر** მარ—ყოველი.
 მარზად-ი **مرزار** მარზად—ყოველგვარი.
 მასაბ-ი **حساب** მესაბ—ანგარიში.
 მასილ-ი **حاصل** მსსელ—მოსავალი.
 მაჯი **حاجی** მჯე—ვინც მეჭა მოილოცა; პატივცემული პირი.
 მიჯდა **مجدد** მეჯდაპ—თვრამეტი
 მიჩ **مچ** მიჩ—რამე; ოდნავ; არავითარი.
 მოვლა **حوه** მოტლა—პირსახოცი.
 მანდოხ-ი **مندق** მონდოყ—თხილი.
 მარაშ-ი **مراش** მარრშ—მსახური.
 მარყ-ი **مرق** მარყ—განსხვავება.
 მარჰანგ-ი **مهرنگ** მარჰანგ—კულტურა; მეცნიერება.
 მელან-ი **ملان** მელან—მავანი.
 მაყათ **مق** მაყათ—მხოლოდ.
 მესარ-ი **مشار** მესარ—დაწოლა; შეტევა.
 მუზულ-ი **مضول** მოზულ—თავხედი.

ორი სპარსული გადმოცემა

1

ირანელი მეკლევარისა და პოეტის ახთარ გორჯენი¹ (გარდ. 1816 წ.) ძმა ბაყერ-ბეგ ნეშთი გორჯენი (გარდ. 1819 წ.) ჩინებული პოეტი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ლექსები გაფანტულია², დრენანი—დაკარგული³. ნეშთიმ დაახლოებით სამი წელიწადი იტხოვრა თეირანში, სადაც ისპაანიდან ჩამოიტანა და ფათმა-ალ-შაჰს (1797—1834) მიართვა თავის ძმის თაზქერე, როგორც უკვე ვიცით ეს თაზქერე საბოლოოდ ფაზელ-ხანმა გადააკეთა და „ანჯომან-ე ხაყანი“ უწოდა⁴. ჩანს ამ ორი თუ სამი წლის მანძილზე ნეშთიმ უკვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება სატახტო ქალაქში. ყოველშემთხვევაში, მას მიაწერეს აღმოსავლეთში დღეს ფართოდ ცნობილი ანექლოტი. ერთ-ერთი სპარსული წყარო გადმოგვცემს:

¹ მის შესახებ იხ. მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები. [I]. თბილისი, 1971, გვ. 107—139.

² გარდა ჩვენს, ზემოთ დასახელებულ, „ეტრუდებში“ მითითებული წყაროებისა, როგორც ირკვევა, მისი ლირიკის ნიმუშები იკითხება შემდეგში დაცულ ერთ-ერთ კრებულში (№ 256). احمد گلچين معانی، فهرست کتب خطی آستان قدس رضوی.

جلد پنجم، ۱۳۴۶، ص ۲۹۰

³ رضاقلی خان هدايت، مجمع الفصحاء، تهران، ۱۳۳۹، ص ۱۴۱

⁴ ჩვენ თავის დროზე გვჭონდა შესაძლებლობა ამაზე უფრო დეტალურებით გველაპარაკა (ქართულ-სპარსული ეტიუდები, [I] გვ. 138—139) და მოგვტანა ირანელი მეკლევარის გოლჩინ მა'ნენს სამართლიანი მოსაზრება ახთარის პრიორიტეტის დასაცავად. აქ დამატებით გვინდა ამავე მეცნიერის კიდევ ერთი გამოთქვაში მოვიშველიოთ. „ანჯომან-ე ხაყანის“ შემდეგურ ნუსხას რომ აღწერს, მა'ნენი აღნიშნავს: „მაგრამ მის საქმეს საფუძვლად დადებია აჰმად-ბეგ ახთარ გორჯენს თაზქერე „ანჯომან-ე ხაყ““. ახთარ გორჯენი 1222 (1807) წლადან 1232 (1816) წლამდე „ანჯომან-ე ხაყზე“ მუშაობდა. 1232 (1816) წ. გარდაიცვალა. მისმა ძმამ მოამზად ბაყერ-ბეგ ნეშთიმ ხსენებული თაზქერე ფათმა-ალ-შაჰს მიართვა და მისი შესრულებისა და დამთავრების ბრძანება მიიღო. 1234 (1818/19) წ. ისიც გარდაიცვალა და ფათმა-ალ-შაჰმა მისი დამთავრება ფაზელ-ხან გარჯისს მიანდო. მან ზოგი ბოგრაფია დაუმატა და სახელი შეუცვალა, „ანჯომან-ე ხაყანი“ დაარქვა. უკიდრისი და უმადური საქციელი ჩაიღინა და [წიგნის] შესავალსა და მასში ჩართულ ახთარისა და ნეშთის ბიოგრაფიებში ორივე ძმა აუვად მოიხსენია, სულ ზეპრე და უშეცარი უძახა და უღირსობა და უნიჭობა დასწამა. სინამდვილეში კი ახთარი და ნეშთი თაზქერეს წერის საქმეში მას ბევრად სჯობდნენ, მაგრამ მათ სიყვედილმა არ დააცალა“ (გვ. 15, معانی). ჩვენი რჩევით ახალგაზრდა ირანისტი ლ. აჰმედზიანოვა საგანგებოდ სწავლობს ამ საკითხს. რამდენადაც ვიცით, მან უკვე მოიძია როგორც ახთარის, ასევე ფაზელ-ხანის თაზქერეთა ყველა საჭირო ნუსხა და შეაჯერა ისინი ერთმანეთს.

ერთხელ ქათმ-ალნ-შაჰმა ნეშათის თავისი ლექსები გააყენა და ბოლოს კითხვა: როგორიაო? ნეშათის ლექსები არ მოეწონა. ტყულის თქმა არ იკადრა და ირანის შაჰს პირში უთხრა: არ ვარგაო, მატი განრისხდა და ნეშათი თავლაში დაამწყვდეინა. გავიდა ისევ იხმო ნეშათი და ისევ წაუკითხა ერთი თავისი საყვედურ-ლექსი. კითხვა რომ დაამთავრა, გამარჯვებულის სახით გადახედა ლექსის შემფასებელს. ნეშათი წამოდგა და უხმოდ კარებისაკენ გაემართა.— სად მიდიხარო?—მიამახა შაჰმა,—თავლაშიო!—მიუგო ნეშათიმ⁵.

2

შეორე გადმოცემა უფრო ძველია და შაჰ-აბბასის ხანას (XVI—XVII სს.) მიეკუთვნება. XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და XVII ს. დასაწყისის ირანელი სწავლულის მოლან მოჰამმად ხანლექსი ყაზვინის თხზულებაში „ქეთაბ ალ-ნავაღერ“ (ჩვენს ხელთაა ავტორის დროინდელი ნუსხა ამ ძეგლისა). ერთი ასეთი ამბავი იკითხება:

[حكایت] در این زمان شاعری معمر یکی ملک زادگان گرجستان را مسمی بام میرزا مدح کرد اورا دو درهم داد باز گردانید چیزی نداد قطعه در اقتضا بگفت و هم موثر نیافت روزی در مجلس مستغرق بحاس بوده است ناگاه سر بر داشته با میرزا خطاب کرده میگوید خدا شاهجنت مکان شاه عباس ماضی را بیامرزد اگر شمارا آدم نام نمی نهاد چه کس چه میدانست شما آید میرزا بخندد و اورا صلہ میببخشد

„ამ ხანებში ერთმა მოხუცმა პოეტმა ერთ ქართველ უფლისწულს, სახელად ადამ-მირზას, ხოტბა შეასხა. ორი ღირჰემი გადაუგდო. კვლავ მოაბრუნა. არაფერი მისცა. მუნასიბად ყეთა უთხრა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეაცოდა. ერთხელ წვეულებაზე ჯამში ჩაეყო ცხვირი. თავი რომ ასწია, უფლისწულს მიესალმა და უთხრა:

—ღმერთმა შეუწოდოს სამოთხეში განსვენებულ შაჰ-აბბასს! მას რომ თქვენთვის ადამი არ დაერქმია, ვინ მიუხედებოდა, რომ თქვენ ადამიანი ხართო.

უფლისწულს გაცინა და პოეტი დააჯილდოვა“⁶.

თუ ვინ არის ეს ადამი, ამისი თქმა ძნელია. შეიძლება, ეს იყოს როსტომ მეფის (1632—1658) დისწული ადამ ენდრონიკაშვილი. ხომ არ იყო ეს ადამი იმ ქაახოსროვ-ხანის ძმა, რომელსაც ნახარაზმანდ იხსენიებს, როგორც ირანში შაჰის კარზე მოღვაწე მოლექსე ქართველს, რადგან ეს უკანასკნელიც როსტომის დისწული იყო.

⁵ مهدی بهداد ، شرح حال رجال ایران، جلد سوم، ص ۷۳

⁶ كتاب التوادیر، تألیف عالم الفاضل الكامل ملا محمد صالح قزوینی. თეირანის უნივერსიტეტის ცენტრ. ბიბლიოთეკის ხელნაწერი, № 4503, ۴.۲ ص

ახთარი — ქართველი თავადიშვილი

ჩვენს გამოკვლევაში „ქართული წარმოშობის სპარსელი პოეტები“ ახთარს რომ განვიხილავდით, მოგიტანეთ მისი მოკლე ავტობიოგრაფია, რომელიც მან თავის „ანჯომან-ე არას“ დაურთო. მაგრამ რადგანაც მის ნუსხაზე ხელი არ მიგვიწვდებოდა, ახთარის თაზქერეს გამომცემლის, ცნობილი ირანელი მეცნიერის ხაჯაჰმფურის პუბლიკაცია გამოვიყენეთ. ავტობიოგრაფიის დასაწყისი ასეთი იყო:

بنده مولف را نام احمد است و تحلی اختر والد فقیر از اقا داد زادگان
تقلیس که بشرف اسلام مشرف شده

ამ ცნობაში ჩვენთვის ნათელი არ იყო სიტყვა ადაცა აჰ ა დ ა დ, რის გამოც ეს გამოთქმა (ანჯადან ნათელია, შვილებს ნიშნავს) კითხვის ნიშნის ქვეშ ასევე ვადავიტანეთ ზემოთმოტანილი ადგილის ქართულ თარგმანში: „ამ წიგნის თქვენს მონა-მორჩილ ავტორს სახელად აჰმადი მქვია და ფსევდონიმად ახთარი მაქვს. მამაჩემი თბილისელ აღნაღდათა (?) ჩამომავალი გახლდათ, რომელიც ისლამით განდიდებულიყო“¹.

ახთარის ავტობიოგრაფიის ხელნაწერში ჩახედვის შესაძლებლობა ჯერაც არ მოგვეცემია, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ აქ უნდა გვეკონდეს „انواعادگان“ „თავადიშვილს“ ნიშნავს. ახთარი გვაუწყებს: ჩემი წინაპრები თბილისელი თავადიშვილები იყვნენო. სწავითხული იქნა, როგორც ს, ვწვი ადვილად ირევა დღეს (ა — ა), ხოლო ალექსის დასაძატებლად უკვე უბიძგებდა მკვლევარს ასეთი წაკითხვა. ქართული თავადი სპარსულ წყაროებში უთარგმნელად შევიდა. ასე, მაგ., შაჰ სოლთან-შო-

¹ მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, [1], გვ. 137. დ. კობიძემ არ დააყოვნა განოთქვა მოსაზრება: ალაღადის ჩამომავალი რადგანაც იყო, საეჭვოა იგი ქართველი ყოფილიყო. (იხ. „მაცნე“, 1972 წ., № 1, გვ. 186). მას საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ცნობილი იყოს ბუნებაში არარსებული ამ აღადად სიტყვის მნიშვნელობა.

სემანის ერთ-ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ: **سوادان و گرجیان** „თავადებმა, აზნაურებმა და ქართველებმა“². თავადი, როგორც ტერმინი, თვით XIX საუკუნემდე შემორჩა სპარსულ ენაში **سوادان** ნონია ჯანდიერის შვილის სოპრანოს საბუთი, გვ. 163.

ჩანს, დოქტორ ხაჯაშფურს როგორღაც არ გაახსენდა ეს იშვიათი ტერმინი და იძულებული გახდა, ტექსტის **سوادان** „თავად-ზნდგან“ არარსებული (თუმცა სპარსული ელერადობის) სიტყვით შეეცვალა.

² იხ.: სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი 1, ნაკვეთი 3, გამოსცა ვლ. ფუთურაძემ, თბილისი, 1965, გვ. 1—2. ვლ. ფუთურაძე თავადთა და აზნაურთა გვერდით ქართველების მოხსენიებაში ერთგვარ უზერხულებას ზედაც და თარგმნის: „თავადებმა, აზნაურებმა და [სხვა] ქართველებმა“. ეფიქრობთ, ქართველი აქ ნახშირია როგორც სოციალური ტერმინი და გლუხს ნიშნავს (შდრ. მეგრული გამოთქმა: ეინოსქუა რე დოვარი შარგალი. „აზნაურია თუ მეგრელი“ — გ. ი. აზნაურია თუ გლეხი).

(ეს შენიშვნა უკვე აწუობილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა დ. კაცატაძის მონოგრაფია: „საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე“, სადაც მკლევარს ასეთივე მოსაზრება ეწინააღმდეგებოდა. გვ. 216—217).

ნეშად-გედვ ბორჯღის კიდევ ერთი ბაითი

XVIII ს. ცნობილი ირანელი სახელმწიფო მოღვაწის მოჰამმად 'ალ-ხან ნეჟედ გორჯღის თავის დროზე გახმაურებული ლექსებიდან სხვადასხვა თაზქერეებში მხოლოდ სამი ბაითია შემორჩენილი¹.

თეირანის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარშია შედგენილი, სხვა პოეტთა ლექსებს შორის მისი კიდევ ერთი ასეთი ბაითიც იკითხება:

بصحرای لاله در محفل چراغ

به صورت که هستم بی تو داغ

„მინდორში ტიტა ვარ, საზოგადოებაში — ჩირალი,
სადაც არ უნდა ვიყო. უშენოდ ვიწვები“².

¹ მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, [I]. გვ. 172.

² ხელნაწერი № 4530, გვ. 55. მის შესახებ იხ.: محمد تقی دانش پور، فهرست کتابخانه مرکزی دانشگاه تهران، جلد ۱۳، تهران، ۱۳۴۰، ص ۳۴۸.

„ბარამგულიჯანიანის“ ავტორის სადაუროგისათვის

„ბარამგულიჯანიანის“ ავტორი ონანა მდივანი (გარდ. 1628 წ.) თავისივე პოემის ბოლოსიტყვაობაში იუწყება: ეს ამბავი სპარსულია, იგი ქართულად პროზით ეთარგმნათ, მე მოვიძიე და გავლექსეო¹. თითქოს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. მაგრამ საკითხს ერთი გარემოება ართულებს,—ასეთი შინაარსის შემცველ სპარსულ ამბავს არავინ იცნობს, მის ავტორად დასახელებული ჩუბინ ქირმანელი უმედვოდ ეძებეს სპარსულ ლიტერატურაში 'სპარსული დედნიდან მომდინარე ქართული პროზაული ვერსიის კვალიც არსად ჩანს. კ. კეკელიძეს შესაძლებლად მიაჩნდა, არსებულიყო სპარსული ამბავი და იგი გადაეკეთებინა ონანას². კ. კეკელიძის ამ აზრს იზიარებს „ბარამგულიჯანიანის“ და მისი ავტორის შესახებ დაწერილ თავის საფუძვლიან გამოკვლევაში დ. ბრეგაძე, რომელიც ქართულ პროზაულ ვერსიაზე, რომელზედაც ონანა გვაუწყებს, გავლექსეო, აღნიშნავს: ვინ იცის, საერთოდ არსებობდა კი პროზაული ვერსიაო³. თუ დ. ბრეგაძემ სავარაუდოდ ცნო სპარსული დედანი, მაგრამ იქვის ქვეშ დააყენა მის პროზაული ქართული თარგმანის არსებობა (აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ: ონანას უშუალოდ სპარსულ დედანთან ჰქონდა საქმე), მ. გუგუშვილმა არც სპარსული დედნის არსებობა პიიქნია სარწმუნოდ. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ „ბარამგულიჯანიანი“ ვეფხისტყაოსნის გავლენით შექმნილი ნაწარმოებია, მით უმეტეს, რომ მინი სპარსული დედნისა და პროზაული ვერსიის კვალი არსად ჩანს⁴.

¹ ონანა მდივანი ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი. იხ. წიგნი: დავით ბრეგაძე, ქართული მწერლები რუსეთში. თბილისი—ქუთაისი, 1958, გვ. 205. შემდეგში: დ. ბრეგაძე.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 415. შემდეგში: კ. კეკელიძე, II.

³ დ. ბრეგაძე, გვ. 46.

⁴ მერი გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო. თბილისი, 1966 გვ. 180. შემდეგში: მ. გუგუშვილი.



პოემის სადაურობისა და მისი სპარსული დედნის ავტორის ენობის შესახებ ყველაზე საინტერესო მოსაზრება იუსტინე აბულაძემ გამოთქვა. სჯეროდა რა ონანას ცნობებისა, იგი წერდა: „ქრისტეანული ცნობები ფრიად სარწმუნოდ მიგვაჩნია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შეუძლებელია, მელექსეს შეეთხზას ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ მიბადებით და თანაც დაბეჯითებით გვარწმუნებდეს, რომ მისი მთქმელი არის „ჩუბინ ბრძენი, რომელიც იყო თემისაგან ქირმანელთასა“; მეორეც, იმიტომ, რომ ბევრი ამისი მსგავსი ამბავი მოიპოვება დღესაც სპარსულში ასეთი, რომლებიც ცნობილ სამეცნიერო კატალოგებში არ არის შეტანილი. მაგ., ხშირად შეხვდებით ისეთ ჰიქაიეთებს, სადაც პირდაპირ არის დასახელებული ორი ძმობილი, რომელთაგან ერთი, მეფის შვილი, რასაკვირველია, მიჯნურია მზეთუნახავის, რომელიც მოტაცებული ჰყავთ ჯინებს; რაინდი, რასაკვირველია, ტარიელივით, ძმობილის დახმარებით იხსნის თავის სატრფოს ჯინთაგან“⁵.

რაც შეეხება მის ავტორს, მკვლევარმა აქ წარმოადგინა მეტად გონებამახვილური ვარაუდი: ჩუბინ ქირმანელი სპარსულ მწერლობაში არ იხსენიება და იგი ხედავს ბენ 'ალნი ქერმანელის (1277—1351) დამახინჯებული ფორმა ზომ არ არისო⁶. მეცნიერის ასეთ მსჯელობას კ. კეკელიძემ რატომღაც „მეტად ხელოვნური და თვითნებური“ უწოდა⁷. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვამტყიცოთ იუსტინე აბულაძის ამ შეხედულების შეუვალობა, მაგრამ სანამ ამ მიზნით სპარსული ლიტერატურა (როგორც მწიგნობრული, ისე ხალხური) არ შეგვიჩვენებია, იუსტ. აბულაძის ვარაუდს ვერ მოვხსნით. ხოლო ამ თვალსაზრისით იქნება საინტერესო იყოს ერთი ამბავი, რომელიც უხბეკურ ფოლკლორშია ფიქსირებული. ჯერ გავიხსენოთ ქართული პოემის შინაარსი:

„ბ ა რ ა მ გ უ ლ ი ჯ ა ნ ი ა ნ ი. იყო ჩინეთის ხელმწიფე ჯონშერი, განდიდებული, უხვი, სიმდაბლით მაღალი, მდიდარი, თვითმოსამართლე წყალობით, ძალგულიანი.

მეფეს სხვა ძე არ ესვა, გარდა ერთი ასულისა, რომელსაც სახელად გულიჯანი ერქვა და თავისი მშვენიერებით შეიღსავე მნათობს აბნელებდა.

ჯონშერს შეიღად აეყვანა და გაეზარდა ვინმე ბარამი, ჩინელთა მეფის საგვარეულოს წევრი, მოხდენილი ვაჟკაცი და სწორუპოვარი გოლიათი. მას მეფემ სპასალარობა მისცა.

⁵ იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 57.
⁶ იქვე.
⁷ კ. კეკელიძე, II, გვ. 414.

ზაფხულის დამდევს მეფის ოჯახი ქალაქიდან საზაფხულო და-
გის გადადიოდა, ბარამიც მას მიჰყვებოდა. უცხად ამოვიარდა ქარი
და კუბოს, რომელშიაც გულიჯანი იჯდა, თავსახურავი ანუ მინდორი
ბარამმა და ქალმა ერთმანეთი დაინახეს და შეიყვარეს. მინდორი
დესაც მოწყენილი ბარამი თავის საწოლში იყო, შემოვიდა გულაჯა-
ნის ქალი და მოართვა ბარამს მისი წერილი, რომელშიაც ის მას სიყ-
ვარულს უცხადებდა. ბარამმაც გრძნობებით აღსავსე საპასუხო წერი-
ლი მიწერა. ბოლოს ისიც მოხერხდა, რომ ბარამი ჩუმად შევიდა ქა-
ლის საწოლ ოთახში, სადაც გულიჯანმა და მან ერთმანეთს შეპტიცეს
მუდმივი, განუყრელი სიყვარული.

განშორებას ვეღარ იტანდა ბარამი, ის გაყვითლდა, ჩამოხმა და
ლოგინად ჩავარდა. მეფე-დედოფალი მეტად შეწუხებული იყვნენ,
მოიწვიეს მკურნალი, მაგრამ ვერა არგეს რა, ბოლოს გამოჩნდა ერ-
თი მესტროლაბე. რომელიც მიხვდა, რომ ბარამს სწვავდა გულიჯანის
მიჯნურობის ცეცხლი. მან მეფეს გამოაცემინა ბრძანება, რომ ბარამ-
თან მივიდნენ ყველანი, ვინც კი არის სასახლეში. სხვებთან ერთად ის
ინახულა გულიჯანმაც. მისი მოსვლა და ნახვა განმკურნებელ წამლად
შექმნა ბარამს. მაგრამ მესტროლაბემ შესახედავად მაინც დააღვეინა
მას რაღაც წამალი.

ბარამის განკურნების შემდეგ გახარებულმა ჯონშერმა დიდი ზეი-
მი მოაწყო, რომელზედაც ბარამი და გულიჯანი პირისპირ ისხდნენ
და ერთმანეთის ცქერით ტკებობდნენ. მათი სიყვარული, სხვებთან
ერთად, მეფემაც შენიშნა, ის მეტად შეწუხდა, არ უნდოდა, რომ
შვილსავით გაზრდილ ბარამს მისი ქალი ცოლად შეერთო. მეფემ მო-
იწვია ვეზირთა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა ბარამის შეპყრო-
ბა. მეფემ საშინლად სცემა თავის ქალს და შეუდგა მზადებას ბარა-
მის დასაქვრად.

ბარამმა რომ გაიგო ეს, დატოვა ჩინეთი და გაიჭრა უდაბნოდ
და ველად. მთელი წელიწადი დახეტიალობს ის ადგილიდან ადგილს,
ტირის, მოთქვამს, საჩივრით მიმართავს ხოლმე შვიდ მნათობს, ბო-
ლოს შედის ერთ მშვენიერ ბაღში, სადაც ის თვალს ვერ აშორებს
მშვენიერ ყვავილებს, განსაკუთრებით ვარდს, რომელიც მას სატრ-
ფოს, გულიჯანს აგონებს. ის აქ ისმენს ვარდისა და ბულბულის სა-
მიჯნურო საუბარს, გამოელაპარაკება ბულბულს, რომელიც მას ვარ-
დისადმი ტრფობას დასწამებს და საყვედურს ეუბნება—რად მეცილე-
ზიო! ბარამი ანუგეშებს მას, რომ უსაფუძვლოა მისი ეჭვები. მას სა-
კუთარი სატრფო პყავს, რომელიც განგებამ მოაშორა მას. როდესაც
ყვავილები დაქვია, ბარამმა დატოვა წალკოტი და სხვა გზას გაუდგა.
მივიდა ზღვის პირას, სადაც მას შეხვდნენ შეშინებული ვაჭრები, რო-

მელთაც არ იცოდნენ რა ექნათ, ვინაიდან ზღვაზე მეკობრეები მგსავრებს ძარცვავდნენ. ბარამი გაუძლვა მათ წინ და მეკობრეები ერთიანად ამოწყვიტა. ვაჭართა მეთაური, სედრაქი, მას ქებებს ხამს და საკუთრულსაც შეაძლევს, მაგრამ ბარამი არ აიღებს და შილის თავისი გზით.

ბალხეთის ქვეყანაში ის შეხვდა აქაური მეფის ნარიმანის სპასალარს მილადს და უამბო მას თავისი თავგადასავალი. მათ ერთმანეთი მოეწონათ, დამეგობრდნენ, დამობილდნენ, და, ბოლოს, ნარიმანთანაც გამოცხადდნენ. ნარიმანმა ბარამის ვინაობა რომ გაიგო, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა და ბოლოს თავისი ჯარით მასთან ერთად ჩინეთისაკენ გაილაშქრა ბარამის საშველად.

გზაზე მათ შემოეგებათ ჯონშერის ვეზირი ბარზამი, რომლისაგანაც გაიგეს, რომ ჯონშერი გარდაცვლილა და ტახტი უპატრონოდაა, ვინაიდან გულიჯანი უარს ამბობს გამეფებაზე, სანამ ბარამი მოძებნილი არ იქნება. მეც იმის, ბარამის, საქებრად ვარ წამოსულიო, —ათავეებს ბარზამი თავის მოთხოვნას. ბარამს კიდევაც ეწყინა ეს ამბავი, კიდევაც გაუხარდა, ვინაიდან მას შესაძლებლობა ეძლეოდა სისხლის დაუღვრელად მიეღწია მიზნისათვის. ბარზამის საშუალებით ბარამმა შეატყობინა ჩინეთსა და გულიჯანს თავისი დაბრუნება, ჩინელები დიდი ამბით მიეგებნენ მას და ნარიმანს. ბარამმა შეერთო გულიჯანი და გახდა ჩინეთის მეფე, ბრძნულად და ბედნიერად იმეფა 150 წელიწადი და მერე გარდაიცვალა*.

უზბეკური ეპოსი ასეთი შინაარსისაა:

„ბ ა თ ი რ - ა რ ს ლ ა ნ ი. ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი მეფე. იგი ფრიად მდიდარი იყო. ოთხმოცდაათი წელი იმეფესრულდა, რომ შვილები არა ჰყვანდა. ამის გამო დიდი დოვლათი და ქონება მეფეს ნამდვილ ბედნიერებას არ ანიჭებდა. მას ჰყავდა ერთი ვეზირი, ბრძენი, როგორც პლატონი. მაგრამ ვეზირიც უშვილო იყო. ვარსკვლავთმრიცხველებმა ურჩიეს მეფეს ფრაკეის (ფრანგების) მეფის ასულის შერთვა, ხოლო ვეზირს — სომხეთის მეფის ასულისა. დაქორწინების შემდეგ მეფეს შეეძინა ქალი, ვეზირს კი ქალ-ვაჟი. მეფემ და ვეზირმა დანიშნეს თავიანთი ბავშვები: მეფემ აღუთქვა ვეზირს, რომ თავის ქალს მის ვაჟს მიათხოვებდა, როდესაც ისინი სრულწლოვანი გახდებოდნენ.

ბავშვები ერთ წრეში იზრდებოდნენ. ისინი ყოველგვარ ნიქსა და სიკეთეს იჩენენ.

* კ. ჯეჯელიძე, II, გვ. 413.

როდესაც ვეზირის ვაჟი ბახრამი⁹ თექვსმეტი წლის შესრულდა, იგი უკვე სამხედრო ხელოვნებას კარგად იცნობდა. ასპარეზზე გამოჩენილ მეომრებთან შეჯიბრების დროს, იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და მალე სახელგანთქმული გმირი ხდება კარზე.

ბახრამის მამა ადრე მოკვდა. ის ვერ მოესწრო შვილის ღვაწლმოსილებასა და მის მიერ ცოლის შერთვას. მეფემ გატეხა პირობა და გადასწყვიტა, თავისი ქალი აფრიკის მეფის ძისათვის მიეთხოვებინა. ამ განზრახვით ის იწვევს აფრიკის მეფის ვაჟს თავის კარზე.

ბახრამი გაბრაზდა, შეუთანხმდა თავის დანიშნულს (მეფის ასულს) და დას, შეიერთა ოთხმოცდაათი ერთგული მეომარი, და ყველანი ერთად ეგვიპტიდან გაიქცნენ.

რამდენიმე დღეს შეუსვენებლივ იმგზავრეს, ბოლოს მიადგნენ ერთ უდაბნოს და იქ ღრმად დაიძინეს.

გაქცევის ამბავი მოახსენეს მეფეს, რომელიც გააფთრდა და მოითხოვა გაქცეულთა აღმოჩენა. მაშინ ერთმა ჯაღოსანმა აღუთქვა მეფეს, რომ იხმარს ყოველგვარ საშუალებას და აღმოაჩენს ბახრამს, მის მეომრებს და მეფის ასულს.

ჯაღოსანმა მიაღწია უდაბნომდე, შევიდა მეფის ასულის კარავში და აყნოსებინა მას ისეთი წამალი, რომელმაც იგი ხანგრძლივად დააძინა. რის შემდეგაც ჯაღოსანმა მოახერხა მისი მიყვანა მეფის დარბაზში. მეფემ უბრძანა თავის ქალს, გაჰყოლოდა ცოლად აფრიკელ მეფისწულს, მაგრამ ქალმა გადაჭრით იუარა.

მეფემ ვერ აიტანა თავისი ქალის ამგვარი ქცევა და უბრძანა მოახლეებს—ჩაეკეტათ იგი სკივრში და მდინარეში ჩაეშვათ.

ამის შემდეგ გადაწყვიტეს, აფრიკელ მეფისწულს ბახრამის და მიათხოვონ, მაგრამ ისიც უარს აცხადებს: მაშინ მას საპყრობილეში ათავსებენ.

ბახრამმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო მისი დანიშნულისა და დის გატაცება და მიხვდა, რომ ეს თვით მეფის მიერ მოწყობილი საქმე იყო.

დისა და სატრფოს უკან დაბრუნების მიზნით იგი გაილაშქრებს თავის ოთხმოცდაათი მეომრითურთ ეგვიპტის მეფის წინააღმდეგ. ბრძოლის ველზე ბახრამმა სასტიკად დაამარცხა მეფის ჯარი. ბევრი მათგანი გასწყდა. სრული გამარჯვება თითქმის ბახრამის მხარეზე იყო. მაგრამ ამ დროს აცნობეს, რომ მისი სატრფო სკივრში მოათავსეს და მდინარეში ჩაუშვესო. ამ საშინელი ამბის გამგონე ბახრამმა მიანება ბრძოლას თავი და გაიქრა საყვარლის საქებნელად.

⁹ კ. კვინიძის ტექსტს უცვლელად ვიმეორებთ.



ეძიეს თვეობით, წლობით, მოიმოქმედეს მრავალი გმირობა, მაგრამ დაკარგული მეფის ასული ვერსად აღმოაჩინეს. ბახრამს სვერი მეომარი დაედუბა მძიმე მოგზაურობის დროს. დანარჩენები უკვე მონღოლთა ვისუფლა და მარტომ განაგრძო საყვარლის ძებნა.

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც გადალახა მან მთები, მდინარეები და ველები, იგი ერთი ზღვის კიდეს მიაღწა. არ იცოდა, თუ როგორ გადასულიყო ზღვის მეორე მხარეს. მწარედ ჩაფიქრდა, ამ დროს შემოეყარა სავაქრო ხომალდი ვაჭრებითურთ. ბახრამმა არ აგრძნობინა ვაჭრებს, თუ ის წარჩინებული პირია. გაეცნო როგორც მგზავრი და გაემგზავრა მათთან ერთად. ხომალდზე ბახრამი დაწვრილებით ტყობილობს ვაჭრების ნამბობიდან. თუ რა მოხდა როგორ ჩასვეს მისი საყვარელი სკივრში და როგორ ჩაუშვეს მდინარეში, როგორ სტანჯავენ საპყრობილეში და აიძულებენ მის დას, გაპყვეს ცოლად აფრიკელ მეფისწულს. ვაჭრებმა დაუმატეს, რომ ბახრამის სატრფო ჩაუვარდა საბერძნეთის მეფისწულს, მაგრამ დევებმა, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობენ, მოჰკლეს საბერძნეთის მეფისწული და გაიტაცეს მეფის ასული.

გზაზე ხომალდს უბედურება შეემთხვა: წინ შეეყარა ვეშაპი, რომელმაც კინალამ გადააბრუნა იგი. მაშინ ბახრამმა ვაქცაურად გაუგმირა ვეშაპს თვალები იარით და შემდეგ ხმლით აჰკეპა. ვაჭრები ეხვეწებოდნენ ბახრამს, დარჩეს ბოლომდის ხომალდზე და იყოს მათი მეგობარი, მაგრამ ის უარს აცხადებს და ერთ ნავსადგურში შორდება მათ, რათა განაგრძოს დაკარგული საყვარლის ძებნა.

იგი დიდხანს დაეძებს დევებს, მაგრამ ვერ უპოვნია. ებრძვის მხეცებს, ურჩხულებს. გააძრო მან ტყავი ვეფხს და მოიხურა იგი. მაშინ ხალხმა უწოდა მას ბატირ-არსლანი (ვეფხ-გმირი).

ბატირ-არსლანი ცხოვრობს მთებსა და გამოქვაბულებში. ზოგჯერ ცხენზე მჯდარი ველებს მოივლის. მისი დანახვა აკრთობს სავაქრო ქარავენებს, მაგრამ ბახრამს არავისთან არაფერი ესაქმება.

ლაშქარი, რომელიც ხვარაზმიდან საფრანგეთს მიემგზავრება, გზაზე შეეყრება ვეფხის ტყავით შემოსილ გმირს. ხვარაზმი უბრძანებს თავის მეგობრებს—მიჰკვარონ მას გმირი ცოცხლად, მაგრამ ბატირ-არსლანი შეებრძოლება მეომრებს და თავს დააღწევს ხვარაზმელებს.

უშიშარი გმირის ამბავი ყველგან გავრცელდება. ეს ამბავი მიაღწევს ირანის მეფისწულის ყურამდე. ირანელი მეფისწულიც სახელგანთქმული გმირია. იგი დითანხმებს მამას, რათა მონახოს და ცოცხალი მიიყვანოს გმირი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ის წააწყდება გმირის კვალს. კვალი უჩვენებს, რომ იგი ცხოვრობს მხეცების თავ-



შესაფარ გამოქვაბულში. ირანელ მეფისწულს თავს დაესხმის ურჩულ-
 ლი აჯარი. იგი შეებრძოლება და მოკლავს აჯარს.

ამ ბრძოლას შორიდან თვალს ადევნებს ბატირ-არსლანი და მოისურვებს მას-
 ტაცებაში მოიყვანს უცნობი გმირის ვაჟკაცობა და მოისურვებს მას-
 თან დამეგობრებას. ისინი დამეგობრდებიან.

ბატირ-არსლანი და ირანელი მეფისწული მოუთხობენ ერთმან-
 ნეთს თავიანთ ამბავს.

მეფისწული სთხოვს ბატირ-არსლანს წავიდეს მასთან ერთად
 ირანს. ბახრამი არ დათანხმდება. მაშინ მეფისწული შეჰპირდება მეფის
 ასულისა და დევების სამყოფელის მონახვას და გამოეთხოვება.

ირანელი მეფისწული ბრუნდება თავის სამშობლოში და უამ-
 ბობს მამას თავის თავგადასავალს, თანაც ეუბნება, რომ საჭიროა და-
 ეხმაროს იგი მეგობარს დაკარგული დანიშნულის მოძებნაში. მეფე
 იწონებს და მხარს უჭერს მეფისწულის ნათქვამს.

მეფე ამ საქმეში დახმარების აღმოსაჩენად ასახელებს თავის დას
 დილჯან-ნარს. მეფისწული გაემართება დილჯან-ნართან. გზაში იგი
 მოხვდება ქაჩების (ეშმაკების) წრეში. ქაჩებს უნდათ შერთონ მას
 ცოლად ძაღლისთავიანი ქალწული და ამის შემდეგ თავიანთი ქვეყნის
 მეფედ გახადონ.

მეფისწული არწივის დახმარებით დაიძვრენ თავს ქაჩების ხე-
 ლიდან და გაეშურება დილჯან-ნარისკენ. იგი უამბობს დილჯან-ნარს
 თავის მისვლის მიზეზს. დილჯან-ნარი ჰგზავნის მონას იმის გასაგებად,
 თუ სად იმყოფებიან მეფის ასული და დევები. მონა მიდის კავკასიის
 მთებში, პოულობს დევების რკინის ციხე-სიმაგრეს, ნახულობს იქ მე-
 ფის ასულს და უამბობს მას თავის მისვლის მიზეზს.

ქალმა რომ შეიტყო, ბახრამი ცოცხალიაო. უგზავნის ბეჰედს და
 წერილს. მონა ამ ნივთებს დილჯან-ნარის მიუტანს, დილჯან-ნარი კი
 მეფისწულს გადასცემს, მოუთხოვს დაკარგული ქალის მდგომარეო-
 ბას და მისცემს სულეიმან-სურმას. მეფისწული გაემგზავრება ბახ-
 რამთან და აძლევს მას წერილს და ბეჰედს.

როდესაც ბახრამი შეიტყობს, რომ მისი საყვარელი ცოცხალია,
 გამხნევდება და საჩქაროდ გაემართება მის გამოსახსნელად. მეფისწუ-
 ლი სთხოვს მას ჯერ ირანს გამგზავრებას და იქიდან ჯარით დევების
 ციხეზე გალაშქრებას, მაგრამ იგი არ თანხმდება და ეტყვის:

„გმირის ლაშქარი მისი ძალაა. თვითონ კი სარდალია“.

ბახრამი და მეფისწული გაემართებიან დევების ციხისაკენ, მაგ-
 რამ ვერაფერს ხედავენ. მაშინ ისინი წაისმენ თვალეზზე სულეიმან-
 სურმას, რის შემდეგაც შეამჩნევენ დევთა ციხეს. ციხის კარს ათასი
 მეომარი იცავს.



კვირები თათბირობენ, შემდეგ ესვრიან ისრებს თვალბში დევებს და ადვილად დაამარცხებენ დაბრმავებულებს. შეველაჩქინებულნი ციხეში. იქ ისინი ეომებიან დევების მეფეს და მის ძმას მამაკაცი მამაკაცი მამაკაცი მათ. ნახავენ მეფის ასულს და გაანთავისუფლებენ.

კვირები წაიყვანენ ქალს. გზაში შეიტყობენ, რომ ეგვიპტე აფრიკელებს დაუპყრიათ, ეგვიპტის მეფე მოუკლავთ და აფრიკის მეფისწული გამეფებულა მის მაგიერ. მთელი ეგვიპტე გაპარტახებულა.

ბახრამი და ირანელი მეფისწული წაიყვანენ ლაშქარს ირანიდან, მივლენ ეგვიპტეში და დაამარცხებენ აფრიკელებს. ბახრამის დას საპყრობილიდან გაანთავისუფლებენ. ბახრამი დაიკერს ეგვიპტის ტახტს. მთელი ქვეყანა იხდის არაჩვეულებრივ ქორწილს. ბახრამი თავის დას ირანელ მეფისწულს მიათხოვებს ცოლად და გაისტუმრებს ირანს.

ბახრამი და მისი საყვარელი ცოლი მთელი ხალხის საკეთილდღეოდ მეფობენ და ბედნიერად დაასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს¹⁰.

ამ ორი ამბავის ქარგა ერთნაირია. არ უნდა დაევიწყოთ, რომ „ბათორ-არსლანი“ ხალხური ეპოსია და ამდენად—მოდმივ ცვალებადი. მისი ვარიანტი ალბათ სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. მაგრამ ის, რაც ძირითადია მასში და „ბარამგულიჯანიანში“, საერთო ჩანს. აქ ისაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ავთანდილის ორეულის სახე ორივეში ერთნაირია, ბევრ რამეს, რაც ავთანდილისშიერია „ვეფხისტყაოსანში“, ამ ორ ეპოსში ტარიელის ორეული ჩადის. რა თქმა უნდა, „ბარამგულიჯანიანს“ რუსთველის პოემის აშკარა გავლენა ეტყობა, მაგრამ ეს მოვლენა ამბის გენეზისის გარკვევისათვის შეიძლება არ გამოგვადგეს. მართალია, მას ემჩნევა „ვეფხისტყაოსანთან“ უდავო მსგავსება შინარსობლივად, მაგრამ განსხვავებაც მეტად თავისებურია. ხოლო ის დეტალები, რითაც „ბარამგულიჯანიანი“ განსხვავდება „ვეფხისტყაოსანიდან“, ჩვენი აზრით, აღმოსავლური წარმოშობისაა, მეტად ნიშანდობრივია და ონანას მოგონილი არ ჩანს.

¹⁰ ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიები. კ. კიკინაძის პუბლიკაცია. „მნათობა“, 1938, № 10, გვ. 135.



„ვეფხისტყაოსანში“ ორი გმირის ამბავია ერთმანეთს გატანილი: ტარიელისა და ავთანდილის. „ბარამგულიჯანიანი“ კი მხოლოდ ტარიელის ორეულის, ბარამის, ამბავია მოთხრობილი. მხოლოდ ტარიელის ხაზით რატომ დაკმაყოფილდა შეიტანა მან თავის პოემაში ავთანდილის სახე უფრო ვრცლად. ე. ი. ისე, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“, რატომ გადმოგვცა იგი ისე მკრთალად და მოკლედ, როგორც „ბატირ-არსლანში“ გვაქვს? ამავდროს, სწორედ იმ თავისებურებით, რითაც ის „ვეფხისტყაოსანისაგან“ განსხვავდება, რატომ დაემგვანა „ბარამგულიჯანიანი“ უზბეკურ ეპოსს, რომელიც თავისთავად ჰგავს „ვეფხისტყაოსანს“? ამის პასუხად ვერ ვიტყვით, ონანა უფროსოდა, ამით ძალიან არ დამგვანებოდა მისი პოემა რუსთველის „შედევრსო, რადგან თუ მგვანებასა ან ნასესხობის უარის თქმაზე მიდგებოდა საქმე, ონანას ისედაც არ ექნებოდა „გამამართლებელი“ საბუთი, რადგანაც ის ერთი ხაზიც, რაც მის პოემას ამოძრავებს, ისედაც ძალიან ჰგავს „ვეფხისტყაოსანს“. მაშ, რატომ არ დაესესხა მას უფრო გულუხვად, რატომ ვერ ვხედავთ მის პოემაში „ვეფხისტყაოსანის“ ზოგ სხვა მთავარ ნიშანსა და მოვლენას? ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ მისი ამბის წყარო „ვეფხისტყაოსანი“ არაა. განვიხილოთ „ვეფხისტყაოსანისაგან“ განსხვავებული ადგილები „ბარამგულიჯანიანისა“, რომლებიც ამ იქვს გვიღრმავებს:

1. ბარამი თითქოს ტარიელის მსგავსადაა ველად გაჭრილი, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი მსგავსებაა. როგორც შემჩნეულია¹¹, ტარიელი ნესტანის საძებნად გაიჭრა, ეს გაჭრა პრაქტიკული ღონისძიება ნესტანის მისაღწევად. რაც შეეხება ბარამს, ის სატრფოს კი არ ეძებს (მან კარგად იცის, სადაცაა იგი), არამედ მისი სიყვარულით გამოწვეული სიშმაგის საასპარეზოდაა ველად გაჭრილი. ამით კი, ტარიელისაგან განსხვავებით, ბარამის სახე იმეორებს მაჯნუნის ტიპის შეყვარებულებს, რომელთაც ჩვენ ანე ხშირად ვხვდებით აღმოსავლურ ლიტერატურაში.

2. „ვეფხისტყაოსანი“ მთავრდება ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის ქორწილით. არსებობს მისი გაგრძელება, სადაც პოემის გმირები ბერდებიან და აღესრულებიან კიდევ. „ბარამგულიჯანიანი“ აქაც არ ჰგავს არც „ვეფხისტყაოსანსა“ და არც მის გაგრძელებას. ბარამსა და გულიჯანს მიეცემათ შვილები, რომელთა ზეობითაც ისინი ხარობენ.

3. მსგავსად აღმოსავლური რომანების გმირებისა: რამინის, ხოსროვის, ბაჰრამ-გურის, ესქანდარის (ალექსანდრეს) და მრავალ სხვათა, ბარამს მარტო ერთი სატრფო არა ჰყავს. იგი „დღე ხუთი მნათო“

¹¹ მ. გ. ხ. შ. შ. ვ. ი. ლ. ვ. 158.

ბებშიგან განისვენებდა მზერითა“, „ნადიმი ვთქუა პირმთვარეთა, რე უკვრეტდა ლამაზ პირებს“ (ონანა მდივანი, „ბარამგულიჯანიანი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ინსტიტუტი, ნაწერთა ინსტიტუტი, S—1613, 98v).

4. „ბარამგულიჯანიანიში“ რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავია მოთხრობილი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოემა წარმოშობით ქართულია და, მასმასადამე, ამ მხრივაც ქართულ ტრადიციებს აგრძელებს. პირიქით, თუ ასეთი ექსკურსები ვენეზისის გასარკვევად გამოიყენება, მაშინ უპირველესად ის უნდა ვიფიქროთ, რომ „ბარამგულიჯანიანი“ სპარსული ლიტერატურულ ტრადიციებს უკავშირდება, რადგან აქ, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, მოთხრობილია სპარსული რომანებიც. ჩვენი აზრით, აქ ონანა მდივანი უნდა ბაძვდეს თეიმურაზ პირველს, რომლის სპარსულიდან გადმოკეთებულ პოემაში „მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა“ თეიმურაზი სხვა სპარსულ რომანების მოკლე შინაარსების გვერდით გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ ამბავსაც¹².

5. ონანა არსად არ შენიშნავს: ამ პოემას „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით ვწერო (აქ ლაპარაკი გვაქვს მიბაძვაზე, რაც ძირითადად შინაარსის განმეორებას გულისხმობს, და არა გავლენაზე, რაც პოეტური ხელოვნების სფეროსაც ეხება. ონანა „ვეფხისტყაოსნის“ დიდ გავლენას განიცდის, მაგრამ გავლენა განუცდია მას „ვისრამიანისაც“: S—1613, 10r). სამაგიეროდ ის ასახელებს სპარსულ წყაროს, საიდანაც მან გადმოიღო ქართულად თავისი პოემა. თუ „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით შექმნა მან თავისი პოემა, რატომ არ განაცხადა ეს, ხოლო თუ ასეთი მოქმედება, ე. ი. სხვისი მიბაძვით თხზულების წერა, საერთოდ ეჩოთიბებოდა მას, განა „ვეფხისტყაოსნის“ გამოყენება უფრო საჩოთირო იყო, ვიდრე სპარსული ამბისა? შეიძლება ამ კითხვაზე დადებითად გვიპასუხოვნ. მაგრამ მაშინ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ზოგ შესაბამის ადგილას ონანა თვითონ ახსენებს „ვეფხისტყაოსნის“, სადაც მისი პოემა ძალიან ჰგავს მას. ასე, მაგალითად, როდესაც ჯონშერმა სცემა თავის ქალიშვილს, ონანა ჩაუერთავს: „ვახსენოთ ნესტან-დარეჯან, ვითა მას უყო დავარ და“-ო. 25 v).

6. ველად მოხეტიალე ბარამი წააწყდება ერთ წალკოტს, სადაც მოესიყვარულება ვარდს, რომელიც მას თავის სატრფოს აგონებს. ვარდის მიჯნური ბუღბული ბარამზე ეკვიანობს, მაგრამ ეს უკანასკნელი მას დაამშვიდებს, ნუ გეშინია, მე სატრფო მყავს და მხოლოდ ის მიყვარსო. ეს ეპიზოდი, რომელსაც მეტად ვრცელი ადგილი უკავია

¹² თეიმურაზ პირველი, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაყობიას რედაქციით თბილისი, 1934, გვ. 61.

პოემაში (130-მდე სტროფი) მართლაც გვაგონებს „ვარდბუდე“-
ანს“, როგორც ეს კ. კეკელიძემ შენიშნა¹³, მაგრამ ასე ვრცელი
წიაღსვლის შეტანა პოემაში, ისიც ასეთი პირობითი, ლირიკული
მხატვრული ხერხებით, მხოლოდ სპარსული ლიტერატურის
ბით ან წახედვით თუ შეიძლება¹⁴.

ს. ბ. ლ. ი. თ. ე. კ.

¹³ კ. კეკელიძე, II, გვ. 418.

¹⁴ აღენიშნაეთ რა ამას, მაინც ვერ გაეზიარებთ მ. გუგუშვილის მოსაზრებას, თით-
ქოს ამ ეპიზოდს „ვეფხისტყაოსანთან“ არაფერი ჰქონდეს საერთო (მ. გ. უ. გ. უ. შ. ი-
ლი, გვ. 165). ეს სცეხა რუსთველის პოემაშიაც გვაქვს, მაგრამ არა ასეთი, სპარსული
პოემაებისათვის დამახასიათებელი, მანერითა და მოცულობით. გავიხსენოთ, როგორ
წააწყდა ახალ გაზაფხულზე მიჯნური ავთანდილი ვარდებს:

„მიწურვილ იყო ზაფხული, ქვევნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო შათის პეშმანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.
და ს უ ლ თ ქ ნ ა, რ ა ნ ა ხ ა ყ ვ ა ე ი ლ ი მ ა ნ,
უ ნ ა ხ ა ე მ ა ნ ხ ა ნ ი ს ა.

აგრვეინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბრძოლისა ცვართა;
ვარდსა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა
უბრძანა: „გიჰკრებთ თვალთა, გულ-ტკბილად შემხედვართა,
და მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანასა უ-
ბართა“ (1328—29).

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გაგვიხსნათვის

„ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ასეთი ცნობილი სტროფი იკითხება:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტყბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგეკბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

ამ სტროფზე მთელი ლიტერატურა შეიქმნა. იმათ, რომელთაც აქ ბრძანების მიმცემად თამარი მიაჩნიათ, ეწოთირებოდათ,—როგორ მოხდა, რომ თამარმა პოეტს უბრძანა: ჩემი ლოყები და კბილები მიქეო¹. იყო ცდა, შეერბილებინათ ეს ბრძანება: იქნება, „მიბრძანეს“ აქ წინადადების მიცემას ნიშნავდესო². ზოგი იმასაც ფიქრობდა, აქ მარტო თამარის ქება კი არ ებრძანა რუსთველს, არამედ სხვისაც (რადგან „მათად“ იკითხება), ეს სხვა კი დავით სოსლანი უნდა იყოსო³.

ნ. მარი ასე თარგმნიდა ამ სტროფს:

«Написал же я их по приказанию самой царицы, повелевшей мне
воспеть ее брови, ресницы, волосы и ряд хрустальных зубов⁴.»

მისი აზრით, აქ „ვეფხისტყაოსანი“ კი არ იგულისხმება, არამედ რუსთველის სხვა ნაწერები, შეთხზული თამარის საქებად⁵. მაგრამ,

¹ ალ. სარაჯიშვილი, ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, „მომხე“, XI, 1895, გვ. 9—12.

² მ. ჯანაშვილი, „ივერია“, 1899, 4 მარტი.

³ ს. ქვარიაძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1914, გვ. 20-ტ. კეკელიძე („რადაც არაბუნებრივია, ვინმეს ებრძანებინა პოეტისათვის, მით უმეტეს, თვით თამარს, შეეჭო მას მისი, თამარის, წარბი, წამწამი, თმა და ბაგეკბილები“), II, თბ., 1958, გვ. 109.

⁴ Н. Я. Марр, Об истоках творчества Руставели и его поэме, Тб., 1964, стр. 71.

⁵ იქვე.



თუ ასეა, გამოდის, რომ თამარი თავისი საქმეები ლექსების წერის თავად უკვეთავდა პოეტს.

ჩვენ ეპი გვებადება: ამ სტროფში თამარის ქებაზე უკვე ვხვდებით პარაკი? რა თქმა უნდა, აქ თამარის ქება არაფრით არაა სტროფით, თუ დაეუშვებთ, რომ პოეტს არა თამარმა, არამედ სხვებმა უბრძანეს ეთქვა ეს ქება (ბოლოსდაბოლოს, უხერხულობას ის კი არ ქმნის, რომ თამარმა უბრძანა პოეტს, შემაქეო, არამედ ის, რომ პოეტი აცხადებს ამას, თამარმა თავისი ქება დამიკვეთაო). ხომ შეიძლებოდა რომელიმე ჯგუფს ან პირს მიეცა რუსთველისათვის ასეთი დავალება. მაგრამ ასეთ გამოსავალს არ უშვებენ. ასეთი ვარაუდი თითქოს ანგარიშგასაწევი იქნებოდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ტექსტის ასე გაგება ლოგიკური არაა, რადგან ამ შემთხვევაში რუსთველის გენიალური მეტაფორა, — ალმასის ქვას ტყვიის გრდემლი გასტეხსო, — შეუფერებელი გამოდის. გავიხსენოთ, რომ ტყვიას თამარი უნდა იყოს შედარებული და არა მისი მამაკაცი დიდებულები (თამარი ქალია და ტყვიისა, რუსთველი მამაკაცი და ალმასია, მაგრამ ტყვიას აქვს თვისება — სძლიოს ალმასს).

მსგავსად იმდროინდელი სპარსული ეპიკისა (ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თემათა მსგავსება სპარსულ პოემებთან ცხადყვეს ნ. მარმა, იუსტინე აბულაძემ და ალ. ბარამიძემ), პოემის შესავალში უსათუოდ ნაქმები უნდა იყოს პოეტის პატრონი, აქ — თამარი. ეს ქება შესავალში მართლაც იკითხება:

„ვის ჰშვენის, — ლომსა — ხმარება შუბისა, ფარ-შიშვრისა,
— შეფისა, მზის თამარისა, ლაწე-ზაღაზშ, თმა-ვიშვრისა, —
მას არა ვიცი შევჰყადრო შესხმა ზოტბისა, შე, რისა,
და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხაჰს მართ, მი, შერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული,
ვთქვენო ქებანი ვისნი მე არ ავად გამოჩეული,
მელნად ვიხმარე გვირის ტბა და კალმად მე ნარხეული,
და ვინცა ისმინოს, დაესებას ლახვარი გულსა ზეული“.

თამარის ქება აქ თავდება და იწყება აღმოსავლური პოემის შესავლისათვის ასევე აუცილებელი კომპონენტი: წიგნის დაწერის მიზეზი. და აი რუსთველი პოემის დაწერის მიზეზს გავცავთ: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა“ და ა. შ. ვინ არის ის, ვინც ბრძანება გასცა და ის, ვინც უნდა შეაქონ? რადგან ამ ნაწილში წიგნის დაწერის მიზეზზეა ლაპარაკი, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ბრძანების გამცემი პოეტის პატრონია, ე. ი. თამარია, ხოლო ის, ვინც უნდა აქონ, შეკვეთილი ამბის პერსონაჟი (თუ პერსონაჟები) უნდა იყვნენ.

ჩვენს ყურადღებას იქცევს თეიმურაზ პირველის ერთი ცნობა, რომელსაც დღემდე სათანადოდ არავენ დაჰყვირებია.

თავის პოემაში „მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა“ სწორედ დაც პოეტი მოკლედ გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს, პოემის დაწერის მიზეზს, თეიმურაზ პირველი გვაცნობებს:

„მეფეს ენება სპარსული თქმათ ქართულისა ენითა,
„ლექსად თქმა მწადსო“, უბრძანა ლაღმან ბრძნად შექთა ფენითა,
ნიჭი აღუთქვა უზომო, მოაქე ვარ მოქენითა,
მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჟდა, გლახ, ცრემლთა
ღენითა“⁶.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზის განმარტებით, თამარი რუსთველს ავალებს აქოს მიჯნურები: ტარიელ-ნესტანი და ავთანდილ-თინათინი (მეფის მრავლ. რიცხვში მოხსენიება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შდრ. იაკობ შემოქმედელი: „მაქვნდა ცხებულთ ნაბრძანები“. S-342, გვ. 325). ე. ი. თამარს, რომელსაც სხვაგან ასე აქებს პოემის ავტორი, პოეტისათვის უბრძანებია შეექო სილამაზე, მაგრამ არა თავისი, თამარისა, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისა.

⁶ თეიმურაზ I, თხულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოცემა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაფარიას რედაქციით. თბილისი, 1934, გვ. 62. შემდეგში: თეიმურაზ I.

„ამირანდარეჯანიანის“ ზოგი საკითხი

I

„ვეფხისტყაოსანში“ ტრადიციულად იკითხება ერთი სტროფი, რომელიც ზოგს ფსევდორუსთველურად მიაჩნია:

„ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ზომელსა¹,
აზღულშესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ—სარჯის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემ-შეუშრომელსა“.

რატომ მაინცდამაინც ეს ოთხი ნაწარმოებია ჩამოთვლილი ამ სტროფში, ვისიც არ უნდა იყოს იგი, პოემის ავტორის თუ ყალბის-მქნელისა? ნუთუ საშუალო საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ამ ოთხ ძეგლზე მეტი არაფერი შექმნილა? ამავე დროს, თუ მართლაც ასეა, რა მოსაზრებით ჩამოთვალა მისმა ავტორმა ეს ოთხი ნაწარმოები? ლიტერატურა მიმოიხილა? მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ დროისათვის ქართულად არსებობდა, მაგალითად, „ვისრამიანი“, შეიძლება, „თამარიანიც“. რატომ მათ არ ასახელებს ამ სტროფის ავტორი? მაგრამ დავუშვათ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ისინი დასახელებული არაა. დავაკვირდეთ აქ ჩამოთვლილ ძეგლებს, რა აქვთ მათ საერთო?

ქვეყელიძემ სავსებით დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ აქ საქმე გვაქვს ერთი თანრის, კერძოდ, ეპიკურ ძეგლებთან. მან, როგორც ქვემოთ საგანგებოდ დავინახავთ, წარმატებით უარჰყო ნ. მარის მეტად ეფექტური, მაგრამ დამაჯერებლობას მოკლებული მოსაზრება.

¹ ჩვენ ვითხვლობთ ფორმას **ხომელსა** ნაცვლად ფორმისა **ხონელსა**. ამით რითმა არ დაირღვევა, როგორც ტრადიციულ სტროფში, — რითმა: — **ომელსა**. ჩვენს ვარაუდს კვერს უკრავს ერთი ქართული ხელნაწერი პოემისა H—54. ზომი, როგორც ტომონიმი, ცნობილია საქართველოში. ასეთი სახელი დღესაც ეწოდება ერთ სოფელს ზემო იმერეთში (მდრ. ხალხური ლექსი, ჩაწერილი ვაყას მიერ: „**ხომს სასახლებს უქებენ, ქარვასლებსა სჯობია**“. ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, VII, გვ. 176).



ქვეყნული
ბიბლიოთეკა

ვითომ შავთელის ჩვენამდე შემორჩენილი ხოტბა „აბდულმესიანი“
იყოს, რითაც განიმეორა აკაკი წერეთლის შენიშვნა: „აბდულმესიანი“
სხვა, საგმირო ნაწარმოები უნდა ყოფილიყო.

მაგრამ იქნება აქ ჩამოთვლილ ოთხ ნაწარმოებს უფრო მეტი
აქვთ საერთო, ვიდრე ქანრის ერთიანობაა. უპირველეს ყოვლისა ვნა-
ხთ, რა აქვთ საერთო „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“,
ჩვენამდე შემონახულ ორ ქართულ კლასიკურ ქმნილებას.

ა) ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ზ. ჭიჭინაძე „ამირანდარეჯანიანის“
შესახებ წერდა: „ვინც ამ რომანს წაიკითხავს, იმას ცხადად გაახსენ-
დება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსს
ერთობ დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარს-
ზეო“². ცოტათი გვიან, 1895 წ., მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა პატარა
წიგნაკი „მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“, სადაც ბევრ,
სწორ თუ არასწორ დებულებასა და ეჭსკურსს შორის გადაგვიშალა
„ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ საოცარი შინაარსობ-
ლივი მსგავსების სურათი. მან პარალელურად მოიტანა ორივე ძეგ-
ლის სათანადო ადგილების შინაარსი, რომელიც დაახლოებით ასეთია
(მოგვაქვს მხოლოდ „ამირანდარეჯანიანის“ სათანადო ადგილები, მი-
ნიშნებული მ. ჯანაშვილის მიერ):

„იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკმული განგებიანი... მოიხ-
მო მეფემან დიდებულნი და დაჭდა. მიუგზავნა ასულსა თვისსა კაც-
ნი, ვითა: შვილო, მე დავებრტბულვარ და შენა ხარ მკვიდრი სამე-
ფოსა ჩემისა და არა მივის შენგან კიდე სხვა ძე... პირმზე ააული
მისი ვნახეთ და ვსთქვიით: თუცა არა არს ხორციელი, თუმცა მზე
არისო. ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა, შეუმკეს
ტახტი მნათობი... ნადირობის დროს აბესალომ მეფე შეხვდება სახლს,
რომელზედაც სწერია სახელი ამირანისა. სახლის გარშემო მინდორი
მოფენილია ამოწყვეტილი კაცებისა და ცხენების ლეშებით. მეფე შე-
იტყობს, რომ ეს კაც-ცხენები დაუხოცია გმირს ამირანს. მოისურვებს
მის ამბის შეტყობას, ვერ შეიტყობს, დანალვლიანდება... ნადირობი-
დან მეფე შემობრუნდა, უფროსსა შეჭირვებასა მიეცა. აღარცა გავი-
და სანადიროდ და აღარცა ვადიხადა ნადიმი. შევიდა ჯაზიარ ვეზირ-
თა უხუცესი და მოახსენა: გაგზავნეთ კაცი ქალაქთა სპარსეთისათა,
ნუთუ ვინმე ყრმა დარჩომილიყოს მისი და მით ვსცნათო. გაგზავნა
კაცი სპარსეთსა და ყოველსა ქვეყანასა შინა, წარმავალთა დაყვენს
ჟამნი მრავალნი. ...ხევესა წავადექით. მას ხევესა შიგან დგას ქარავანი
ურიცხვი. მოგვეგებნენ წინ ყოველნივე და თაყვანისცეს პატრონსა

² ზ. ჭიჭინაძე, ამირანდარეჯანიანი, გაზ. „დროება“, 1885, № 162.

ჩვენსა კითხვა: „ქმნით, ვინ ხართ?“ ზე ადგა აბრამ და ეგრე მოხსენა: „...ბაბრელნი ქარავეანნი ვართ, ინდოეთიდან ვართ მომავალი ურიცხვითა ლარითა. აქა იმიტომ ვყოვნით, რომე წინა გვიმწერიან, ესე არს მიზეზი აქა დგომისა შიშითა მათრისა მოვლენ ლაშქარნი ურიცხვნი. გვესროლეს, შეგვაპირვებდეს. მათნი ვეიფილა ბადრი იამანისქემან... ჩაიმაღენით ნავთა შიგანო. ჩაეიმაღენით. მოვიდა მეკობრეთა თავადი და ყიოდა, ვითა: გარდხვეწენითო. ეგრე მოგვეახლა. ახლტა ბადრი და მის ნავსა შიგან გარდახლტა. კერა სხალი და მოკლა, სხვანი ლაშქარნი უჩინო იქმნენ. გავიარეთ იგი ზღვა და მივედით იმიერ ზღვისა კუნძულსა, ზღვათა მეფისა ქვეყანასა... ვაქართა უფროსი კითხავს: საით მიდიხარო?—საეკოლისა ჩემისა ჭენტა მეფის ასულის გამოსახსნელად მივალო.—იქ სავალი გზა საგრძნეულო არისო. ერთი შაოსანი დიაცი არის და მან იცის ყველა მისი გზისა ამბავიო და იგი ვითხრობსო. მოქარავენნი შინ წავიდნენ. გაგზავნეთ შიკრიკი ჭენტა მეფის ასულისა თანა, სეფე დვალემ შაოსან დიაცსა გზის ჩვენება სთხოვა. შაოსანმა მოახსენა: ჯავრი ამომიყარე რაზიმან დევისა, რომელმაც შეიღებე დამიტყვევა. დევმა დიაცს უთხრა: როსკიპო! შემოუტია სეფე დვალს, რომელმაც დევა მოკლა. დიაცმა უთხრა: ჭენტა მეფისა ასული შთაკეტილია მადლალს კოშკში და კართა ზედან ხუთასი რჩეული არაბი უყენიანო. წაკიდნენ, შავიდნენ ჭენტა მეფის ქალაქში, რომლის შუაგულში კოშკი იღო და შაშნი იჭდა მეფის, ასული. მოიკვლიეს ციხეში შესასვლელი გზა, მეფის ასულმა ზემორე ხსენებულ შიკრიკის პირით შემოუთვალა: ხვალ არაბთა მეფის შეიღებდ მათხოვებნო. სეფე დვალემ აცნობა: მზად იყავი და ამაღამვე გამოგიყვანთო. ღამე მიუხდა მეტოქე სასიძოს. შემუსრა მისი ლაშქარი, ქალი გამოიყვანა და წავიდნენ. ჭენტა მეფე გამოეყიდა მათ. იბრძოლეს მრავალი. ჭენტა მეფემ უთხრა როსაბს (როსაბ შეადარე რუსთველის როსანს): თუცა სეფე დვალს აჯობო, იგი პირმზე ასული ჩემი მოგცე ცოლად შენდაო. შეიბნენ. სეფე დვალემ მოკლა... სეფე დვალი წავიდა ცოლითა და მეგობრებით, და თუმცა მოკლე გზა ჰქონდათ, მაგრამ შორეული არჩიეს, რათა მადლობა გადაეხადათ შაოსან დიაცისათვის. შაოსანი დიდის სიხარულით გამოეგება, უძღვნა მრავალი: მარგალიტი, გვირგვინი, ფარულნი და სხვ. სეფე დვალემ იგი დედობილად დაისვა, დაჭერილი ქვეყანა მას და მის შვილებს მისცა“³.

მ. ჯანაშვილი იქვე (გვ. 38) აღნიშნავდა: „ვინ იცის, „აქამდის ამბად ნათქვამი“, ან „დავჯე რუსთველმან, გავლექსე“ იმას მოასწავებ-

³ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1895, გვ. 17.

დეს, რომ მოსე ხონელის მიერ „ნაიტყვენი ამბავნი“ (პროზა) შეიქმნენ „აწ მარგალიტი წყობილი“ (პოემა).

ამ ორი ქართული ძეგლის ასეთმა მსგავსებამ კ. დონდუას დაინტერესებინა, მათ საერთო წყარო უნდა ჰქონოდათ⁴.

კ. კეკელიძემ, რომელმაც სავსებით გაიზიარა მეცნიერთა შეხედულება ზემომოტანილი პარალელების მნიშვნელობის შესახებ და განიმეორა კიდევაც ეს პარალელები („როგორც ვხედავთ, ზღაპრის მთავარი ჩონჩხი გასაოცარი თანხმობითა და მსგავსებითაა წარმოდგენილი ორსავე ნაწარმოებში“⁵), მიუთითა აგრეთვე სხვა ხასიათის პარალელებზე, თვით მსგავს დეტალებზე (აღნიშნა 12 ასეთი საგულისხმო დეტალი⁶) და აღნიშნა ფრაზეოლოგიური მსგავსებანიც⁷. მეცნიერი ასკვნიდა: „ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მივუდგეთ ამ ორ ნაწარმოებს, მათ შორის დიდს მსგავსებას დაეინახავთ (ზოგადი აზრი, ჩონჩხი ზღაპრისა, ზოგიერთი დეტალი შინაარსისა, ფრაზეოლოგია, გარეგანი ფორმა)“⁸.

„ამირანდარეჯანიანზე“ მსჯელობის დროს ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ისე როგორც „ვეფხისტყაოსანი“, მისი სიუჟეტი შეიცვლებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გადაშუშავებლის ხელში. მაგრამ ეს ზოგადი მსჯელობა იქნებოდა, რომ არ ვეჭონდნენ ამისი უტყუარი ნიშნები, რომლებიც თავად ამბავთა დალაგებასაც ეტყობა—ჩანს, მას ვხადაგზა ცვლიდნენ და გადააკეთებდნენ. ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ სავარსამიძე მეფე აბესალომს უყვება ამირანის ამბავს, როგორც უკვე წიგნად დაწერილს: „ათორმეტნი კარნი არიან პატრონისა ჩემისანიო“⁹. შემდეგაც ის რაღაც წიგნის მიხედვით აცნობს მეფეს ფალავანთა ამბებს, აქ ამის კარი იწყება, აქ თავდებაო. რა კარებზეა ლაპარაკი? ვფიქრობთ, აქ ისეთი სურათია, როგორც „ქილილა და დამანაში“, სადაც ბარზუ, წიგნის ავტორი, შემდგომ ვერსიებში თხზულების გმირად არის გამოყვანილი. ეტყობა, „ამირანდარეჯანიანის“ ჩვენთვის ცნობილ ვერსიას წინ უძღოდა სხვა ვერსია და ავტორიც სავარსამიძის სიტყვებით იმ ვერსიას გულისხმობს. შეიძლება, იგი უფრო ჰგავდა „ვეფხისტყაოსანს“.

⁴ К. Д о н д у а, Амирандареджаниани. «Памятники эпохи Руставели», Ленинград, 1938, стр. 94.

⁵ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, II, გვ. 142.

⁶ ი ქ ვ ე, გვ. 143—145.

⁷ ი ქ ვ ე, გვ. 145.

⁸ ი ქ ვ ე.

⁹ მოსე ხონელი ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიძემილმა, თბილისი, 1967, გვ. 29. შემდეგში „ამირანდარეჯანიანი“.

ტყაოსნის“ ფაბულას და თავისი ხასიათით საგმირო-რომანტიკული იყო და არა საფალავნო. შემორჩენილი „ამირანდარეჯანის“ საუკუნო შედგენილობა, სტილი და ლექსიკა შეიძლება იმაზე უთიფებდეს, რომ იგი იმ ძველი, XI—XII საუკუნეებში უკვე არსებობდა (შეიქმნა) ლეხა ლექსით) ვერსიის გადმოკეთებაა. ჩვენთვის ცნობადია, რომ უფრო გვიანდელი ჩანს, რომელსაც ბევრი აღმოსავლური დასთან, მათ შორის „ყესაფთე ჰამზას“ ამბები გარევია.

ბ) „დიღარგეთი“ დაკარგულია და მასზე ვერაფერს ვერ ვიტყვით. მხოლოდ ერთი შეგვიძლია ვივარაუდოთ: აქ შესაძლებელია ქალის სახელი დიღარა(მ) ან დიღარკი არ იგულისხმებოდეს, არამედ მამაკაცისა—დიღარვერ (სპ. ვაჟაკი, გულადი). მაშინ იგი უფრო შესაფერისი სახელწოდება იქნებოდა ამირან დარეჯანისძის, ტარიელის და აბდულმესიას გვერდით, რომლებიც მამაკაცები არიან. დიღარვერ-ს გრაფიკულადაც ადვილად შეიძლებოდა მოეცა დიღარგეთ (გ<ვ, თ<რ).

გ) რა შეიძლება ითქვას „აბდულმესიანის“ შესახებ? „აბდულმესიანი“ დაკარგულად ითვლებოდა (თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, დაკარგული „აბდულმესიანი“ საგანგებოდ აძებნინა თურმე ერეკლე მეორემ) და მხოლოდ 1902 წ. მიიჩნია იგი ნ. მარმა „თამარისა და დავით სოსლანის შესხმად“¹⁰. ნ. მარის მოსაზრება თითქმის ყველამ გაიზიარა, მაგრამ აკაკი წერეთელმა მიუთითა ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენაზე. აი, რას წერდა აკაკი ამის თაობაზე: „განსვენებული ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი, ძველი მწერლობის დიდი მოტრფიალე, ხშირად ამბობდა ხოლმე, აბდულმესიანი შავთელისა ჩვენ საგვარეულო წიგნთსაცავში იყო, ჩემამდეც მოაღწია და როდესაც ნაქალაქევი სახლი გადამეწევა, სხვა წიგნებთან ერთად ის ევზემპლარიც დაიღუპაო. მთლად თავიდან ბოლომდის აღარ ახსოვდა ის თხზულება, მაგრამ ზოგ-ზოგი ადგილები კი მოჰყავდა ხოლმე ზეპირად. რამდენიმე ტაეპი მეც მაგონდება, მაგალითად, ერთი ნაწყვეტი:

აბდულმესია,
მტერთა მესია,
სარკინოზთ შეპყრა
ხელთა მესია.

მეორე კიდევ:

მტერთა მძლეველსა
ისრით მძლეველსა
თვით ჰყოფს შეხარკეთ
ხარკთა მძლეველსა“¹¹.

¹⁰ TP, IV, 1902, გვ. 8, 19.

¹¹ აკაკი, მეორე რამ პროფესორ მარის უკანასკნელის თხზულების გამო, „ივერია“, 1902, № 154.

(აკაკის აზრით, ჩახრუხაული გვარია ლექსისა, როგორც ფიქტიური, მუხამბაზი და სხვა ისეთი, რომელიც თავში ერთი და იმავე სიტყვებით იწყება).

ეროვნული
საბჭოთაო

ამ ფრაგმენტს ეტყობა, რომ იგი საბოტაჟო ნაწარმოებებს და იყოს, უფრო საგმირო-სამიჯნურო თხზულების ნაწილს ჰგავს. აღვილი შესაძლებელია, მის ავტორს, შავთელს „თამარისა და დავით სოსლანის შესხმაც“ ეკუთვნოდეს და ამიტომაც აღრეოდეთ ისინი ერთმანეთში. კ. კეკელიძეს, რომელმაც სათანადო საბუთები წარმოადგინა ნ. მარის შეხედულების საწინააღმდეგოდ, არ ავიწყდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც, „რომ ფსევდორუსთველურ სტროფში ოთხ, იქ დასახელებულ, თხზულებიდან სამი თხრობითი, ეპიკური ჟანრისაა—„ამირანდარეჯანიანი“, „დილარიანი“, „გეფხისტყაოსანი“, იგულისხმება, მეოთხეც („აბდულმესიაც“) ასეთივე და არა ლირიკული ჟანრისა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღა ეს ხოტბა დასახელა ამ სტროფის ავტორმა, რა დააშვა „თამარიანმაო“. კ. კეკელიძეს აქ „დილარგეთიც“, რომელსაც იგი „დილარიანს“ უწოდებს, ეპიკურ თხზულებად მიაჩნია, ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ მისი სახელწოდება სიუჟეტს, ამბავს გულისხმობს.

როგორც თავში აღვნიშნეთ, ეს სტროფი ბევრს რუსთველის ნახელავად არ მიაჩნია, რითაც უგულვებელყოფილია საშუალო საუკუნეების როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურაში მტკიცედ ფეხმოკიდებული ტრადიცია. სპარსულ პოემათა ავტორები, მაგალითად, ასახელებენ ძეგლებს, რომლებიც მათი პოემის თემებზე იყო დაწერილი. ხან დეტალურად გადმოგვცემენ ამ ფაბულის ისტორიას, ხან გაცრით იხსენიებენ ასეთ ნაწარმოებებს და მათ ავტორებს. ასე მიუთითებს „ვის-ო რამშინს“ ჩვენთვის ცნობილი სპარსელი ვერსიის ავტორი ჭახრ ალ-დინ გორგანი ექვს მის წინამორბედზე¹², ასე შეგვახსენებს ჭერდოუსი თავის წინამორბედს, ცნობილ პოეტს და-ყნუს და განსაკუთრებით ხშირად ვინმე დეჰყანს („მიწათმოქმედს, ფეოდალს“), რომლისგანაც მას მოაქვს ესა თუ ის ეპიზოდი თავისი ეპოპეისა¹³. „ქილილა და დამანას“ სპარსულ ვერსიას, როგორც ეს მის ქართულ თარგმანიდანაც ჩანს¹⁴, ახლავს შესავალი, სადაც დაწ-

¹² კ. კეკელიძე, II, გვ. 234.

¹³ ვის و رامین از فخر الدین اسعد گرگانی تصحیح ماگالی، 20. 23. تودوا و الکساندر گواخاریا، تهرآن، ۱۳۴۹، ص ۲۸

¹⁴ شاهنامه، جلد اول، ص ۷

¹⁵ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, აღ. პარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1962, გვ. 29.

ვრილებით არის გადმოცემული ამ კრებულის ისტორია და დაახლოებულია მისი პირველი ავტორები და ა. შ. სპარსული ლიტერატურის ეს ტრადიცია გადმოჰყვა სპარსულიდან გადმოცემულ თარგმნილ ძეგლებს. ასე, მაგალითად, თეიმურაზ I გვიჩვენებს სულ ავტორებს, რომელთაც იგი ეჯიბრება ამა თუ იმ თემის („ამაი-ფარავანიანის“, „ლეილმაჯანუნიანის“, „ვარდბულბულიანის“) დამუშავების დროს¹⁶. ასევე, ნოდარ ციციშვილი თავის „შვიდ მთიებში“ ასახელებს ოთხ ავტორს, რომელთაც, პოეტის ცნობით, დაუმუშავებიათ მისი თემა: ნეჰმუნს, ხოსრო დეჰლევის, ნავაი-სა და ჯამინს¹⁷. აღმოსავლურ ძეგლებში პოეტებისა და მათი ნაწერების ზოგადი ჩამოთვლა კი არა გვაქვს, არამედ, ვიმეორებთ, დასახელებულია მხოლოდ ის პოეტები, რომელთაც წინამდებარე თემა დაუმუშავებიათ.

ყოველი ზემოთქმული გვაფიქრებინებს: ხომ არ იგულისხმება ამ სტროფში ერთი თემის ან ამბავის ოთხი სხვადასხვა ქართული დამუშავება?

II

„ამირანდარეჯანიანის“ მერვე კარის („ტილისმათა ამბავი“) დასაწყისში სავარსამისძე გვიყვება მისი პატრონის უცნაური სიზმრის ამბავს. ამირანმა

თქვა: „ძოღან სიზმრად დიაცი მეუბნა შემავგონებად,
მითხრა: „თუ მზეო ქუეყანად ჩამოსულიყოს რონებად,
და ვამს, რომ შენ გყუანდეს სალხენოდ, გულზედა დასაყონებად.

ღამე მრავალჯერ მოვიდის, მეტყოდის ქალის ქებასა,
ვით ცხადად მეუბნებოდა: „მზე ვერ იქს მისოდნებასა;
შონას ეცადე, თუ შესძლებ მიჯნურთა ცეცხლთა დებასა,
და მისსა სიყუარულს ნუ იქო გულიდამ გარდადებასა“.

გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ გ. ჯაკობიასეულ გამოცემაში¹⁸ ამ ბოლო სტროფის (965) შემდეგ მოდის ასეთი სტროფი (966 ნომრით):

¹⁶ თეიმურაზ I, გვ. 17, 19; 22, 56; 24, 5.

¹⁷ ნოდარ ციციშვილი, „შვიდი მთიები, კ. კეკელიძის რედაქციით, გამოცემული და ლექსიკონით, თბილისი, 1930, გვ. 2.

¹⁸ სულხან თანიასეული, ამირანდარეჯანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, წინასიტყვაობით, ლექსიკონით და შენიშვნებით. თბილისი, 1941 წ. შემდეგში: „გალექსილი ამირანდარეჯანიანი“.

„ჰკადრა: „ვართ შვედრი ბასრელნი არ ახლა მისვლით ეული, ვაჭრობაშია ვაზრდილნი, აღებ-მიცემის ჩვეული, გვაქვს ლარნი სრულნი, მიმენი, არ დაჭრილ, არ დახეული, და თვალნი ძვირნი და ლარინნი უმკობედ გამორჩეულნი“.

ერთი შეხედვითაც, აშკარაა, რომ აქ რაღაც გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე.—სიზმრის მოყოლა დამთავრებული არაა, თბრობაში კი ვიღაც ბასრელები შემოიჭრნენ. ტექსტს რაღაც აკლია. ეს მოვლენა მხედველობიდან არ გამორჩენია ძეგლის გამომცემელს, რომელიც შენიშნავს: „965-ის შემდეგ ტექსტი ნაკლებუფანია: აკლია „თილისმათა ამბავი“-ს (ზ. კიჭინაძე, 99) დაახლოებით 3/4 და მომდევნო თავის—(გვ. 104) დასაწყისი. აკინძვისას ფურცლებიც არეულია ამ შემთხვევაში“¹⁹.

როგორც გ. ჯაკობიამ გაარკვია, გალექსილ ვერსიას პროზაული „ამირანდარეჯანიანის“ ე. წ. მოკლე რედაქცია უძვეეს საფუძვლად²⁰. მართლაც, ამ რედაქციის მერვე თავის დასაწყისში სავარსამიძე გვიამბობს:

ერთხელ, დილით, ამირანმა მას, სავარსამისძეს, კაცი გამოუგზავნა და თავისთან იხმო. წავიდა. მოწყენილი დახვდა კედელზე მიკრული ქალის სურათი აჩვენა და უთხრა: სიზმარში ერთი ქალი გამომეცხადა, ვიღაც მზეთუნახავი მიჭო და ეს სურათი დამიტოვა. ამ ქალის სიყვარული გულში ჩამვარდნია და ახლა სხვა გზა არა მაქვს, მის საძებნელად უნდა წავიდეთ. სავარსამიძემ დაუშალა, ეშმაური რამე არის, იმ ქალის სადაურობა არ ვიცი და როგორ უნდა ვეძებოთო. ამირანი თავისას არ იშლიდა. სევდის გასაქარვებლად ორივენი სანადიროდ მიდიან. გზად ვიღაც ცხენოსანი გამოეცხადება და გადმოსძახებს: ის ქალი ინდოეთში ცხოვრობსო. ამირანი ინდოეთის გზას დაადგება და თან მხოლოდ სამ ფალავანს იახლებს: სავარსამისძეს, აბან ქამანისძესა და ქაოზ ქოსისძეს. გზაში ფალავნები მრავალ ფათერაკს გადაეყრებიან, ჯერ მხეცებთან მოუხდებათ შებრძოლება, შემდეგ მეკობრეებს წააწყდებიან (მათ ქაოზ ქოსისძე გაელეტს). აბან ქამანისძე წინ წავა, გზას დავხვერაგო. ფალავანს სამი კაცი შემოხვდა, თურმე ქარავანს მეკობრეები დასხმოდნენ და მათ გარდა ყველა დაეხოცათ. აბან ქამანისძე მიეწია მეკობრეებს და ათასამდე კაცი ერთიანად ამოწყვიტა. იმ მექარავნებმა აქვე გამოვლილ ამირანს, სავარსამისძეს და ქაოზ ქოსისძეს უამბეს თუ როგორ გაეშურა აბან ქამანისძე, ერთი კაცი იმდენ მეკობრესთან შესაბამელად. ამირანი და მისი ამაღა ქამან ქამანისძის მისაშველებლად გაიქცე-

¹⁹ გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“, გვ. 322.

²⁰ იქვე, გვ. XIII—XVII.

ვიან. ველზე აურაცხელი დახოცილი ცხენი და კაცი ეყრია, აბან ქა-
მანისძე კი არა ჩანდა. ამირანი დალონდება, როგორ კაცს გავაგონებ-
ბინეთ ცუდად თავიო! მაგრამ ცოტა ხანში აბან ქამანისძეს ტყვე მძღვენი
და მრავალი ტყვე მოასხა. განაგრძეს გზა. ერთ ქარავანს უხუცესი
ამირანმა ჰკითხა: ვინა ხარო ან ეს ქარავანი ვისიაო? მათმა უფროსმა
მიუგო: „ჩუენ ბასრელი ქარავანი ვართ, ინდოეთს ვიყვებით და მუ-
ნით მომავალნი ვართო“²¹.

გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ დღემდე ცნობილი ერთად-
ერთი ნუსხა²², როგორც ამას მისი გამომცემელი გ. ჯაკობიაც აღნიშ-
ნავს, ნაკლულია. ექვი არაა, მას ზემოთ მოტანილი შინაარსის შემცვე-
ლი სტროფებიც აკლია.

ასეთ ვითარებაში ინტერესს იწვევს XVII ს. ცნობილი კაპუცინი
მისიონერის ბერნარდოს არქივში აღმოჩენილი ქართული ლექსის რა-
მდენიმე სტროფი, რომელიც სწორედ ზემოთ მოყოლილი ამბის შემც-
ველია. იგი თანიაშვილის (თუ თანიაშვილების) პოემის სწორედ ჩვენ-
თვის საინტერესო ნაწილია, რასაც ადასტურებს ისიც, რომ გარდა
დღემდის უცნობი სტროფებისა, დასაწყისში მას შემოუნახავს ჩვენ-
თვის ცნობილი 17 ტაეპი პოემისა. აი ეს ტექსტიც*:

და იტყუი: „უარ კამს გავდომა, არ თუ მეტყოდე გმობასა“.

კულაცა მიბძანა: „მიხედე მარჯუენით კერძო კედელსა,
გასინჯე, შუქ-სხივ ციმციმი ცნობას უფანტავს მხედელსა.
გულმან ინება მთვარისა შეყრა, მად მისთვის მზედ ელსა.
და უმისოდ მყოფსა მიგონებ მე ნუ სიცოცხლის მბედელსა.

შევხედე, ვნახე კედელსა მიკრული ქალის სახია,
პირად ვამჯობე მზესა და ვთქუი: ტანი ედემს სახია.
და მიბძანა: „მაგან შემიქნა ეს ყოფა ოხრად სახია,
პირსა რას ვაქნევ, პირისად მისად არ იქნას სახია“.

80 r მიბძანა: „მოდი, დაჯეო! ვიქნა მის ამბვის მბობელი,
ვინ მოიტანა ეგ* ჩემი ტუინივით დამადნობელი.
როგორ შეიქნა საკუდავად ლახურის დამასობელი,
და მერმე გასინჯე, შენ იყავ მართლისა გამაბჰობელი“.

²¹ „ამირანდარეჯანიანი“, გვ. 264.

²² საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტი-
ტუტის ხელნაწერი S—357.

* ტექსტი ამოკაობული გვაქვს ა. ჭინჭარაულთან ერთად.

** ტექსტშია: ეს ეგ.



ოქროსა სელი დავიდეგი, დავჯეგ თქმის გასაგონებად,
 თქუა: „ძოღან სიზმარად დიაცი მეუბნა შემაგონებდად,
 მითხრა: „თუ მზეო ქუეყანად ჩამოსულიყოს რონდებდა,
 ჯამს, რომ შენ გყუანდეს სალხენოდ, გულზედა დასაკონ-
 ნებად“.

და

ღამე მრავალჯერ მოვიდის, მეტყოდის ქალის ქებასა,
 ვით ცხადათ მეუბნებოდა: „მზე ვერ იქს მისოდნებასა;
 შოვნას ეცადე, თუ შესძლებ მიჯნურთა ცეცხლთა დებასა,
 მისსა სიყუარულს ნუ იქო გულიდამ გარდადებასა!“

და

80 v

გამამელუიძის, ჩუენება, ვთქუი, იყოს ნეტერ თუ რისა!
 გავსინჯი, ვთქუი, თუ: იქნების საცდური ეშმაკურისა.
 დავიძინებდი, არა ვჰქნი მისი მიგდება ყურისა,
 მაგრამ სიტყუითა ტკბილითა* სიყუარულს მიმაწურისა.

და

წუხელის რაჟამ საძილოდ დავწევ, დრო იყო რულისა,
 მოვიდა, მითხრა: „მისმინე არ სიტყუა ჩემგან თხრუ-
 ლისა.

და

აჰა, მიქნია მოტანა სახე მის მზისა სრულისა,
 ადევ და ნახე შვენება კედელსა** ზედ მიკრულისა“.

გამამელვიძა, შუენება ენახე მის ურაცხვევლად,
 შუენოდა ნარგისთ ლახუარი მჭურეტელთ გულთ დასა-
 ხეველად,
 ჰგავს, იყოს ედემს ასული ალვა ტანითა მრხეველად,
 მამინდა იგი სინათლე შესაკონ-შესახვეველად“.

და

ვკადრე: „არ ჰკითხე, ვინა ხარ, სადით გაქუს მამავლო-
 ბანი?“

მიბძანა: რაცა სიტყუისა შენთან არა ვჰქენ მბობანი,
 სხუა არ მიკითხავს, სიზმარად არ მქონდა ეგზომ ცნობანი“.

61 r და

მეწყინა, ვთქუი თუ: საქმეა ეშმაკის ეშმაკობანი!

„[უ]ლაცაღა გკადრებ ქართულსა, თქუ[ე]ნგან მოველი
 ჟერასა.
 ეშმაკი კაცსა ცდუნებას აჩუენებს მრავალფერასა.“

* ტექსტშია: ტკბილითა.
 ** ტექსტშია: კლდესა.



- კირში ჩავსტვივით, სამდურავს დაუწყებთ ბედსა, წყნარად
 და მწუედ გავირჩებით, ბოლოს ეამს ჯელში ჩავიდნენ ვე-
 თქუა: „ინდოთ რაზმთათ ისარი გულსა საწყლულად მე-
 მასა,
 მით დამატყუევა უშუებლად. სუმბულთა ტევრი მემასა,
 წყენათა რიგი რიცხვია, ამათ გამირთო მე მასა.
 და ვეძებ, მოვკუდები ძებნაში ან ვჰპოვებ შექსა მე მასა“.
 მიბძანა: „საყუარლის სევდა ვის გულსა სწვევდეს. მე-
 რვედეს,
 გაყრას ვერ სთმობდეს, მოშორდეს, აღრე შეყრასა სუ-
 რვედეს,
 საყუარლისათვინ გარჯასა ბედს კაცი რად ემდურვედეს,
 და ფუ მას კაცს, მისთვინ გარჯისთვინ ვიცა თავს შეიშურვე-
 დეს!“
 კულაცა ვჰკადრე: „წესი არის, ვინ ჰატრონსა თვისსა
 ჰყმობდეს,
 მ[ო]ახსენოს, არ დარიდოს, რომელიც[ა] მისთვის სჯობ-
 დეს.
 81 v ავსა საქმეს დაუშლიდ[ე]ს, ყოვლსა კარგსა შეასწრობდეს,
 და მისი რჩევა გონიერთა მოუწონონ, არ დაგმობდეს.
 თვით თქუენვე იცით, არ ვიცით, ვიყაო სადით სადეთა (?),
 სიზმრად გეუბნა, ვით ეშმა გეჩუენა არსაცხადეთა.
 გზა არსით ვიცით, დავეხსნათ ამ ეშმაკისა ბადეთა.
 და არ მისმენ, არცა მე დავშლი, ვით ჰჰამდეს, ავემზადეთა“
 ცნა, არა ხამდა უცოდნად უცხოის გზის წავლა-წარება
 სევდა ემატა წყენისა, ლხინი მით გაემწარება.
 თქუა: „მინდორს მოველოთ ცხენითა“. შეჯდა, ძლივ მიე-
 წარება.
 და იტყუის: „უმისოდ სიცოცხლე მესუდ<უ>რის-მეზეწა-
 წარება“.
 კულაცა ვჰკადრე: „ვიტყუი რასმე მე სიტყუასა შესაცილ-
 სა,
 თუ გინახავს მოჩუენება სამაცდურო შიგან ძილსა,



და შევიმატა კაეშანი, მოგაშორვა ლხინთა წილსა,
[ნუ] მიპყუები მიუყოლსა, ნუ იქ საქმეს სათაქილსა“

82 r მიბძანა: „მწუროთ, ნუ გიმძიმსო, მისთუის ავტნი
ნით ნუ ხარ,
მით მასწავლი, საყუარლისას ბადეს არსად შეუპყრიხარ,
არც ლახუარსა ეშყისასა გულ-უწყალოდ დაუქრიხარ,
და მით ადული გჩანს დათმობანი, სოფელს ასე გაუზღიხარ.

შენ არ იცი, ვით ჩავ[ვ]არდი ცეცხლსა ცხელსა, დასადა-
ლებს,
სისხლი ცრემლსა გარეული თულთა ნაწუთი და-სადა-ლებს,
ამად, რომე შაესა მშუილდსა გიშრის ისრის დასად აღებს,
და დამიგულა ლხინთა კარი აქ, არ ვიცი და-სად-ალებს.

არა მმართებს მოლხინება მე პირმზისა მისსა მგონსა,
მაგრამ, რადგან ერთგულობით მეტყუი სიტყუას შე-
საგონსა,
და გაგისრულებ საწადელსა, არ ჩავაგდებ დასაგონსა,
ასპარეზით მოვიქცევი, მოვილხინებ მე აზღონსა“.

ითამაშა ასპარეზი კაეშნისა საქარეებლად,
თუცა ჭელსა იხმარებდა, გული ჰქონდა მეუენებლად,
შე-ლა-ექცა უნდომგუარა, მჭურეტნი მისნი იყუნეს მქებ-
ლად.

82 v და თქუა: „წავიდეთ სიგრილესა, ცეცხლი მლამის მოსა-
დებლად“.

წამოვედით, სრისა კერძო მოვედიოდით ნაბურთალით,
კაცი დაგუხუდა წითლით ცმული ბედაურის ცხენის მა-
ლით,
გუითხრა: „ვიცი, მის სურათის დამწუარი ხართ ცეცხლის
ალით.

და შოვნა მისი პირველ ჰკუით, მერმე უნდა დიდის ძალით.
მით (?) რომ ხამს, შეძლოს სარჯელი, ვისაც სწადიან
ცხონება,
არ შედრკეს ტანჯუის წყენითა, მისთუის არ ჰქონდეს ლო-
ნება,
და სიბძნით სრულ ძალით უკლებსა სულ თემი დაემონება,
ჰკუამოკლე, უსუსურისგან ღრმა არსად გაიფონება.

არ იცით, იგი სინათლე სად ზის შორს მყოფთ ^{საღებდა}
ინდოთა რაზმთა სამუდრად სად ხრის მისთუისვე ^{საღებდა},
და და მჭურეტელთა გულები, აღარ [ა]ვის აქუჩ ^{ქაღალდი}
და მზედ თუით თავს უხმობს, სინათლეს მთავრად ^{ქაღალდი}
საღებდა.

83 r და თუ არ იცით მისი გზანი, ამისთუის ხართ შეპირვებით,
და-ცა-მართეთ ინდოთ კერძო დაუყოვნად სწრაფად რეებით,
სადა იგი მინდორია, რომ ვერ გავლით დღისა რეებით,
მუნ გაიღებთ მისა კუალსა, ასეთს რასმე შეესწრებით“.

ესე თქუა და მან მათრახი იკრა ცხენსა, გარდიქაჯა,
ვერ მოვკვლიეთ კუალი მისი, თუცა კითხუის გუქონდა
აჯა.
და არ გუაცალა ჩუენცა სიტყ[უ]ა მასთან რამე დაგვეხარჯა,
ვით გვახარა, მი-რა-გვეცა, არ წაჯლოდა ცუდად გარჯა.

მიბრძანა: „სავარ, გესმისო, მის ყმისა ამბუის მბობანი?
ჰგავს, რომ უქნია მას მზესა გაზრახვით ჩემი ხმობანი.
შორით მის მეტად ვითა ქნას გულისა გამონდობანი.
და წავალ საძებლად, ნუ დაშლი, თუ გინდა ჩემი ძმობანი!“

ვკადრე თუ: „ას[ს]ა ვემოწმე სიტყუასა ბრძენთა თქმუ-
ლებსა:
მართლა ვერაგინ პატრონობს წესისა მგზავსად გულებსა.
და რა მოიწადა, მიიჩნევს ოხერთა მგზავსად გულებსა (?),
თუით გაიმრთელებს კოდილსა, თავს თვითვე დაიწყულ-
ლებსა“.

83 v და გულს უთხარ: გულო, ეკრძალე პატრონის გულთა წყენ-
სა,
ხედავ, არ ძალუც, ვერა იქს სურვილთა მისთა თმენასა,
აპირებს ცრემლთა ნაკადსა თუალთაგან გარდმოდენასა,
და სჯობს დაშლის სიტყუას, იქმოდეს მიმოწმობისა სმენასა.

ვთქუი: „ეგზომ ცეცხლმა წყენისამ მე თქუენმა დამწყუას,
დამალოს,
ბრძენი ლხინს კრძალუით შემართებს, ართუ ჰირებსა და-
მალოს,

ამად გწერთენ, წყენა მე თქუენმა გულმა შემინდოს და
მალოს.

და ვეძებოთ, პირმა მის მზისამ შუქი ქუე სადმცა დასაწყისსა მის
სიბრძნისა.

სრასა მოვიდა, გააგო ყოვლი სახლისა რიგება,
მონათ უბძანა: „საქმეები ჩემი წამავლად იგება,
კარგთა სანაცლოთ—კარგისა, ავთ ქენით ავის მიგება,
და თქუენი სარჯელი ჩემზედა არ ცულად გარდაიგება“.

84 r ალი, ასან და ყამარი პატრონის მა[ა?]მებელი
შინა არ იყუნეს, საქმენი ჰქონ[ო]და გასაგებელი.
და მე სავარ, აბან და ქაოზ მას წინ ვიყავით მზლებელი.
გვიბძანა: „აბა მირჩიეთ, თუცა ჰქუა გაქუთ მცნებელი:

ლაშქრითა გვიჯობს წასულა, თუ ჩუენ მარტო ჩუენის თა-
ვითა?“

და აბან თქუა: „ვიტყუი სიტყუასა არ გარზრახვითა ავითა,
თავათ დავეხსნათ, ცდუნება არის ეშმაკის ქნა ვითა,
და თუარა ულაშქროთ წავიდეთ ჩუენ ჩუენის ჭლმით და
მკლავითა.“

მოვილოდინოთ ალი და ასან და ყამარ ყამრელი,
თუარა ჩუენ ოთხნი პატრონ-ყმა ვიქნეთ ულაშქროთ მა-
რელი,

და ლ^თთი ვახსენოთ, იქნების იგივე ჩუენი მფარელი,
კეთილმა ძლიოს ბოროტსა, დღე მოგუზუდეს გასახა-
რელი“.

ამირან თქუა: „აკლე თურე, პირველ დაშლა რომე მკადრე“.

და აბან ჰკადრა: „თუცა მეკლოს, ანუ თავი სიჭდლეს ვადრე,
ამა გზასა გამოჩნდების სიჯაბანე ჩემი ადრე,
და თქუენცა ნახავთ, ამის მეტი რამცა ვითა დავიქადრე!“

84 v დავეკაზმენით, ვახსენეთ ლ^თთი ყოვლისა მპყრობელი,
იგი გამმარჯუე მოსაეთა, ყოველთა ჰელამპყრობელი,
და ბოროტის ლხინად შემცულელი, კეთილთა შემასწრობელი.
ცულად საქმობენ უმისოდ მოქმედი რისაც მპრობელი.

ცხენსა შევსხედით, არ ვქენით თანა წატანა ჯარისა,
დავაგდეთ არე-მიდამო კერძი ბალდადის ზღუარისა.

ამირანს ცრემლთა ნაკადი ჩაბრუნდა, დაწუხდა უმრავლად

და სურვილთა მისთა მის მეტის ნდომა აქუს მას აღარისა.

ერქონულნი

მივდივართ, ვითა წესია უცოდნთა მგზავნებისა და მტრებისა

ეშვი სურვილთა ამირანს, ვით ცეცხლი, მოეგზებინა, მით შუქი ღამით მთვარისა, ღღისით მზე არ ემზებინა.

და ვინ იცის რიცხვი წყენისა მისისა მიზეზებისა.

ვითა მან კაცმან გუასწავლა მინდორი ინდოთ ყურენით, მისკენ მივმართეთ, ვიარეთ, მისაველად მივეწურენით.

და კაცმან გუიყვილა: „ვინ მისლით თავისა გამაწირენით? მეკობრე დგანან, დაგვოცენ, სხუაგნითვე გაეშურენით!“

ქაოზ თქუა: „წაველ, ვნახაო, ვიქ მეკობრეთა ცნობასა, ლთით გაუცუდებ მე მათსა სხუაზედა აესაქმობასა!“

85 r წავიდა, ხუთას მეკობრეს შეჭდა, იქს თვალში მტრობასა.

და შეზახა: „აჰა, გიჩუენებ თქუენ ჩემსა მამაცობასა!“

შეება ეგრე გულოვნად, ვით მის სიკეთეს ხუდებოდა. გააქცივნა და დაჯოცა, არ ცუდად იქალიბოდა.

და ეგზომ სიფიცხით ებრძოდა, სიმარჯუე ომს ეცდებოდა, ხუთასანი—ერთათ, თუით ქაოზ ხუთასად ჩაიგდებოდა.

გააქცივნა, გააქარვნა, ვანამარჯუი გამობრუნდა.

ამირან ცნა მისგან ქნილი, გავხარა, არ დაჰმუნდა, უბძანა თუ: „კაცსა ყოფა, რა გასჭირდეს, აგრე უნდა.

და ერთი უნდა ორსა სჯობდეს, ორი ვინმეა შეაგუნდა!“

აქა აბანისაგან ყარაულები მავიერ წინ წაძლო-
მის რჩევა

აბან თქუა: „ვერცუდი რჩევასა, სხუათ სიტყუა ვერ ედრე-
ბოდეს.

კაცს მანამდე ხამს თავისა მოვლა, ვით ეჭირებოდეს;

და ვითა პეპელა საწუთავად ცეცხლში არ შეიქრებოდეს, დამსწურელს დაესწრას, დაასწროს, ვიდრემდის დაესწრებოდეს.

ქნამდი რჩევა სჯობს პირველად, ბრძენთაგან ასრე მასმია. უყოლთა(?) თქმისა ნალუელი მრავალ დაცდომით მასმია.



- 85 v მეკეთა მათგან თათბირი, ამად მივმოწმე მას მია.
 და თქმული სიტყუათა მათისა დალად ზე გულსა მასმე
 შენ ამიყი ხარ, ვერ ხედავ თუ საქმეს აშიყობითა,
 ჩუენ გუიჯამს, გლახ ვართ მონანი, არ შევიცუალოთ ცნობითა.
 დაზრდილვართ შენსა წინაშე უცხონი მგზავსად ძმობითა.
 და რასთვის წაგვიდებთ საქმესა, ცუდს რასმე შეუტყობითა.
 იცით, რომ კაცი უცოდნი შეჰგავს მას ღუინით მთურა-
 ლებსა,
 თუითან ვერ იტყუის, რაცა კამს, სხუათა თქმულს დამწ-
 წყრალებსა,
 ვითა ბრმა წაველის, ვერ ხედავს ლამსა, ტალახსა შმარებ-
 სა (?),
 და საქმეს წააქდენს, ბოლოყამს ფათერაკს დააბრალებსა.
 აწ, რადგან ამა თემისა ვართ გზისა უცოდნარები,
 სჯობს, რომ წავიდე წინა-წინ, ვსინჯო მიდამო-არები
 მით, რომ არ დაგუხდეს საქმენი უბადოდ ასაჩქარები,
 ზედ არ წავაწყდეთ, თავისა შევიქნათ არ დამგმარები“.
 ამირან ბჰანა: „თუ მონა პატრონს ერდგულად მონებდეს,
 კამს თავი დადვას, სამისოდ ჰკუთსა იასლონებდეს,
 86 r სიყუარულითა მისითა წურთას ვითა ჩუილი მონებდეს,
 და რაც მისთვის სჯობდეს, მის მეტსა არჩევდეს, არ იგონებ-
 დეს.
 აბა[ნ,] წადი და წინაწინ არეს თვალმოვლით წარბედი,
 თუ ვინმე დაგუხდეს მებრძოლი, გასინჯე, თუმცა სჩქარებ-
 დი,
 საშენო იყოს, ყოფასა შენ მათსა გაამწარებდი,
 და თუარა და ჩემად საცნობლად მსწრაფლ ჩემკენ მოიარებ-
 დი!“
 წინ წავიდა აბან ეგრე, ვით მართებდა ყარაულსა,
 სპათა შექდა მეომართა, უთუალავსა ჯარსა სრულსა.
 შეუტია, მედგრად ჰოცდა, დღეს იქს მათზე აღსასრულსა,
 და გააქცივნა, ვერ დაუდგენს კმალსა მისგან შემოკრულსა.

ამით ვსცანით, ომი მისი წინა იყო მეტად შორსა,
მიმავალნი წავადევით მომა[დ]ლოსა რასმე ვორსა,
ველი სულად დაეფარა ცხენის[ა] და კაცის[ა] და ვეფხურს[ა] და
და მუნ ვერ ვნახეთ აბან, მისთვის გულს მივსტყვევებ ვინა
ორსა.

„23

როგორც ვხედავთ, ეს ახლადმოპოვებული ნაწყვეტი მთლად ვერ ავსებს პოემის ტექსტის ზემოთ მითითებულ ხარვეზს, მას კიდევ აკლია ქარავანთან შეყრის ეპიზოდი, რომელიც პროზაულ ტექსტში დაახლოებით ორმოცამდე სტრიქონითაა გადმოცემული.

ბერნარდოსეულ ნუსხას შეეხო მ. ჩიქოვანი, რომელსაც რა თქმა უნდა, არ გამოპარვია მხედველობიდან ტექსტის იდენტურობა „ამირანდარეჯანიანთან“, მაგრამ მკვლევარი დაუბნევეია იმას, რომ იქ ამ პოემის სრული შესატყვისი არ ჩანს და რომ იგი „მთლიანად არ ემთხვევა ამირანდარეჯანიანის ცნობილ გალექსილ ვერსიას“²⁴. ამის გამო მ. ჩიქოვანი ასკვნის: „მოსალოდნელია, იგი ამავე თემაზე დაწერილი უცნობი ვერსიის ფრაგმენტი იყოს“ (ხაზი ჩვენია—მ. თ.)²⁵. სამწუხაროდ, რატომღაც მეცნიერს ანგარიში არ გაუწევია საკითხში გასარკვევად მნიშვნელოვანი და საკმარისი სწორედ ამ ორი მომენტისთვის: აღმოჩენილი ეპიზოდის 17 ტაეპი ზუსტად ემთხვევა გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ ცნობილ ტექსტს და ამის გამო, არ შეიძლება იგი სხვა, უცნობი ვერსიის ფრაგმენტი იყოს. ამავე დროს მას ვერ შეუმჩნევეია ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებული შინაარსობლივი შეუსაბამობა დაბეჭდილი ტექსტის 965-სა და 966 სტროფებს შორის, ე. ი. ფაქტი, რომ იქ ტექსტს სწორედ ეს ადგილი აკლია. ამგვარად, უკვე აღმოჩნდა გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ ხარვეზის შემავსებელი დღემდე უცნობი ეპიზოდი, მისი დაკარგული ორგანული ნაწილი.

გალექსილ „ამირანდარეჯანიანს“ იხსენიებს არჩილი (1647—1713) 1681 წ. დაწერილ ლექსში, რამაც საშუალება მისცა კ. კეკელიძეს გამოეთქვა მოსაზრება, რომ ეს „ამირანდარეჯანიანი“ 1681 წლამ-

²³ ესარგებლობთ ბერნარდოს არქივში დაცული ქართული ხელნაწერის ფოტობირთით, რომელიც იხსნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ფ-1).

²⁴ მის. ჩიქოვანი, მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები. იხ.: კრებული „მრავალთავი“, I, თბილისი, 1964, გვ. 120.

²⁵ იქვე. ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული ა. გვახარიას (იხ. მისი: სპარსულ პროზის ისტორიიდან. თბ., 1973, გვ. 124).

დეა შექმნილი²⁶. ბერნარდო 1679 წლამდე მოღვაწეობდა საქართველოში. ის ფაქტი, რომ ვალექსილი „ამირანდარეჯანიანი“ მის არქივში აღმოჩნდა, ექვემდებარება ხდის კ. კეკელიძის ვარაუდს.

ბერნარდოსეულ ნუსხას აქვს ორი საგულისხმო მინაწერი: „როგორცა ჩანს, ეს არის ქართული პოემა-ზღაპარი, რომელიც ერთ დიდტანიან სპარსულ რვეულში იყო ძალიან ლამაზი ხელით ჩაწერილი. აკლია დასასრული“ (78 v). ბოლოში: „აქ თავდება დედნის რვეული“ (86 r).

დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის ეკუთვნის ეს მინაწერები, თავად ბერნარდოს თუ ვინმე სხვას, ცნობა ნათელი არაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მინაწერის ავტორს შეუდარებია პოემის ამ ეპიზოდის ტექსტი რაღაც სპარსულ ტექსტთან და მათი იდენტურობა შეუნიშნავს. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ქართული პოემის ტექსტი რომელიღაც სპარსულ ხელნაწერში ყოფილიყო ჩაწერილი და იქიდან გადმოენუსხოთ (ამას გვაფიქრებინებს ბოლოს მინაწერიც). რაც შეეხება თავად ნუსხას: იგი რაიმე წიგნის სრული ტექსტიდან მექანიკურად კი არაა ამოხეული, არამედ ასეთი ფურცლებიდანაა გადმოწერილი არცთუ ისე კარგი კალიგრაფის მიერ.

²⁶ კ. კეკელიძე, II, გვ. 360.

ქართველთა როლი სეფიანთა ირანის (1501—1732) სამხედრო საქმეებში ცნობილია როგორც ქართული, ისე სპარსული წყაროებით. წებით თუ უნებურად ბევრი ქართველი იქნედა ხმალს ირანის სასარგებლოდ. ზოგი მათგანი ირანელებს თავიანთ ეროვნულ გმირადაც კი ჰყავდათ მიჩნეული, თანაც მათი ქართველობაც აღნიშნული აქვთ. საამისოდ შეიძლება დაგვესახელებინა ქართლის მეფე გიორგი XI, ძმა არჩილ მეფისა და ვახტანგ VI-ის მამისა, რომლის საგმირო საქმეებს, ჩადენილს ირანის ინტერესების დასაცავად, სპარსულ სკოლებშიც კი ასწავლიან¹.

ქართველები ირანის სამხედრო ღირსებას იცავენ უფრო გვიანაც, XIX საუკუნის დასაწყისშიაც. ბედის ირონიით ირანის წინააღმდეგ დაძრულ ქართველი ციციანოვისგან გილანს იცავს ქართველი მირზა აქსეფ გორჯი. ამ დროს ირანის აღმინისტრაციაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ ქართული წარმოშობის სხვა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებიც². ამჯერად ჩვენ გავეცნობით სამ საბუთს, დაკავშირებულს ირანის სამხედრო სამსახურში მყოფ სამ სხვადასხვა ბედის ქართველთან.

¹ تاریخ ایران برای سال پنجم ادبی، تهران، ۱۳۴۹، ص ۳۳۷

² შეიძლება აქ დაგვესახელებინა, მაგალითად, ჰაჯ ბიენ-ხან გორჯი. ფათა-ალ-შაჰის (1797—1834), მოჰამად-შაჰის (1834—1848) და ნახერ ალ-დინ-შაჰის (1848—1896) კარის კაცი. ეს ის ბიენ-ხანია, რომელიც ცნობილია 'აბზას-მირზამ 1827 წ. პასევიჩთან გააგზავნა. ასევე, ჯერ გილანის (1818 წ.), შემდეგ ისპაანის (1834 წ.), ბოლოს ქურთისტანის (1846წ.) მმართველი იყო ხოსროვ-ხან გორჯი, სამეფო კარის ერთგული მსახური. ცნობილი სარდალი აქსეფ-ხანი არაქელი ქართველი იყო, როცა 1824 წ. ფათა-ალ-შაჰმა 13 წლის უფლისწული სნაჰ ალ-დატლა ისპაანის მმართველად განაწესა, მრჩეველად აქსეფ-ხანი დაუნიშნა. უფრო დიდი ავტორიტეტო სამეფო კარზე ჰქონდა მის შვილს, ლოლამ-ოხსენ-ხან გორჯის, რომელიც ფათა-ალ-შაჰის სიძე იყო და 1824 წ. თავისი მამის სიკვდილის შემდეგ ისპაანის მმართველის ვაზირის ადგილი დაიჭირა. ნახერ ალ-დინ-შაჰის კარზე სხვათა შორის ორი ქართველი მსახურობდა: ზეზ-ალ-გორჯი და ჰოსენ-ან-ხან გორჯი. (شرح حال رجال ایران، ج ۴، ص ۲۷۰). თვალსაჩინო ირანელი სახელმწიფო მოღვაწე, მეფის შემდეგ პირველი კაცი სახელმწიფოში (1828 წ. ვახდა ე'თემად ალ-დატლა) იყო მანუჩერ-ხან გორჯი, რომელიც ელზ მოჰამად-ხანმა წაიყვანა თბილისიდან როგორც ტყვე და ბიჭად ჰყავდა სასახლეში. დასაფლავებულია ყუშში სან-ე ქოანეს ქვეშ ფათა-ალ-შაჰის გვერდით.



از جانب نواب اعتماد الدوله بطهمورث خان گرجی نوشته شده

مفاوضه نامی و ملاطفه سامی که از جانب نجیب بندگان ذیشان معلی مکان سلطنت و جلالت پناه ایالت و شوکت دستگاه آبت و نصف آنتباه حشمت و عظمت اکنتاه علی جاه عمده السلاطین العظام اسوة الخواقین الکرام جلالات السلطنة و العظمة و الایته و الشوکه و النصفه و المعدله و المکرمه و العز و الامتنان طهمورث خان ضاعف الله تعالی مدارج عزه و اقباله الی یوم الحشر و المیزان نامزد محب خیر خواه شده بود در اسعد زمان و ایمن اوان شرف ورود یافته چون مبنی بر صحت وجود کثیر التحمود بود انواع سرور و حبور دست داد مراتب جاه و جلال و مدارج عظمت و اجلال آن صاحب اقبال روز بروز در تزیید و تضاعف بوده میهن متعال امانی و آمال را بروفق مرام محبان در سلک حصول منتظم دارد بعدها بر ضمیر منیر خورشید نظیر مخفی و مستور نماند که عریضه که در اینولا بخدمت نواب کامیاب سپهر رکاب مالک رقاب اشرف اعلی ظل الهی که جان ما غلامان فدای نام مبارکش باد نوشته بودند مضمون آن خاطر نشان همایون گردید و شفقتهای بیگران فرموده حکم جهانمطاع از روی الطاف بی پایان در جواب آن عز اصدار یافته خاطر من کل الوجوه مطمئن دارند که شفقت نواب همایون در باره آن سلطنت و عظمت پناه عالیجاه نهایت ندارد پیوسته این شیوه مرضیه را مرعی و مسلوک داشته بارسال مکانات و ارجاع مهمات ممنون و مسرور سازند زیاده تصدیع نداد امام سلطنت و عظمت و ایالت و نصف و معدلت و اقبال بماناد^۳

„წერილი, რომელიც ეთემს და აღ-დაქლამ გაუგზავნა თაკმშუ რას-ხსენ გორგისს“

სახელოვანი გარჩევა... (ეპიტეტები) შემდეგ: მზის შესახებ დობიან მქონისთვის არ გვინდა დაფარული იყოს, რომ შინაარსი არზისა, რომელიც თქვენ გამოუგზავნეთ შაჰს... (ეპიტეტები),—რომლის სანაცვლოდ იყოს მისი მონების სიცოცხლე! — მის უდიდებულესობას მოხსენდა. ბევრი მოწყალება ბრძანა და უსაზღვრო კეთილგანწყობით გიპასუხათ. ყოველმხრივ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, რადგან უზუნაესი მოწყალება იმ თქვენს სამეფოსა და თქვენს უდიდებულესობაზე უსაზღვროა. ყოველივე ამის გამო განაგრძეთ ასეთი თანამშ-

³ ირანის მეჯლისის ბიბლიოთეკის ხელნაწერი, გვ. 44.

რომლობა ჩვენთან წერილებითა და დიდ საქმეთა ჩადენით ჩვენთა სასიამოვნოდ.

მეტს თავს არ შეგაწყენთ.

მარადი იყოს თქვენი მეუღება და ა. შ.“ (იხ. ტ. 1, გვ. 101-102)

თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846) პირველად სპარსული ორიენტაციის მომხრე იყო. ის თავის ბიძასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად გაიქცა ირანში და იქ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ირანის ღონისძიებებში რუსეთის წინააღმდეგ. როგორც მისი დღიურებიდან ირკვევა⁴, ახლოს იდგა ქათმ-ალნ-შაჰის კართან, განსაკუთრებით სარგებლობდა აბბას-მირზას კეთილგანწყობით.

მაგრამ, განსხვავებით ალექსანდრე ბატონიშვილისა, თეიმურაზმა სწორად შეაფასა მოვლენების მსვლელობა, მისი პირადი პერსპექტივები და 1806 წ. დატოვა რა ირანის ბანაკი, რუსეთის მხარეზე გადავიდა.

ამ წერილიდან, რომელსაც მას, როგორც ჩანს, მირზა აბდ ალვაპზ ნეშთ ესტაჰანნი (ამ დროს ეს, წარმოშობით სომეხი, დიდმოხელე იყო ამ თანამდებობაზე. მისი ძმა, აბრამი, ქრისტიანი იყო და კავკასიაში მსახურობდა. გარდაიცვალა 1846 წ. ისპაანში) უგზავნის, გამოსვლის თეიმურაზის პოლიტიკური მოღვაწეობის უპერსპექტივობა ირანში, მას, ეტყობა, არზა მიუერთმევეია ქათმ-ალნ-შაჰისთვის და ამჟამად უნდათ ის ასეთი ყრუ, არაფრის მაუწყებელი პასუხით შეიქციონ.

II. ნონის ჰანდიკაძე

ირანში მრავალი კერძო ხელნაწერთსაცავია ცნობილი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროფესორ ასლარ მაჰდავენს ბიბლიოთეკას, რომლის ერთი ნაწილი აღწერილია კიდევაც⁵. ამ აღწერილობიდან ვიცოდით, რომ დ-რ მაჰდავენს კოლექციაში ინახებოდა ქართული სახარება არაბული თარგმანით. 1971 წ. შემოდგომაზე ვისარგებლეთ რა პროფესორ მაჰდავენს თავაზიანობით, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით ამ ხელნაწერს. პროფესორმა მაჰდავენს მისი მეუღლის წინაპრის ერთი სპარსული საბუთიც გვაჩვენა და გვი-

⁴ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972, გვ. 183.

⁵ نسخه های خطی، جلد دهم، زیر نظری محمد تقی دانش پژوه و ایرج افشار، تهران، ۱۳۴۱، ص ۵۹
درباره نسخه های خطی، زیر نظر محمد تقی دانش پژوه و ایرج افشار، تهران، ۱۳۴۲، ص ۴۸۱

თბრა: იგი, გვარად ჯანდიერი ყოფილა. თეირანის უხივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის პროფესორ ირაჯ აქმარის დახმარებით ორივე ხელნაწერის მიკროფილმი გადავიღეთ. საბუთის ტექსტს სომხური პირიე ვრთვის. ტექსტი ასეთია:



6 პატარა ფორმატის ხელნაწერი. გადანუსხული ნასთ'აღწიის ხელით. შეიცავს 200 გვერდს. არაქართული ტექსტი შე-17 საუკუნეში ჩანს გადაწერა. ქართული ტექსტი ჩაწერილია შემდეგ, არაბული სტრიქონების შუა ღარჩენილ არეებში (ხშირად ქართული სიტყვები შუაზე წყდება და წინაგადაღობილ არაბულ ასოთა თავებსა და ბოლოებს „გადაახტება“ ხოლმე). ქართული ტექსტი სახარების შთაწმინდელთა რედაქციიდან გამოკრებილ ადგილებს წარმოადგენს, ასეთივე ჩანს არაქართული ტექსტი, რომელიც სირიული არაბულია. (ინახება აღმოს. ინსტ. F—226).

წიგნს შემდეგი მინაწერები აქვს:

- [1] كتاب زبور ازقرار تصديق جمعی که از جمله جناب قونسيو (?) وزير مختار فرانسه است اصل این خط آرامنه قدیم است که مشهور بکند اینین هستند ولفظ سریانی است بسیار گران بها و علق نفیس است
- [2] لكن بعقیده عالیجاه مسیو ریشارخان خط گرجی قدیم است
- [3] هو اله تعالی ترجمه زبور من خطوط خواجه اختیار بحط تعلق
- [4] تاکنون چنین تصور میشد که این بیاض زبور ترجمه شده بخط گرجی قدیم است ولی در این چند روز که آواخر شهر صفر العظفر سیچقان ٹیل ۱۲۹۴ است وقتی شده عالیجاه کورمینسکی (?)... سفارت دولت بیه روسیه این بیاض را برد نزد جناب وزیر مختار روس و دادند به کشیتپائی که این خط گرجی را میتوانستند و بلدیت در خواندن داشتند و خوانند معلوم شد از هر کدام اناجیل اربعه قدری نوشته شده است مہر فوف

1 „ფსალმუნის“ წიგნია, როგორც ამას აღსატურებს სხვათა შორის საფრანგეთის ელჩი ბატონი... ამ ხელნაწერის ორიგინალია ძველი დამწერლობა სომხებისა რომლებიც ქალკედონელეზად არიან ცნობილნი, სირიულ ენაზეა. ძალიან ღირებული და უნიკალური ხელნაწერია“.

2 „შაგრამ მაღალადგილოვან მოსაო რწმარ-ხსნის რწმენით ძველი ქართული ნაწერია“.

3 „ისაა (ღმერთთა) უზენაესი უფალი! „ფსალმუნის“ თარგმანია, გადაწერილი ზოჯ ეხთიშარის მიერ თ'ღწიის ხელით“.

4 „აქამდე ასე ჩანდა, რომ ესაა „ფსალმუნის“ კრებული, ძველი ქართული დამწერლობით, შაგრამ ამ რამოდენიმე დღის წინ, ახლა რომ დიდებული საქარის თვეა 1294 წლისა (1877 წ. თებერვალი) შემთხვევა დადგა რა, მაღალ ადგილოვანმა, ქერმიწყიმ(?) რუსეთის სახელმწიფოს საელჩოს... ეს კრებული ბატონ რუსეთის ელჩს წაუღო და მღელღებს, რომელთაც ეს ქართული დამწერლობა იცოიან... და წაკითხვა შეუძლიათ წაკითხეს. გაიჩკვა, რომ „ოთხთავის“ უოველი თავიდან არის გარკვეული ნაწილი ამოკრებილი“ (იხ. ტ ა ბ უ ღ ა ნ).

استعلام و استخراج میرود از جمیع اهالی محال سلماس و اذربایجان
 از اعلا و ادنا و بزرگ و کوچک بر اینکه هر کس میدانند و اطلاع
 دارند از این احوال که عالیشان و عزت ارکان نونیا یک گرجی که مردی
 بود از اهل گرجستان و از طایفه ناوادو در عزت
 و شرف درین اهالی گرجستان مشهور و ممتاز میبود و با اتفاق عالیجاه
 منتخبه الولايت العظام الکسندر میرزا والی گرجستان از مملکت خود مهاجرت
 کرده و باین دولت جاوید مدت رو آورده و آمده مادام العمرالی وقت فات
 بخدمات مرجوعه بخود قیام و اقدام میکرد و بعد از خودش عالیشان
 عزت نشان سهراب سلطان گرجی والد اکبر او که بجد رشد و کمال رسید
 نظربکمال قابلیت و کاردانی او که اهلیت و استحقاق مرتبه سلطانی عساکر
 فیروزی مآثر را داشت از طرف کارگزاران و دیوان اعلی به منصب سلطانی
 فایزه سربند گردید و در فوج طایفه ملت نصرانی ابواب الجمعی عالیجاه
 جبرئیل خان ولد سمسام خان میرینج سلطان و داخل نظام بود لهذا بعد
 از آنکه فوج و نظام نصرانی حسب الحکم گماشتگان دیوان اعلی از نظم
 در افتاد و رو به تفرقگی نهاد و موقف گردید و عالیشان مشارالیه از منصب
 سلطانی معزول شد و در ایام معزولی خود مبالغ کلی خسارت کشید و
 مضرر گردید و در نهایت مرتبه به مرارت افتاد و این گونه اشخاص را
 مراعات احوالشان لازم است البته باید زحمت قبول نموده طرف ورقه را مهور
 و مزین بفرماید

تحریرا فی شهر ربیع الثانی.... سنه ۱۲۷۹

„საღმასისა და აზერბაიჯანის მხარის საზოგადოებას, დიდსა და
 პატარას ამით მივმართავთ. ყველამ იცის და ცნობილია, რომ დიდე-
 ბული და წარჩინებული [ნონია]-ბეგ გორჯი*, რომელიც ქართველი
 დიდგვაროვანთაგანი და კეთილშობილთაგანი იყო, თავადთა მოდემას
 ეკუთვნოდა და ქართველ წარჩინებულთა შორის გამოირჩეოდა, დი-
 დებულ ვაწილსთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, რომლის
 მოსაგრეც იყო, სამშობლოდან გარდაიხვეწა, ამ სვებედნიერ სახელმ-
 წიფროში ჩამოვიდა და მთელი მისი სიცოცხლე, სიკვდილამდე, გამწესე-
 ბულ ადგილზე მსახურობდა. მას შემდეგ მისმა უფროსმა ვაჟმა, დი-
 დებულმა და კეთილშობილმა სოპრან-სოლონ გორჯიმ, სიმწიფეში
 რომ შევიდა, საქმის ცოდნისა და უნარის სრულყოფის წადილი გამო-
 იჩინა, და როცა მისი დამსახურება ძლევა მოსილი არმიის კაპიტნის ზა-

* ნონია აქ ვარჯელ არ იყო, მაგრამ ვარჯევით ჩანს მინაწერებში, რომე-
 ლიც ამ საბუთს ერთის.

რისხს შეეფარდა, იგი დიდმოხელეთა და სენატის მიერ კაპიტნის წოდებაზე იქნა აღზევებული. ის ამ წოდებით მსახურობდა ქრისტიანთა პოლკში, რომელსაც ბრიგადის გენერალი მალაღდგილოვანი მუხომედიანოვი ხან სამსამ-ხანის ძე მეთაურობდა. ხოლო მას შემდეგ, რაც მალაღდგილოვანი გადაწყვეტილებისამებრ ქრისტიანთა პოლკი დაიშალა, ხსენებული მალაღდგილოვანი სოპრან გორჯე კაპიტნის თანამდებობიდან დათხოვნილ იქნა. თავისი დათხოვნილობის პერიოდში მან დიდი ზიანი ნახა და მატერიალური ზარალი განიცადა, ისე რომ უკიდურეს გაპირვებაში ჩავარდა. ხაშს, რომ მის მდგომარეობაში მყოფს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ყველანი თანაგრძნობით მოეცილოს. ამიტომ საჭიროდ ვცანით, ამ მიზნით გაისარჯოთ და თქვენი შემწეობა ამ ქალაღდზე სათანადო ბეჭდის დასმით დაგვიდასტუროთ.

დაიწერა 1279 წლის რაბენ ალ-სანნის თვეში (1862 წლის სექტემბერ-ოქტომბერი)“⁵ (იხ. ტ ა ბ უ ლ ა 5).

III. მოჭამმად-ხან

عليجاه رفيعجاياگه شہامت و نبال آتياه ارجمندی محمد خان ياور سلامت و عافيت بوده خوشوقت باشد بعدها چون منظور نظر است که ملازم فریدنی نظمی بگيرد علی الخصوص دستہ گرجی... بعضی چیزها ملازم آنها بی پا و بی اوضاع شده اند بانعالیجاه مقرر میشود که موازی دوست و پانزده نفر ملازم گرجی را ازقراریکه سابق براین بانعالیجاه ابواب الجمع بود بازهم جمع خود دانسته و امورات آنها را بالکلیه اهتمامی داده و هر چه عیب و نقص داشته باشد انضباطی داده از این بعد هر چه عیوباتی که در دستہ مزبور ملاحظه شود از آنعالیجاه مواخذہ خواهیم فرمود و عالیجاه محمد خان کچک را باید هیچ گونه تصرفی در میان دستہ نباشد عالیجاهان اخلاص نشان آن سلاطین و نایبان و دهباشیان دستہ گرجی کلا عالیجاه مشارالیه را سر کرده خود دانسته هر چه صلاح و صوابدید عالیجاه مشارالیه از عهده برآیند و بقرار سابق در انتظام امورات خود کوشند و جز مشارالیه کس را در دستہ گرجی تصرفی نیست از اینقرار معمولداشته تحلف جایز ندارد

تحریرا شهر ربیع الاولی ۱۲۴۴

„მალაღდგილოვანსა და გულადს, ქველსა და სახელოვან მიიორ მოჭამმად-ხანს ჩანმრთელობასა და სიკეთეს ვუსურვებთ. შემდეგ: რადგანაც გათვალისწინებულა, რომ ფერეიდნელმა მებრძოლებმა თაღარიგი დაიჭირონ, განსაკუთრებით ქართულმა რაზმმა, [ხოლო] მისი

⁵ საბუთს ერთის ოცამდე ეპიტრისა თუ მდიდრის ბეჭედი.

მდგომარეობა საბრძოლო ვერაა, მაღალადგილოვანს ამის ბრძანება რომ ორას თუთხმეტი ქართველი მებრძოლი, ისევე როგორც ეს წიხათ იყო თქვენს განკარგულებაში ასევე ძალაც მიყვანოთ. **ქვემოთ** საქმიანობაზე თქვენ იზრუნოთ და თუ რაიმე ნაკლი ან **გარდაცვალებები** მოაგვაროთ. ისე რომ ამის შემდგომ ყოველგვარ ნაკლსა და უწყობილობაზე, რომელიც თქვენს რაზმში აღმოჩნდება, პასუხს პირადად თქვენ, მაღალადგილოვანს, მოვთხოვთ. საჭიროა, რომ მოჰამმად-ხან უმცროს ამ რაზმზე რაიმე ხელი არ ჰქონდეს; ქართული რაზმის მაღალადგილოვანმა ნაიბებმა და ათისთავებმა ხსენებული მაღალადგილოვანი თავიანთ მეთაურად ცნონ და მისი ნება აღასრულონ; წინა ბრძანებისამებრ თავიანთ საქმეს ეცადონ,—გარდა ხსენებული პირისა ქართულ რაზმზე ხელი არავის არა აქვს. ამ ბრძანებას გადასვლა ნებადართული არაა.

დაიწერა 1244 წლის რაზმ⁶ აღ-ავეალის თვეში (1828 წლის სექტემბერი)“ (იხ. ტ ა ბ უ ლ ა 7).

როგორც ამ საბუთიდან ირკვევა, (1) ქართველებს მხოლოდ საქიროების შემთხვევაში გამოჰყავდათ ჯარი, (2) ამ რაზმის რაოდენობა დაახლოებით ორასი კაცი ყოფილა (ამ შემთხვევაში 215 კაცს ითხოვენ), (3) რაზმის ხელმძღვანელი ყოფილა მაიორის წოდების პირი, (4) რაზმს მეთაურობს ვინმე მოჰამმად-ხან გორჯი (რომლის სახლ-კარი დღესაც შემორჩენილია ქვემო მარტყოფში. მისი მემკვიდრეა ნოსრათ აღ-ლაპი)⁶, (5) ასეთ თანამდებობაზე, რადგანაც არმია რეგულიარული არ იყო, საერთოდ ცილობა ყოფილა (ადრესატს კერძოდ ეცილება მისი სენხია), (6) რაზმის მეთაურთა იერარქია ასეთია: ათისთავი, ნაიბი და მაიორი, (7) ქართული რაზმი ცალკე ერთეულად შედიოდა ფერეიდანის მხარის ჯარში.

⁶ მის შესახებ იხ.: მ. თოღუა, *გაბილები* [I], გვ. 187.

თამაზ გორჯის ოთხნოვანი ლექსიკონი

თეირანის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება **فرهنگ انگلیسی و** ინგლისურ-ფრანგულ-გერმანულ-სპარსული — **فرانسه و نمسه و فارسی** — ლექსიკონი¹ (რ. ۴۵۲) გადაწერილი, როგორც ჩანს, ავტორის მიერ ლანაში ხელით, საუცხოო ნასხითა (სპარსული სიტყვები) და ლათინური ასოებით.

როგორც ხელნაწერს დართული წინასიტყვაობიდან ჩანს, ლექსიკონის ავტორია ეიმე თამაზს (თამაზ) გორჯი. სხვა წყარო მის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ხელნაწერის ბოლოს ის თავისთავს ასე მოიხსენიებს: **خانزاده جاننشار کنیاز طہماست سربازگری** — შაჰის ერთგული მსახური კნიაზ თამაზ ჯარისკაცი, ქართველი“. სხვაგან ის თავს ჯაგვაცნობს, როგორც **کنیاز طہماسب آجودان وزارت جنگ** — კნიაზ თამაზი, სამხედრო საბინისტროს ადიუტანტი“.

